კვირის პალიტრ
N23 (313)
ფასი 60

1168 ↓
2006 ↓

ექსკლუზიური ინტერვიუ

რატომ დუმდა მაია ჯაბუა მესამე შვილის გაჩენის შემდეგ

ბესოს „ჯეოგარში“ ტატასთან ინტიმური სცენის შემდეგ, შეყვარებული დაშორდა



ჰიუსტონისა და კრუსის ქართველი „ტყუპისცალები“

20 წლის წინ არჩეული ბარგველი „მის საქართველო“ და კოცნა ტუჩებში



ოტია იოსელიანის „გადაბრუნებული ურემ
და კოჭებამდე შემოყრილი მიწა

როდის უნდა უთხრა ბავშვს, რომ ის ნაშვილები

ჰიპერტონიული კრიზი

- ✔ როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა წნევა მეტისმეტად მაღალია?
- ✔ რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს ჰიპერტონიულ კრიზს?
- ✔ რა იწვევს წნევის მატებას ორსულებში და როგორ ვუმკურნალოთ?

ცხოვრების წესი და მიოკარდიუმის ინფარქტი

- ✔ როგორ ვიცნოთ ინფარქტი?
- ✔ რა გავაკეთოთ ექიმის მოსვლამდე?
- ✔ ცხოვრება ინფარქტის გადატანის შემდეგ?

როცა პატარას კიჭი ამოსდის

- ✔ აფერხებს თუ არა მატყუარა საწოვარა კბილების ამოჭრას?
- ✔ რატომ არ ამოდის კბილები ჩვეული თანმიმდევრობით?

გაფანტული სკლეროზი

პირველი ნიშანი, რომელიც გაფანტულ სკლეროზს გვაეჭვებინებს, ათიდან ცხრა შემთხვევაში მხედველობის მკვეთრი გაუარესებაა... ადამიანს უეცრად სტკივდება თვალი და თვალწინ დიდი, მუქი რგოლისებრი ლაქები უჩნდება...

რა ბედი ელით უმცროს ექიმებს

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
№23 (313)
8 — 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲐᲜᲣ ᲠᲐ ᲔᲐᲛᲔᲑᲐ ᲢᲙᲑᲘᲚ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲡ... 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ
ᲠᲝᲪᲐ ᲨᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ, ᲥᲕᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲡᲠᲝᲓᲔ... 6
ᲔᲙᲠᲐᲜᲣᲚ ᲛᲘᲦᲕᲐ
ᲠᲔᲥᲘᲡᲝᲠᲗᲐ ᲝᲧᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝ, ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲓᲐᲜ „ᲞᲚᲔᲮᲐᲜᲝᲕᲐᲛᲓᲔ“ ᲒᲐᲓᲐᲭᲘᲛᲣᲚᲐ 8
ᲡᲐᲮᲔ
ᲕᲘᲡ ᲣᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲘᲐ ᲧᲐᲑᲣᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲘᲚᲐᲡ 6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
„ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲠᲩᲝᲜᲓᲐ“_ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲨᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲥᲛᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲪᲝᲚᲡ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ 14
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
ᲠᲐᲪ ᲛᲔᲧᲐᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲡ ᲛᲔᲫᲐᲚᲔᲑᲝᲓᲐᲡ 17
ᲗᲔᲛᲐ
„ᲨᲔᲜ ᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲮᲐᲠ!..“ 21
ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ
„ᲒᲐᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲔᲛᲘ“ ᲓᲐ „ᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ“ ᲐᲜᲣ ᲛᲘᲬᲐ ᲙᲝᲭᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲗᲣ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲘᲧᲐᲠᲔ 23
ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ
ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐᲖᲔ 25
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲝᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘ — ᲨᲘᲢᲜᲘ ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲜᲔᲚᲝᲞᲐ ᲙᲠᲣᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ „ᲢᲧᲣᲞᲘᲡᲪᲐᲚᲔᲑᲘ“, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ „ᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲪᲜᲐ ᲢᲣᲩᲔᲑᲨᲘ 26
ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
„ᲡᲕᲔᲢᲡᲙᲘ“ ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ, ᲗᲐᲛᲐᲛᲘ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲔᲑᲘ, „ᲡᲐᲙᲐᲘᲤᲝ“ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲚᲐᲢᲘ 28
ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ
„ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲐᲨᲥᲕᲠᲐ ᲐᲡᲕᲚᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ“ 31
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 34
ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ
ᲒᲐᲓᲐᲐᲒᲓᲔ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ! ᲐᲜᲣ ᲘᲐᲒᲠᲝᲕᲜᲔ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲐᲓ — ᲒᲐᲮᲓᲘ ᲐᲜᲢᲘᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲡᲢᲘ 34
ᲢᲐᲘᲛ-ᲐᲣᲢᲘ 36
ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲚᲔᲠᲘ
ᲨᲘᲝ ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ. ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲐ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 38

„ᲒᲐᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲔᲛᲘ“ ᲓᲐ „ᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ“ ᲐᲜᲣ...

„ᲕᲘᲩᲣᲑᲝᲑᲗ — ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲕᲐᲠᲒᲐᲗᲥᲛ! ᲠᲐᲡ ᲰᲤᲕᲘᲐ, ᲐᲠ ᲒᲕᲘᲕᲐᲠᲒᲐ? ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲔ, ᲘᲜᲜᲐᲘᲠᲘᲐ, ᲠᲐᲡ ᲔᲠᲩᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ?! ᲙᲘᲗᲚᲘ ᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲪᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲡ? „ᲪᲯᲘᲐ ᲒᲣᲛᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲒᲐᲛᲘᲠᲓᲔᲚᲘᲡᲐ, ᲠᲐ ᲧᲠᲛᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ ᲐᲕᲐᲓ ᲖᲠᲓᲘᲚᲘ!..“

23

ᲒᲐᲒᲚᲣᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

„ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲦᲔᲑ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ: ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲣᲤᲠᲝ, ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲐᲓ ᲒᲘᲮᲡᲜᲘᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ ᲡᲣᲠᲡ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ; ᲒᲔᲚᲐ ᲙᲘ — ᲣᲤᲠᲝ, ᲨᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲝᲒᲐᲜᲓᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ“.

8

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ — ᲕᲘᲡ ᲣᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲘᲐ ᲧᲐᲑᲣᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲘᲚᲐᲡ 6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

„ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ, ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲒᲠᲔᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲘᲛᲐᲣᲢᲘ ᲐᲕᲘᲦᲔ; ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲣᲖᲐ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ — ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲔᲫᲘᲜᲐ. ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲣᲖᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲞᲐᲒᲐᲠᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲐ“.

30

„ᲨᲔᲜ ᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲮᲐᲠ!..“

„ᲑᲔᲑᲘᲐ-ᲑᲐᲑᲣᲘᲡ „ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ“, ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲐᲕᲣᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲕᲐᲠ. ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ, ᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ „ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ“ ᲑᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲔ „ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ“ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲐᲕᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲐᲜ. ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘᲪ 2 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲘᲚᲐ... ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲜᲐᲮᲣᲚᲝᲑ“.



21

საგანძური

ოლღა გურამიშვილის დიპლიპიტო, აკაკი ხორავას ჩონგური და ბავშვის საფლავში ნაპოვნი სალამური 43

დღესასწაული

ცეცხლის ენებად განყოფილი, ზეციდან გარდამოვლენილი სულიწმიდა... 44

ტაძარი

ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს გამართული მამადავითობის დღესასწაული 45

პრობლემა

ლეიმმანიოზის გადამტანი მწერი გაფხულში აქტიურდება „წელს უკვე 92-მა პაციენტმა მოგვმართა“... 46

ჯანმრთელობა

სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადებები 47

ასპარეზი

ზურაბ საკანდელიძე – საიდუმლო იარაღი ამერიკელთა წინააღმდეგ 49

ადამიანი-ლეგენდა

იდუმალი წყვილი, „წინასწარმეტყველი“ ბანქო და რუსი ქალის მიერ „ნაშვილები“ გენიოსი 52

ვარსკვლავები 53

შოუ

ინტრიგა და ინტიმური სცენები ყოფილი „ჯეობარელისგან“ 57

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (დასასრული) 60

მუნდიალი

„ფორცა, იტალია!“ 64

შოუბიზნესი 66

ობიექტივი 67

ავტო 68

სკანვორდი 69

ჰოროსკოპი

კვირის (8-14 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი 71

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-50-03 email: gza@kvirispalitra.com

ორეულები – უიტნი ჰიუსტონისა და ჰენელოპა პრესის ქართველი „ტყუპისცალები“

„როდესაც უიტნის სიახლოვეს აღმოვჩნდი, ირგვლივ მყოფები ინტერესით მაკვირდებოდნენ, ვგრძნობდი, თუ როგორ ავლებდნენ პარალელს ჩემსა და ჰიუსტონს შორის. ის კი არა, მისმა პირადმა მცველმა, მსუქანმა ტიპმა, თვალი ვერ მომწყვიტა, რაზეც მეცინებოდა...“

26

„მწვერვალის დალაშქვრა ასვლით კი არა, ჩამოსვლით მთავრდება“

გია თორთლაძის მიერ დალაშქრული მწვერვალების ჩამონათვალს 17 მაისს, კიდევ ერთი – ჰიმალაის მთებში მდებარე, 8163 მეტრი სიმაღლის მწვერვალი მანასლუ შეემატა.

31

იდუმალი წყვილი, „წინასწარმეტყველი“ ბანქო და რუსი ქალის მიერ „ნაშვილები“ გენიოსი

დალის ფეხებზე ჰკიდია რეალობა. მის წარმოსახვაში ყველაფერი უკვე გადაწყდა. ამიერიდან, გალა მხოლოდ მას ეკუთვნის. მას თითქოს არ ესმის, რომ გალას თან ახლავს ქმარი და ქალიშვილი სესილი. გაუთლელ და უცნაურ ესპანელს ოდნავადაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ქალი მის გრძნობას უპასუხებდა.

52

ეროვნიეგბა

– სად აქვს ჭრილობა? – იკითხა ხომერიკმა.

– ზურგში. გვცია სხეულში აქვს ჩარჩენილი. ვინ იფიქრებდა, რომ ის ამას..

– თქვენ, თქვენ უნდა გეფიქრათ, ამსანაგო რაჟდენ, რომ ჩარგიევი ხელიდან არ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას! აკი გითხარით, გაგაფრთხილეთ – განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიეთ-მეთქი, – უპასუხა გულმოსულმა პოლკოვნიკმა.

38

შეხვედრა უმაღლეს დონეზე

ანუ რა ეამება ყუბილ მეზობელს...

ასე დაკარგვა შეიძლება?! მოცლილი და უსაქმური არც ერთი არ ვართ — არც ჩვენ და არც რუსეთი, მაგრამ მაინც უნდა გამოვნახოთ დრო ერთმანეთთან მისვლა-მოსვლისთვის, თორემ, სულ დავიკარგეთ მეზობლები. ამასობაში წლებიც გადის და მალე ალბათ, ჩვენი პრეზიდენტები, ქუჩაში რომ შეხვდნენ, ვეღარც იცნობენ ერთმანეთს...

რა მოხდა მერე, პატარა წალაპარაკება თუ მოგვივიდა, ვის არ მოსვლია?! ბოლოს და ბოლოს, „ბორჯომისა“ და ღვინის ემბარგოს, ხილისა და ბოსტნეულის აკრძალვას, ეკონომიკურ ბლოკადას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციას და ასეთ წვრილმანებს ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ჩვენი მეზობლობა!

მით უმეტეს, ჩვენ ვერ ვზრუნავთ ჩვენს ქვეყანაზე ისე, როგორც ისინი ზრუნავენ: მაგალითად, იმ გაქცეულ კაცს ჩვენ — ტერორისტსა და საქართველოს მტერს ვეძახით, ისინი კი, საპრეზიდენტოდ გვიმზადებენ. დავიჯერო ახლა, ჟირინოვსკის ცუდი უნდა ჩვენთვის?! ხომ ხედავთ, როგორ ვუყვარვართ: ყველაფერს რომ ხაზი გადავუსვათ, იმას მაინც



ხომ ვერ უარვყოფთ, რაც დუმის 100 წლის იუბილეზე მოხდა: ისე გაუხარდათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დანახვა, რომ ხელების ბრახუნით ლამის, მაგიდები დაამტვრიეს...

როგორც იქნა, მოხერხდა და უმაღლეს დონეზე შეხვედრაც დაიგეგმა. აბა, სადამდე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ასეთი ბუტიაობა?! ჩვენი პრეზიდენტი თვითონ მაინც ამბობს სათქმელს, ის კი, გაჩუმებულია და ჟირინოვსკის ალაპარაკებს. მე მგონი, სწორედ ამან გაართულა ურთიერთობა: პუტინს სიყვარულის ახსნაც რომ უნდოდეს, ჟირიკას ლექსიკონით გინება უფრო გამოსდის... ახლა თვითონ შეხვდებიან ერთმანეთს და იმედია, ყველაფერი გაირკვევა. 13 ივნისს, სანქტ-პეტერბურგი ორი პრეზიდენტის „სამიტს“ უმასპინძლებს და ჩვენც, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ ვემზადებით:

ზურიკელა ვაშალომიძის არ იყოს, „ამხელა ქალაქში რომ ვუშვებთ ბაღანას, ჩაცმა-დახურვა ხომ უნდა?!“ კი აქვს ტანსაცმელი, განა არა აქვს, მაგრამ ხომ იცით — მოზარდია, ხორცს ისხამს და ორ კვირაში უპატარავდება ყველაფერი. ფეხსაცმელი კიდევ, არა და არ უძლებს, რასაც ეგ დადის, არცაა გასაკვირი!.. კი შევაწუხებდით ქართველ დიზაინერებს და ცქვიტინიძე — პიჯაკს შეუკერავდა, ვარდანაშვილი — ფეხსაცმელს, მაგრამ რად გინდა! მაგათი შეკერილით დისკოთეკაზე თუ წახვალ კაცი, თორემ, პრეზიდენტთან შეხვედრაზე ჩაიცმევა?!

კარგი, ბატონო, ჩასაცმელს მოვუხერხებთ რაღაცას, ბოლოს და ბოლოს, რომელიმე ჰესს გავყიდით, „ფაქიზოსავით“, მაგრამ საჩუქარს რა ვუყოთ? ხელცარიელი ხომ არ ჩავა პრეზიდენტი კაცი?!. ძველი დრო ჩაჰბარდა წარსულს, თორემ, ერთი დოქი ღვინო შეიძლებოდა წაეღო, სიმინდის ფუჩეჩდაცმული, მაგრამ მაგით მოატყუებ?! რუსეთი, რაც ევროპაშია, ორი იმდენი — აზიაშია... მოკლედ, ფული ვაჩუქოთ და თვითონ რაც მოუნდება, იმას იყიდის ბატონი პუტინი...

ნეტავ, რაზე შეთანხმდებიან პრეზიდენტები? იმედია, ყველაფერი თბილ და მშვიდ ვითარებაში ჩაივლის. თან, ისიც ძალზე მნიშვნელოვანია, სტუმარს ვიზიტი არ გაუგრძელდეს, რომ პუტინს არ გავახსენოთ ანდაზა — „დილით ოქრო ხარ, სტუმარო, შუადღეს — ვერცხლად იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი...“ ისე, სპილენძი რით არის ცუდი? სხვა თუ არაფერი, მის სადიდებლად სპილენძის ხანაც იკმარებს...

თუმცა, XX საუკუნეს მაინც თავისი მკაცრი მოთხოვნები აქვს. არადა, სტუმარსაც, თუ ვიზიტი გაუგრძელდა, არ გაემტყუნება — სალაპარაკო დაგროვდა: ეს სამშვიდობო ძალების გაყვანაო, ეკონომიკური ბლოკადაო, მასპინძლის ამერიკელ „მეგობრებთან“ ურთიერთობის ოპტიმიზაციაო (ხომ კარგი სიტყვაა! იმიტომაც იყენებენ წარამარა ყველა სფეროში და მეც რით ვარ ნაკლები?!)... მაგრამ არც ჩვენ უნდა დაგვავიწყდეს სობრძნე: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...“ და მოკლედ უნდა ჩამოვუყალიბოთ საამო დაპირებები: გადავიფიქრეთ, „ძმაო“, დსთ-დან გასვლა-თქვა, არც კონფლიქტის ზონებიდან ჩვენი „საყვარელი სალდათების“ წაყვანას ვითხოვთ და ნატოსაც მოუკვდა პატრონი-თქვა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყველაფერს ისე გავაკეთებთ, რომ მორჩეს ჩვენ შორის შავი კატის აქეთ-იქით სირბილი.

P.S. თბილისის აეროპორტი, 13 ივნისი.

პანტელეიმონ გიორგაძე:

— მიშა, შვილო, რუსეთში მიფრინავ, ხომ?

— კი, სანქტ-პეტერბურგში.

— ნუ მეტყვი უარს, ეს ჩანთა წაიღე — ტყემალი და ჩურჩხელებია. ჩემი ბიჭი დაგხვდება და იმას მიეცი.

— შენი ბიჭი თუ დამხვდა, „ჩურჩხელა და პატივისცემა“ ჩემზე იყოს...

პროვოკატორი

„საგარეო უწყების პოზიციაც გაუგებარია“

— თურქეთის ელჩის სოხუმში ვიზიტის შემდეგ, ზოგიერთს გაუჩნდა ეჭვი, რომ ეს ქვეყანა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებს. ნუთუ, შესაძლებელია, ეს საკითხი დღის წესრიგში დადგეს?

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

— თურქეთის ელჩი, სოხუმში ყოფნისას, დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერებს შეხვდა და თურქეთთან პირდაპირი საზღვაო მიმოსვლის აღდგენაზე ისაუბრა. მე არა მგონია, რომ ეს ვიზიტი შემთხვევით დაემთხვა რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას... არადა, თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ელჩის განცხადებები შეურაცხმყოფელი და ამავე დროს, ურთიერთგამომრიცხავია. ერთი მხრივ, ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე, მეორე მხრივ კი — სოხუმთან პირდაპირ საზღვაო მიმოსვლაზე: ფრიად არალოგიკურია. აღსანიშნავია, რომ თურქეთში სერიოზული პროაფხაზური ჯგუფი მოქმედებს. მისი წარმომადგენლები ომის დროსაც ცდილობდნენ, აფხაზების სასარგებლოდ პროცესებში ჩაბმას. როგორც ვიცი, ამ ტერიტორიაზე რამდენიმე, ჩერქეზული წარმოშობის თურქი მილიონერი დღესაც ეხმარება მათ. პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება. საზღვაო მიმოსვლის აღდგენაზე ლაპარაკი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ამ გეგმის ავტორებს მოქმედების შემდგომი პუნქტებიც ჩამოყალიბებული ექნებათ. თუ თურქეთი ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას ცნობს, ყველა გემი ჯერ ფოთში უნდა შემოიყვანოს, გაიარონ შემოწმების დადგენილი ნორმები და მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთი გადაიტანონ სოხუმში. ჩემთვის საქართველოს საგარეო უწყების პოზიციაც გაუგებარია: ხან ამბობენ, ელჩის განცხადებები ჩვენთან შეთანხმებული იყოო, შემდეგ კი, ახსნა-განმარტებებისთვის სამინისტროში იბარებენ.

■

„პროცესის დარეგულირება რეგიონებში უფრო გაჭირდება...“

— ცალკეული ოპოზიციური პარტიები არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ. მიზეზი — საარჩევნო კოდექსია. თქვენ ეს კანონი სიძნელეებს არ შეგიქმნით?

სალომე ზურაბიშვილი, *მერობის კანდიდატი:*

— მე არ ვარ ისეთი მიამიტი ადამიანი, რომ მჯეროდეს — ამ არჩევნებით საქართველოში დემოკრატია იზეიმებს. მაგრამ თუ არ ვცადეთ, თუ არ ვიბრძოლეთ, სიტუაცია არასოდეს შეიცვლება. მსგავსი პრობლემების დაძლევა მარტივად არსად ხდება, განსაკუთრებით, ისეთ ქვეყანაში, სადაც ტრადიციაა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით, მმართველი პარტიის გამარჯვების მიღწევა. ნაცმოძრაობაში ბევრი ადამიანი შევარდნაძის დროინდელი სისტემიდან არის გადასული, მათ კარგად აქვთ შესწავლილი გაყალბებისა და მანიპულაციის მეთოდები, ისინი ამ „ცოდნას“ თვითმმართველობის არჩევნების დროსაც გამოიყენებენ. მაგრამ ვფიქრობ, რომ სხვადასხვა ადგილას გამარჯვების მიზერული შანსები მაინც არსებობს. პროცესის დარეგულირება რეგიონებში უფრო გაჭირდება, რადგან იქ მძლავრობს შიშის ფაქტორი. რაიონში, ვისაც კი სახელმწიფო სტრუქტურაში რაიმე თანამდებობა უკავია, ცდილობს ოპოზიციონერის გაცნობისგანაც კი შორს დაიჭიროს თავი, რომ ვინმემ ცუდად არ გაიგოს და ადგილი არ დაატოვებინოს. დარბაზის დაქირავების დროსაც კი, პრობლემები გვექმნება ხოლმე, მაგრამ დაბრკოლება ნელნელა უნდა დავძლიოთ. რაც შეეხება თბილისს, აქ გამარჯვების ყველაზე დიდი შანსია, თუნდაც იმიტომ, რომ მოსახლეობა უფრო კარგად არის ინფორმირებული და შიშის განცდაც ნაკლებია. ხელისუფლების ძველი ხრიკია — ამომრჩეველი დაარწმუნოს — შედეგები მაინც გაყალბდება, ამიტომ არჩევნებში მონაწილეობაც არ ღირსო. თუ არჩევნებს ყველა პასუხისმგებლობით მოეკიდება და გადაწყვეტს, რომ თავისი ხმა ბოლომდე დაიცვას, მაშინ გამარჯვების შანსი რეალური იქნება.

■

„გიორგაძეს შედგენილი ექნება სათანადო სიები და კომპრომატებს გამოიყენებს“

— იგორ გიორგაძის გააქტიურებამ უმრავლესობის წევრებს ისევ გაახსენა ლუსტრაციის კანონის მიღების აუცილებლობა, „კაგებეს“ გენერალი კი აგენტების გამოაშკარავებით იმუქრება...

ბიძინა გუჯაბიძე, *პარლამენტის წევრი:*

— ხელისუფლების ყველა წევრზე არ ვამბობ, მაგრამ გარკვეულ ნაწილს, ლუსტრაციის კანონის მიღება არ აძლევს ხელს. ლუსტრაციის შედეგად, ბევრი თანამდებობის პირი დაზარალდება და გაიშიფრება. ხელისუფლებას აგენტების გამოაშკარავება რომ უნდოდეს, ჩვენი ფრაქციის, „დემოკრატიული ფრონტის“ კანონპროექტს, გვერდზე არ მოისროდა. მე არ ვამბობ, რომ ეს იდეალური კანონპროექტი იყო. მაგრამ დაგვემუშავებინა, დაგვეხვეწა და დაგვემტკიცებინა; საბოლოოდ გაგვერკვია, ვინ იყო აგენტი და ვინ — არა. უამრავი მიზეზი მოიგონეს, დღესაც იმას ამბობენ — არქივი რუსებმა გაიტანეს და ჩვენ ვეღარაფერს გავარკვევთო. სინამდვილეში, ლუსტრაციისთვის საჭირო არქივის ნაწილი და სხვა სათანადო დოკუმენტაცია სიებთან ერთად, საქართველოშია. „კაგებეს“ გენერალ იგორ გიორგაძეს უამრავ დოკუმენტზე მიუწვდება ხელი, მას შედგენილი ექნება სათანადო სიები და კომპრომატების სახით, აუცილებლად გამოიყენებს. შეიძლება, ამ გზით უკვე მოქმედებს კიდეც. სამწუხაროა, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებს გიორგაძისგან მოსალოდნელი საფრთხის მოხსნა კი არ უნდათ, მხოლოდ იმას ირწმუნებიან, მასზე უკეთესები ვართო. არ შეიძლება, დაუსრულებლად ვილაპარაკოთ ლუსტრაციის კანონზე და ვიმკითხაოთ — რომელ თანამდებობის პირს წამოაძახებენ აგენტობას და ვის რა გარიგებას შესთავაზებენ, კომპრომატების მოსპობის სანაცვლოდ. ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია, რომელიც ხელისუფლების კეთილი ნების გარეშე ვერ გადაწყდება.

■

„რაც უფრო მეტად დაუხრი რუსეთს თავს, მით უფრო შემოგიტევს კრემლი“

— დიდი რვიანის შეხვედრამდე, სააკაშვილისა და პუტინის დიალოგი თუ განმუხტავს ორ ქვეყანას შორის არსებულ, უკიდურესად დაძაბულ სიტუაციას?

დავით ბერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტიის წევრი:*

— დიდი რვიანის შეკრებამდე, რუსეთის პრეზიდენტს სჭირდება, როგორც ევროპის სახელმწიფოების თვალში, ისე აშშ-ის პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრისას, სათქმელად ჰქონდეს, რომ მეზობელი სახელმწიფოს მაოხრებელი არ არის და დიალოგისთვის მზადაა. მიხეილ სააკაშვილსაც პროცესების შემდგომი ესკალაცია აშინებს, ამიტომ სანქტ-პეტერბურგში ვიზიტზე ამყარებს იმედებს. საქართველოს პრეზიდენტი პუტინს უნდა ელაპარაკოს პიროვნული შეურაცხყოფების გარეშე. არ გვინდა რუსეთის ჯარი ჩვენს ტერიტორიაზე, არც სამშვიდობო ძალები და ანტიტერორისტული ცენტრი... დიალოგი უნდა წარიმართოს ისე, როგორც ეს ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა გააკეთეს. რადგან შეხვედრა შედგება, კონფრონტაციის ერთგვარი შერბილება მოსალოდნელია, თუმცა, პირადად მე, პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ნოვაციებს არ ველოდები. თუ სააკაშვილი პუტინს დაარწმუნებს, რომ უნდა შესრულდეს პარლამენტის დადგენილება და ე.წ. სამშვიდობო ძალები გავიდნენ ცხინვალის რეგიონიდან, ეს იქნება ჩვენი პრეზიდენტისა და მთელი ქვეყნის წარმატება, მაგრამ თუ ის დათანხმდება იმას, რომ სამშვიდობოები განუსაზღვრელი ვადით დარჩნენ კონფლიქტის ზონაში, მივიღებთ კიდევ ერთ გაუაზრებელ კომპრომისს და საქართველოს მორიგ მარცხს. რაც მეტად დაუხრი რუსეთს თავს და მიიღებ შენი ქვეყნისთვის ღირსების შემლახავ გადაწყვეტილებას, მით უფრო შემოგიტევს კრემლის აგრესია. სუსტებს ყოველთვის ზემოდან ელაპარაკებიან...

■

„ვიბლიანთან ჩემს ნათესაურ კავშირს არ უარყოფ...“

— თქვენი აზრით, რთ აძლევდა ხელს ბაჩო ახალაიას, ციხეში ბუნტის მოწყობა და რამდენად სარწმუნოა მამარდაშვილის აღიარება?

სოზარ სუბარი, *სახალხო დამცველი:*

— ყოფილმა კანონიერმა ქურდმა დეტალურად აღწერა ახალაიას კარის შესასვლელი, მისი ოთახი, საპირფარეშო; დაასახელა, სად რა ნივთი დგას. ასე რომ, ცხადია, არსებობს იმის ეჭვი, რომ მამარდაშვილი იმ ოთახში ნამყოფია. გარდა ამისა, არაერთხელ ითქვა, რომ პატიმრები ზედელაშვილი და მამარდაშვილი აბსოლუტურად იზოლირებულად მოათავსეს და არც ერთ პატიმარს მათთან მიახლოება არ შეეძლო, მაგრამ რატომღაც მათთან პატიმარი ვიბლიანი შეიყვანეს. კანონიერმა ქურდებმა მისცეს დავალება, უნდა წასულიყო და მოენახა მამარდაშვილი. მათი შეხვედრა ვერ მოხდებოდა, ციხის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული რომ არ ყოფილიყო. ეს ბადებს ეჭვს, რომ მამარდაშვილის „აღიარება“ სიმართლეს შეესაბამება.

როგორც პატიმარი ამბობს, მაშინ ამბოხის თაობაზე ლაპარაკი არ ყოფილა. სიტუაცია კონტროლიდან მაშინ გამოვიდა, როცა ბაჩო ახალაიამ ერთ-ერთ პატიმარს — ავალიანს შეურაცხყოფა მიაყენა. საპასუხოდ, ავალიანმაც სილა გააწნა ახალაიას, ამის შემდეგ საქმეში სპეცრაზმი ჩაერია. მამარდაშვილი აცხადებს, რომ პატიმრების ცემას ხმაური მოჰყვა ჯერ ციხის საავადმყოფოში, შემდეგ კი, მე-5 საპყრობილეში. რამდენად შეესაბამება ეს ფაქტები სინამდვილეს, არ ვიცი, მაგრამ ამ ჩანაწერის გახმაურება აუცილებელი იყო. პირველ რიგში, ამას პატიმრები ითხოვდნენ, რადგან ფიქრობენ, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. გარდა ამისა, ეს ინფორმაცია გამოძიებასაც დაეხმარება. საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს ამ ჩანაწერის არსებობის შესახებ. რაც შეეხება ვიბლიანთან ჩემს ნათესაურ კავშირს — მე ამას არ უარვყოფ, მაგრამ ამ ფაქტის გამო, მისი უფლებები უნდა შეილახოს? რა ლოგიკას ხედავენ საკუთარ განცხადებებში ამ „ბრალდების“ ავტორები, ჩემთვის გაუგებარია.

■

„რეგიონის ყველა სიმაღლე სამხედრო ობიექტად არის ქცეული...“

— ქართველ პოლიტოლოგთა და ექსპერტთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ რუსეთი ცხინვალში ომის დასაწყებად ემზადება. თქვენ როგორ ფიქრობთ — საომარი მოქმედებები განახლდება?

გიორგი ხაინდრავა, *სახელმწიფო მინისტრი:*

— სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო მზადყოფნაა გამოცხადებული. მაშინ, როცა რეგიონში 1500-ზე მეტი რუსი სამხედრო იმყოფება, ცხინვალის ხელისუფლებას 5000-მდე ადგილობრივი მოსახლე ჰყავს შეიარაღებული. არ ვიცით, გაიყვანს თუ არა კონფლიქტის ზონიდან, იქ დამატებით შეყვანილ სამშვიდობო ძალებს რუსეთი. ცხინვალის რეგიონის ყველა სიმაღლე სამხედრო დანიშნულების ობიექტად არის გადაქცეული, რაც ბადებს ეჭვს, რომ დე ფაქტო ხელისუფლება პროვოკაციისთვის ემზადება. ჩვენი წინააღმდეგობის მიუხედავად, როკის გვირაბის გავლით რუსული ტექნიკა კონფლიქტის ზონაში მაინც შეიყვანეს. ვფიქრობ, რომ სამშვიდობოების უკანონო გადაადგილება მხოლოდ პრელუდიაა იმისა, რომ მის განხორციელებასაც რუსული და ოსური მხარე გეგმავენ. ეს სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია. თუ გავითვალისწინებთ იმ უკიდურესად დაძაბულ ფონსაც, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს ჩამოყალიბდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცხინვალში ომის დაწყებას ცდილობენ, მაგრამ მოსკოვის აქტიურობის მიუხედავად, ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში სამხედრო მოქმედების განახლებას არ დაუშვებს. რუსეთის ტელეარხებს თუ მივადევნებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ მოსკოვს საქართველოზე დეზინფორმაციის გავრცელება სახელმწიფო რანგში აქვს აყვანილი. როგორც ჩანს, სერიოზული პროვოკაცია მზადდება, ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს.

■

ჩოსპ შუშის სანცლში ცხოვრება, ქვეგს არ უნდა ისროდე...

რუსუდან ლებანიძე

სააკაშვილი-პუტინის შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე, საქართველოს პარლამენტმა რუსეთის კრიტიკაზე სრული მორატორიუმი გამოაცხადა. ეს, პოლიტიკოსებისგან ცხადია, პირველ რიგში, მათივე განცხადებების კორექტირებას ემსახურება. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არავის უთქვამს, უბრალო მოკვდავებმაც და მით უფრო, ჟურნალისტებმა, პირები ამოიკერეთო. მაგრამ მე პირადად, მაინც გადავწყვიტე, ერთგვარი მინიმორატორიუმის გამოცხადება და ამ ერთხელ, არც ქართველ მკითხველს დავღლი „მორატორიუმგამოუცხადებელი“ რუსი პარლამენტარების მიერ საქართველოს მისამართით გამოთქმული „კრიტიკის“ გაცნობით. და რადგან როგორც ასეთ შემთხვევაში ისევ რუსები იტყვიან — „წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩება“, — მეც ასეთი ადგილი მხოლოდ უცხოური პრესის (ცხადია, რუსულის გამოკლებით) გაცნობას დავუთმე. თემად კი ის საკითხი ავირჩიე, რომელსაც ეთნოკონფლიქტებად მონათლული სეპარატიზმი ჰქვია და რომელზე მსჯელობასაც საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებიც ვერაფრით ასცდებიან.

სეპარატისტული უმცირესობები არსებული ქვეყნების დაშლით იმუქრებიან

(Christian Science Monitor, **აშშ**)

როგორც კი, ჩერნოგორიამ დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოაცხადა და საერთაშორისო გაერთიანებაში შესვლის მიწვევაც მიიღო, არაერთმა სხვა „მინისახელმწიფომაც“ საკუთარი ბედის განკარგვის ასეთივე უფლება მოითხოვა. ამის ყველაზე „ცინცხალ“ მაგალითს დნესტრისპირეთის რუსულენოვანი ანკლავი წარმოადგენს, რომელმაც 1990 წელს მოლდავეთისგან დე ფაქტო დამოუკიდებლობა მოიპოვა; ახლახან მისმა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ამა წლის სექტემბერში, ჩერნოგორიის მსგავსად, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის თაობაზე რეფერენდუმს ჩაატარებს.

ჩერნოგორიის გასახელმწიფოებაზე უფრო მნიშვნელოვანი, საერთაშორისო საზოგადოების მიერ კოსოვოს მოთხოვნის დაკმაყოფილება ანუ ამ მხარის დამოუკიდებლობის აღიარება იქნება. მოლაპარაკებებს, რომლებზეც ასეთ შესაძლებლობაზე მსჯელობენ, მეამბოხე მინისახელმწიფოები თვალყურს დაძაბულად ადევნებენ. მაგრამ როცა ხედავენ, თუ ახალი ციცქნა სახელმწიფოები როგორ ეფლობიან ეთნიკურ ძალადობაში, საერთაშორისო დამკვირვებლები მსგავსი ნაბიჯის გადადგმას უკვე საკმაოდ უფრთხიან.

„თუ კოსოვო დამოუკიდებელი გახდება, ეს პრეცედენტი გლობალური წესრიგის შემდგომ რღვევას გამოიწვევს და სულ უფრო მეტ არასიცოცხლისუნარიანი პატარა სახელმწიფოს წარმოქმნამდე მიგვიყვანს“, — ვარაუდობს მოსკოვის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის დამოუკიდებელი საბჭოს ანალიტიკოსი დმიტრი სუსლოვი.

ურჩ მეზობლებზე ზეწოლის მიზნით, მოსკოვი მხარს უჭერს პოსტსაბჭოურ ტერიტორიებზე რამდენიმე პრომოსკოვური სეპარატისტული ანკლავის წარმოქმნას, მაგრამ მათი ოფიციალური აღიარება ჯერ ვერ გადაუწყვეტია, საერთაშორისო გაკიცხვას უფრთხის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიაში მსოფლიო მართლწესრიგის ურყევ პრინციპებად როგორც ხალხების „თვითგამორკვევის უფლება“, ისე სახელმწიფოების „ტერიტორიული მთლიანობაა“ მოყვანილი. მაგრამ, როცა სეპარატისტული უმცირესობები არსებული ქვეყნის დაშლით იმუქრებიან, ეს პრინციპები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. რუსეთი, რომლის შემადგენლობაში არაერთი ეთნიკური „რესპუბლიკა“ და მათ შორის, მეამბოხე ჩეჩნეთი შედის, დიდი ხანია, „ტერიტორიული მთლიანობის დაცვას“ ემხრობა. მაგრამ კრემლის აქცენტი (ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როცა საქმე მის ზოგიერთ ურჩ მეზობელს ეხება) ნელ-ნელა გადახრას იწყებს.

„თუ ვიღაც, ცალკეული ტერიტორიების დამოუკიდებლობის მიღწევას შესაძლებლად მიიჩნევს და თუ ასეთი პრეცედენტები გაჩნდება, მაშინ ისინი მხოლოდ პოსტსაბჭოურ სივრცეზე როდი მოახდენს უარყოფით გავლენას, — განაცხადა ცოტა ხნის წინ ვლადიმირ პუტინმა — ...ასეთ შემთხვევაში, მარტო სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის მცხოვრებთათვის როდი გაჭირდება იმის ახსნა, თუ რატომ აქვთ კოსოვოელ ალბანელებს იმ ქვეყნიდან გამოყოფის უფლება, რომელშიც ისინი ფორმალურად იმყოფებიან, დანარჩენებს კი — არა. რაშია აქ განსხვავება?“

როცა 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა, მისმა თხუთმეტივე რესპუბლიკამ თავისუფლება და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მაგრამ ზოგიერთი ახალი სახელმწიფოს შიგნით არსებულმა მცირე ეთნიკურმა დაჯგუფებებმა, რუსეთის დახმარებით გაანადგურა სახელმწიფო ჯარები და შექმნა რეჟიმები, რომლებიც ჯერ თავად მოსკოვსაც კი არ უღიარებია. აქამდე, ყველა ასეთ შემთხვევაში, „ტერიტორიული მთლიანობის“ პატივისცემის საერთაშორისო პრინციპი იმარჯვებდა. სხვათა შორის, სწორედ ამ პრინციპის მოშვებით დაიწყო მოსკოვმა 1999 წლის სასტიკი სამხედრო კომპანია და სადღეისოდ ძირითადად, უკვე მოახერხა ჩეჩნეთის, რუსეთის შემადგენლობაში რეინტეგრაცია. მაგრამ ბოლო ხანებში, რუსეთს საქართველოსთან, მოლდავეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ამ ქვეყნებმა თავი დააღწიეს რუსეთის ორბიტას და უფრო პროდასავლური კურსის გატარება დაიწყეს. ამას დაემატა ყოფილ იუგოსლავიაში მომხდარი პრეცედენტებიც. ამან ზოგიერთი მოსკოველი ნაციონალისტი პოლიტიკოსი აიძულა, კრემლისთვის იმ მცირედის გადარჩენა მაინც მოეთხოვა, რაც რეგიონში ჯერ კიდევ არსებობს ანუ მას (კრემლს) ზოგიერთი მეამბოხე წარმონაქმნისთვის მარტო აღიარების კი არა, თვით რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მიღების გარანტიაც უნდა მიეცა.

დნესტრისპირეთმა მოსკოვთან უკვე გააფორმა ეკონომიკური პაქტი, რომელიც ამ ციცქნა, მაგრამ ძალზე ინდუსტრიალიზებულ ტერიტორიას რუსეთში თავისი საქონლის გაყიდვისა და ოდესმე რუსული მანეთის სავალუტო ზონასთან მიერთების ნებასაც მისცემს. რუსეთის ცვალებადი პოლიტიკის ფოკუსში იმყოფებიან, აგრეთვე, მეამბოხე ქართული რესპუბლიკები — სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.

„სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მას შემდეგ შეიქმნა, რაც ბოლშევიკებმა, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოინდომეს საქართველოს ტერიტორიის გაკონტროლება, — აცხადებს საქართველოს დედაქალაქში მოქმედი დამოუკიდებელი ანალიტიკური ორგანიზაციის — სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი. ეს წარმონაქმნები დღესაც იმავე მიზნით გამოიყენება, ფაქტობრივად კი, რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ანექსია ხორციელდება, რადგან რუსეთი ძლიერია, დასავლეთის სახელმწიფოები მას, რასაც მოისურვებს, იმის გაკეთების ნებას აძლევენ“.

ბევრი დასავლელი სპეციალისტი ირწმუნება, რომ ყოფილი იუგოსლავიის რღვევის პროცესი უნიკალური მოვლენაა, რომელიც „გაეროს უშუალო კონტროლითა და უსაფრთხოების დემოკრატიული ზომების მაქსიმუმის გამოყენებით“ ხორციელდება. მაგრამ თუ რუსეთი ამ კუთხით დამოუკიდებლად დაიწყებს მოქმედებას, ძალიან გარისკავს, რადგან შეიძლება, ამის გამო, მსოფლიომ მას ზურგი შეაქციოს, თავად კი, შიდარეგიონული კონფლიქტების გამრავლებას შეუწყოს ხელი. „ეს ორლესული მახვილია, — ამბობს ვაშინგტონის ფონდ — Heritage Foundation-ის მკვლევარი არიელ კოენი. — მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი მინისახელმწიფოების აღიარებით რუსეთი, მრავალი ათეული წლით ჩამოაგდებს უთანხმოებას. პოსტსაბჭოური საზღვრები ურყევად უნდა შენარჩუნდეს. ეს, პირველ რიგში, სწორედ რუსეთს აცილებდა უდიდეს თავსატეხს“. მაგრამ მოცემულ მომენტში, მოსკოვის განწყობილება სულ უფრო და უფრო მკაცრდება. „ჩვენ არ ვეთანხმებით კონცეფციას, რომ კოსოვო უნიკალური შემთხვევაა, რადგან, ეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინის-

ტრის მოადგილემ ვლადიმირ ტიტოვმა — კოსოვოს პრობლემის ასეთი გადაწყვეტა საერთაშორისო სამართალში ქმნის პრეცედენტს, რომელიც მოგვიანებით, სხვა გაყინული კონფლიქტების მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული...“

გაორმაგებული „ორმაგი სტანდარტები“

(Bremez Nachrichten, გერმანია)

სანქტ-პეტერბურგში დაგეგმილი, დიდი რვიანის სამიტის წინ არსებული გაურკვევლობა მოხსნილია. შეხვედრის მასპინძელი, სამრეწველო თვალსაზრისით, მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლების მიღებისას, საკუთარი პოზიციის ზომიერების კი არა, თავდაჯერებულობის დემონსტრაციას მოახდენს. ვლადიმირ პუტინს, რომელიც წლეულს, რუსეთისთვის უზარმაზარი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოთა კავშირის „პრეზიდენტი“ გახდა, არანაირი კონფრონტაცია აღარ აბრკოლებს. მისმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შემაშფოთებელი „ორმაგი სტანდარტების“ ცნების ყველაზე უფრო მწვავე განმარტება წამოადგინა. ამ განმარტების მიხედვით, „ორმაგ სტანდარტებში“ ერთი და იმავე პრობლემისადმი თვითნებური, თითქმის სრულ წინააღმდეგობამდე მისული დამოკიდებულება იგულისხმება. აქედან გამომდინარე, პუტინის დიპლომატებმა იმის მტკიცებაც კი დაიწყეს, თითქოს, საქართველოს ნაწილი საქართველოს ნაწილი აღარ არის, მოსკოვი კი, ვითომ იმის გამო, რომ თბილისის ხელისუფლება რუსეთის მოსაზღვრე სამხრეთ ოსეთს ვეღარ აკონტროლებს, მშვიდობისმყოფელთა ოპერაციების მსვლელობისას, ამ რეგიონისთვის სუვერენიტეტის მოპოვებას შეუდგა.

სამხრეთ ოსეთში მართლაც, რთული სიტუაციაა, რაშიც კავკასიაში მოქმედი რუსეთის სამსახურები არცთუ ისე უმნიშვნელო როლს ასრულებენ. მაგრამ იმ ფაქტს, რომ ეს რეგიონი ქართული სახელმწიფოს კუთვნილებაა, მოსკოვის მიერ კრიზისულ რეგიონში დარიგებული რუსული პასპორტები ვერაფრით შეცვლის. მეტიც — მკაფიოდ დადგენილი საზღვრების საკუთარი შეხედულებისამებრ გადატანის საფუძველი, პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებასთან თვით კრემლის სერიოზული წაკიდებაც კი ვერ გახდება.

სხვათა შორის, საკუთარ ქვეყანაში სეპარატიზმის ნებისმიერი გამოვლინებისადმი პუტინის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ კარგადაა ცნობილი. შესაბამისად, კურილიის კუნძულები, კარელია, კალინინგრადი (კენიგსბერგი) და, პირველ რიგში, ჩეჩნეთი, რაღა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციის „წმიდათაწმიდა კუთვნილებას“ წარმოადგენს. პუტინმა თვით ჩერნოგორიის მოვლენებიც კი, საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით, ძალზე სარისკოდ მიიჩნია. მაგრამ როგორც ჩანს, როცა საკითხი საქართველოს, მოლდავეთს და უკრაინას ეხება, რუსეთისთვის სულ სხვა კანონები იწყებს მოქმედებას და მოსკოვში მყოფ, წარსულის მოტრფიალე ადამიანებს, „რუსული მიწების ხელახლა შემოკრების“ მოწოდებით გამოსვლისას, მარტო სამხრეთ ოსეთზე კი არა, დნესტრისპირეთსა და ყირიმზეც აქვთ პრეტენზია...

თუნდაც სამი კვადრატული მეტრი სხვისი ტერიტორია...

(Gazeta Wyborcza, პოლონეთი)

კოკოითი – სასამართლოში

საქართველოს დე იურე ნაწილის — თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კოკოითი ირწმუნება, რომ ეს რეგიონი ყოველთვის რუსეთის დე ფაქტო ნაწილი იყო. იგი მზადაა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინოს იმის დამამტკიცებელი დოკუმენტები, რომ თავის დროზე, სამხრეთ ოსეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და უკან აღარ გამოსულა. კოკოითს გამბედაობა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივნის, მიხაილ კამინინის განცხადებამ შემატა. მასში ნათქვამია, რომ მართალია, რუსეთი პატივს სცემს „ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს, მაგრამ მაინც მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთს „თვითგამორკვევის უფლება აქვს“...

ყირიმი – რუსეთს

სიმშვიდე არც უკრაინის ყირიმშია. კომპარტიისა და სხვა პრორუსული და-

„გზის“ მომდევნო ნომრიდან

„სანამ ცოცხლები ვართ...“

ეროვნული მოძრაობის მატიანე

ეს ყველამ უნდა იცოდეს!



...ეს იყო პირველი არასანქცირებული საპროტესტო გამოსვლა.

...ვიღაცამ წამოიძახა — „ფოსტა ავიღოთ, გენერალი გლადკოვი მოვკლათ!“ ამის შემდეგ, ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს გაბრიყვებულ, უიარაღო ადამიანებს...1956 წლის მარტი იდგა...

გამთენიისას, უშიშროებამ ყველა „აკრიბა“... სახლის სხვენზე, იარაღი და საბეჭდი მანქანა იპოვეს.

...ხრუშჩოვმა ბრძანა, პირობითი სასჯელი აკმარეთ, ეგღა გვაკლია, ბავშვებისაც გვეშინოდესო.

...მერაბი და ზვიადი როიალს მიუსხდნენ და ოთხ ხელში დაუკრეს შოპენის ულამაზესი პიესა.

...ინაურმა ჩაიცინა: „შე მამაძაღლო, სტალინი ჩვენც კი გვიყვარს!“ — და მეორე ოთახში გამომძიებელს ჩამაბარა.

...სიღნაღის ციხის ბურჯზე დიდი ასოებით ეწერა — „ძირს ხრუშჩოვი!“

მხოლოდ თვითმხილველების მოგონებებზე დაყრდნობით, თავადაც მოვლენების მომსწრე და მონაწილე, ჟურნალისტი მანანა იაშვილი, დოკუმენტური პროზის ჟანრში მოგვითხრობს ეროვნული მოძრაობის ცნობილ და აქამდე უცნობ მოვლენებზე. პირველ ნაწილში, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ჯგუფის სასამართლო და სიღნაღელ მოზარდთა არალეგალური ორგანიზაციის საქმიანობაა ასახული.

ჯგუფებების მომხრეები ბლოკირებას უკეთებენ ფეოდოსიის პორტს, სადაც შავი ზღვის სანაპიროზე, ნატოს ეგიდით დაგეგმილ სამხედრო მანევრების მონაწილე ქვედანაყოფებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობით დატვირთული, ნატოსდროშიანი ამერიკული ხომალდი — Advante შევიდა. ფეოდოსიაში უკრაინის სხვა რუსულენოვანი რეგიონების დემონსტრანტთა ჯგუფებიც იყრიან თავს. პორტის შესასვლელთან გაისმის მოწოდებები: „ძირს მოღალატეები!“, „ნატო ჩვენი მტერია!“, „ჩვენი მომავალი — რუსეთთან კავშირშია!“ ცეცხლზე ნავთი ოფიციალურმა რუსეთმაც დაასხა. სახელმწიფო დუმამ განაცხადა, რომ მიმართავს მთავრობას, რათა მან ყირიმის, რუსეთისთვის დაბრუნება, რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის 1774 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვოს(!). დეპუტატებმა საკუთარ ინიციატივაზე მხოლოდ მას შემდეგ თქვეს უარი, რაც გაარკვიეს, რომ არარსებულ სახელმწიფოებს შორის დადებულ არარსებულ ხელშეკრულებას იმოწმებდნენ... სახელმწიფო სათათბიროს ნაციონალისტმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ უკრაინული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „უკრაინის დამოუკიდებლობის უკანონოდ გამოცხადებისთვის“ იუშჩენკოს სასამართლოში უჩივლებს. მან ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტს ჩამოაგდებს, ხოლო მის ქვეყანას ექვს დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაშლის.

რუსი მიმომხილველების აზრით, ამჟამად რუსეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დაძაბულობის კერებს იმიტომ აღვივებს, რომ ვლადიმირ პუტინი 2008 წელს თავისი პრეზიდენტობის მეორე, ბოლო ვადას ასრულებს და მას არ სურს, ხალხის ხსოვნაში იმ ადამიანად დარჩეს, რომლის დროსაც, მოსკოვმა საქართველოზე, უკრაინასა და მოლდავეთზე კონტროლი დაკარგა. „ლაპარაკია არა სამხრეთ ოსეთის, საქართველოსგან გამოყოფაზე, არამედ მის რუსეთთან მიერთებაზე. და აქ საქმე, ოსურ სეპარატიზმში კი არა — რუსულ იმპერიალიზმშია“, — აცხადებს „ინტერნეტ გაზეთას“ მიმომხილველი ნიკოლაი რუდენსკი. ხოლო სერგეი ბუტმანი (რადიო „ეხო მოსკვი“) აღნიშნავს: „კრემლს უნდა, რომ ახლა რუსეთს სამი კვადრატული მეტრი სხვისი ტერიტორია მაინც მიუერთოს“... თუმცა ბუტმანი შიშობს, რომ რუსეთს „ამ სამი მეტრის ფასი შეიძლება, ძალიან ძვირად დაუჯდეს“, რადგან მეზობლებთან სეპარატისტული განწყობილებების გაღვივებამ შეიძლება, იქამდე მიიყვანოს, რომ თავად რუსეთის მცხოვრებლებმა — თათრებმა, იაკუტებმა და ბურიატებმაც გაიხსენონ, რომ მათაც აქვთ თვითგამორკვევის უფლება. „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის ფედერაცია ადვილად მსხვრევადი შუშის სახლია და ის, ვინც ასეთ სახლში ცხოვრობს, ქვებს არ უნდა ისროდეს“, — დაასკვნის ბუტმანი.

გაგრძელება იხ. გვ. 72

გელა ბაბლუანი გადასაღებ მოედანზე

საფრანგეთში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველ კინორეჟისორს, გელა ბაბლუანს მხატვრული ფილმის — „13“ — ამერიკული რიმეიქის გადაღება ჰოლივუდში ჯერ არ დაუწყია. ევროპული ვერსიით აღფრთოვანებული მაყურებლები კი, არა მარტო საქართველოში, საფრანგეთსა და ამერიკაშიც, ვარაუდობენ, რომ სულისშემძვრელი ამბის ამერიკული რიმეიქი უთუოდ „ოსკარს“ აიღებს... ამის შესახებ წინასწარ, თავად უკვე საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორი არ ლაპარაკობს. თუმცა, გელა ბაბლუანი ამბობს, რომ რადგან ამერიკელმა პროდიუსერებმა სრული შემოქმედებითი თავისუფლება მისცეს, ჰოლივუდური „13“-იც ძალზე საინტერესო გამოვა და ევროპულის მსგავსად, მისი ღირსებები ოდენ სანახაობრივი მხრით არ შემოიფარგლება...

გაგლუანეხი აღარ ხუთროხენ...

რეჟისორთა ოჯახის საქასპარეზო, ჰოლიეუდიდან „პლეხანოვაქდე“ გადაჭიმულა

ეკა ლომიძე

ამერიკული „ცამეტის“ გადაღება გაისად დაიწყება. მანამდე კი, რეჟისორი სამზადისშია. ჯერ არც სცენარის ამერიკული ვერსია არსებობს საბოლოო სახით და არც მთავარი როლის შემსრულებლის ვინაობაა გარკვეული. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ საკითხში ერთმანეთს ჰოლივუდელი ვარსკვლავები ეცილებიან. საინტერესოა, ქართველი ემიგრანტის როლში გაუწევს კი კონკურენციას გიორგი ბაბლუანს თუნდაც, ცნობილი ამერიკელი მსაიობი?..

ჯერჯერობით მხოლოდ პროექტის სახით არსებული, მომავალი ფილმი ამთავითვე იწვევს სერიოზულ ვნებათაღელვას. ევროპული „13“ კი, ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს: ვენეციისა და სანდესის ფესტივალებზე უმაღლესი ჯილდოების მოპოვების შემდეგ, ბოლოს, ფილმი კანში იქნა ნაჩვენები. „მსოფლიოში სულ 4-5 ფესტივალია, სადაც ექსკლუზიურ პროდუქციას ითხოვენ. ამიტომაც, ვენეციის ფესტივალზე ჩვენების შემდეგ, ვიცოდი, რომ ფილმი კანში კონკურსში ვერ მიიღებდა მონაწილეობას. „13“ მხოლოდ კინობაზრობაზე უჩვენეს. ფესტივალზე საფრანგეთის კინოცენტრმა მიმიწვია, როგორც „მომავლის რეჟისორი“, რომლის ფილმსაც საზღვარგარეთ წარმატება ხვდა წილად. ამიტომაც გამიმართეს საერთაშორისო პრესკონფერენციები, — მითხრა გელა ბაბლუანმა „გზისთვის“ სატელეფონო ინტერვიუს ჩაწერისას.

რეჟისორი ბევრს არაფერს ამბობს მთავარი როლის შემსრულებელზე, ღვიძლ ძმაზე, გიორგიზე. ის უბრალოდ, აღნიშნავს, რომ გიორგის ბუნებისგან აქვს მინიჭებული ის თვისებები, რომელთა წყალობითაც, შთამბეჭდავი საეკრანო სახის შექმნა მოახერხა. გელა ფიქრობს, რომ გიორგიმ ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას. მაყურებელი და კინომცოდნეები კი მიიჩნევენ, რომ გიორგის მიერ საუცხოოდ განსახიერებულმა ახალგაზრდა ემიგრანტმა დიდად შეუწყო ხელი ფილმის წარმატებას.

თავად გიორგი ამაზე არაფერს ამბობს. არადა, აღნიშნული როლი მისთვის სადებიუტო იყო კინოში. ახალბედა მსახიობს, ისევე, როგორც მის ცნობილ მამას — თემურ ბაბლუანს, ძმის, გელას წარმატება ძალზე ახარებს.

ამჟამად პარიზში მყოფ გიორგის ტელეფონით დავუკავშირდი და „გზისთვის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ვთხოვე.

— „13“-ში პირველად შეასრულე კინოროლი. მანამდე თუ გიფიქრია კინოში გადაღებაზე?

— ბავშვობიდან, ნამდვილად არ მიოცნებია. სამი წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გელას ფილმის გადაღებაზე მუშაობაც კი არ ჰქონდა დაწყებული, აქ, საფრანგეთში ჩავბარე თეატრალურ ინსტიტუტში. მაშინაც, კინოზე — არა, მაგრამ თეატრში მუშაობაზე ვფიქრობდი. ისე მოხდა, რომ როცა ინსტიტუტი დავამთავრე,

კადრი ფილმიდან

გელამ სწორედ მაშინ დაიწყო ფილმის გადაღება. თითქოს დამელოდა... მეც, სხვებივით, გავიარე კასტინგი, თანაც — ფილმის გადაღებამდე ორი კვირით ადრე. თავიდან, თითქმის უარი მითხრა. ისიც კი ვიცოდი, როლზე ვისი აყვანა უნდოდა. ერთი ფრანგი ბიჭი, უცნობი მსახიობი ჰყავდა შერჩეული. საინტერესო რამ მოხდა: გელამ ჯგუფი გადასაღებ მოედანზე გაუშვა, თვითონ, რაღაც საქმის გამო, პარიზში დარჩა. მოულოდნელად, ჩემთან თავის მეგობარს დაარეკვინა და უთხრა — ჩაიცვას, გადასაღებად გაემზადოსო. მეც წავედი და...

— ძნელი იყო ძმასთან, როგორც რეჟისორთან, მუშაობა?

— მეგონა, უფრო რთული იქნებოდა. ვშიშობდი — რადგან ძმა იყო, როგორც მსახიობს, მასთან გახსნა გამიჭირდებოდა. მაგრამ არანაირი პრობლემა არ მქონია.

— ალბათ, თვითონაც დაგეხმარა პროფესიონალური თვისებების გამომჟღავნებაში, არა?

— დიახ, თუმცა — არა სიტყვიერად, უფრო — მოქმედებებით.

— მკაცრია გადასაღებ მოედანზე?

— ხან — როგორ, ხან — როგორ.

— მამაშენი როგორია? ალბათ ის უფრო მკაცრია.

— დიახ *(იცინის)*. თემური და გელა გადასაღებ მოედანზე ძალიან განსხვავებულები არიან: თემური უფრო, სიტყვიერად გიხსნის იმას, რისი მიღებაც სურს, ფაქტობრივად, გადასაღები სურათის დეტალიზაციას ახდენს; გელა კი — უფრო, შენ თვითონ მოგანდობს საქმის კეთებას, გაცლის მოქმედებას და მერე, თავისი საქციელითა და გამოხედვით გაგრძნობინებს, მისთვის როგორ აჯობებდა. შეიძლება, ისეთი რამ მოგიყვეს, რაც პირდაპირ კავშირში არ იქნება საქმესთან; შენი ღირსებების გამოვლენისკენ გიბიძგებს, განიშნებს, რაც სურს, მაგრამ შემოქმედებით თავისუფლებას გიტოვებს.

— როდესაც სცენარი წაიკითხე, რა განცდა დაგეუფლა?

— სცენარს დიდი ხნით ადრე ვიცნობდი. პირველად, მე გამანდო ამბავი, რომლის დაწერაც სურდა. მაშინ 15 წლის ვიყავი, ფეხბურთს ვთამაშობდი და საერთოდ არ ვფიქრობდი მსახიობობაზე. ერთხელ ღამით, გელა ძალიან გვიან მოვიდა შინ. გამაღვიძა. ღამის სამი საათი იყო. დამსვა და მომიყვა ყველაფერი, რაც შემდეგ, ფილმად იქცა. ეს ყველაფერი არსად არც უნახავს და არც გაუგონია — უბრალოდ, მოუვიდა თავში და სანამ დაწერდა, მე გამანდო. მაშინვე ძალიან მომეწონა ამბავი, მაგრამ არც ის მიფიქრია, რომ გელა ფილმს გადაიღებდა და არც ის, რომ მე ვითამაშებდი მთავარ როლს.

— თურმე, ბავშვობიდან, ფეხბურთელობაზე ოცნებობდი და სწავლობდი კიდეც ცნობილ საფახბურთო სკოლებში. მოულოდნელად მიგინებებია თავი ბურთისთვის და ფილოსოფიურზე გაგიგრძელებია სწავლა. რა მოხდა, სად — ბურთი და სად — ფილოსოფია?

— *(იცინის)* ფეხბურთსაც თავისი ფილოსოფია აქვს... საერთოდ, ბავშვობიდან, ძალიან მიყვარდა წიგნების კითხვა. ვკითხულობდი ცნობილი ფილოსოფოსების ნაშრომებსაც, თანაც, მაშინ, როდესაც ფეხბურთს მთელი არსებით ვთამაშობდი. ერთხელაც, ფეხი მოვიტეხე და ექვსი თვის განმავლობაში, უზომოდ ბევრი თავისუფალი დრო გამიჩნდა. მაშინ არ მქონდა გადაწყვეტილი, რა პროფესია უნდა ამერჩია. ვკითხულობდი გამუდმებით. ვუყურებდი მხატვრულ ფილმებს, ვეცნობოდი დიდი რეჟისორებისა და მსახიობების შემოქმედებას, რომელიც გაიძულებს, შენც რაღაც საინტერესოს შექმნაზე იზრუნო. მაშინ მივხვდი, რომ ამქვეყნად ყველა საქმიანობას თავისებური ფსიქოლოგიური მიდგომა სჭირდება, რაც ფილოსოფიურ ცოდნასაც მოითხოვს. ამიტომაც გადავწყვიტე, ფილოსოფია შემესწავლა.

— მამაშენი ამბობს, რომ ცოტა უცნაური ხარ და არავინ იცის, როდის რას მოიმოქმედებ...

— რა გითხრა... სავსებით ნორმალურად მივიჩნევ ჩემს თავს, მაგრამ ძალიან ნორმალური რომ გგონია თავი, მგონი, მაშინ ხარ ყველაზე საშიში *(იცინის)*...

— ისე, ბატონი თემური რომ ამბობს — გიორგი უცნაურიაო, — დიდად გასაკვირი არ არის, რადგან ქართველები საერთოდ, უცნაური ხალხი ვართ. ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ სვანი ხარ, მაშინ, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ შენი მოქმედებები ნაკლებად პროგნოზირებადი ეჩვენება ვინმეს...

— შესანიშნავად ახსენი. დავრწმუნდი, რომ მართლა სვანი ვარ... ისე, „ცამეტში“ არ მეტყობა, რომ, როგორც ყველა სვანი, ზვიადი და გულადი ვარ?.. მთელი ცხოვრება მამა საინტერესო ამბებს ჰყვება ხოლმე სვანებზე. სამწუხაროდ, „ნატურალურ“ სვანებს მხოლოდ მაშინ ვხვდებოდი, როდესაც ჩვენთან ოჯახში მოდიოდნენ. მაშინ განსაკუთრებით კარგად მესმოდა, სვანი რომ ვარ და სვანობა გარკვეულ ფასეულობებთან რომ არის დაკავშირებული, რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, მამაჩემისგან განსხვავებით, ჩვენ არ გვქონია სვანეთში ცხოვრების საშუალება. იქ არ დავბადებულვართ.

— როგორც ვიცი, „ცამეტის“ შემდეგ, სხვა ფილმშიც გადაგიღეს. როგორ მოხდა ეს, ვინ მიგიწვია სათამაშოდ?

— „ცამეტის“ შემდეგ, პირველად გადამიღო მამაჩემმა — ახალ ფილმში, რომელიც ალბათ, წელს გამოვა ეკრანზე. ასევე გადამიღო ფრანგმა რეჟისორმა, ბენუა ჟაკომ. ჯერ არც ეს ფილმი გამოსულა ეკრანზე. ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც „13“-მა განაპირობა ჩემი ჟაკოსთან მიწვევა, თუმცა ვიცი, რომ ჩემი ძმის ფილმი ნანახი ჰქონდა.

— ფაქტია, თემურ ბაბლუანმა მანამ ვერ შეგამჩნია, სანამ გელა ბაბლუანმა არ გადაგიღო. თუ აპირებ კინოკარიერის გაგრძელებას?

— ფაქტია, პირველი როლი გელასთან მქონდა. რაც შეეხება კინოკარიერას — გააჩნია, რას შემომთავაზებენ. საინტერესო მიწვევას სიამოვნებით დავთანხმდები.

— რას ფიქრობ ამერიკულ „13“-ზე?

— ალბათ, ისიც ძალიან საინტერესო გამოვა. ვფიქრობ, სულ სხვა ფილმი იქნება. ერთი და იმავე შინაარსის წერილსაც კი სხვადასხვანაირად დაწერს ავტორი და წარმომიდგენია, როგორი განსხვავებული იქნება ორი, თუნდაც, ერთი შინარსის მქონე ფილმი, რომელსაც ერთი და იგივე რეჟისორი გადაიღებს. ვნახოთ, რა იქნება.

— როგორ ფიქრობ — „13“ და საერთოდ, დღევანდელობა, რეალური ცხოვრება ჰგავს ერთმანეთს?

— საბედნიეროდ, ჩემს ცხოვრებას საერთო არაფერი აქვს „13“-თან. მე და გელას გვილაპარაკია იმაზე, თუ რა მძიმე მდგომარეობაა სამყაროში. არ ვიცი, რა ხდება საქართველოში, მაგრამ საფრანგეთსა და საერთოდ, მსოფლიოში შეიძლება, ისეთ ამაზრზენ კონტრაქტზე მოგაწერინონ ხელი, ისეთ გარიგებაში აღმოჩნდე ჩათრეული, რომ ფსიქოლოგიურად იგივე განიცადო, რასაც იარაღის კეფაზე მიდება იწვევს...

— როგორც ახალგაზრდა ფილოსოფოსი, რას ფიქრობ — ასე რამ გააბოროტა ადამიანი?

— ვფიქრობ, რომ სულ ასე იყო. როცა კაენმა მოკლა აბელი, იმის შემდეგ, კაცი კაცისთვის — სულ მგელია. სამწუხაროდ, ადამიანში ყოველთვის იდო რაღაც ისეთი, რაც მეორის დასანგრევად ეწეოდა. უბრალოდ, ამ დამანგრეველი თვისების გამომჟღავნების დოზები იცვლებოდა. დღეს, ეს დოზა ძალიან მაღალია...

— „13“-ში ძალზე ხაზგასმულია ძმობის თემა: ფილმში ადამიანის ადამიანისადმი მგლობა ძმებს შორის დამოკიდებულებაშია ნაჩვენები — ერთი ძმა, ფულისთვის, მეორეს წირავს. ქართველი ემიგრანტი კი, რომლის როლსაც თქვენ ასრულებთ, თითქმის აცამტვერებს საშინელ შეხედულებას ადამიანის მგლური ბუნების შესახებ. აქ — ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო, — იწევს წინა პლანზე და ამით, რეჟისორის გადაწყვეტილებით, სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე. მამათქვენს მთელი ფილმი აქვს მიძღვნილი ძმობის თემისადმი: „ძმა —

ძალზე საინტერესო, თუმცა მძიმე შინაარსის ფილმია. როგორც ჩანს, ბაბლუანების ოჯახისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ეს თემა და მგონია, რომ შენ და გელას ძალზე თბილი ძმობა გაქვთ...

— ძმობა შეიძლება, უბრალოდ, პრიმიტიულადაც განიხილო და მრავლისმომცველადაც. ძმობა პირველ რიგში, სიყვარულია, რომელიც ისევე არსებობს ადამიანში, როგორც დამანგრეველი ძალა. ძმობა ერთ-ერთი უძლიერესი გრძნობაა ადამიანში, რადგან მისი წყალობით შეგიძლია, სხვა დააყენო შენზე წინ, სხვისთვის იცხოვრო. ძმობაში არ ვგულისხმობ დამოკიდებულებას მხოლოდ ძმასთან — აქ იგულისხმება ურთიერთობა მამასთან, დასთან, მეგობართან და ა.შ. ეს არის ორი ადამიანის, ძლიერი სიყვარულით დაკავშირებული ურთიერთობა. ვფიქრობ, ქართველებს განსაკუთრებით გვაქვს განვითარებული ამის უნარი, ვიდრე სხვა ერების წარმომადგენლებს. ამას სხვებიც აღნიშნავენ. ძმობა ყველგან არსებობს, მაგრამ საქართველოში — განსაკუთრებით მძაფრია. ვერ ვიტყვი, რატომ, ვერ ვხსნი. საერთოდ, მგონია, რომ ჩვენი ხალხი ძალიან კარგი ხალხია, რადგან მასში უამრავი კარგი გრძნობა „მძაფრად“ ცოცხლობს. უკიდურესობაც გვახასიათებს კარგ გრძნობებში, რასაც შეიძლება, ყოველთვის კარგი რეზულტატი არ მოჰქონდეს... ძმობას უდიდესი შინაგანი ძალა სჭირდება. სხვანაირად ვერ შეძლებ სხვისთვის თავგანწირვას. იქნებ, ამ თვისებისა თუ ამ უნარის წყალობითაც მოვახერხეთ ქართველებმა გადარჩენა და საუკუნეები გამოვიარეთ. აბა, სხვა, ჩვენზე ძლიერი ხალხები გადაშენდა!..

— დიდი ხანია, საქართველოსგან შორს ცხოვრობ?

— უკვე შვიდი წელია, წასული ვარ და ამ ხნის განმავლობაში, პირველად, შარშან ჩამოვედი თემურის ფილმის გადაღებისთვის. ძალიან მენატრება ხოლმე საქართველო.

— სად აპირებ ცხოვრებას?

— დიდი არჩევანი არა მაქვს. ჩემი საქმის გაკეთება მინდა და იძულებული ვარ, იქ ვიცხოვრო, სადაც ამის საშუალება მექნება. მით უკეთესი, თუ საქართველოში ვნახავ სასურველ პირობებს. არავინ იფიქროს, რომ სამშობლოს მივატოვებ, ამას არასოდეს ვიზამ, თუმცა, იძულებული ვიქნები, სამშობლოში იმაზე ნაკლები დრო გავატარო, ვიდრე ამის სურვილი მექნება.

— პროფესიაში რას გულისხმობ — ფილოსოფიას, ფეხბურთს თუ მსახიობობას?

— მსახიობობას.

თემურ ბაბლუანი ამბობს, რომ ის არც ერთი შვილის პროფესიონალურ არჩევანში არ ჩარეულა. მიუხედავად ამისა, აშკარაა, მამის ფაქტორმა შვილებზე გავლენა მოახდინა: ოთხივე შვილმა ხელოვნებას დაუკავშირა ცხოვრება. უფროსი ქალიშვილი, ოლიკო — მსახიობია, გათხოვილია და ორი შვილი ჰყავს; მეორე ქალიშვილმა — სონიამ საფრანგეთის სამხატვრო აკადემია დაამთავრა, თანამედროვე ხელოვნების განხრით, ახლა ისიც საფრანგეთში ცხოვრობს და მუშაობს; გელა ბაბლუანზე აღარ შევჩერდებით; გიორგის ამბავიც მოგეხსენებათ...

გელა, გიორგი და თემურ ბაბლუანები

ბუნებრივია, მამასთან — თემურ ბაბლუანთან ინტერვიუს ჩაწერის სურვილიც მქონდა და მაშინ, როდესაც უკვე პარიზის გზას უნდა დასდგომოდა, მასთან ხანმოკლე შეხვედრა მოვახერხე.

— ბატონო თემურ, დაასრულეთ ახალი ფილმის გადაღება?

— დიახ. გადაღება დამთავრდა. ახლა ტექნიკური საკითხებია მოსაგვარებელი. მონტაჟს ალბათ, ივნისის შუა რიცხვებში მოვრჩები და ფილმს დასაბეჭდად ჩავაბარებ. ვფიქრობ, ის საფრანგეთის კინოეკრანებზე შემოდგომაზე გამოვა.

— შეგიძლიათ, წინასწარ განსაჯოთ, როგორი ნამუშევარი გამოგივიდათ?

— მიჭირს რაიმეს თქმა, რადგან ძალიან გაგვიჭიანურდა გადაღების პროცესი. შარშანდელმა უამინდობამ პირდაპირ ჩემს ინტერესებს მიაყენა დარტყმა. ჯერ იყო და, სვანეთში დაგეგმილი გადაღებები ჩამეშალა იმის გამო, რომ წყალმა და მეწყერმა სვანეთის მისადგომი თითქმის ყველა გზა წალეკა. მერე, გადაღებები საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში გადმოვიტანე, იქ კი, წვიმების გამო, სამი თვის განმავლობაში, მხოლოდ სამი კვირა შევძელით მუშაობა. ძალიან დავიტანჯეთ, რადგან ცნობილი ფრანგი მსახიობები მყავდა მოწვეული და მათთვის ყოველ დაკარგულ წუთს ჰქონდა მნიშვნელობა. იმის გამო, რომ აქ ამინდი ჭირვეულობდა, ისინი რამდენიმე თვით ადრე დაგეგმილ საქმეებს ვერ გადადებდნენ. ამის გამო, იძულებული გავხდი, სცენარშიც ბევრი რამ შემეცვალა და გადაღების პროცესშიც. ამიტომაც არ შემიძლია, წინასწარ ვთქვა, რომ ფილმი კარგი გამოვიდა. ნახავთ და თავად განსჯით.

— გავიგე, მომდევნო ფილმის გადაღებაც გაქვთ განზრახული.

— უკვე მოვაწერე ხელი კონტრაქტს, ისევ ფრანგულ სტუდიასთან. სცენარი ამ შემთხვევაშიც, ჩემია და ცხოვრებისეულ დრამას ეხება. გადაღებებს მომავალ წელს დავიწყებ.

— ახლახან, საზოგადოებას წარუდგინეთ ახალი კინოსტუდია დიღომში. რა ბედი ეწია „ადამ და ევას?

— „ადამმა და ევამ“ თავისი მისია ამოწურა. თუმცა, იგი ალბათ, განყოფილების სახით დარჩება ახალ კინოსტუდიაში. რაც შეეხება სიახლეს — დავაფუძნეთ ახალი კომპანია: მე, გელამ, ბუბა ხოტივარმა და კიდევ სხვა ჩვენმა მეგობრებმა. მოგეხსნებათ, გვქონდა ადგილი ძველ კინოსტუდიაში, „პლეხანოვზე“. ისიც გეცოდინებათ, რომ სამთავრობო გადაწყვეტილების თანახმად, ეს ადგილი შეირჩა „კინოქალაქის“ ასაშენებლად. მაშინ გვითხრეს — კარგი იქნება, თუ თქვენც დაუჭერთ მხარს ჩვენს იდეას, სანაცვლოდ, შემოგთავაზებთ უახლესი სტანდარტებით აშენებულ კინოსტუდიას დიღომშიო. რა თქმა უნდა, დავთანხმდით. ძველი კინოსტუდიის 1929 წელს გახსნილმა პავილიონმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან გადავხურეთ და საძირკველიც გავუმაგრეთ, ვერ შევქმენით საჭირო პირობები. მოგეხსენებათ, დღეს კინოს გადაღების პროცესშივე ვიწერთ ხმასაც. ამისთვის საჭიროა მშვიდი გარემო. ქალაქის ცენტრში, საშინელ ხმაურში მდებარე ძველისძველ პავილიონში შეუძლებელი იყო უახლესი ტექნოლოგიებით ფილმის გადაღება. ამჯერად, გვაქვს ევროპული ტიპის სტუდია, რომელსაც მაქსიმალურად აღვჭურვავთ უახლესი ტექნიკით და საინტერესო პროექტებსაც განვახორციელებთ.

— როგორ ფიქრობთ — შეიძლება, სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოვიდნენ სამუშაოდ ამ სტუდიებში?

— ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. მეტიც: გვინდა მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი საქართველოში ახალი კინოკანონმდებლობის განვითარებას, რომელიც ფაქტობრივად, არ არსებობს. ახლა ვამზადებთ მასალებს კანონპროექტისთვის. ამ მხრივ, სერიოზულ დახმარებას აღგვიქვამენ პარლამენტშიც.

P.S. ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ბაბლუანებს. როგორ ჩანს, ისინი მართლაც, არ ხუმრობენ. ■


ისე, „ცამეგში“ არ მეტყობა, რომ, როგორც ყველა სვანი, ზვიადი და გულადი ვარ?..

სულ რაღაც ერთ თვეში, წყლისა და გართობის მოყვარულ თბილისელებს უნიკალური საშუალება ექნებათ, ქალაქიდან გაუსვლელად, თავისუფალი დრო ევროპული დონის აკვაპარკში გაატარონ. გრანდიოზული გასართობ-დასასვენებელი კომპლექსი „ევროპარკი“, თურქეთის პრესტიჟულ საკურორტო ქალაქებში არსებული „აკვალენდების“ ანალოგი იქნება.

თბილისში ევროპული დონის აკვაპარკი იხსნება

„ევროპარკი“ ნაძალადევის რაიონში, 3800 კვმ ფართობზე განთავსდება, სადაც საცურაო აუზების გარდა, მოეწყობა წყლის რომბები, ბუნგალოები, ბარ-რესტორნები, დისკოთეკა, ღია აუზები და, რა თქმა უნდა, VIP-ტიპის აუზი. დამსვენებლების გართობასა და მომსახურებაზე იზრუნებენ პროფესიონალი შოუბარმენები, მოცეკვავე გოგონები, ანიმატორები. ყოველი საღამო დასრულდება სანახაობით, სადაც მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი შემსრულებლები და სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული დიჯეები. აღსანიშნავია, რომ ქართული კომპანია „ევროპარკი“, რომელიც ამ პროექტის იდეის ავტორი და შემსრულებელია, ანალოგიური გასართობი კომპლექსის მშენებლობას ბათუმშიც ახორციელებს და მისი დასრულებაც მიმდინარე საზაფხულო სეზონში იგეგმება. „ევროპარკში“ ატრაქციონების მოწყობასა და მონტაჟზე, თურქეთიდან მოწვეული სპეციალისტები ზრუნავენ. სამომავლოდ კი იგეგმება „ევროპარკის“ მოწყობა ზამთრის სეზონისთვის, სადაც ცივი ამინდების მიუხედავად, დამსვენებელს ექნება შესაძლებლობა, ზაფხულის კლიმატურ პირობებში მოხვდეს და ღია აუზებში, წყლის სასრიალო ლაბირინთებით ისიამოვნოს.

სელდათ დალგიჩი, *„ევროპარკის“ კრეატიული მენეჯერი:*

— „ევროპარკში“ ყველა პირობა იქნება იმისათვის, რომ ადამიანმა მთელი დღის განმავლობაში სრულფასოვნად დაისვენოს. მოეწყობა, როგორც დიდი, ისე მცირე ზომის საცურაო აუზი ბავშვებისთვის, გვექნება რესტორნები და ბარები, მათ შორის — დისკობარები, კოქტეილ-ბარები, VIP-კლასის ბარები, თურქული, ევროპული და, რა თქმა უნდა, ქართული სამზარეულო. მოეწყობა ავტოსადგომი, ტერიტორია გამწვანდება, სპეციალურად თურქეთიდან ჩამოტანილი მცენარეებით, პალმებით, ყვავილებით და ა.შ. როდესაც საღამოს 8 საათისთვის, საცურაო აუზები და გასართობი ატრაქციონები შეწყვეტს მუშაობას, გაიმართება შოუწარმოდგენები, წინასწარ გაწერილი პროგრამით, რომელსაც გაუძღვება თურქეთიდან მოწვეული დიჯეი დრიმსი. როცა დასრულდება „ევროპარკის“ მშენებლობა, გარწმუნებთ, რომ ეს იქნება აბსოლუტურად ახალი სამყარო თბილისში. დამსვენებელს არ მოუწევს გასარუჯად და დასასვენებლად ქალაქგარეთ გასვლა, აქ იქნება სასიამოვნო დასვენებისთვის საჭირო სრული სერვისი. აქვე გეტყვით, რომ ბარმენისა და დიჯეის გარდა, სხვა მომსახურე პერსონალს ქართველებიდან შევარჩევთ, მაგრამ მინდა, რომ თქვენმა თანამემამულეებმა ჩემი ერთი რჩევა გაითვალისწინონ: ნუ დაიშურებენ ღიმილს კლიენტებისთვის... „ევროპარკი“ მუშაობას ზამთარშიც გააგრძელებს. ზამთრის სეზონისთვის მოეწყობა: დახურული აუზი, საუნა, დისკოკლუბი და სხვა მრავალი გასართობი საშუალება.

დიჯეი დრიმსი:

— საკმაოდ ბევრ საკურორტო ქალაქში, ცნობილ აკვაპარკებში მიმუშავია, მათ შორის — ანტალიაში, ბოდრუმში, მარმარისში, იზმირში, ანკარასა და სტამბოლში. საქართველო ძალიან მომწონს და გართობის კულტურაც თქვენს ქვეყანაში მაღალ დონეზე დგას. უკვე გადავწყვიტე, რომ თბილისისა და ბათუმის „ევროპარკების“ დამსვენებლებს შევთავაზო საუკეთესო მუსიკა — 60-იანი წლებიდან დღემდე, მათ შორის, ქართული მუსიკაც იქნება. ყოველ საღამოს გვექნება ახალი შოუფართი, წინასწარ გაწერილი პროგრამით. მოვიწვევთ მოცეკვავე გოგონებს, ანიმატორებს. ასე რომ, დამსვენებელს ისღა დარჩენია, „ევროპარკის“ გახსნას დაელოდოს და დაუვიწყარი საღამოების გასატარებლად მოემზადოს.

ნინო ცაგარელი, *„ევროპარკის“ მენეჯერი:*

— ეს იქნება გრანდიოზული დასასვენებელი კომპლექსი, რომლის ანალოგიც საქართველოში არ არსებობს. გასართობი ცენტრების გარდა, ასევე გვექნება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, უამრავი წყლის ატრაქციონი ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. პატარებისთვის ცალკე მოეწყობა წყლის ღია საცურაო აუზი, სადაც სიღრმე 40 სმ-ს არ აღემატება. ასევე საგანგებოდ ბავშვებისთვის მოეწყობა გასართობი ღონისძიებები, რაზეც ანიმატორი გოგონები იზრუნებენ. პარალელურად, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ბათუმშიც, იქ „ევროპარკი“ ბულვართან ახლოს მოეწყობა. მაგრამ ჯერ თბილისის „ევროპარკის“ გახსნა გვაქვს დაგეგმილი და პირველ დამსვენებელს ალბათ, ერთ თვეში მივიღებთ.

R

ქართულ ესტრადაზე რომ სიახლე არაფერია, ეს უკვე კარგად დავიწყებული ძველია. ამ დარგს ისევე უჭირს ჩვენს ქვეყანაში, როგორც სხვა დანარჩენს. ფაქტია, რომ ქართველ მომღერლებს მუშაობის საშუალება ნაკლებად აქვთ. ამ ყველაფრის ფონზე, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მათ ცხოვრებაში შემოქმედებითი პაუზის ჟამია. ამით ბევრი მომღერალი თუ მუსიკოსია შეწუხებული, მათ შორის, მაია ჯაბუაც. ისე მოხდა, რომ ამ „საყოველთაო პაუზას“ მომღერლის ცხოვრებაში სასიამოვნო „შესვენება“ დაემთხვა: მას ვაჟი შეეძინა და სამი შვილის დედა გახდა.

ცხოვრება მიცვამე შვილის გამო

ვის უმღერის მაია ჯაბუა ყოველ დილას 6 საათზე

ლალი ფაცია

— მაია, წელიწადზე მეტია, რაც შენი ინტერვიუ არსად დაბეჭდილა. ინფორმაცია შენ შესახებ — რას აკეთებ, როგორ ხარ და რა გეგმები გაქვს, ფაქტობრივად, არ მოგვეპოვება, რადგან დუმდი...

— ამ პერიოდის მანძილზე, სათქმელი არაფერი მქონდა, რადგან ეგრეთ წოდებული ტაიმ-აუტი ავიღე; შემოქმედებითი პაუზა ძალზე საპატიო და სასიამოვნო ამბავს მოჰყვა — მესამე შვილი შემეძინა. ჩემი პაუზის მიზეზი, პატარა ნიკოლოზია. ახლა ველოდები იმ პერიოდს, როდესაც, პრაქტიკულად მოხდება ჩემი იდეების ხორცშესხმა. იმაზე, რისი გაკეთებაც მინდა, მიუხედავად პაუზისა, მთელი ეს პერიოდი განუწყვეტლივ ვფიქრობ. შეიძლება ითქვას, რომ თეორიულად ვმუშაობ. რაც შეეხება ჩემს ვოკალურ მდგომარეობას, უნდა ვთქვა, რომ ასე ინტენსიურად არასდროს მიმუშავია ვოკალზე. დილის 6 საათიდან, სიმღერას ვიწყებ. ეს ის დროა, როდესაც მე და ნიკუშა ვიწყებთ ურთიერთობას — საუზმე იქნება ეს თუ თამაში — სულ სიმღერაზეა აწყობილი. ღიღინი არ გეგონოს, ნამდვილი სიმღერაა. რეპერტუარიც მრავალფეროვანია — კლასიკური მუსიკით დაწყებული, ხალხურით დამთავრებული. ისეთი კარგი მსმენელი, როგორიც ჩემი პატარა შვილი ნიკუშაა, იშვიათად შემხვედრია. ამას მთელი სერიოზულობით ვამბობ.

— მისი პატარაობა შენი უფროსი შვილების — თორნიკესა და ლიზას პატარაობისგან განსხვავდება?

— სიმღერა მის ასაკში მათაც უყვარდათ, ვუმღეროდი ხოლმე. ოღონდ, ახლა ველარ ვიხსენებ, ისინი როგორ მისმენდნენ. აი, ნიკუშა კარგი მსმენელია. არაჩვეულებრივად გრძნობს სიმღერის განწყობილებას: თუ სევდიან სიმღერას ვუმღერებ, თვალები ცრემლებით ევსება... მერე მეცოდება და მხიარულით ვცვლი, რასაც აგრეთვე ადეკვატურად აღიქვამს.

— დილის 6 საათზე გაღვიძება, სიმღერა, ხმის „ფორმაში მოყვანა“ ძნელი არ არის? როგორც ვიცი, ხმა გვიან „იღვიძებს“...

— ძნელია, მაგრამ შვილისთვის რას არ იზამ?! დილით ისეთი სახით მიყურებს ხოლმე ნიკუშა, მიღიმის, რომ სხვა გზა არა მაქვს, უნდა გავიღვიძო და გამოვფხიზლდე. მართალია, ხმა გვიან „იღვიძებს,“ მაგრამ პროფესიონალიზმიც იმაშია, თუ რამდენად ფლობ საკუთარ ხმას. თუ პროფესიონალი ხარ, რა თქმა უნდა, ნებისმიერ დროს იმღერებ.

— ნიკუშას გაუმართლა, რომ დილაობით ისეთი მომღერალი, როგორიც მაია ჯაბუაა, უმღერის და რომ ეს მომღერალი, ამასთანავე, მისი დედიკოა.

— *(იცინის)* სხვათა შორის, ნიკუშა თვითონაც მღერის, ამყვება ხოლმე. ბევრ სიმღერას ცნობს. კარგი სმენა აქვს. ყველა სატელევიზიო რეკლამა ზეპირად იცის, ნაცნობ სიმღერაზე რეაგირებს, ტაშს უკრავს, ჭოჭინით თვითონ მიდის ინსტრუმენტთან და რაღაც-რაღაცებს უკრავს. ამ დროს ითხოვს, რომ ტაში დავუკრათ; თუ არ დავუკარით, თვითონ იწყებს ტაშის დაკვრას. ბოხი, კაცური ხმა აქვს, ხანდახან ბანსაც დასძახებს ხოლმე, საუთარ თავს აძინებს...

— რამხელაა?

— მაისში ერთი წლის გახდა.

— როგორც ვიცი, შენც მაისში ხარ დაბადებული. ერთ დღეს ხომ არ გაქვთ დაბადების დღე?

— ძალიან მინდოდა, რომ ჰოროსკოპით კურო ყოფილიყო და გაჩნდა კიდეც „კურო“. მე 8 მაისს ვარ დაბადებული, ნიკუშა — 13-ში.

— მუსიკის სიყვარულში რომ დაგემსგავსა, ამაზე უკვე მოგვიყევი. კიდევ რით გგავს?

— მშვიდობისმოყვარე ადამიანები ვართ, ოღონდ — ჯიუტები *(იცინის)*. ხომ პატარაა, მაგრამ თუ რაღაც უნდა, იმას მაინც გააკეთებს. გაბრაზდება ხოლმე, პროტესტის გრძნობა უჩნდება, თუ რამე არ აისრულა და მაგ დროს, ძალიან სასაცილოა. ძალზე სხარტი, სწრაფი ბავშვია, მიზანსწრაფული.

— რას შვრებიან შენი უფროსი შვილები — თორნიკე და ლიზა?

— ჩემი შვილების გამო, სასიამოვნო კონტრასტებში ვცხოვრობ. თორნიკე 17 წლის არის, თეატრალურ უნივერსიტეტში ტელესარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობს. სტუდენტობის პერიოდში, მისთვის აბსოლუტურად განსხვავებული ცხოვრება დაიწყო. სხვათა შორის, ჩემსა და თორნიკეს შორის პარალელებს ვავლებ. მასაც გაუჭირდა პირველ კურსზე სწავლა, როგორც მე, რადგან სერიოზული იმედგაცრუება განვიცადე, უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე: რაღაცას განსაკუთრებულს ველოდი, ასე არ მოხდა; სტუდენტობა რაც მეგონა, ის არ ყოფილა, კურსელებთან ურთიერთობაც თავიდან გამიჭირდა... ახალ ნაცნობებთან შეგუება თორნიკესთვისაც ძნელი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაბელურია. თუმცა ფიზიკურად დიდია, მაინც ბავშვური ბუნება აქვს. მის ასაკში მეც ასეთი ვიყავი, ჩემს კურსელ გოგოებს რომ ვუყურებდი, ისინი ჩემზე დიდები მეჩვენებოდნენ.

რაც შეეხება ლიზას, ის 8 წლის არის და მასაც ბევრი რამ აქვს ჩემთან საერთო. საოცარია, რომ სამივე შვილში ჩემს ხასიათს ვხედავ: ლიზა ჩემნაირად მიზანსწრაფულია, კარგი შემსრულებელი... უფროსი ადამიანები ყოველთვის მენდობოდნენ, საიდუმლოც მოუნდვიათ. ასევეა ლიზაც — მას, როგორც დიდს, ისე შეგიძლია ენდო. გონიერი და ძლიერი გოგონაა. ზუსტად ვიცი — მასში რასაც ჩავდებ, შედეგს მივიღებ. რამდენიმე წრეზე დადის.

— სიმღერის მიმართ ინტერესს თუ იჩენს?

— „ბასტი-ბუბუსთან“ რამდენიმე სიმღერა ჩაწერა, კონცერტებზეც გამოდის. მაგრამ როდესაც ვთხოვე, სიმღერაზე სერიოზულად ევლო, უარი მითხრა. ვოკალის პედაგოგი, რუსიკო ბახტაძე უყვარს. მასთან, როგორც მეგობართან, კვირაში ორჯერ სტუმრად მივდივართ და მეცადინეობს. ძლიერი ხმა და კარგი სმენა აქვს. დადის ბალეტზე, ჩოგბურთზე. უშრეტი ენერგიის პატრონია. ვფიქრობ, რაზე ვატარო, რომ იქნებ, დაიღალოს. საერთოდ, არტისტული ბუნების ბავშვია.

— სხვადასხვა ასაკის მქონე და-



ჩემი შვილების გამო, სასიამოვნო კონტრასტებში ვცხოვრობ

ძმის თანაცხოვრება როგორია?

— კარგი და საინტერესო. კამათობენ კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის, შესამჩნევი ასაკობრივი სხვაობაა. ხანდახან, თუკი რომელიმეს მკაცრი ტონით მივმართავ, მაშინ ყველანი ერთიანდებიან... ჩვეულებრივი ბავშვები არიან.

— შენ თვითონ არ გიჭირს, ერთდროულად სხვადასხვა ასაკის ბავშვთან „პარალელურ რეჟიმში“ ურთიერთობა?

— არა, პირიქით, ძალიან ადვილია, თან — მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო. ლიზასთან და თორნიკესთან უკვე მეგობარივით ვარ. ახლა მთელი აქცენტი პატარაზეა გადატანილი. ნიკუშასთან ისინიც დიდობენ, მზრუნველობას იჩენენ.

— საერთოდ, მკაცრი დედა ხარ? რას იტყვი საკუთარ თავზე, როგორც მშობელზე?

— საერთოდ, ყველა ქალს, ყველა დედას უნდა, რომ მისი შვილი ყველაზე ლამაზი, ბედნიერი, ჯანმრთელი და წარმატებული იყოს. იმისიც მჯერა, რომ ნებისმიერი დედა თავისი შვილისთვის მაქსიმუმს გააკეთებს. მაგრამ ხომ ხდება — რაღაც შეცდომას დაუშვებ, რაღაც გამოგეპარება ხოლმე! ეს ზოგჯერ, ჩვენდა უნებურად ხდება... ძალიან ბევრს ველაპარაკები ჩემს შვილებს. მიმაჩნია, რომ სწორედ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ და არა ის, რომ კარაქიანი პური აჭამო, სუფთად ჩაცმული გყავდეს, ფრჩხილები დააჭრა... ალბათ, ბავშვები მაგალითზე უნდა აღიზარდონ. რასაც ის უყურებს, ეს არის მთავარი ანუ — როგორ ექცევი სხვას: დედას, დას, მეგობარს, მეზობელს, ქმარს. რასაც სიტყვიერად ეუბნები, საქმითაც უნდა დაანახვო, რომ ტყუილი არ გამოგივიდეს. ის ამ ყველაფერს ქვეცნობიერად ინახავს და შემდგომში, ისეთივე დედა, ცოლი, ქმარი, შვილი ხდება. მე გულახდილად, მათთვის გასაგებ ენაზე ყველანაირ თემაზე შემიძლია მათთან ლაპარაკი. არაფერს ვატყუებ, მაგრამ ყველაფერს ისე ვეუბნები, რომ გული არ ეტკინოთ.

— როგორი დამხმარეც არ უნდა ჰყავდეს ადამიანს, ალბათ ძნელია, სამი შვილის დედამ, თავისუფალი დრო მოძებნოს. როგორ არის საქმე შენს შემთხვევაში?

— არ მჯერა მათი, ვინც ამბობს, რომ დრო არ მრჩება ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, შვილებისთვისო... არანაირი საქმე არ მიღირს, თუ დრო შვილისთვის არ დამრჩება; თუ იმ ადამიანებისთვის არ მეყოფა, ვინც მე მიყვარს და ვინც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. ჩემთვის ნიჭიერი ის ადამიანია, ვინც ყველანაირი საქმის ხარისხიანად გაკეთებას ასწრებს. რაღაცის ხარჯზე სხვა რაღაცის გაკეთება ჩემთვის მიუღებელია. ამით ის არ მითქვამს — მე ნიჭიერი ვარ-მეთქი, მაგრამ რაღაცნაირად ვცდილობ, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ გადავვარდე ხოლმე. არც ერთი შვილის დაბადების შემდეგ, არ მოვწყვეტივარ სცენას. დროს ყოველთვის ვანაწილებდი ყველაფერზე. დრო ადამიანს ყველაფრისთვის აქვს, სურვილს გააჩნია. ჩემთვის ბევრი რამ სურვილით იწყება... ახლა, რაც შეეხება ბოლო დროს სცენიდან ჩემს გაუჩინარებას თუ გაქრობას... მე კი არა, საერთოდ, აღარავინ ჩანს, ჩემი კოლეგებიდან ვერავის ვხედავ.

— მართლაც, სად ხართ?

— ეს მეც მაინტერესებს. ყველამ ჩემსავით, შვილი ხომ არ გააჩინა? ვთქვათ, მე საპატიო მიზეზი მაქვს. არავინ აღარ მუშაობს, არადა, მსმენელს კარგი სიმღერა ენატრება. შეიძლება, ახლა, ის პროცესია, რომელზეც ცოტა ხნის წინ ვამბობდით, ყველაფერი გაიფილტრება, გაიცრება და მხოლოდ ღირსეულები დარჩებიან-თქო. თითქოს ასეც მოხდა. მაგრამ მეჩვენება, რომ ყველაფერი მაინც ხელოვნურად არის გაჩერებული. ამას ბავშვიც კი ხვდება, დიდი ექსპერტის დასკვნები საჭირო არ არის.



არანაირი საქმე არ მიღირს, თუ დრო შვილისთვის არ დამრჩება

— ღმერთმა ნიჭით დაგაჯილდოვა. გული არ გწყდება, რომ რაღაცას ისეთს მაინც ვერ მიაღწიე, რისთვისაც მაგალითად, სხვა ქვეყნებში მიულწევიათ?

— მგონი, თვითონ გაეცი შენსავე კითხვას პასუხი. მე სხვა ქვეყანაში არ დავბადებულვარ, აქ, საქართველოში დავიბადე. ზოგიერთისგან მსმენია — ამერიკაში რომ ვცხოვრობდეო... მეცინება, რადგან ამას ისეთი ვიღაც ამბობს, რომელიც აქაც უქნარა და უმაქნისია. იქაც რომ იყოს, არც იქ იქნება ვინმე, იმ უბრალო მიზეზით, რომ შრომა არ იცის. იქ ყველაფერი ჯოჯოხეთური შრომის ფასად მიიღწევა. ქართველებს ჰგონიათ, რომ ჰოლივუდში ერთ მშვენიერ დღეს, გაიღვიძებ და — ვარსკვლავი, მდიდარი ადამიანი ხარ... მე იმდენად მიყვარს ჩემი ქვეყანა, რომ აქ ყოფნას არაფერი მირჩევნია. არასოდეს მქონია ამერიკაში მუშაობის სურვილი, რადგან სრულყოფილად მხოლოდ აქ ვგრძნობ თავს, აქ ვმღერი და აქ ვარ ბედნიერი. ერთხელ, ძალით წამიყვანეს ამერიკაში. ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა და ვთქვი, რომ არ მაინტერესებს, მე საქართველო, თბილისი მიყვარს და ამაყი ვარ იმით, რომ სწორედ აქ გავჩნდი. რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ამ ყველაფრის ერთ-ერთი თანამონაწილე ვარ. ძნელია, დღეს სადღაც, შენს ნაჭუჭში ცხოვრება და ყოფნა. ყველაფერი — პოლიტიკა, კულტურა, ცხოვრების პირობები, ხალხი — ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ამიტომ, როგორი სიტუაციაც არის დღეს ჩვენს ქვეყანაში, მეც ამის შესაბამისად ვაკეთებ რაღაცას. როცა საჭიროა, მაშინ ვმღერი. ჩემი ტაიმ-აუტიც ისეთ პერიოდს დაემთხვა, როცა ქართულ ესტრადაზე არაფერი ხდება. მჯერა, ეს პაუზა ჩაივლის და ისევ მოვა აქტიური — შემოქმედებითი პერიოდი. ეს ბუნებრივად მოხდება, რადგან ყველაფერი ხელოვანი ადამიანის გონებაში გროვდება, იხარშება. მომღერალიც დიდხანს ვერ იქნება ჩუმად. მალე ესტრადაზე ახალი და საინტერესო ტალღა მოვარდება.

— 20 წლის წინ თუ იფიქრებდი, რომ ახლა შემოქმედებითად ამ ეტაპზე იქნებოდი?

— საერთოდ, უკან არასდროს ვიხედები. სინანულის გრძნობაც არა მაქვს. ვერც ჩემს კარიერას გავმიჯნავ ჩემი ცხოვრებისგან — ერთი, მეორესთან არის შერწყმული. ცხოვრებაში არაჩვეულებრივი ბალანსი მაქვს ნაპოვნი. ვიღაც-ვიღაცები არჩევანს აკეთებენ ოჯახსა და კარიერას შორის. მე არჩევანი ორივეზე გავაკეთე, დავიჭირე საოცარი ბალანსი. არა მაქვს ისეთი შეგრძნება, თითქოს უფრო მეტი უნდა მეშრომა, მემღერა, მეტი სიმღერა ჩამეწერა. იმდენს ვმღერი, რამდენიც მინდა, რომ ვიმღერო. აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი ვარ. ჩემთვის არც რაოდენობა ყოფილა მთავარი. თუ კარგი სიმღერა არ არის, ან კარგი კონცერტი — არ ვიმღერებ. ეს ჯერ კიდევ პატარას მახასიათებდა. ჩემს ცხოვრებაში რაღაც საკვანძო ეტაპებს თითქოს ბავშვობიდან ვგრძნობ. როცა ამიხდება ხოლმე, მაშინ ვამბობ ხმამაღლა მათ შესახებ. გული არაფერზე მწყდება. ვიღაცას ცხოვრების უფრო სწრაფი ტემპი აქვს. მე ჩემს რიტმს ხელოვნურად ვერ ავაჩქარებ. არ მეჩქარება. სიმღერისთვის ჩემი დრო მაქვს. ისე ვიქცევი, როგორც მიმაჩნია სწორად და საკუთარ ბუნებას არასდროს ვეწინააღმდეგები.

— იღბალზე რას იტყვი?

— იღბალი ყველას სჭირდება, ნებისმიერი პროფესიის ადამიანს. უიღბლოდ გაჭირდებოდა ცხოვრება, ძნელია, წვალებაა. როდესაც ბავშვებს ვლოცავ, ვეუბნები — იყავი ჯანმრთელი და იღბლიანი, რადგან ეს ისეთი რაღაცებია, რაც ადამიანზე არ არის დამოკიდებული. სხვა დანარჩენი მის ხელშია.

— მოდი, შენს შემოქმედებით გეგმებსაც შევეხოთ.

— მინდა კონცერტი გავმართო, ამას აუცილებლად გავაკეთებ. საკმაო დრო გავიდა 2001 წლიდან, როდესაც სოლო კონცერტი მქონდა. დაგროვდა ემოცია, სათქმელი. მოვიდა დრო, რომ შევხვდე ჩემს მსმენელს, რომელსაც ყოველთვის მღელვარებით ვხვდები. ჩემი სურვილი მალე ასრულდება.

— წარმატება მინდა გისურვო...

— დიდი მადლობა, მაგრამ ერთს დავამატებდი: ეს წარმატებები ჩემს ყველა კოლეგასაც მინდა ვუსურვო. ყველას, ვინც ღირსია, ჩანაფიქრის ასრულებას ვუსურვებ. ჩვენს სიმღერას სხვა ვერ იმღერებს. ჩვენი საქმე ჩვენი გასაკეთებელია.

„ის ბავშვს საკუთარი ხელებით ახრჩობდა...“

შვილის სიკვდილში დედა ყოფილი ქმრის მეორე ცოლს ადანაშაულებს

ეს შემზარავი ამბავი, თბილისში, გლდანის დასახლებაში მოხდა. ტრაგედია ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში, ახალი მობინადრეების — ჯიმშელეიშვილების ოჯახში დატრიალდა (ოჯახის წევრების თხოვნით, ყველა გვარი შეცვლილია). ზუსტად ერთი წლის წინ, 16 აპრილს, აღნიშნულ ბინაში მეზობლებს 8 წლის ბავშვის — თემურის გვამი დახვდათ. გარდაცვლილის გარდა, სახლში მამამისის მეორე ცოლი და მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდნენ. მაშინ უბედურ შემთხვევაში ეჭვი არავის შეჰპარვია. მოგვიანებით კი, გარდაცვლილი ბავშვის დედამ ამ ტრაგედიაში ყოფილი ქმრის ამჟამინდელი მეუღლე დაადანაშაულა. ცოლ-ქმარმა ყოველგვარი ეჭვი და ბრალდება კატეგორიულად უარყო, ამის დაჯერება არ სურთ არც მათ ახლობლებს. ამბობენ, რომ ამ ქალს თავიდანვე არეული ცხოვრება ჰქონდა, ამის გამო ის ბევრმა აითვალწუნა, მაგრამ იმის ჩადენა, რაშიც ბრალს სდებენ, მას ნამდვილად არ შეეძლო.

მეგი ცანავა

„ირინა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მოულოდნელად მამა დაეღუპა. მამამისი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ქარხნის ერთ-ერთ საამქროში, სადაც ის მუშაობდა, სადენების არასწორი გადაერთების შედეგად, უეცრად ხანძარი გაჩნდა. საშინლად დაიწვა. საავადმყოფოში კი წაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

მამის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ, ირინას დედა მეორედ გათხოვდა. თავის თანამშრომელს გაჰყვა ცოლად. მამინაცვალი გოგონას ნებისმიერი, უმნიშვნელო მიზეზის გამო სცემდა, გამეტებით ურტყამდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა დათვრებოდა. მთვრალი საერთოდ კარგავდა კონტროლს, ცოლსაც ურტყამდა და გერსაც. ასეთი შემთხვევის დროს, ირინა, რომელიც მაშინ 12-13 წლის იქნებოდა, ბებიასთან — მამის დედასთან გარბოდა. ბებია მარტო ცხოვრობდა კონიაკის დასახლებაში. ძალიან დარდობდა და განიცდიდა შვილიშვილის ბედს. რძალზე განაწყენებული იყო. ამბობდა, არ ველოდი თუ ქმარს ასე უცებ გამოიგლოვებდა და მისი სიკვდილიდან რამდენიმე თვეში სხვა კაცთან გააბამდა ურთიერთობას, შემდეგ ცოლადაც გაჰყვებოდაო. მამინაცვალთან ცხოვრება გაუსაძლისი რომ გახდა, ირინა ბებიასთან გადავიდა საცხოვრებლად, დედასთან იშვიათად მიდიოდა და მამინაცვლის შინ დაბრუნებამდე ტოვებდა იქაურობას. ბებიას მცირე პენსია საკუთარი თავის და შვილიშვილის სარჩენად, რა თქმა უნდა, არ კმაროდა. ირინას დედა ფულს არ აძლევდა, ეუბნებოდა, არ მაქვს, ქმარი არ მაძლევს და მე საიდან მოვიტანოო? მთლიანად ყოფილ დედამთილს გადააბარა შვილზე ზრუნვა. ირინას ბებია, იქვე, კორპუსთან ყიდდა მზესუმზირას, სხვადასხვა წვრილმანს და თავს ამით ირჩენდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ, ირინამაც დაიწყო მუშაობა. წლების მანძილზე, სასურსათო მაღაზიაში გამყიდველად მუშაობდა. შემდეგ, ერთ-ერთ რესტორანში, მიმტანის ადგილიც იშოვა. იქ გაიცნო მისი მომავალი ქმარიც. ის კაციც რესტორანში მუშაობდა, დაცვის წევრი იყო. მალე, ირინა მას ცოლადაც გაჰყვა. ცხოვრებაც მას შემდეგ აერია. სახლში მუდამ ჩხუბი და აყალმაყალი ჰქონდათ. ირინა ამის შესახებ თავად მიყვებოდა. სულ ტიროდა და ჩიოდა — რა მეშველება, სამსახურიდან შინ მისვლა არ მინდაო. დედამთილთან მოსდიოდა ჩხუბი. ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ. დედამთილი ტრადიციების მიმდევარი ქალი გახლდათ, მეზობლებში მუდამ თავი მოჰქონდა თურმე თავისი ოჯახის პატიოსნებით, სტუმართმოყვარეობით და მიაჩნდა, რომ მისი რძალი, ზედმეტად თავისუფალი ცხოვრების სტილითა და საქციელით, ოჯახს სახელს უტეხდა. ირინა ამბობდა, — მეზობლებთან მლანძღავს და ჩემზე ათასნაირ სისულელეს იგონებს, ხალხიც ჭორაობს; მერე რაიმე ჭორს რომ მოჰკრავს ყურს, ჩემი ქმრის თანდასწრებით მეუბნება და ჩხუბიც იწყება, მეზობლებიც სეირობენო. არ ვიცი, რძალ-დედამთილს შორის მართალი რომელი იყო, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ირინას იმ ოჯახში დარჩენა აღარ შეიძლებოდა. ვურჩევდი, იქნებ, როგორმე ბებიაშენის ბინაში გადახვიდეთ საცხოვრებლად-მეთქი. ბებიამისი იმ დროს უკვე ღრმად მოხუცებული იყო და სჭირდებოდა კიდევაც შვილიშვილის ყურადღება. ირინა ამბობდა, რომ ამაში ქმარი ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს, ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ირინა ქმარს გაეყარა და ბებიასთან მარტო გადავიდა. ეს მოსალოდნელიც იყო... მალე მან ახალგაზრდა მამაკაცი გაიცნო, ყოფილი თანამშრომლის სახლში, წვეულებაზე. მასთან ურთიერთობა დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა. დიდი პრობლემის წინაშე იდგა, რადგან იმ კაცს — მერაბს ცოლ-შვილი ჰყავდა. ამიტომაც, ერთად ცხოვრებას ვერ ახერხებდნენ, მხოლოდ მალულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბებიის გარდაცვალების შემდეგ, მერაბი თითქმის ყოველ მეორე ღამეს რჩებოდა ირინასთან. მათი ურთიერთობის შესახებ მერაბის ცოლმაც შეიტყო. როგორღაც გაიგო ირინას სამსახურის და საცხოვრებელი ბინის მისამართიც, რამდენჯერმე მიუვარდა მას, ხან სამსახურში, ხან ბინაში. ერთი ამბავი აუტეხა. ირინა ამბობს, ერთხელ სულ თმით მათრია, მეორედ კი — მე და მერაბს ჩაგვისაფრდა და როცა მანქანაში ჩავსხედით და წავედით, ის უკან ტაქსით გამოგვყვაო. ტაქსიმ თურმე გზა გადაუკეტა მერაბის მანქანას, მერე იქიდან ის ქალი გადმოსულა. მერაბს რომ დაუნახავს, მაშინვე უკან დაუხვევია მანქანა და გაქცეულა. ტაქსი ვეღარ დასწევია... მას შემდეგ, მერაბი შინ არ დაბრუნებულა, მაგრამ ცხოვრება ტანჯვად ექცა. საქმე იმაში გახლდათ, რომ მერაბს გაგიუებით უყვარდა თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი — 8 წლის თემური. ბავშვის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო, ამიტომაც უჭირდა ოჯახის მიტოვება და სანამ იძულებული არ შეიქნა, მანამდე ეს გადაწყვეტილება ვერ მიიღო. მთელი სამი წლის გამავლობაში ეკვედრებოდა ყოფილ ცოლს, ბავშვის ნახვის საშუალება მომეციო. ცოლი მაინც სასტიკი წინააღმდეგი იყო. ბავშვს თურმე მალულად, მეგობრების ხელით სკოლაში უგზავნიდა ფულს, საჩუქრებს, ტკბილეულობას... ბავშვსაც ძალიან უყვარდა მამა. როგორც ირინასგან ვიცი, მერაბის მეგობრები თურმე ყოველთვის აღნიშნავდნენ, თუ როგორ უხაროდა ბავშვს, როცა მამის შესახებ რამეს ეტყოდნენ და მისგან საჩუქრებს გადასცემდნენ. ალბათ, სწორედ ამან იმოქმედა დედაზეც. თანაც, იმ პერიოდში მერაბს

საქმე კარგად წაუვიდა, ფინანსურად მოძლიერდა, საკუთარი „პროფილაქტიკა“ გახსნა თბილისში. როგორც ჩანს, დედამ იფიქრა, რომ მამასთან განშორებით შვილს სამომავლოდ ბევრს დააკლებდა და ამიტომაც, მერაბს დროდადრო ბავშვის ნახვაზე დათანხმდა...“ — ჰყვება ირინას ბავშვობის მეგობარი.

თუმცა მანამდე, ცოლ-ქმარი ქირით ცხოვრობდა. ირინას მეგობრის თქმით, სახლში, რომლის მისამართიც მერაბის პირველმა ცოლმა კარგად იცოდა, გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ბებიამ, რომელიც ყოველდღე სიკვდილს ელოდა, ბინა შვილიშვილს დაუტოვა ანდერძით. ანდერძის დაწერიდან რამდენიმე დღეში, მოხუცი გარდაიცვალა. ირინამ ბინა გაყიდა და სამაგიეროდ, სახლი გლდანის დასახლებაში შეიძინა. ქმართან და თავის მცირეწლოვან შვილთან, რომელიც მეორე ქმრისგან შეეძინა (პირველი ქმრისგან მას შვილი არ ჰყავდა), ახალ, ოროთახიან ბინაში გადავიდა საცხოვრებლად.

ძველი ჯავახაძე, მერაბ ჯიმშელეიშვილის პირველი ცოლი:

„ბებიამისი ცოტა ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, პოლიცია აუცილებლად დაინტერესდებოდა მისი მოულოდნელი გარდაცვალების ფაქტით. მართალია, სიმსივნით იყო დაავადებული, მაგრამ მისი მეზობლები ამბობენ, რომ სიცოცხლის ბოლო დღემდე იჯდა ეზოში და მზესუმზირას ყიდდა. სიარული შეეძლო და ლოგინად არ ჩავარდნილა.

მოხუცი ქალის გვამის გამოკვლევით და მისი სიკვდილის მიზეზის დადგენით (მით უმეტეს, სიმსივნით დაავადებულის) თავს ვინ შეიწუხებდა? მოხუცის გარდაცვალების ბუნებრიობაში ეჭვი არავის შეუტანია, თუმცა ამ ამბავში საეჭვო მართლაც ბევრი რამ იყო. იმ პერიოდში, ირინასთვის ბებია დიდ ტვირთად იქცა. მის სიკვდილამდე ბინას ვერ გაყიდდა, მოხუცის ამაზე დაყოლიება ძალიან გაუჭირდებოდა. ახალი საცხოვრებელი ადგილი კი ნამდვილად სჭირდებოდა. ირინა ის ქალია, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი... არ ვფარავ იმ ფაქტს, რომ იმ პერიოდში მართლაც დავდევდი მას. ოჯახი დამინგრია და სამუდამოდ გამანადგურა... მინდოდა, თავი დაენებებინა ჩემი ქმრისთვის და ჩვენთვის ნორმალური ცხოვრების საშუალება მოეცა. იმის იმედიც მქონდა, რომ მერაბიც, ადრე თუ გვიან, მოვიდოდა გონს, მაგრამ ამაოდ. ყველაფერთან ერთად, ის ქალი მერაბს ატყუებდა. ამის შესახებ ყველამ იცის. გარშემო მყოფნი შესანიშნავად ხედავდნენ ყველაფერს. დღესავით ნათელი იყო, რომ მერაბს თვალში ნაცარს აყრიდა, მას ზურგს უკან ღალატობდა. ჩემი ყოფილი ქმარი კი, დღე და ღამე მუშაობდა და არ უეჭვია, თუ მის ცოლს ასეთი საქციელის ჩადენა შეეძლო. არ ვიცი, რა დაემართა, რაც ის ქალი გაიცნო, მას შემდეგ ძალიან შეიცვალა. გამომეტყველებაც შეეცვალა, ლაპარაკის მანერაც... მერაბს ველარავინ ცნობდა. კრავივით ემორჩილებოდა ირინას და ყველაფრის სჯეროდა, რასაც ეტყოდა. იმ ქალის ყოველი სიტყვა მისთვის კანონი იყო... ამ მდგომარეობით შესანიშნავად სარგებლობდა ირინა. ცხოვრობდა ისე, როგორც მას გაუხარდებოდა. მეზობლებისგან შევიტყვე, რომ მის ბინაში დღისით მუდამ ხალხმრავლობა, დროს ტარება და ქეიფი იყო. ხმაურიანები არიანო, ამბობდნენ. ხშირად უნახავთ სადარბაზოსთან გაჩერებული უცხო მანქანებიც, მათი მფლობელები ირინას სტუმრები იყვნენ... ვერ მოვითმინე და ერთხელ შევუთვალე კიდეც ჩემს ყოფილ ქმარს — ვერ ხედავ, ცოლი რომ გღალატობს და თან ვინ იცის, ვისთან და რამდენთანმეთქი? გაღიმებია — თავის ცხოვრებას მიხედოს, პირადი ბედნიერებისთვის იბრძოლოს, ჩემზე ნუღარ ეჭვიანობს და რაღაცებს ნუ თხზავს, როგორ არ დაიღალაო? — აი, ასეთი პასუხი ჰქონდა.

ერთხელაც მერაბმა დამირეკა და მითხრა, თუ შეიძლება თემურს შაბათ-კვირას ჩემთან წავიყვან, დროს გამოვნახავ, სამსახურში არ წავალ და ბავშვს გავასეირნებო. თავიდან კატეგორიული უარი ვუთხარი, მაგრამ ბავშვი იქვე იდგა, მიხვდა, მამამისს რომ ველაპარაკებოდი, თვალები ცრემლით აევსო — შემეცოდა. მივხვდი, რომ ძალიან უნდოდა მამასთან. მის თვალებს რომ შევხედე, იმის ძალა აღარ შემრჩა, რომ უარი კიდევ ერთხელ გამემეორებინა და დავთანხმდი. კვირას, შუადღეს უნდა მოეყვანა, რადგან სკოლის პერიოდი იყო და ორშაბათისთვის ბავშვს გაკვეთილები ჰქონდა მოსამზადებელი.

ველოდი, ისინი კი არსად ჩანდნენ. საღამოს მერაბმა დარეკა — ბავშვს ძალიან უნდა ჩემთან დარჩენა და ერთი დღით კიდევ დატოვე, რა მოხდება, ხვალ თუ სკოლას გააცდენს, სამშაბათს მე მივყვები და მასწავლებლებს დაველაპარაკები, პრობლემა არ ექნებაო. თავდაპირველად, ამჯერადაც უარზე ვიყავი, მაგრამ ისევ თემურის თხოვნამ გაჭრა. მამამისმა ტელეფონით დამალაპარაკა. ბავშვმა მთხოვა — დედიკო, რა მოხდება, დავრჩებიო. მეხვეწებოდა, მაგრამ ამავდროულად მხიარული ხმა ჰქონდა. შევატყვე, რომ კარგად გრძნობდა თავს და დავთანხმდი...“

პროკურატურის მასალების მიხედვით:

ორშაბათს, დილით მერაბ ჯიმშელეიშვილს სამსახურიდან დაურეკეს და სასწრაფოდ მისვლა სთხოვეს. შინ დაიბარა, რომ საღამოს დაბრუნდებოდა. ბინაში სამნი დარჩნენ: ირინა, თემური და ირინასა და მერაბის 2 წლის ქალიშვილი. საღამოს, დაახლოებით 6 საათისთვის, ბინიდან საშინელი კივილის ხმა გამოვიდა. მეზობლები მაშინვე მიცვივდნენ ჯიმშელეიშვილების ბინაში. ჯერ ირინა დაინახეს. ის მისაღებ ოთახში იჯდა, თმას იგლეჯდა და კიოდა — მიშველეთო. ამასობაში, კარის მეზობელმა ქალმა სახლის ოთახები მოიარა, იმის ინტერესით — ბინაში ხომ არ მოხდა რამე. *„პირველი, რაც გავიფიქრე, შესაძლო ქურდობა იყო. ინსტინქტურად ოთახების დათვალიერება დავიწყე, ხომ არ გაქურდეს ან დააყაჩაღეს-მეთქი და რატომღაც, მაშინვე საძინებლისკენ წავედი. ალბათ, იმიტომ, რომ მისაღებ ოთახში თავად ირინა იჯდა, მეზობლები დასტრიალებდნენ თავს და ეკითხებოდნენ, რა მოხდაო? იქ საეჭვო რომ არაფერი მომხვდა თვალში, მექანიკურად საძინებლისკენ წავედი. ეს ყველაფერი რაღაც წამებში ხდებოდა...“* — წერს ჩვენებაში მეზობელი — **მედეა კირთაძე**.

ქალბატონი მედეა საძინებლიდან ელდანაცემივით გამოვარდა და იყვირა — ჩქარა, „სასწრაფოო“! „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა, 8 წლის თემურს ველარაფრით უშველეს. ბავშვი მათ უკვე მკვდარი დახვდათ. როგორც ამბობენ, გულაღმა იწვა საწოლზე, თავიდან სისხლი სდიოდა, შუბლის არეში, საფეთქელთან დაზიანების კვალი ეტყობოდა. ექიმების თქმით, ბავშვს კეფის არეში ძლიერი დარტყმა ჰქონდა მიყენებული, რის შედეგად გარდაიცვალა კიდეც.

მოგვიანებით, ირინამ მოჰყვა, რომ სამზარეულოში იყო და თავის პატარა ქალიშვილს საჭმელს აჭმევდა. ბავშვი ეურჩებოდა, არ ჭამდა და ტიროდა, ის კი აძალებდა და უყვიროდა. ჭამის შემდეგ ბავშვი უნდა ებანაგებინა, ამისთვის წყალიც გაეცხელა და აბაზანაც მოამზადა. იცოდა, რომ თემური ლოჯიანში იჯდა და „სონის“ კომპიუტერზე თამაშობდა. ვერ შეამჩნია, როდის ადგა და გავიდა ოთახიდან. ირინას თქმით, თემური საპირფარეშოსკენ გასულა. ამ დროს, მოულოდნელად, რაღაცის დავარდნის ან დარტყმის მაგვარი ხმა გაიგონა. იფიქრა, ალბათ თემურს რაღაც დაუვარდაო და გასძახა — „რა მოხდა?“ რახან ბავშვით იყო დაკავებული, საპირფარეშოსკენ არ გაუხედავს. პასუხი რომ ვერ გაიგონა, კითხვა უფრო ხმამაღლა გაიმეორა. პასუხი ისევ არ ისმოდა. ბავშვი გააფრთხილა — არ გაინძრე, ახლავე მოვალო. თეფში მაგიდაზე დადო და სააბაზანოსკენ წავიდა. მაშინ დაინახა, რომ სააბაზანოს წინ მდებარე ვიწრო გასასვლელში, თემური გულაღმა ეგდო, თავი ოდნავ გვერდულად ჰქონდა. მაშინვე მივარდა და ბავშვს დააკვირდა. ნახა, რომ თავიდან სისხლი სდიოდა. ჯერ იფიქრა, რომ თემურმა გონება დაკარგა, ხელში აიყვანა და საძინებელში, საწოლზე გულაღმა დააწვინა. ბავშვი არ ინძრეოდა, როცა შეამოწმა, ნახა, რომ არც სუნთქავდა... შოკში ჩავარდნილმა კივილი მორთო და მეზობლებს საშველად უხმო... მისი თქმით, საპირფარეშოს წინ, მაშინ, როცა პატარა გოგონასთვის აბაზანას ამზადებდა, მეტლახზე წყალი დაეღვარა. საპირფარეშოსკენ მიმავალ თემურს, როგორც ჩანს, სველ მეტლახზე ფეხი დაუცდა, დაეცა და თავი ძლიერად დაარტყა...

მაშინ ირინა ტორაძის სიტყვები ყველას დამაჯერებლად ეჩვენა, ეჭვი მის ნათქვამში არც „სასწრაფოს“ ექიმებს შეუტანიათ. ბინაში პოლიციაც მივიდა. მათაც მიიჩნიეს, რომ საქმე უბედურ შემთხვევასთან ჰქონდათ და შესაბამისი ოქმიც შეადგინეს. ეს ვერსია დაიჯერა მომხდარით

განადგურებულმა მამამაც... ამის დღემდე არ სჯერა მხოლოდ დედას — ქეთი ჯავახაძეს...

„თავიდან არც მე შემიტანია ეჭვი ირინას სიტყვებში, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ამ საშინელმა ფიქრმა გამიელვა გონებაში. კარგა ხანს, არაფერი მითქვამს, რადგან ლაპარაკის თავი არ მქონდა. სიკვდილი მინდოდა და სხვა არაფერი, მხოლოდ იმას ვფიქრობდი, როგორ და რა საშუალებით მომეკლა სასწრაფოდ თავი, გიჟს ვგავდი, რომ ამის საშუალებას ახლობლები და მეზობლები, რომლებიც თავზე მადგნენ, არ მაძლევდნენ... მერე დამამშვიდებელი წამალი გამიკეთეს, ფაქტობრივად, გამთიშეს და ასე გათიშული ვიყავი რამდენიმე დღის მანძილზე... შვილის პანაშვიდები და დასაფლავება არ მახსოვს, როგორ მოხდა... არც მინდა მახსოვდეს... დრო რომ გავიდა და ცოტა აზრზე მოვედი, დავფიქრდი იმაზე, რაც მოხდა. ერთხელ ლაპარაკში დეიდაშვილმა გამახსენა, რომ ბავშვს კისერზე დაზიანების კვალი ეტყობოდა. აშკარად ჩანდა ნაჭდევები, ეს მაშინვე დავაფიქსირე და ვთქვი კიდევაც, მაგრამ ყველამ მიაქცია თუ არა ყურადღება ამას, არ ვიცი. „სასწრაფოს“ ექიმებს ეს დაფიქსირებული არა აქვთ, არადა აშკარად შევატყვეთ. ამის მოწმეები არსებობენ. ეჭვიც მაშინვე გამიჩნდა. მივხვდი, რომ საქმე უბედურ შემთხვევასთან კი არა, საშინელ დანაშაულთან გვქონდა... იმ დღეს, დილიდან, სადარბაზოსთან თურმე უცხო მანქანა — წითელი „07“ იდგა. ის მანქანა და მისი მფლობელი არაერთხელ შეუნიშნავთ მეზობლებს და ამბობენ, რომ მანქანის პატრონი — მაღალი მამაკაცი ჯიმშელეიშვილების ხშირი სტუმარი იყო. ამის შესახებ ჩემს ყოფილ მეუღლეს ვუთხარი. აღმოჩნდა, რომ ის ასეთს არავის იცნობს და არც არასდროს უნახავს ასეთი სტუმარი სახლში. მის არსებობას ირინაც კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ფაქტები მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ცხადია, რომ ამ მამაკაცთან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა. როგორც ჩანს, ყოველთვის ვერ ახერხებდა ბავშვით პაემნებზე სიარულს და ხშირად, საყვარელს შინ იბარებდა. ერთობოდნენ მანამდე, ვიდრე მერაბის დაბრუნების დრო მოვიდოდა. ამის მოხერხება ისეთ ქალს, როგორიც ირინაა, ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. არ მოერიდა არც ჩემს შვილს. შაბათ-კვირა მერაბმა თემურთან გაატარა. ირინამ არ იცოდა, ზუსტად რა დროისთვის დაბრუნდებოდნენ ისინი შინ, ამის გამო გეგმები ჩაეშალა და იძულებული შეიქნა, თავი შეეკავებინა. ვერც თავად მოახერხა წასვლა და საყვარლის შინ დაპატიჟებაც არ გამოდიოდა. მერაბის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ — თემური ორშაბათსაც დარჩენილიყო მათთან, როგორც ჩანს, მოთმინებიდან გამოიყვანა. დილით დაადგინა, რომ ქმარი სამსახურიდან გვიანობამდე არ დაბრუნდებოდა, ჩემი შვილი დიდ დაბრკოლებად არ მიიჩნია და საყვარელს დაურეკა. მისი ერთ-ერთი მეზობლის თქმით (მის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან შესაძლოა, იმ ქალბატონს ამის გამო დიდი უსიამოვნება შეხვდეს), შაბათ-კვირას მას წითელი „07“ ეზოში არ შეუნიშნავს, ორშაბათს კი, მართლაც დაინახა აღნიშნული მანქანა. მანქანის ნომერს ის არ დაჰკვირვებია, რადგან არასდროს აინტერესებდა ეს. შემდეგ, მოვლენები, სავარაუდოდ, ასე უნდა განვითარებულიყო: ირინამ ჩემი შვილი კომპიუტერთან დასვა, იფიქრა, რომ ბავშვი თამაშს კარგა ხანს ვერ მოსწყდებოდა, იქვე დაუტოვა პატარაც, რომელიც მანეჟში ჩასვა და სათამაშოები მიუყარა.

თავად, საყვარელთან ერთად საძინებელში გავიდა. კარგად ვერ გათვალა, რომ ჩემს შვილს შეიძლებოდა საპირფარეშოში გასვლა მონდომებოდა და ამ მიზნით გამოსულიყო ოთახიდან. ბავშვმა აშკარად დაინახა ისეთი რამ, რაც არ უნდა დაენახა. ქვედა სართულზე მცხოვრები მეზობლის თქმით, კივილამდე დაახლოებით 25-30 წუთით ადრე, მან კარგად გაიგონა ჯიმშელეიშვილების ბინიდან ქალის ყვირილის ხმა — ეტყობოდა, რომ ირინა რაღაცაზე საშინლად იყო გაბრაზებული და ვიღაცას უყვიროდაო. სწორედ დროის ამ პერიოდში დაფიქსირა ზემოთ ხსენებულმა მეზობლის ქალმაც, რომ სადარბაზოდან მაღალი მამაკაცი სირბილით გამოვიდა, ჩაჯდა წითელ „07“-ში და წავიდა. ირინამ ჩემს შვილს უყვირა, საძინებელი ოთახის კარის უკითხავად შეღების გამო, ასეთი მოწმე მას ნამდვილად არ აძლევდა ხელს და იცოდა, რომ თუკი ბავშვი რამეს იტყოდა, მერაბთან სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. ჩემს ყოფილ ქმარს, მართალია, ჩემი არასდროს სჯეროდა, მაგრამ ჩვენი შვილის სიტყვებში ის ეჭვს არ შეიტანდა. თემური განსაკუთრებული ბავშვი იყო, ის არასდროს ტყუოდა. როგორც ჩანს, ამ უსიამოვნო მოულოდნელობით გაშმაგებულმა ირინამ ბავშვის დაშინება გადაწყვიტა და ხელი გაარტყა მას. დარწმუნებული ვარ, ისტერიკაში ჩავარდნილი მზად იყო, ბავშვი საკუთარი ხელებით მოეხრჩო და ამ მიზნითაც წაუჭირა ხელი ჩემს შვილს კისერში, მერე ხელი ჰკრა გამეტებით, რის შედეგადაც ბავშვმა თავი ძლიერად დაარტყა... საყვარელი იქურობას საჩქაროდ გაეცალა. მეზობლის თქმით, ყვირილიდან კივილამდე დაახლოებით 25-30 წუთის ინტერვალი იყო. ამ პერიოდში ირინა შესანიშნავად მოასწრებდა იმის მოფიქრებას, თუ რა უნდა ეთქვა და როგორ უნდა მოქცეულიყო. მეტლახზეც ამ მიზნით, სპეციალურად დასხა წყალი. ის ადგილი ბინაში შესულ მეზობლებს მართლაც სველი დახვდათ, მაგრამ ირინამ ყველაფერი მაინც ვერ გათვალა. ამ უბედურებაში კარგად რომ გავრკვეულიყავი, მე და ჩემმა ახლობლებმა შემთხვევის ადგილზე მყოფი მეზობლები გამოვკითხეთ. აღმოჩნდა, რომ არც ერთ მათგანს არ შეუნიშნავს სააბაზანოში ბავშვის საბანაოდ გამზადებული, ცხელი წყლით სავსე აბაზანა, არც საჭმლიანი თეფში იდო სადმე სამზარეულოში... ნუთუ, მისი მონათხრობის მიხედვით, შოკურ მდგომარეობაში ჩავარდნილმა იმისთვის მოიცალა, რომ საჭმლიანი თეფში კარადაში შეედგა და მხოლოდ ამის შემდეგ აეტეხა კივილი? ან ცხელი წყლით სავსე აბაზანა სად გაქრა? ან ბავშვის კისერზე ნაჭდევები და ცემის კვალი რით აიხსნება? სწორედ ამ ეჭვებითა და არგუმენტებით მივმართე პროკურატურას. მოვითხოვე, შესაბამისი მუხლით აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე და მომხდარი ფაქტი ობიექტურად გამოეძიებინათ. მე უბრალო ადამიანის დადანაშაულება არაფერში მჭირდებოდა, მხოლოდ ამ შეკითხვებზე პასუხი უნდა მიმეღო. საქმე აღძრეს, მაგრამ ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო. ცოლს ჩემმა ყოფილმა ქმარმაც აუბა მხარი. იმ დღეს, როცა ეს უბედურება დატრიალდა, ბინაში მისული თურმე არაადამიანურად ღრიალებდა. საშინლად განიცადა ეს ამბავი, მაგრამ რეალობას თვალი მაინც ვერ გაუსწორა. არაფრით უნდა დაიჯეროს, რომ შესაძლოა, ამ ამბავში მართლაც ერიოს მისი ამჟამინდელი ცოლისა და ამ უკანასკნელის საყვარლის ხელი. ერთობლივი ძალებით კარგად მოახერხეს საქმის მათთვის სასიკეთოდ შებრუნება. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ გამოძიებას სიმართლის გარკვევის ნაცვლად, ირინას გამართლება უფრო აინტერესებდა“.

გამოძიებამ საქმე შეწყვიტა. სამართალდამცველები ამბობენ, რომ აღნიშნულ საქმეში ირინა ტორაძის დასადანაშაულებლად საკმარისი მტკიცებულება არ მოიპოვება და ვერსია, რომლის შესახებაც ქეთი ჯავახაძე საუბრობს, გაუბედურებული და დაუსაბუთებელი ეჭვებით შეპყრობილი დედის მიერ შეთხზულ ამბავს უფრო ჰგავს. გამოძიებას მან მართლაც დაუსახელა რამდენიმე მოწმის ვინაობა, რომლებიც დაიკითხნენ, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი თქვეს. კისრის მიდამოში დაფიქსირებული დაზიანებების თაობაზე მხოლოდ ჯავახაძე და მისი დეიდაშვილი საურობენ, ეს კი ბრალის წარსადგენად საკმარისი არ არის, რადგან ორივე ერთ, დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს. ოფიციალურ ოქმებში ამ დაზიანებების შესახებ არაფერია დაფიქსირებული, ამის თაობაზე არაფერი უთქვამთ არც ექიმებს. გამოძიების დასკვნით, არგუმენტად ვერც ის გამოდგება, რომ აბაზანა არავის დაუნახავს, რადგან იმ ვითარებაში, შესაძლოა, მას ყურადღება არავინ მიაქცია. მიუხედავად ამისა, ქეთი ჯავახაძე პროკურატურაში საჩივრის მიტანას და საქმეზე ძიების განახლებას, შვილის გვამის ექსჰუმაციისა და მის სხეულზე სათანადო ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნას ისევ აპირებს. რა შედეგს გამოიღებს მისი მცდელობა, მომავალი გვიჩვენებს, თუმცა სამართალდამცველების პოზიციიდან გამომდინარე, ეს ნაკლებსავარაუდოა. რაც შეეხება ბავშვის მამას, მას ამ თემაზე ლაპარაკი არ სურს. ამბობენ, რომ ის ახლაც ირინასთან ერთად ცხოვრობს და მომხდარ ტრაგედიაში მისი ამჟამინდელი ცოლის ბრალის დღემდე არ სჯერა.

■

რაც მეჯავრებოდა, ის მეძალებოდაო

გამოსწორებული მახო და დაუბარებელი მოწმე ანუ თითო „ლაფატკა“ არ გვაწყენდა

მკითხველთა უმეტესობამ, მოცემული თემა ასე „მოთარგმნა“: ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო... პრინციპში, ორივე გამოთქმა მართლაც, ერთსა და იმავე აზრს შეიცავს, მაგრამ პირველი, გაცილებით ზრდილობიანი ფორმა გახლავთ და სწორედ ამიტომ ავირჩიე... რა შეიძლება გეჯავრებოდეს? ყველაფერი, რაც დისკომ-ფორტს გიქმნის და ნერვებს გიშლის. ჩვენი მკითხველებისთვის ეს გახლავთ: დალევა, ძაღლი, „მარშრუტკით“ მგზავრობა, ქმრის საყვარე-ლი და კიდევ, ათასი წვრილმანი. მე კი, ყველაზე მეტად ერთი რამ მეჯავრება და ნერვებს მიშლის: ეს გახლავთ მობილური ტელეფონის ზარი, რადგან ვიცი, რომ 10-დან 9 შემთხვევაში, რომ ვუპასუხებ, ან უნდა გამითიშონ, ან მითხრან — გადმორეკე!.. მეჯავრება და სწორედ ასეთი ზარები მეძალება... ეჰ, ისე მაინც იყოს მოწყობილი — დენში რომ შევაერთებ, ელემენტთან ერთად, თანხაც „იტვირთებოდეს“! მაშინ, გადმოვრეკავდი კი არა და... ბოლო ფრაზამ ერთი „წვერიანი“ ანეკდოტი გამახსენა და ბარემ გიამბობთ:

— მიხო, ბალღ მამინათლამ? — ეკითხება მიტო მეზობელს.

— იიი, მაგინათლამ კი არა და, დედაი კი არ მოვუ...

ახლა კი ვნახოთ, რას გვწერს ჩვენი პირველი რესპონდენტი.

მარი ჯაფარიძე

„ღამის ალპინისტი“

„ჩემი ამბის დასაწყისი ძალზე ბანალურია: როგორც ყოველ ზაფხულს, შარშანაც, ცოლ-შვილი სოფელში გავუშვი და შინ მარტო დავრჩი. ასე ალბათ ბევრი ამბავი დაიწყებოდა, „გზავნილებ-ის“ არსებობის მანძილზე; მეც დასაწყი-სის ორიგინალურობით ვერ გამოვირჩევი, მაგრამ სამაგიეროდ, ამბავია მაგარი... მოკ-ლედ, ჩემსავით მარტო, ჩემი რამდენიმე მეგობარი ისვენებდა ქალაქში. ყოველ სა-ღამოს მიდიოდა ლუდისა და არყის სმა, ქეიფი, უგონოდ დათრობა და ორგია... რა მეჯავრება?.. სმა და ცოლის ღალატი, მაგრამ ისე მეძალება, ისე, რომ უარს ვეღარ „ვეუბნები“ და იძულებული ვარ, ჩემი ძმაკაცების წინადადებას დავეთანხ-მო... მოკლედ, ყოველთვის ერთ მეგობარ-თან ვიკრიბებოდით, რადგან მას დიდი ბინა აქვს და დასაძინებლად რომ ვრჩე-ბით, ყველანი თავისუფლად ვეტევით. ერთხელ კი, ჩემთან მოუწიათ დარჩენამ. უკვე ყველა მთვრალი იყო. ერთმანეთსაც კი ვეღარ ცნობდნენ. ადგილები გაინაწ-ილეს და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ჩვენ-განი ვერსად თავსდებოდა. გავანძრიეთ სასმლით დამძიმებული ტვინები და ჩვენივე მოფიქრებით აღფრთოვანებულები დავრ-ჩით. გადაწყდა: ერთ-ერთი ჩვენგანი მაგ-იდაზე უნდა დაწოლილიყო. უცებ მოვა-სუფთავეთ (ან თითქმის მოვასუფთავეთ) მაგიდა და გავამზადეთ, სტუმრის წამოსა-წოლად. რა თქმა უნდა, არავის სურდა იქ დაძინება. ამიტომ, ის მოვათავსეთ, ვისაც პროტესტის გამოხატვა არ შეეძლო: რეზო ისეთი მთვრალი გახლდათ, რომ მაინც ვერაფერს გაიგებდა. თანაც, უკვე დიდი ხანი იყო, რაც მაგიდაზე თავდადებულს, მშვიდად ეძინა. როდესაც რეზო მაგიდაზე დავაწვინეთ, დანარჩენებიც გავნაწილდით ჩვენ-ჩვენს ადგილებზე და გავითიშეთ... შუაღამისას არაადამიანურმა ყვირილმა გაგ-ვაღვიძა. ძლივს მივხვდი, რომ ეს ხმა „ზალ-იდან“ მოდიოდა. ყველამ იქ მოვიყარეთ თავი და შუქი ავანთეთ. თურმე, საწყალი რეზო ყვიროდა ასე, განწირული ხმით. ლამის ოთხად მოკეცილიყო, მაგიდის გა-დასაფარებელი თავზე გადაეფარებინა და საზარელი ხმით ბღაოდა. ძლივს დავაწყ-ნარეთ, სიმთვრალის უკვე არაფერი ეტყო-ბოდა. რა თქმა უნდა, დავინტერესდით მისი საქციელის გამომწვევი მიზეზით. თურ-მე, რა მომხდარა: რეზოს გაღვიძებია, უგრძნია, რომ საწოლში არ იწვა და უფიქრია, იატაკზე დამაწვინესო. სიბნელე-ში ვერაფერს ხედავდა და ხელი მოუფა-თურებია, რომ ამდგარიყო, მაგრამ სად იყო იატაკი?! შეშინებულს დაუპირებია, იმ ადგილის სიმაღლე გაეგო, სადაც იმყ-ოფებოდა და ხელი უკვე მაგიდაზე მოუ-ფათურებია, შემთხვევით დარჩენილი ჩან-გალი უპოვია და „ღამის ალპინისტს“ უფიქრია, „ხრამში“ გადაეგდო, რადგან დაცემისას გამოცემული ხმის მიხედვით, დაახლოებით იმას მაინც გაიგებდა, საში-ში იყო თუ არა იქ ყოფნა. გადაგდებული ჩანგალი, როგორც ჩანს, მაგიდის გადასა-ფარებელს გამოედო, მერე ნელ-ნელა, ჩა-ცურდა და კარგა ხნის შემდეგ გამოსცა ხმა... აი, სწორედ ამ დროს დაუწყია ყვი-რილი...“

ძაღლი რომ ადამიანის მეგობარია, ამას საბავშვო ბაღშიც გვასწავლიდნენ. ჩვენს შემდეგ რესპონდენტს კი, რატომღაც, ჩვე-ნი ოთხფეხა მეგობრების მიმართ სიძულ-ვილი მოსძალებია. თუმცა, თავადვე დარ-წმუნდა, რომ თურმე „ღირსეული“ ძაღლებიც არსებობენ, რომლებიც შეყვარე-ბულის სანახავად ყოველდღე, რამდენიმე კილომეტრს გადიან და უკან მანქანით ბრუნდებიან... მომიტევეთ, მაგრამ ბევრი მამაკაცისთვის ეს შესაძლოა, კარგი მა-გალითი იყოს...

არ უნდა და არ ლაპარაკობს...

„ვერ ვიტანე ცხოველებს, რადგან მათი მეშინია. ათასგვარი დაავადების გამომწვევნი არიან. ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ სულ „მეძალებიან“. ყოველთვის ვცდილობ, არ ვეკონტაქტო მათ, მაგრამ არ გამომ-დის. „გზის“ წინა ნომერში ერთი საინ-ტერესო ამბავი დაიბეჭდა, სადაც მთავარი გმირი, ძაღლი იყო. ასეთი საინტერესო ამბის მოყოლა მეც შემიძლია. ამ ზამთარს შვილი ბაკურიანში გავგზავნე, საზამთრო ბანაკში. ერთი კვირის მერე ჩავაკითხე, რომ

მისი ამბავი გამეგო. თან ერთი ქალი წავიყვანე, რომელსაც უკვე კარგა ხანია, ვაბამდი და ახლა, იმედი მქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს, საქმეს დავაგვირგვინებდი... მივდივართ ლაპარაკ-ლაპარაკით და ვხედავ, გზაზე ძაღლი დგას, უკანა თათებზე დაყუნცულა და წინა თათებს სასაცილოდ აქნევს. გაკვირვებული ვუყურებდით. მერე, ამ ჩემმა ქალბატონმა მთხოვა, რომ ცოტა ხნით გამეჩერებინა. დავუჯერე. კარი გაღო, რომ ძაღლს მოჰფერებოდა, ის კი მთელი სისწრაფით, მოურიდებლად შემოვარდა მანქანის სალონში და უკანა სავარძელზე მოთავსდა. ვერაფრით გადავაგდეთ მანქანიდან და იძულებული გავხდი, რომ თან წამეყვანა. როდემდე დარჩებოდა?.. მოკლედ, დავქოქე მანქანა და დავიძარით. თან, გულში ამ ქალს ვაგინებ და დილით საგულდაგულოდ გაწმენდილ მანქანის სალონზე ვნანობ. წარმოვიდგინე, რომ ახლა რწყილებსა და ბაღლინჯოებს დაყრიდა სალონში, ყველაფერს დააბინძურებდა და ძალიან ვბრაზობდი. ამასობაში ასე, 10 კილომეტრი გავიარეთ და უეცრად, ძაღლმა მოსვენება დაკარგა: აწრიალდა, აყეფდა და ფანჯარას მიაწყდა. გავაჩერე მანქანა და კარი გავუღე. თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, იქვე, შორიახლოს, ერთ-ერთი სახლის ჭიშკარს ფეხებით მიაწვა, შეაღო და კუდის ქიცინით გაუჩინარდა. ეზოდან კი პატრონის ხმა შემოგვესმა: მურა, ჯიპით მოხვედი? ყოჩაღ! სახლში შედი, თორემ გაიყინებიო... წარმოგიდგენიათ? ძაღლმა „ავტოსტოპით“ იმგზავრა. ფეხით სიარული დაეზარა და მანქანით მიბრძანდა შინ. ისე დავინტერესდი მისი საქციელით, რომ გადავწყვიტე, პატრონისთვის მეკითხა მის შესახებ. ახალგაზრდა მამაკაცი გახლდათ. გვითხრა: ეს ძაღლი ჩემი გაზრდილია, სულ ჩემთან ერთადაა და თითქმის ყველაფერი ისწავლა, რასაც ხედავსო. როდესაც სადმე შორს მივდივარ, უკან ფეხით სიარული მეზარება, ტრასაზე დავდგები და გამვლელ მანქანებს ხელს ვუწევ, თან რომ გამიყოლონ; რა თქმა უნდა, ამ დროს, მურა ჩემთან ერთად არის და კარგად ხედავს, რასაც ვაკეთებ; ბოლო 2 წელია, სხვა სოფელში შეყვარებული გაიჩინა და თავის „ქალბატონს“ თითქმის ყოველდღე აკითხავს, აქედან ფეხით მიდის, უკან დაბრუნებისას კი, დაღლილია და ჩემსავით ტრასაზე დგება, რომ გამვლელი მანქანა გააჩეროს. ხან ჯიპით მოდის სახლში, ხან — „მერსედესით“ და არც ტრაქტორით მგზავრობაზე ამბობს უარსო... ასეთი არაფერი გამიგონია. დიდი სიმპათიით განვეწყვე ამ ძაღლის მიმართ და როცა იმ გზაზე მოვხვდები, მთელ ყუთ „პედიგრის“ ვყიდულობ და მივართმევ ხოლმე. ისეთი თვალებით მიყურებს, რომ მხოლოდ ერთი რამ მიკვირს: ადამიანის ენით რომ არაფერს ამბობს. მაგრამ მაინც მგონია, რომ ლაპარაკი იცის — უბრალოდ, არ უნდა და არ ლაპარაკობს...“

სამარშრუტო ტაქსი საზოგადოებრივი ტრანსპორტის იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც (მგზავრთა აზრით) „ურაზმეერო“ არ გახლავთ და მასში, დიდი-დიდი, 20-25 (?!) ადამიანი ეტევა... ესეც მძღოლის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მის „ხასიათს“ — ის, „მხიარული“ სატრანსპორტო საშუალებების ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ და ამას ჩვენი შემდეგი რესპონდენტის ნაამბობიც ადასტურებს...

მხიარულება „მარშრუტკაში“

„ყველაზე მეტად „მარშრუტკით“ მგზავრობა მეჯავრება, მაგრამ „მეძალება“, რადგან საკუთარი მანქანა არ მყავს და აბა, რა ვქნა? ეგ არის, უამრავი სახალისო ამბის მოწმე ვხდები ხოლმე. მაგალითად, ამას წინათ, ჩემ წინ სამხედრი პირი იჯდა. ეტყობოდა, სადღაც ეჩქარებოდა, რადგან წარამარა საათზე იხედებოდა და თუ მძღოლი გაჩერებისას, ცოტა ხნით შეყოვნდებოდა, ამის გამო პროტესტს ხმამაღლა გამოთქვამდა. მთელი „მარშრუტკა“ დაძაბული იყო. ყველას გადაგვედო მისი განწყობილება და ლამის უკვე ყველა ვყვიროდით — ჩქარა და ჩქარა-თქო!.. ერთხელ კიდევ დაიხედა საათზე ჩვენმა თანამგზავრმა, როგორც ჩანს, იმედი გადაეწურა, რომ დანიშნულების ადგილამდე დროზე მივიდოდა და მობილიური დააძრო: „ალო, ბატონო პოდპოლკოვნიკო, ვაწარმოებ დაგვიანებას 10 წუთით!“ — ხმამაღლა და გარკვევით ჩასძახა ყურმილში. დაძაბულობა მაშინვე გაქრა და ყველა მგზავრი ერთად ახარხარდა. მძღოლი ყველაზე მეტს იცინოდა. ამასობაში, „მარშრუტკაში“ 2 გოგონა შემოგვემატა, მაგრამ დასაჯდომი ადგილი აღარ იყო და ფეხზე დადგნენ. ზოგიერთმა მგზავრმა გააპროტესტა, რადგან ისედაც დახუთული ჰაერი იყო და ფეხზე მდგომი მგზავრები ზედმეტ დისკომფორტს ქმნიდნენ. „მარშრუტკის“ კარში დატანებული ფანჯარა ვარ აგრილებდა ჰაერს, თანაც, ერთი გოგონა სწორედ ისე დადგა, რომ ფანჯრიდან ჰაერი აღარ შემოდიოდა. მერე, ვინაიდან, წელში მოხრილი, უხერხულ პოზაში იდგა, ღია ფანჯრის დირეზე ჩამოჯდა. წარმოიდგინეთ, გარედან როგორი სურათი იქნებოდა... შუქნიშანთან გავჩერდით. გვერდით, ახალგაზრდა ბიჭებით სავსე მანქანა ამოგვიდგა. საჯდომი რომ დაინახეს, ძალიან გამხიარულდნენ. საჭესთან მჯდომმა კი, ხელი გადმოყო და გოგონას წამოარტყა. გოგონა შეშინდა და იკივლა, ჩვენ კი გულიანად ავხარხარდით... ერთხელ კიდევ, ასეთი ამბის მოწმე გავხდი: დილა იყო. სამსახურში მივდიოდი და ნახევრად მძინარე გახლდით. „მარშრუტკაში“ ავედი და ცარიელი ადგილი დავიკავე. ჩემთან ერთად ამოვიდა ახალგაზრდა მამაკაცი, 4-5 წლის გოგონასთან ერთად და ჩემ წინ მოთავსდა. როგორც ჩანს, მამიკოს პატარა გოგონა ბაღში მიჰყავდა. ბავშვი ღია ფანჯარაში ხელს ყოფდა, მამა ამას უშლიდა, მაგრამ გოგონა არ უჯერებდა და კაცს რამდენჯერმე მოუხდა იმის გამეორება, რომ ფანჯარაში ხელი არ გაეყო და წესიერად მოქცეულიყო... ბოლოს, მშობელი გაბრაზდა და ბავშვს მკაცრი ტონით უთხრა — კი, მაგრამ რამდენჯერ გაგიმეორო ერთი და იგივე? რატომ არ გესმის ჩემი ნათქვამი? ახლავე შემოყავი ხელი შიგნითო! ბავშვმა დინჯად შეხედა და მთელი „მარშრუტკის“ გასაგონად თქვა — მამა, შენ რატომ არ გესმის ხოლმე, დედა რომ გეუბნება — უნიტაზის თავსახურზე არ მოშარდოო?!. მგზავრები ჯერ გავისუსეთ, მერე კი გულიანად ვიცინეთ. მამა-შვილი კი, როგორც ჩანს, გაცილებით ადრე ჩავიდა და სხვა „მარშრუტკაში“ გადავიდა... ასეა, „მარშრუტკით“ მგზავრობას ვერ ვიტან, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს...“

„ნეტავ, არ მოსწყინდა?“

„ცხოვრებაში ყველაზე მეტად ვერ ვიტან, როცა დედაჩემი მეჩხუბება, მაგრამ დღეს არ აცდენს, რომ გულიანად არ გამომლანძღოს. განსაკუთრებით იმის გამო მეჩხუბება, რომ მეგობრებთან ერთად, ხშირად მიწევს სმა და ქეიფი. თუ ვინმესთან თუნდაც, ერთი ჭიქა დავლიე, იმ ადამიანის მტერი ხდება. ისე გალანძღავს და გაასწორებს მიწასთან, რომ თვალსაც არ დაახამხამებს. ყველა ჩემმა მეგობარმა იცის მისი ხასიათი და ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ მე რა ვქნა?! შინ რომ მივალ, პირდაპირ ყურში ჩამყვირის და რომ დაიწყებს მორალის კითხვას, მთელი 2-3 საათის განმავლობაში აღარ ჩუმდება ხოლმე. ნასვამ კაცს კი, ხომ იცით, მოსვენება და სიწყნარე სჭირდება. მე კი „პახმელიაზე“ მისი ყვირილით გამოვდივარ... ამის გამო, როდესაც შინ ნასვამი ვბრუნდები, ჩემი გასაღებით ჩუმად ვაღებ კარს და ჩემს ოთახში ისე შევიპარები, რომ მან ვერაფერი გაიგოს. მერე ჩავძვრები საბნის ქვეშ და თავს მოვიმძინარებ ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს, შინ შუაღამისას მივედი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ დე-

დაჩემს უკვე ეძინებოდა. კარი გავაღე, ის იყო, დერეფანში „შევძვერი“, კარი ისევ მივხურე და რომ მოვბრუნდი, დოინჯშემოყრილი დედაჩემი დავინახე. მაშინვე ჩავიცუცქე და ფეხსაცმელზე ზონრის გახსნა დავიწყე. თან ვფიქრობ — ოღონდ ახლა გადავრჩე და ხვალ, მაღარიჩს გადავიხდი-მეთქი. ზონრის გახსნა გავაჭიანურე, რაც შეიძლებოდა ნელა და დინჯად ვხსნიდი, რომ დედაჩემი წასულიყო, მაგრამ ის იდგა და მელოდა. ველარაფერი მოვიფიქრე. როგორც იქნა, ზონარი გავხსენი, ფეხსაცმელი გავიხადე და უეცრად, თავში მშვენიერი იდეა მომივიდა: დედა! როგორ ხარ? — ვკითხე ისეთი ტონით, თითქოს ერთი წვეთიც არ მქონდა დალეული. — კარგად! ახალი რა არის? — მკითხა ისეთი ტონით, რომ მივხვდი, მონოლოგის წაკითხვამდე, რამდენიმე წამი იყო დარჩენილი. — დე, გინდა, გაჩვენო, როგორ დარბიან პატარა ლეკვები? — ვთქვი, ოთხზე დავდექი და ძაღლივით ენაგადმოგდებული, ხტუნვა-ხტუნვით ჩემი საძინებლისკენ წავედი... ლექცია თემაზე — „სასმლის მავნებლობა და ცუდი მეგობრების გავლენა ჩვენი ცხოვრების სტილზე“ — დილით ჩატარდა. მე კი დღემდე, ისევ ვისმენ დედაჩემის საყვედურებს. ნეტავ, არ მოსწყინდა?..“

„გადაგდებული“ ტაქსის მძღოლი

„ყველაზე მეტად ვერ ვიტან, როცა ფული არა მაქვს, მაგრამ ეს უფულობა ისე „მეძალება“, რომ აღარ ვიცი, როგორ მოვიშორო თავიდან. მთლად ღარიბი და გაღლეტილი არა ვარ, მაგრამ ფულის ყადრი ვერ ვისწავლე. 2 „კაპიკს“ რომ ვიშოვი, ერთბაშად ვხარჯავ და მეორე გამართლებამდე, იმდენ ვალს ვიღებ, რომ ნაშოვნი თანხა არც კი მყოფნის მის გასასტუმრებლად. ერთხელ, ფულის შოვნის დღეს, ძმაკაცები საქეიფოდ წავედით. კარგად მოვილხინეთ და შინ შუაღამისას დავბრუნდი. ჯიბე უკვე ცარიელი მქონდა. ხარჯი რომ გავისტუმრე, მხოლოდ 10 ლარი მქონდა დარჩენილი. ეს ტაქსის



ფული გახლდათ და იმედი მქონდა, რომ შინ მშვიდობით მივიდოდი. ტაქსი გავაჩერე და უკანა სავარძელზე მოვთავსდი. გზაში გამახსენდა დედაჩემის სიტყვები, რომლებიც დილით, შინიდან გამოსვლისას მითხრა: იქნებ, სადმე 10 ლარი იშოვო, რომ დენის ფული გადავიხადო, თორემ, ხვალ ჩაგვიჭრიან და სიბნელეში დავრჩებითო. მე კი უსინდისოდ დავხარჯე 300 ლარი და შინ ერთი „კაპიკიც“ არ მიმქონდა... სინდისის ქენჯნამ შემაწუხა და ძალიან მინდოდა, ეს 10 ლარი დედისთვის მიმეცა. გადავწყვიტე, ტაქსის მძღოლს გავქცეოდი და ფული არ გადამეხადა. ამ დროს, ჩემს სახლთან თითქმის მისული ვიყავი. მანქანა გავაჩერებინე და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. ბორდიურს ფეხი წამოვკარი და წავიქეცი. შარვალი მუხლზე გადაიხა, ფეხიც ვიტკინე, მაგრამ წამოვხტი და ისევ გავიქეცი. შევვარდი სადარბაზოში, ლიფტი გამოვიძახე, მაგრამ არ მუშაობდა და მეშვიდე სართულამდე სულ სირბილ-სირბილით ავედი, რომ ტაქსის მძღოლი არ დამწეოდა. მთვრალს მიჭირდა სირბილი, მაგრამ თავს არ ვზოგავდი. შევვარდი სახლში და კარი საგულდაგულოდ ჩავრაზე. ცოტა ამოვისუნთქე და ავხარხარდი: მე ხომ ტაქსის მძღოლს ფული ჩაჯდომისას გადავუხადე!.. ახლა იტყვით — შე უბედურო, რა გაცინებდაო? — მაგრამ ჩემი საქციელის შემხედვარე, ტაქსის მძღოლის სახე წარმოვიდგინე და მოდი და, ნუ გაიცინებ!“

თითო „ლაფატკა“ _ ყველას!

„ერთ-ერთი ორგანიზაციის დაცვის უფროსი გახლავართ. ყველაზე მეტად, ქალ მძღოლებს ვერ ვიტან, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდებიან და ნერვებს მიშლიან... ჩვენი სამსახურის შემოსასვლელი ძალზე ვიწრო გახლავთ და 2 მანქანა ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის. ჩვენს დირექტორს ერთი მაგარი ნაშა ჰყავს, რომელიც თითქმის ყოველდღე აკითხავს სამსახურში, მისივე ნაყიდი „ლექსუსით“. ამ ქალმა მანქანის ტარება ვერა და ვერ ისწავლა. ამ ვიწრო შემოსასვლელში ვერ ეტეოდა და ხან ვის მანქანას გაჰკრავდა გვერდს და გააფუჭებდა და ხან — ვისას. მერე პასუხს მე მთხოვდნენ, მე კი რა უნდა მექნა? რამდენჯერმე შევთავაზე, რომ ეზოში მე შემეყვანა მისი მაქანა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეგ როგორ ვაკადრე?!. სულ იმაზე ვოცნებობდი, რომ ერთხელაც, ვიღაცის მანქანა დაემტვრია — ხომ დავისვენებდით ყველანი... ეს ვიწრო გზა თანდათან გაფუჭდა და ჩვენმა უფროსმა მისი შეკეთება გადაწყვიტა. წინასწარ გამაფრთხილა, რომ არც ერთი თანამშრომლისა თუ სტუმრისთვის არ მიმეცა ნება, იმ დღეს მანქანით ეზოში შესულიყო, რადგან მუშები უნდა მოსულიყვნენ და ასფალტი დაეგოთ. ყველა დამემორჩილა, გარდა იმ ქალბატონისა. მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, მაინც მანქანით შემოვიდა ეზოში და რადგან იქ სიცარიელე იყო, მანქანა გარდიგარდმო დააყენა და შენობაში შევიდა, სადაც 3-4 საათი მაინც დარჩა. ამასობაში, ხრეში მოიტანეს. ავდექი და ისე დავაყრევინე, რომ ამ ქალბატონს მანქანა ეზოდან ველარ გაეყვანა... როდესაც მისი ვიზიტი დასრულდა და წასასვლელად მოემზადა, აღმოჩნდა, რომ მანქანას ძვრასაც ვერ უზამდა. მიხვდა, ჩემი გაჩალიჩებული რომ იყო და სასწრაფოდ საყვარელს დაურეკა. ტუჩების ბერვითა და პრუწვით მოუყვა, თუ რა მოხდა, იფიქრა, რომ ახლა უფროსი მაგრად გამლაძღავდა და ტელეფონი ისე ჩართო, რომ უფროსის ხმა „ლაივში“ მესმოდა, თვითონ კი, ნიშნის მოგებით გადმომხედა — აქაოდა, ახლა მიიღებ, რისი ღირსიც ხარო. ტელეფონიდან კი გაისმა: ცოტა ხანს მანდ დამელოდე, ჩემო ცუნცულა, ახლავე „ლაფატკას“ ჩამოგიტანენ და გზა გაწმინდეო... სახეზე მწვანე ფერი დაედო და ქუსლების ბაკუნით, უმანქანოდ დატოვა ჩვენი ტერიტორია“.

მოწმე

„არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ვერ ვიტან, როდესაც იეღოველები ქუჩაში დადიან და ხალხს ათასგვარ სისულელეზე ელაპარაკებიან. კაცია და გუნება: ღმერთმა გაუმარჯოს, რაც უნდათ, ის სწამდეთ და არავინ არაფერს ეუბნება, მაგრამ სხვას რომ ახვევენ თავს საკუთარ აზრებს, ამას კი ვერ ვიტან, არადა, მართლაც, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდებიან და ნერვებს მიშლიან. წლების წინ, მეექვსე განყოფილების უფროსად ვმუშაობდი, რეგიონში. ერთ დღეს, კაბინეტში ვზივარ, კარი იღება და შემოდის რამდენიმე ადამიანი. დრო მოვიდა, რომ ცოდვები მოინანიოთო, — მეუბნებიან. გაოცებულმა შევხედე. ისინი კი მიმეორებენ — თქვენი სული დამძიმებულია, მას სიყვარული აკლია, მოყვასის სიყვარული... — თქვენ ვინ ხართ-მეთქი? — ჩვენ იეღოვას მოწმეები ვართო. — აქ როგორ მოხვდით? ვინ შემოგიშვათ? ეს სარეჟიმო დაწესებულებაა-მეთქი, — ვუთხარი. — ვინ შემოგვიშვა და კართან რომ დაცვის ბიჭი დგას, იმანო. მაშინვე მოვიხმე დაცვის თანამშრომელი, ეს ხალხი გარეთ გავაყვანინე და კაბინეტში გამოვიძახე. რატომ შემოუშვი უცხო ხალხი შენობაში-მეთქი? — რა ვიცი, უფროსო, მითხრეს, იეღოვას მოწმეები ვართო და მეგონა, თქვენ გყავდათ დაბარებული და მოწმეებს ჩვენება უნდა მოეცათო... “

შემდეგი რესპონდენტი საკმაოდ დიდი პრობლემის გადაჭრას ცდილობს, მაგრამ თვითონაც არ იცის, როგორ მოიქცეს — ქმარი შეინარჩუნოს თუ თავმოყვარეობა... ამბობენ, ადამიანი ყველაფერს ეგუება, სახჩობელასაც კი: იფართხალებს, იფართხალებს და... შეეჩვევაო...

„როგორ მოვიქცე?“

„ჩემნაირი სატანჯველი ალბათ, ბევრს არა აქვს. ჩემი ქმარი ყველაზე დიდი მექალთანეა მექალთანეთა შორის! მთელი ცხოვრება დავიტანჯე მისი თავგადასავლებითა და საყ-

ვარლების დევნით. როგორც კი მიეხვდებოდი, რომ საყვარელი გამოიცვალა და ახალი ქალი გაიჩინა, მაშინვე ვიწყებდი მისი ვინაობის დადგენას, მერე მისამართსაც დავადგენდი და სახლში ვეწვეოდი ხოლმე. რა თქმა უნდა, ტუჩების დასაკოცნად კი არა, საჩხუბრად და თმით სათრევად. უკლებლივ ყველა ქალი ნაცემი მყავს, ვინც ჩემს ქმართან იწვა... ამის გამო, ვალერი საგულდაგულოდ მალავდა ხოლმე მათ ვინაობას, მაგრამ ჩემთვის დაუდგენელი არაფერი რჩებოდა. ამ ბოლო დროს, მის გვერდით ისევ გამოჩნდა ახალი ქალბატონი, მაგრამ ამჯერად, ამის შესახებ უკვე თავად ვალერისგან შევიტყვე და ისიც კი შემომთავაზა — გაგაცნობო. გაოცებისგან პირი დავაღე. ჩუმად დავიწყე მისი მისამართის დადგენა, მაგრამ ჩემმა ქმარმა ალბათ იყნოსა, რომ ინფორმაციის მოპოვებას ვცდილობდი და თვითონვე მითხრა მისამართიც, თან დაამატა — შეგიძლია, მიხვიდე, როგორც სხვებთან მიდიოდი, მაგრამ იცოდე, რომ იმავე დღეს წავალ შინიდან, როგორც კი ამას გააკეთებ და მასთან გადავბარგდები საცხოვრებლადო. ეს უკვე სიახლე გახლდათ! წინათ არასოდეს მიფიქრია, რომ ვალერი ჩემს მიტოვებას გაბედავდა. ახლა კი, ფაქტის წინაშე დავდექი. უკან დავიხიე, რადგან ქმრის დაკარგვა არ მინდოდა. მისი საქციელი არ მომწონდა, ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფერი იმ ქალბატონისგან მოდიოდა... რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემმა ქმარმა საქეიფოდ დამპატიჟა. აღმოჩნდა, რომ ის ქალბატონიც იქ იქნებოდა. მაინც წავედი. ასე გავიცანი ქმრის საყვარელი და იმ დღის შემდეგ, ხშირად, ჩვენთან სახლშიც მოდის სტუმრად. მეზიზღება, გინდ გველი შემოსრიალებულა და გინდ — ის, მაგრამ რა ვქნა?! არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მეგობრები მირჩევენ, რომ ქმარს გავშორდე და აღარ ავიტანო ამდენი დამცირება, მაგრამ რატომ უნდა გაიმარჯვოს იმ კახპამ?!. არც ვთმობ და ამასობაში, ქმარიც შევიჯავრე. რაც წლების განმავლობაში უამრავმა ქალმა ვერ მოახერხა, იმას ერთმა კახპამ რამდენიმე თვეში მიაღწია“.

ჯიდევ ერთი დილემა

„ერთი თვის წინ, ახმეტის რაიონში, სოფელ ყორეთში ვიყავი სტუმრად. მე — არა, მაგრამ ბიძაჩემს ერთი ქისტი ბიჭი ეჯავრებოდა. არაფერში მზღუდავდა, მხოლოდ მასთან ურთიერთობას მიკრძალავდა. მე კიდევ, მაინცდამაინც აკრძალული ხილის გემო მაინტერესებდა და არც ვაციე, არც ვაცხელე — ის ბიჭი შევიყვარე. ძალიან კარგი გარეგნობის ბიჭი იყო და ჩემი გული უცებ მოინადირა. მიყვარხარო, მეუბნებოდა. თუ გიყვარვარ, გორაზე ადი და იქიდან დაიყვირე, რომ გიყვარვარ-მეთქი, — ერთხელ ვუთხარი. — კარგი, წავალ და სანამ შენ არ მეტყვი, უკან არ დაგბრუნდებიო, — მიპასუხა. მართლაც, მთელი დღე იქ გაატარა, ღამის მგლებმა შეჭამეს. მე კი ათასნაირ ოინს ვიგონებდი, რომ მეწვალებინა... მაგრამ ერთ დღეს, ღმერთმა სამაგიერო გადამიხადა: ცხენზე ამხედრებული რომ ვეპრანჭებოდი, ცხენმა გადმომაგდო და „ნაწილ-ნაწილ დავიშალე“, სახლამდე ძლივს მივაღწიე... მას ძალიან ვუყვარვარ და მის მშობლებსაც მოვწონვარ სარძლოდ, მაგრამ არსებობს ერთი რამ, რასაც ვერ შევასრულებ: ქისტი დედამთილი თავზე თავშლის მოხვევას მომთხოვს, მუსლიმანური წესისამებრ... არ ვიცი, რა უნდა ვქნა. სწორედაც რომ, რაც მეჯავრება, ის მეძალება. თავშებურულმა ვიარო თუ შეყვარებული დავკარგო?.. ნატო“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„თუ სხვებმაც გაიგეს, და-მერ-ხა!“

„ინტერნეტით ერთი გოგო გავიცანი, რომელიც ამჟამად, მოსკოვში ცხოვრობს. ის აფხაზეთიდან ლტოლვილი გახლავთ და ომის დროს გადასულა მოსკოვში. თავი მაგარ ნაშად გამაცნო და ისეთი სურათები გამომიგზავნა, რომ 2 დღე აზრზე ვერ მოვდიოდი. სურათებიდან ქერა, ცისფერთვალება ანგელოზი შემომყურებდა. რა თქმა უნდა, მეც გავუგზავნე ჩემი სურათები. ლამის თავი შემაყვარა... ერთმანეთს კარგა დიდი ხნის მანძილზე ვეკონტაქტებოდით. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ეს ჩემი ანგელოზი მატყუებდა და თურმე, თავისი დაქალის, ნასტიას სურათები გამომიგზავნა. ეს ამბავი თვითონ ნასტიამ მიამბო, დღეს ჩვენ შეყვარებულები ვართ და სულ მალე, ქართულ-რუსული ოჯახის შექმნასაც ვაპირებთ. პატივისცემით, ნიკუშა“.

„რამდენიმე წლის წინ, პოლიციელი მიყვარდა. შემდეგ ერთმანეთს დავშორდით. მაშინ ვთქვი, რომ არჩევანს ისეთ ადამიანზე გავაკეთებდი, რომელსაც 9 თაობაში არავინ ეყოლებოდა პოლიციელი. მაგრამ სწორედ ისე მომივიდა — რაც გეჯავრებოდეს, ის გეძალებოდესო... ახლა უკვე გათხოვილი ვარ და ჩემი მეუღლე — პოლიციელია. მისი მოდგმაც პოლიციელებით არის სავსე. რა უნდა მექნა?.. უკვე ყურებამდე ვიყავი შეყვარებული, როცა გავიგე, რომ პოლიციელი ყოფილა. ვერრო“.

„მარი, დიდი მადლობა, რომ არსებობს „გზავნილები“. ამ რუბრიკას ლენტეხში ბევრი მკითხველი ჰყავს. სვანებს მაგრად გვიყვარხარ!“

„მე უბედურს, ისეთი ბედი მაქვს, რომ ვინც მეჯავრება ხოლმე, მერე — მიყვარდება. ჰოოოოოდა, მერე ვამბობ ხოლმე — უი, ეს რა საყვარელი ბიჭი ყოფილა-მეთქი. მეგი“.

„რომ იცოდეთ, როგორ არ მინდოდა სოფელში გათხოვება, მაგრამ მართალი ყოფილა — რაც გეჯავრებოდეს, ის გეძალებოდესო... ბევრს მეხვეწნენ ჩემი მშობლები, მაგრამ არ დავუჯერე და მაინც გავთხოვდი. ახლა კი, ვაგდივარ ამ დასაწავავ სოფელში და ვუვლი ღორებს, ქათმებსა და ძროხებს. ახია ჩემზე! თეა“.

„ერთი საყვარელი მული მყავს, რომელიც 19 წლის ისე შესრულდა, რომ მამაკაცს არც კი დალაპარაკებია. ჰოდა, ამ მეცხრამეტე დაბადების დღეზე, მობილური უყიდეს. ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე?.. შემთხვევით, ვიღაც ბიჭი გაიცნო. მასთან მესიჯების წერაში ათენ-აღამებდა. ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში. ბოლოს, როგორც იქნა, შეხვედრაც დათქვეს. ჩემი მული ამბობდა — ოღონდ, მაღალი ნუ იქნება (რატომღაც, მაღალი ბიჭები არ მოსწონს) და მაიმუნს ოდნავ სჯობდეს, დანარჩენზე თვალს დავხუჭავ, ისე მიყვარსო... მოკლედ, დავამსგავსე ვარსკვლავს ჩემი მული და პაემანზე გავუშვი. იქ კი, ბიჭი დახვდაააა! მაღალი და — საშინელი შესახედაობის... საწყალ გოგოს, 2 კვირაა, საჭმელზეც კი გული ერევა — მაგას სიყვარულსა და სიხარულს როგორ ვეძახდიო?!. ახლა, თქვენ მითხარით, რაღა გაათხოვებს ჩემს მულს?! დიდი სიყვარულით, მზრუნველი რძალი...“

„ნეტავ, სიმდიდრე რომ შევიჯავრო, რა მომეძალება?..“

„ვერასოდეს ვიტანდი „თეთრ“ და ლამაზ ბიჭებს. ჩემმა მეგობარმა სწორედ ასეთი გამაცნო. თავიდან, მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ მერე, ყველაფერი ჩემდა უნებურად მოხდა. ახლა უკვე ჩვენს პატარას ვზრდით... „სითეთრის“ დედაც, ჯეკ!..“

„ძალიან ბევრი მეგობარი გოგონა მყავს. როდესაც ცოლი მომყავდა, მან იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ახლა ეჭვიანობს და მათთან ურთიერთობას მიშლის. ჩემს ცოლს ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება, მამაკაცმა სექსის გარეშე იმეგობროს ქალთან და მისი საქციელიდან გამომდინარე, იძულებული ვხდები, ჩუმად გავაგრძელო წლების წინ დაწყებული მეგობრობა. მინდა, ჩემს ცოლს ვუთხრა, რომ არასოდეს ვუღალატებ! პატივისცემით, ყველას ძმა და ერთის ქმარი“.

„რაც მეჯავრებოდა, ის მეძალებოდაოოოო?!. დაბალი, გამხდარი და წვერიანი... ახლა კი სახლში ვუზივარ. რაღა მე და რაღა ვირი, რომელსაც პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენ“.

„ერთი დაქალი მყავდა, თამთა, რომელსაც დავშორდი. სულ მალე გავიგე, რომ ის თავის „ლოვეს“ დაშორდა. ახლა კი გავიგე, რომ თურმე, იმ ბიჭს მე ვუყვარვარ. ეს თუ სხვებმაც გაიგეს, და-მერ-ხა! ნიცა“.

„კარგა ხანია, თქვენთვის არაფერი მომიწერია და ბევრი ჩემი ნაცნობი მსაყვედურობს ამის გამო, მაგრამ მე საამისოდ ვეღარ მოვიცალე. აბაა, „გენა“, პატრულში მიმიღეს! ახლა ერთთვიანი სწავლება უნდა გავიარო და მერე უკვე საბოლოოდ დამამტკიცებენ. ახლა, რაც შეეხება, თემას: იმ ბიჭების უმეტესობა, ვისაც მოვწონვარ, აუცილებლად ჩემზე დაბალია და ჩემზე უმცროსიც... არადა, მთელი ცხოვრება, ჭალარა, მაღალ და სიმპათიურ მამაკაცზე ვოცნებობ. აი, ასეა ჩემი საქმე!“

ამჯერად „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ასეთი არაფერი მინახავს!.. მოგვიყევით, რამ გაგაოგნათ და გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61.

■

"შენ ნაშვილები ხარ!.."

ამ სიტყვებს არაერთი ადამიანის ცხოვრება შეუცვლია

შვილად აყვანის და გაშვილების თემა ოდითგანვე ტაბუდადებული იყო საქართველოში. როგორც ადრე, დღესაც ბევრ ოჯახში ნაშვილები ბავშვები იზრდებიან. მათ მშობლებს კი, გამუდმებით აწვალებთ იმაზე ფიქრი, თუ რა მოხდება მაშინ, როდესაც მათი შვილი სიმართლეს გაიგებს, როგორი იქნება მისი რეაქცია? ძალიან ძნელია მიიღო და შვილივით შეიყვარო სხვისი პირმშო. სამწუხაროდ, ხშირად, მშობლები მზრუნველობისა და სიყვარულისთვისაც ისჯებიან, მაგრამ — არა ყოველთვის...

თამუნა კვინიკაძე



ჯაბა სულ რაღაც 2 კვირის ყოფილა, როდესაც გაუშვილებიათ. როგორც თვითონ ამბობს, 13 წლის განმავლობაში, იმაში, რომ მისი დედ-მამა ბიოლოგიური მშობლები არ იყვნენ, ეჭვი არასოდეს შეჰპარვია. 26 წლის ჯაბას, ყველაზე მწარე მოგონებად ახსოვს ის დღე, როცა სიმართლე შეიტყო. „შენ ნაშვილები ხარ " — ამ სამმა სიტყვამ, მისი მომავალი შეცვალა.

— ჯაბა, ვინ გითხრა სიმართლე?

— უბნელ ბავშვებთან ერთად ვთამაშობდი. ერთი ჩემი თანატოლი გავაბრაზე და — შენ ნაშვილები ხარო, — ეგრევე მომახალა. ადგილზე გავშეშდი... მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარდა ჩემი მშობლები, მათ მიმართ დამოკიდებულება წამებში შემეცვალა. იმ ბავშვისთვის სიტყვაც კი არ მითქვამს, მეხუთე სართულზე სირბილით ავედი და ორი დღე და ღამე ჩემს ოთახში ვიყავი ჩაკეტილი... საშინლად აგრესიული გავხდი. დედაჩემმა ოთახის კარი შემოაღო და — რა დაგემართა, შვილო? — მკითხა. გავცოფდი: ვინ არის შენი შვილიმეთქი?! — ვღრიალებდი... ჩემი მშობლები მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, შეეცადნენ აეხსნათ ჩემთვის ყველაფერი, მაგრამ მათი მოსმენის ნერვები არ მქონდა. სიგარეტის მოწევა და სმა დავიწყე. გათიშვამდე ვსვამდი და ამაში თითქოს შვებას ვპოულობდი... იცი — ყველა ქალი დედობის და კაცი — მამობის ღირსი არ არის...

— არ დაინტერესდი, ვინ იყვნენ შენი ბიოლოგიური მშობლები? არ გსურდა მათი ნახვა?

— იმ წლებში, ისეთი არეული ვიყავი, მე თვითონ არ ვიცოდი, რა მინდოდა. გამუდმებით ალკოჰოლის მიღებამ ჭკუიდან გადამიყვანა, იმდენად ცუდ ადამიანად ვიქეცი, რომ ყველა მეგობარმა მიმატოვა ორის გარდა. მთელი ცხოვრება მათი მადლიერი ვიქნები: თუ დღეს ცოტა მაინც შემომრჩა რაიმე ადამიანური, ეს მათი დამსახურებაა. მათი დამსახურებაა ისიც, რომ ვიპოვე ჩემი ბიოლოგიური დედა.

— როგორი იყო თქვენი შეხვედრა?

— ის ტიროდა, მე კი გაქვავებული ვიდექი. მერე გული წაუვიდა, ძლივს შეძლეს მისი მოსულიერება... მთელი დღე მასთან დავრჩი. მომიყვა, რომ 18 წლის ყოფილა, როდესაც შეყვარებულს შეუცდენია. ის ნაძირალა რუსეთში გადასულა საცხოვრებლად. მშობლებს, როდესაც დედაჩემის ფეხმძიმობის ამბავი შეუტყვიათ, სირცხვილის თავიდან ასაცილებლად, ურჩევიათ — აბორტი გაეკეთებინა, მაგრამ ექიმებს უარი უთქვამთ. როდესაც დავბადებულვარ, ისევ ბებია-ბაბუის „წყალობით", დედას გავუშვილებივარ. ჩემი გაშვილებიდან მესამე დღეს კი, ის ჩემი „სახელოვანი" ბებია და ბაბუა, რომელთათვისაც მე „სირცხვილი" ვიყავი, ავარიაში დაღუპულან. დედაჩემიც 2 წლის შემდეგ გათხოვილა... ახლა მას ხშირად ვნახულობ.

— აპატიე?

— ვაპატიე, მაგრამ რომ არა ასეთი ამბავი, ალბათ, ვერ ვაპატიებდი.

— და-ძმა გყავს?

— ერთი და მყავს, ჩემზე 3 წლით უმცროსია და ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარს.

— გამზრდელ მშობლებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— ნორმალური. მათ ჩემ გამო ბევრი სიმწარე ნახეს. შეგნებულად ვაკეთებდი ცუდ რაღაცებს, რომ ისინი გამემწარებინა.

— მაშინ ამაზე არ ფიქრობდი, რომ ბიოლოგიური მშობლებისგან მიტოვებულს, გამოგიჩნდა დედ-მამა, რომელმაც შვილივით მიგიღო და შეგიყვარა?.. მათი გამწარება რატომ გინდოდა, რისთვის სჯიდი — იმისთვის, რომ შეგიყვარეს?

— ჩემს მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა კონტროლი გაუწიო საკუთარ ქმედებას, — დამიჯერე, ძალიან ძნელია; მართალს მეუბნები — ჩემი მშობლები ჩემგან ასეთ სიმწარეს და უმადურობას არ იმსახურებდნენ, მე პირველ რიგში, საკუთარ თავს ვაყენებდი ზიანს... იმის განცდა, რომ მიგატოვეს, ძალიან ძნელია. როგორ შეიძლება, დედისთვის შვილი „სირცხვილი" იყოს ან „უკანონო" ეწოდოს?!. რაც შეეხება ჩემს ცუდ ქცევას მშობლებთან ურთიერთობისას, — ისინი ალბათ იმ სიყალბისთვის დაისაჯნენ, რომელშიც 13 წელი მამყოფეს...

— იქნებ, ის, რასაც შენ სიყალბეს ეძახი, შენი კეთილდღეობისთვის იყო საჭირო. შენ სიმართლე ცუდ პერიოდში შეიტყვე — იმ დღიდან კი, 13 წელია გასული. მაინტერესებს, დღესაც ისეთივე რეაქცია გექნებოდა?

— არ ვიცი. შეიძლება, ისეთი მძაფრი — არა, მაგრამ რეაქცია, ბუნებრივია, მექნებოდა. მაშინ თავის მოკვლაზეც კი ვფიქრობდი. გაკვეთილებიდან ვიპარებოდი და დროის დიდ ნაწილს ქუჩაში ვატარებდი.

— ახლა როგორ ცხოვრობ? ყველაფერი ეს წარსულში დარჩა?

— ახლა შეყვარებული ვარ. სიყვარულმა გადამარჩინა. რომ გითხრათ, წარსული დამავიწყდა-მეთქი, ტყუილი იქნება, ის ხშირად მახსენებს თავს. ვცხოვრობ მშობლებთან ერთად, სტუმრად მივდივარ ბიოლოგიურ დედასთან და... ყველაზე ცუდი რა არის, იცი?..

— რა არის?

— მათთან ურთიერთობისას რაღაც გაუცხოების მომენტი მაინც არსებობს.

— იქნებ, არც არსებობს და შენ გეჩვენება?..

— იქნებ... ამაზეც დავფიქრდები.

მაია, 39 წლის:

— 25 წლის ასაკში გავიგე, რომ ნაშ-

ვილები ვიყავი. რა თქმა უნდა, ამას თან ახლდა თავისებური განცდა, მაგრამ — არა ისეთი, რომ სასწაულები მომეხდინა, საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის ზიანი მიმეყენებინა.

— სიმართლე ვისგან შეიტყვე?

— დედაჩემს ვამჩნევდი, რომ რაღაც აწუხებდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ლაპარაკის წამოწყება უჭირდა. მე თვითონ დავეხმარე მას სიმართლის გამხელაში. თურმე, ჩემი დაკარგვის ეშინოდა და ამიტომ უმძიმდა. მე კი — გულწრფელად გეუბნებით — იმ დღიდან, კიდევ უფრო შემიყვარდა. ჩემი მდგომარეობის ადამიანები ხშირად, ნამდვილ დედად, ბიოლოგიურ დედას მოიხსენიებენ. ეს მართებულად არ მიმაჩნია. როგორ შეიძლება, ნამდვილი დედა უწოდო ქალს, რომელმაც მიგატოვა?! ასე ხომ ცხოველებიც არ იქცევიან. სხვისი შვილის საკუთარი შვილივით შეყვარების უნარი — დიდი ჯილდოა. ღმერთი თუ უშვილობით სჯის ქალს, ამ უნარით აჯილდოებს.

— მაია, სიმართლე გარდატეხის ასაკში რომ გაგეგო, მაინც ასე მშვიდად შეხვდებოდი?

— მე ვფიქრობ, რომ მაშინაც ასეთივე რეაქცია მექნებოდა. რომ არა ჩემი მშობლები, ვინ იცის, დღეს სად ან როგორ ვიქნებოდი. მათი წყალობით მქონდა ბედნიერი და უზრუნველი ბავშვობა, არასოდეს არაფერი მაკლდა. როგორ შეიძლება, მათი ამაგის არდანახვა? ეს ხომ დიდი უმადურობა იქნება!..

— ბიოლოგიური მშობლების ნახვის სურვილი არ გაგიჩნდა?

— ჩემი მეუღლის დახმარებით მოვძებნე. მამა არ მინახავს. მე რომ დავბადებულვარ, ის პატიმარი ყოფილა და მალე გარდაცვლილა. დედა და ჩემი უფროსი და გავიცანი.

— როგორი იყო თქვენი შეხვედრა.

— პირველად ჩემი და გავიცანი, იგი ჩემზე 7 წლით უფროსია. ვუთხარი, ვინც ვიყავი და დავპირდი, რომ ოჯახში ვესტუმრებოდი. დედას ვუთხრა თუ არაო? — მკითხა. — შენ როგორც ჩათვლი საჭიროდ-მეთქი. არჩევანი მას გავაკეთებინე. რომ მივედი, დედას ჩემი თავი თანამშრომლად გააცნო.

— თქვენც არ გაუმხილეთ, ვინ იყავით? დის ასეთმა საქციელმა ალბათ გაგანაწყენათ.

— სიმართლე გითხრათ, მეწყინა. ისე წამოვედი იქიდან, რომ არაფერი მითქვამს. მე მათთან ინტერესის გამო და არა ურთიერთობის დამყარების სურვილით მივედი. ჩემი წამოსვლის შემდეგ, ჩემი და ეტყობა, მიხვდა, რომ ცუდად მოიქცა და სიმართლე უთქვამს დედისთვის. ის ცუდად გამხდარა...

— დღეს როგორი ურთიერთობა გაქვს?

— არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. მე ის ქალბატონი დედად არ მიმიღია, არც საყვედური მითქვამს... იშვიათად ვნახულობ. ამ

თემაზე თუ ასე საჯაროდ მოვყვებოდი ოდესმე, ვერც წარმომედგინა. თურმე, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, მაიას ვთხოვე, რომ დედამისთან შეხვედრაში დამხმარებოდა. შეგახვედრებ, მაგრამ ექნება თუ არა ამაზე ლაპარაკის სურვილი, ვერ გეტყვიო, — მიპასუხა... ორი დღის შემდეგ, ქალბატონ ნორას შინ ვესტუმრე, ოღონდ — მაიას გარეშე. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ტკივილიაო, — მითხრა და ცრემლიანი თვალებით თხრობა დაიწყო:

— მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახი სიყვარულით შევქმენით. მალე გოგონა შეგვეძინა. მატერიალურად გვიჭირდა, მაგრამ ეს ჩვენს ბედნიერებას ხელს არ უშლიდა. 8 წელი ერთმანეთზე ზრუნვაში გავატარეთ, 8 წლის შემდეგ კი...

— რა მოხდა 8 წლის შემდეგ?

— ჩემი მეუღლე დააპატიმრეს. 2 თვის დაჭერილი იყო, როდესაც გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ეს ამბავი მასაც ვუთხარი. გაგიჟდა, ეჭვიანობა დაიწყო — ეგ ჩემი შვილი არ არისო! — მიყვიროდა, მემუქრებოდა, — არ გააჩინო, თორემ, ჯერ მას მოვკლავ და მერე, შენც დაგაკლავო... შვილი სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე, რადგან ვიცოდი, რომ ახლო მომავალში ციხიდან ვერ გამოვიდოდა (5 წელი ჰქონდა მისჯილი). მისი მუქარის არ შემეშინდა. ასე დაიბადა მაია. ჩემი გოგონას ამქვეყნად მოვლინებამ სულ გააცოფა. ვინ აღარ მომიგზავნა, როგორ არ მაშინებდა. ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია. ბავშვი 1 თვის რომ გახდა, ჩემდა სამარცხვინოდ, ჩვენს სახლთან მდებარე პატარა სკვერში გავიყვანე და დავტოვე. შორიდან ვუთვალთვალებდი, ვინმე თუ წაიყვანდა. მაგრამ მოსეირნე ადამიანები გულგრილად უყურებდნენ... ველარ მოვითმინე, მივედი და შვილი ისევ სახლში წამოვიყვანე. მერე ჩემი გაჭირვება ერთ ახლობელ ქალს გავუზიარე. მან გაიკითხ-გამოიკითხა და აღმოაჩინა ცოლ-ქმარი, რომელიც 10 წლის შეუღლებული იყო და შვილი არ უჩნდებოდა. ახლობელმა მათ ჩემ შესახებ უამბო. მეორე დღესვე მოვიდნენ და ბავშვი წაიყვანეს. მთელი ღამე არ მძინებია, თვალების დახუჭვისთანავე, ჩემი გოგონა მელანდებოდა, მისი ტირილის ხმა ჩამესმოდა...

— არ შეგეძლოთ, ეჭვიან ქმარს დაშორებოდით და შვილებთან ერთად მარტო გეცხოვრათ?

— ეგ სათქმელად არის ადვილი.... ვიცოდი, ჩემი ქმარი თავს არ დამანებებდა, ვინმეს მომიგზავნიდა და უბედურება დატრიალდებოდა. ჩემი შვილის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩავაგდე და ამიტომ, გავაშვილე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მის აღმზრდელ მშობლებს იმისთვის, რომ მაია ასეთ კარგ ადამიანად აღზარდეს... მე დედად არ მაღიარებს, უფლებაც არ მაქვს, მას ეს მოვთხოვო. ჩემი ქმარი ციხიდან ცოცხალი ვერ გამოვიდა. რომ მცოდნოდა, რომ ასე მოხდებოდა, ამ საშინელებას არ ჩავიდენდი, ასეთი დიდი ცოდვით დამძიმებული არ გავათრევდი ამ წუთისოფელს.

ვინ და როდის უნდა უთხრას ბავშვს, რომ ის ნაშვილებია? სიმართლის შეტყობის შემდეგ, რატომ ხდებიან აგრესიულები? ამ თემაზე ფსიქოლოგი **ნანა ალაპიშვილი** *გვესაუბრება:*

— ეს ინდივიდუალურად მისადგომი საკითხია. როგორც ფსიქოლოგს, მიმაჩნია, რომ ბავშვმა სიმართლე ე.წ. გარდატეხის ასაკამდე მშობლებისგან უნდა გაიგოს. სასურველია, რომ მშობლებმა წინასწარ ფსიქოლოგის კონსულტაცია მიიღონ. როდესაც გარდატეხის ასაკში იგებენ სიმართლეს, უფრო მძაფრად განიცდიან, აგრესიულები, დაუმორჩილებლები ხდებიან. ეს ასაკი ისედაც რთულ პერიოდად მიიჩნევა ადამიანის ცხოვრებაში.

— საიდან ან რატომ მოდის აგრესია, რომელსაც ხშირ შემთხვევაში, აღმზრდელი მშობლების მიმართ იჩენენ?

— ბავშვისთვის იმის განცდა, რომ მიტოვებულია, ძალზე მძიმე გადასატანია. მისი მხრიდან აგრესია ყველა მოზრდილი ადამიანისკენაა მიმართული. აღმზრდელმა მას სიკეთე რომ გაუკეთა, ამას ვერ აცნობიერებს. ნებისმიერი დედა შვილს შენიშვნას აძლევს, ნაშვილები ბავშვები ამასაც კი სხვაგვარად აღიქვამენ, ისინი ფიქრობენ — არ ვუყვარვარ და იმიტომო... ამის უამრავ მაგალითს ვაწყდებით. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიურ მშობლებზე დაბოღმილები არიან, მათი ნახვის სურვილი მაინც უჩნდებათ. ხშირ შემთხვევაში, მათი პატიებაც შეუძლიათ, ასევე ხშირად — არა და მათი ნახვით უბრალოდ, ადამიანურ ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებენ...

— ხშირ შემთხვევაში, შვილის აყვანის შემდეგ, ცოლ-ქმარს საკუთარი შვილი უჩნდება. ამაზე რას გვეტყვით?

— ასეთი რამ მართლაც, ხშირად ხდება. ქალში, ბავშვის მოვლის დროს, დედა იღვიძებს, მისი ორგანიზმის დედობისთვის მზაობა ძლიერდება... ზოგჯერ, როდესაც ცოლ-ქმარს ჯანმრთელობის მხრივ წესრიგში აქვთ ყველაფერი, მაგრამ მიუხედავად ამისა, შვილი არ უჩნდება, სპეციალისტები ბავშვის აყვანას ურჩევენ. ეს მეთოდი, არაერთხელ გამართლებულა და უშვილო ცოლ-ქმარს შვილი შესძენია.

■

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, ვიცი, არც სიტყვა „რუბრიკას“ მომიწონებს, არც „აქტუალურს“, მაგრამ, რაკი ორივე სიტყვას მაინც დავწერთ, „ინტერვიუსაც“ ზედ დავურთავთ... ცოტას კიდეც გავთავხედდები, ბატონო ოტია და გეტყვით, რომ თქვენ თავად ბრძანდებით „აქტუალური“, მნიშვნელოვანი ადამიანი და სხვის ტკბილ ნაუბარს ან სულ გაჩუმებას, თქვენი „მკვახე შეძახილი“ სჯობია — ბევრს უყვარხართ და ბევრიც გისმენთ.

...მწერალ ოტია იოსელიანს კვირას, დილით ვესტუმრე. ეტყობა, ჩემს მისვლამდე რომელიღაც ტელეგადაცემას უყურებდა და აღშფოთებული დამხვდა:

„გადაბრუნებული ურემი“ და „ილაპარაკე, რამდენიც გინდა“

ანუ მინა კოჭებამდე მაინც თუ არ შემოიყარე...

ირმა ხარშილაძე

— რას ჰგავს ჩვენი საქციელი? ამსისხო კაცი ჩამდგარა და დიდი სერიოზულობით ლაპარაკობს, როგორ უნდა გახდეს! მეორე ჰყვება, როგორ კერძებს ამზადებს. „ლუარსაბობა“, სხვა კი არაფერი იყო. ილიამ აგი დაგვიწერა: ასე არ ქნათო!.. ჩვენ მაინც ასე ვქენით: 24 საათი იმაზე ვიკლავთ თავს, რაფერ შევჭამოთ მეტად და ნაირ-ნაირად... რატომ ვერ ვხედავთ ამ დაქცევას, რამ დაგვაბნელა ამნაირად?! თან, ყველა ტელეარხი აკეთებს ამას. რა შენი საქმეა, რას აკეთებს დიასახლისი სამზარეულოში? რას დახეტიალებ და რას ურევ ხელს ქვაბებში და ტაფებში. რა კაცის საქმეა ეს?!

— ამდენი რესტორანი, აბა, რისთვის არის? იგივე ხდება ტელეეკრანზეც...

— ეს გვინდა, მერე, კიდევ?! ამაზე ასხამ კიდევ წყალს? „სახარებაში“ წერია: ოფლითა შენითაო... ის არაა ჩემი მოწეული და არა მაქვს უფლება იმის ჭამის. მოგვიძუძგნია პირი ღორის ქონით... იმის გადარჩენა როგორ შეიძლება?! რომც გადარჩეს, რად გინდა?! ვინცხას ხელებში „შეჩერებული“, ვიღაცის ნაოფლარით მაძღარი და მსუქანი... ნახე, კანი ასკდება!..

— პარალელურად, კარგ საკარჯიშოებსაც გვთავაზობენ — გასახდომად, ფორმაში ჩასადგომად...

— ჰო, რაც შეიძლება, მეტი ვჭამოთ და მერე, ფული ვხარჯოთ დასაკლებად!.. ეს საშინელებაა, მაგრამ ამაში არაა საქმე. „გაცნობიერებული“ კაცი რომ არა, იმ ქვეყანას რა გადაარჩენს?! ამაო იქნება მის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ბრძოლა მაინც უნდა იყოს. უნდა იცოდე ქე მაინც, რა გჭირს. ჩვენ ეგეც არ ვიცით. 6 მილიონი ვიყავით, პავლე ინგოროყვას გამოკვლევით; მაშინ, ორი იმდენი იყვნენ ფრანგები. ახლა ისინი ორჯერ 60 არიან, ჩვენ — რაც ვიყავით, იმის ნახევარი... რაშია საქმე? ჩვენი სოფლის მეურნეობის მინისტრი თვალებს უნდა ითხრიდეს, იმას კაბინეტში შესახედავად დრო არ უნდა ჰქონდეს, ყანაში უნდა იყოს 24 საათი!.. ჩოხები რომ შეკერეთ ახლა ჩვენ, — მე მაგას მხარს ვუჭერ და რატომ? ჩოხებისთვის სად მცალია, მაგრამ ამაში დევს აზრი: გოდორივით კაცი ვერ ჩაიცვამდა ჩოხას, იძულებული იყო, ფორმა შეენარჩუნებინა, წარმოსადეგი ყოფილიყო, ხანჯალზე ედო ხელი და იოლად ვერაფერს ეტყოდი. მასე კი არაა საქმე, ჩოხოსნებს გარედან რომ ვუყურებთ. შიგ არის, იქ, საინტერესო: იგი გაწესრიგებდა შენ. როგორც ცხოველი არ ვარგა სხვის ტყავში, ისეა ადამიანიც — შენი უნდა გეცვას! ჩოხას ჯიბეც არ აქვს — რომ ვინმემ ხელი ჩაგიყოს... ვინცხაისას იცვამ, იხურავ, ჭამ, „ვინცხაისას“ აზროვნებ, ცეკვავ, მღერი — შენ აღარ ხარ. იმისთვის შენ ვერ ივარგებ — ის იმ კაცისაა. ვინ ხარ შენ, საერთოდ?!. რატომ ვერ ვაცნობიერებთ ამას — ეს მაოცებს. ამის დანახვა ბრმასაც შეუძლია, მაგრამ ჩვენ ვერაფერი გაგვიგია.

— ეტყობა, ახლა რომ უყვართ თქმა — საზოგადოების დაკვეთაა ასეთიო — გადაცემებიც, ცხოვრების წესიც...

— საკითხავი ისაა, მოსაწონია თუ არა — ამას ვერ ვაცნობიერებთ ჩვენ. „ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“. ჩემს ჩანაწერებში — „ზოგი რამ სიბრძნისა“ — ვკითხულობ: როცა იცი, რომ „იგი შეეყრება სნებას“, უნდა მიუშვა?.. არა — უნდა გააჩერო და უთხრა: სად მიდიხარ, შვილო? მაქეთ სნებაა, უბედურებაა-თქო! მაგი გასასწორებელია ხალხურ თქმაში — თუმცა, იქ ირონიითაა ნათქვამი. პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გვესმის ჩვენ. რას დავამგვანეთ ქვეყანა?! ვჩხუბობთ — ახალგაზრდობა არ გვივარგვა-თქო! რას ჰქვია არ გვივარგა? როგორც გაზარდე, იმნაირია, რას ერჩი ახალგაზრდობას?! კეთილი გენება და დაგეყენებინა გზაზე. ისინი ჩვენგან გაუბედურებული ახალგაზრდები არიან და ახლა არ მოგწონს? „ცემა გვმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ვნახოთ ავად ზრდილი!..“ ჩვენ აგერ გვაქვს გუშინდელი მაგალითი. იმისთანა წყალწაღებული ერი ვართ, ყოველ გაზეთს აიღებ თუ ჟურნალს, დაუბეჭდე შიგ ილიას „ბედნიერი ერი“ და დაინახავ, რაცა ვართ!.. ვივიწყებთ ამას ჩვენ. „თერგდალეულები“ რომ არ მოსულიყვნენ — ილია, აკაკი, ნიკო ნოკოლაძე და სხვები, — ჩვენ დღეს ქართულად არ ვილაპარაკებდით, გათავებული იყო საქმე. შენ რა გგონია? — ჩინოვნიკობა რა იყო, იმით გაცნობიერეს, თორემ, იმ მოხელეებს თავი მოსწონდათ ჩინით და მედლით. „ბაკულას ღორები“ გაიხსენე, დავით კლდიაშვილის მოთხრობები. თუ არ წაიკითხავ არაფერს, არ გაცნობიერებ — ვერაფერს გაიგებ.

ვერ აზროვნებ და გგონია, რომ ქვეყანას ააშენებ. აშენებული დაინგრა, იმპერიები დაინგრა, როცა ვერ გაცნობიერეს და გადატოპეს რაღაცაში, მერე, გადავიდნენ უზნეობაში, ღრეობაში და კახპობაში, ქურდობაში და — დაინგრა. ზნეობაში რავარც შეგეშლება რამე, განწირული ხარ დასაღუპავად. საზომი — ზნეა, როგორც კი მოშლი, „სახარებაში“ რაც გიწერია, იმას რომ დაარღვევ, — ღმერთთან გაწყვეტ კავშირს და მიიღებ უღმერთო ქვეყანას. უღმერთო ქვეყანას კი არც უარსებია და ვერც იარსებებს.

— ზნეობის დეფიციტია დღეს და ამას რა ამოავსებს?

— დეფიციტი კი არა — უზნეობა ჰქვია მაგას. „დეფიციტებს“ თავი დაანებეთ და ქართულად ილაპარაკეთ!.. არ კითხულობს კაცი — საიდან იშოვე, რა იშოვე, რა გერგება... რაც არ გერგება, არ შეგერგებაო, — დაგვიბარა წინაპარმა. არამი ლუკმა რომ დამღუპველია, ამის გაგონება არ გვინდა. სხვანაირად ვერ იარსებებ. მაგას ახლა კი არ ვამბობ, 1969 წელს ვწერდი — „გამოქვაბულებს“, „სანამ ურემი გადაბრუნდება“... მერე დავწერე, რომ გადაბრუნდა... ეგ გასართობად კი არ იყო დაწერილი! ჩანდა უკვე მაშინაც: რომ არ გამოიხედავ თვალში და დაბ-

რმავდები, აგერაა, უფსკრული და გადაეშვები! ამიტომ, უნდა გაახილო თვალი. ჯერომ სელინჯერის რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“, — გადასარევი წიგნია. უნდა წაიკითხოს ბავშვმაც, დიდმაც...

გაუნათლებელია ერი და ქვეყანა — ამაშია საქმე! განათლება გასართობად კი არაა — აზროვნებისთვის არის! ჩვენ ვერ ვაზროვნებთ და ვერც ვიაზროვნებთ, ეტყობა. რაცხა რომ გაუკეთებიათ სანაპიროზე — ზევით ადის და ჩამოდისო — მაგი რად გვინდა ჩვენ? ადი გორაზე და გადმოიხედე!.. გორაზე რომ ახვიდე, გავარჯიშდები... თუ არა და, დაჯექი და აქნიე ხელები. მაგრამ ეს თვითმიზნური იქნება და არაფერში წაგადგება... შეიძლება, პარიზში დაედგა კაცს ეიფელის კოშკი — იმას მთა არ ჰქონდა, არ ჰქონდა ფუნიკულორი, აუცილებელი გახდა იმისთვის და გააკეთა. შენ რომ გადმოგაქვს ამნაირი, სად მიგაქვს?! ჯერ ერთი, გცალია მაგისთვის? და მეორეც — არ უნდა იცოდე, არ უნდა ითვალისწინებდე, თუ გნებავთ, რელიეფს, ბუნებას, ხასიათს?!

— ეს ტურისტებისთვის არის გათვლილი, ტურიზმის გასავითარებლად.

— არ უნდა მაგას ტურიზმი. არავინ მოდის შენთან, ვინ ჯანდაბას უნდებხარ?! ჯერ სატურიზმოდ ჩვენ არ ვართ მზად. ჩვენთან თუ ჩამოვა ვინმე — მარტო იმის სანახავად, როგორ აქცევენ ქვეყანასო. არაფრის მაქნისები ჩვენ აღარ ვართ. ეს ყველაფერი ნათქვამია, მე ახალს არაფერს ვამბობ — ილიას და აკაკის არ დარჩენიათ უთქმელი, კიდევ — ნიკო ნიკოლაძეს. მაგრამ ისინი, ამავე დროს, საქმეს აკეთებდნენ. ნიკო ნიკოლაძემ დაკრა ფეხი — გაღებული ჰქონდა მსოფლიოს კარი, სადაც უნდოდა, იქ მიდიოდა. ახალგაზრდა ბიჭი იყო, ჟურნალებს რომ რედაქტორობდა, ფრანგულად იცავდა დისერტაციებს... თბილისში არ გაჩერდა, არც ქუთაისში — წავიდა და ფოთი ააშენა. მანამდე, ფოთი იყო წუმპე, ქოხმახებიანი... მივიდა და აგიგო ფოთი! იმან იცოდა, რა ეკეთებინა, ამავე დროს, წერდა კიდეც. მარტო წერა არ შველის საქმეს. შენ დაწერისა და თქმის უფლება მაშინ გაქვს, როცა საქმე გაქვს გაკეთებული. არ გაქვს უფლება, იტლიკინო და არაფერი აკეთო. მკითხავთ ახლა — რომ ქაქანებ, შენ რა გამიკეთეო?.. 10 ტომი აგერ დაგილაგე, იგიც — რჩეული!.. მაგრამ მე არც მაგენს შევჩერებივარ: არ მიჭამია არასოდეს კანადის პური. მე ვთესავ ჩემს ყანას, ვიწევ მჭადს — პური ჩვენში არ მოდის, თან ისიც რომ არ შემომეჭამოს ბევრი, ცივად ვჭამ... ეს ყველაფერი მარტო ჩემი კი არაა — აგერ მყავს წინაპრები და იმათგან მაქვს ნასწავლი. ღვინოზე ამბავი რომ არის ატეხილი — პოლიტიკურად გამოიყენა იმ გათახსირებულმა რუსეთმა, თორემ, არც ის ღვინო ვარგა!.. გაზაფხული გავიდა, ყანა დაუთესავია, აღარც მჭადი გაქვს საკუთარი და აღარც — ყანა.

— დამთესი არავინ არის და... ყველა წამოსულია თბილისში ან უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად.

— მაგაშია საქმე. იქ შენი სახლი არაა!

— აბა, ამდენი უმუშევარი არის, დამშეული, ეძებენ საზღვარგარეთ სამუშაოს.

— რავარც კი გუნებაში ჩაიდებ — ვინცხას შევეფარები და მომიტეხავს პურსო, — მათხოვარი ხარ! მათხოვარს კი ზნეობა არ აქვს, მათხოვრები ქვეყანას არ აშენებენ, ისინი — მათხოვრობენ. მაგას ვტირი და ვჩივი — ეს დაგვღუპავს. დაღუპულებიც ვართ... მათხოვრობა, ხელგაშვერილობა შეურაცხმყოფელია. ძალიან მდიდრები შეიძლება, არ ვიყავით, მაგრამ ქე გვქონდა პატივმოყვარეობა. წაიკითხეთ დავით კლდიაშვილი — უბრწყინვალესი მწერალი იყო — ნახეთ, როგორა აქვს გადმოცემული...

— ...კუდაბზიკობა და გამძაფრებული თავმოყვარეობა...

— დავანებოთ მაგას თავი. ისიც დავკარგეთ. გაგვიშვერია ხელი... მაგას იკადრებდნენ ახლა, დავით კლდიაშვილის გმირები?!

— მათი კუდაბზიკობა ნამეტანი ხომ არ არის, ბატონო ოტია?

— ყოველ შემთხვევაში, მათხოვრობას არ სჯობია?! რა თქმა უნდა, მაგიც თქვა იმ კაცმა — პატივმოყვარეობა და ამპარტავნება არ ვარგაო, — მაგრამ... გაიხსენეთ ბრწყინვალე ფილმი — „დაკარგული სამოთხე.“ ძალიან კარგად აისახა იქაც ეს თვისებები. უნდა გაახილო თვალი. ჩვენ აგერ საწვავი არა გვაქვს, ყანა ვერ მოგვიხნია და „პარადებს“ ვმართავთ. ვინ უნდა გააკვირვო შენ, ვინცხას გადაყრილი იარაღით?! იარაღს იგი რომ მოგყიდის, შენ მოგცემს საუკეთესოს?! აღარ უნდა იმას, უკეთესი აქვს, ახალი. შენ უნდა აჩვენო შენი შექმნილი, გაკეთებული, გამოგონებული.

— მერე, როგორ უნდა შექმნა ეს ყველაფერი?..

— ჰოდა, რომ არ შექმნი, ამიტომ გაჩუმდი ქე მაინც!.. რისი შემქმნელი ხარ, მით უმეტეს — საზღვარგარეთის ტექნიკას შენ დაეწევი?!. მაგრამ ყანას ხომ დათეს, ვენახს ხომ მოუვლი?!. ყურძენს კი არ ყიდულობენ — „აკეთებენ“ ღვინოს და აგზავნიან საცხა.

— მთავრობაც აღიარებს, რომ ღვინო ხშირად, ფალსიფიცირებულია...

— მაგაზე ვილაპარაკე ერთხელ, მერე რეკლამაში ჩოუდვიათ. მე სარეკლამოდ კი არ ვლაპარაკობდი — როგორ იწევდა ყურძენს ჩვენი წინაპარი... საწნახელს რომ გარეცხავდა, მერე — ტილოთი აშრობდა, წყალი რომ არ ჩარჩენილიყო... ახლა, ვაკეთებთ მასე?.. ასე თუ გააგრძელებ, ყველაფერი წინ დაგხვდება. „წინ“ — ჩვენ არ გვაქვსო და იმიტომ იქცევიან ასე: მხოლოდ დღეს ვართო!.. ვინცხა მომადგა: რესტორანი გავხსენითო გეგუთში თუ საცხა და დაგვესწარით გახსნაზეო. — რა დაგესწროთ, — მე ვუთხარი, — ქეიფობთ? არ იცით, ქვეყანა რომ გვექცევა-მეთქი? — ვიცითო. — აბა, რაშია საქმე-მეთქი? — ვასწრებთო...

— სანამ ბოლომდე დაქცეულაო?

— ასეა. გათვლილია მაგი უკვე. 2050 წლისთვის დაქცეული ვიქნებით, თუნდაც ხელი არავინ გვახლოს და არ დავხოცოთ ერთმანეთი — მაინც. ამის გაცნობიერება რომ არ გინდა, დღეს იმიტომ ხარ ასე. შენისთანა ქვეყნები დაიქცა? სადაა ფინიკია? ვინ ასწავლა წერა-კითხვა მსოფლიოს? არ გინდა თვალის გახელა? იმას თუ არ ექნებოდა ეკონომიკა, ვერც მეცნიერებას და ხელოვნებას შექმნიდა — ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ საცხა, ეტყობა, შეეშალათ რაღაცა ზნეობაში და დაიღუპეს თავი. გადაჰყვნენ მაგას აქადები, შუმერები. ზურაბ ქაფიანიძე გიშველის მარტო?!. ერთი შუმერის მეტი არ დარჩა მსოფლიოში. რომ ვაკეთებთ ჩვენ ამ ინტერვიუებს, მაგასაც აზრი არა აქვს — ან არ კითხულობენ, ან, თუ კითხულობენ, ვერ აცნობიერებენ. ილაპარაკე, რამდენიც გინდა... არ ვიცით, არაფრის კეთება. ეს არ არის მარტო. რისი ღირსიცაა ქვეყანა, იმნაირი მთავრობა ჰყავს. ის შენგან ამოტივტივდა ხომ?.. ცუდია თუ კარგია, მაინც შენი წიაღიდან მოდის. ჯერ კოლექტივებმა *(კოლმეურნეობა. —ავტ.)* დაგვღუპა — შეაძულეს გლეხს მიწა. გლეხი თუ არ იქნება, მიწაც არ იქნება. მიწა წავართვით გლეხს, გადავაჩვიეთ. რომ უყვარდა, იმიტომ უვლიდა. პაპანაქება სიცხეში მზე რომ ზენიტში იყო, თოხი ეჭირა ხელში. ისე, ტყუილად რომ დადგე და ხელიც გაანძრიო, დაგარტყამს მზე და წაგაქცევს — ის კი, თან თოხნიდა!.. ამაში იყო მიწის სიყვარული! სიყვარული ყველაფერზე მაღლა დგას, ყველაფერზე ძლიერია. ეს მოიშალა — ვინ დადგება ახლა თოხით ხელში მზეზე?! დამდგარა ეგერ და ყიდის ჭყინტ ყველს. ეუბნებიან — შედი ბაზარშიო, — არ შედის. ის ყველი რაფერ იჭმება?

— ხომ ჭამს ხალხი!

— ჭამს, მარა ხალხი აღარაა. რასაც ჭამ შენ და რისგანაც მოდიხარ, ის ხარ. ეგ რა ჭამაა?! ჭამ კი არა და, უზომოდ ჭამ. ჩვენში კაცი იმით ფასდება, რა პურს ჭამს.

— მჭამელი რომ იყოს, საჭმელი უნდა ჰქონდეს. დღეს საქართველოში უამრავი მშიერი ადამიანია: არა მგონია, უფასო სასადილოებში ბევრი საჭმელი დაახვედრონ...

— რა არის ეგ უფასო სასადილოები? ჩვენ ყოველთვის ძალიან გვიჭირდა, მაგრამ უფრო მეტად, მათხოვრობა გვიჭირდა. მაგი კი არა, ქალს თავისი ძროხა რომ მოეწველა და ყველი წაეღო ბაზარში, იმაზე იტყოდნენ — ოჯახში არ შეიშვებაო. ის განა უწესობას სჩადიოდა, მაგრამ — მაინც... ყველაფერი იქიდან მოდის, რის შემქმნელი ხარ და მერე — რისი პატრონი. შეიძლება, თვითმფრინავი ვერ გააკეთო და ამიტომ — შემოიტანო, მაგრამ მანქანას მაინც უნდა აკეთებდე. მანქანას თუ ვერ აკეთებ, ტრაქტორი მაინც გააკეთე!.. მოვშალეთ ყველაფერი და გადავყარეთ წყალში. არც ვარგოდა. ქუთაისში რომ ავტომანქანას უშვებდნენ, გამობმული მიჰყავდათ — თავისით ვერ მიდიოდა... ქუთაისში, გამიგონია, მაგრამ თვითონ არ ვიცნობდი (დიდი ხნის ამბავია), ცხოვრობდა ბუკოვსკი — წარმოშობით პოლონელი, აქ გადმოუსახლებიათ. ვაუკაცი, ქართველი ყოფილა ზნეობით. რომ ნახავდა მათხოვარს, თუ ქართველი იყო (მაშინ, ქართველი იშვიათად მათხოვრობდა), სულ პანღურის ცემით გააგდებდა: თუ სხვა ეროვნების იყო, — ფული რომ არ ჰქონოდა, ისესხებდა და აჩუქებდა: ასე იარა შენმა გვარმა და ჯილაგმაო!.. პატივს ვცემ ამ ერთი ფრაზით იმ კაცს. ოთარ სულაბერიძე იყო კიდევ — კალათბურთელი, ვაუკაცი კაცი. ბინა რომ მისცეს, სამოთახიანი, ჩამოდიოდა ორდერით ხელში და ნახა — ქალი კიოდა: შვილები მყავს და ბინა არ მომცესო!.. ამოიღო ჯიბიდან ოთარმა ის ორდერი და მისცა იმ ქალს. თვითონ, ერთოთახიანში ცხოვრობდა. სუფრაზე სმა-ჭამა რომ ვახსენე. ქართული სუფრა, საერთოდ, აკადემიაა. ზნეობრივია, ქალის უდიდესი პატივისცემა თუ იგრძნობა. ქუთაისში ყოფილა ვინმე დადეშქელიანი. ალბათ, XX საუკუნის დასაწყისი იქნებოდა, ქალები თეთრ კაბებში ყოფილან გამოწყობილნი. სუფრაზე დადეშქელიანი თამადობდა. სვამს, თურმე, აზარფეშით მანდილოსნების სადღეგრძელოს და ამ დროს, დაასლოკინა; გაუვარდა ხელიდან ეს აზარფეშა და წითელი ღვინო გადაესხათ იმ მანდილოსნებს. ატყდა წივილ-კივილი... ბოდიში მოიხადა დადეშქელიანმა, გარეთ გავიდა, იკრა ტყვია და მოიკლა თავი. ეს არის ვაჟკაცობა!.. ამდენი ჟურნალ-გაზეთი რომაა და ჭორაობენ გაუთავებლად, — ნუ აყვებით ჭორაობას. ვინცხას ამერიკაში, ჰოლივუდში რაცხა უთამაშია, ცხრა საყვარელი ჰყოლია და მეცხრესთან შვილი შესძენია — რა ჩემი საქმეა?! ეს მისი ცხოვრებაა, რატომ ურევთ ხელს?! ეს უზრდელობაა ჯერ ერთი. ჩვენ ვნახოთ საქმე — რას ქმნის. „სახარება“ გვეუბნება — „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“ — შენმა უზნეობამ კი არაო!.. შეიძლება გაგიკვირდეთ — სად სცალია ამ კაცს, რომ გვებჟუტურება რაღაცას, მაინც არაფერი გვეყურებაო. მე ვალდებული ვარ — ეს დაუწერელი კანონია, რომელსაც არ ვაცნობიერებთ — გასწავლო, გაგიკეთო, ვიზრუნო შენზე; ხელი კი არ უნდა აგიქნიო! შენ ჩემი ხარ, უნდა გაგზარდო და მერე ვთქვა, მომწონხარ თუ არა. არ გასწავლო, არ მიგითითო და მერე, ცუდი ვილაპარაკო, მეორე დანაშაულს ჩავიდენ. ამას ჩვენ ვფიქრობთ? არ გვაქვს ფიქრის თავი...

— ბატონო ოტია, ნუთუ, გინდათ თქვათ, რომ მცირედი სინათლეც არ ჩანს?!.

— სინათლე თუ არის, იმას სხვაც დაინახავს, გაიძახიან — იმედი უნდა იქონიოო, — მაგრამ რისი იმედი, — ამას არ ამბობენ... მე არც ოპტიმისტი ვარ და არც — პესიმისტი. ოპტიმისტი ამბობს: ეს ნივთი ოქროსიაო, პესიმისტი ამბობს: სულ არაფერი დევს წინო. მოიცა, კაცო, რაც გიდევს, ის დაინახე, არ უნდა მიმატება. გაბრწყინდებაო, — ამბობენ. სად გაბრწყინდება? მაშინ უნდა თქვა: ამის გამო, აი, ეს რომ გაკეთდება, ეს გაანათებსო. მაგრამ, თუ არ გაანათა?.. რომ ამბობ: იმედი მაქვს, კვესი აინთებაო, — კვესი სადაა? შექმენი კვესი (ეს ის არის, რასაც თქვენ სანთებელას ეძახით), იზრუნე ამაზე; თუ ეს გაკეთდება, მაშინ იქონიე იმედი, რომ გაანათებს. თუ ამას არ აკეთებთ, მაშინ — სულელი ხარ... შენ ახლა ყანაში უნდა იღებდე ჩემგან ინტერვიუს. გალაკტიონმა ხომ თქვა ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამულიო?! — მე კიდევ, გეუბნებით: მინა თუ კოჭებამდე მაინც არ შემოიყარე ფეხებზე, ისე მამული, ვერ გაიგებ, რა არის.

■



სინათლე თუ არის, იმას სხვაც დაინახავს, გაიძახიან — იმედი უნდა იქონიოო, — მაგრამ რისი იმედი, — ამას არ ამბობენ...

ტესტი მრუდიციაზე

1. სად ცხოვრობს ამჟამად, წარსულში ცნობილი ქართველი მოკრივე, ევროპის ჩემპიონი დავით კვაჭაძე?

ა) მოსკოვში;
ბ) სანქტ-პეტერბურგში;
გ) ფოთში.

2. მსოფლიოში არსებული 2000 ყურძნის ჯიშიდან რამდენი ხარობს საქართველოში?



ა) 500;
ბ) 1500;
გ) 90.

3. არყის სასმელ პატარა ჭიქას ეწოდება:

ა) წრიპა;
ბ) ტოლჩა;
გ) წრუტო.

4. რას უწოდებენ „ატმისებრ მერილინ მონროს“?

ა) ნაყინის სახეობას;
ბ) ვარდის ერთ-ერთ ჯიშს;
გ) ხილის სალათას.

პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – კრისტი
რესპონდენტი – ნუკა კაციტაძე

ყველაფერს თავისი დასაწყისი აქვს და სანამ კონკურსის — „მის საქართველო“ — ჩატარება გახდებოდა შესაძლებელი, უფრო მოკრძალებული პაექრობები იმართებოდა. ამგვარად, XX საუკუნის 80-იან წლებში უფრო კონკრეტულად კი — 1985 წლის 20 მაისს, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გამართულ ღონისძიებაზე „სილამაზის დედოფლის“ არჩევა გადაწყვიტეს. დედოფალი, 21 წლის ნუკა კაციტაძე გახდა. მას მერე 20 წელზე მეტი გავიდა... დღეს ქალბატონი ნუკა, მოდელ კრისტისთან ერთად, რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ — წარსულს იხსენებს.

ოლეოლები

ეიტნი ჰიუსტონისა და პენელოპე კრუსის ქართველი „ტუდისცალები“, პირველი „მის საქართველო“ და კრისტის კოცნა ტუბებში

— ნუკა, უკვე 21 წელი გავიდა, რაც „სილამაზის დედოფლის“ ტიტული მოგანიჭეს. 1985 წლის 20 მაისს, შენ ყველაზე ლამაზ გოგონად დაგასახელეს. შეიძლება ითქვას, რომ პირველი „მის საქართველო“ ხარ... როგორ მოხდა ეს ყველაფერი?

— თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა რექტორმა — ქალბატონმა ეთერ გუგუშვილმა დამიბარა და მთხოვა, მონაწილეობა მიმეღო კონკურსში, რომელიც რესპუბლიკის მოედანზე უნდა ჩატარებულიყო. ეს იყო კონკურსი — „მის საქართველო“, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელს ამ კონკურსში ლამაზი სტუდენტი გოგონა, თავისი დედოფალი უნდა ჩაერთო. შენ ჩვენი ინსტიტუტის სახელით უნდა გამოხვიდეო — დაჟინებით მთხოვდა ქალბატონი ეთერი. სიმართლე გითხრათ, ამ წინადადებას აღფრთოვანებით არ შევხვედრივარ. ჩემი პროფესია მსახიობობა იყო და მერჩივნა, ამ სფეროში „დავხარჯულიყავი“. ასეთ თავყრილობებს მაქსიმალურად ვერიდებოდი, მაგრამ რექტორმა ისე მთხოვა, რომ ჩემი ყოყმანის მიუხედავად, მაინც დავთანხმდი. კონკურსამდე, ფაქტობრივად, ორი დღე იყო დარჩენილი. მოსამზადებლად დრო თითქმის არ მქონდა. ამიტომ, დღის წესრიგში კოსტიუმის პრობლემა დადგა. ყველა ინსტიტუტი რაღაც კოსტიუმირებული სცენით უნდა წარმდგარიყო მაყურებლის წინაშე. მე ინგლისის დედოფალი უნდა განმესახიერებინა. საოცრად მოკლე დროში, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული კოსტიუმის შექმნა-შეძენა ვერ შევძელი. ახლობელმა თეთრი ქსოვილი, ორ სამკუთხედად დაჭრა, ტანზე შემომახვია და „ბულავკებით“ დამიმაგრა. იმის გამო, რომ ეს კოსტიუმი სანდო არ იყო, უხერხული მოძრაობის შედეგად შეიძლებოდა, შემომხსნოდა, ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის, საცურაო კოსტიუმი ჩავიცვი. კონკურსზე მისვლა დამაგვიანდა, რადგან, ფეხსაცმელს, რომელიც უნდა ჩამეცვა, შესაკრავი გაუწყდა. საშინელ დღეში ჩავვარდი. რესპუბლიკის მოედანზე მელოდნენ... მერე, უეცრად გამახსენდა, რომ ჩემს კარის მეზობელს ზუსტად ჩემნაირი ფეხსაცმელი ჰქონდა და დასახმარებლად მას მივაკითხე. როცა მან გაიგო, ჩემი აღელვების მიზეზი, შეწუხებულმა მითხრა — ჩემს ცალ ფეხსაცმელსაც აწყვეტილი აქვს გადასაჭერი, მაგრამ ბედად, ისე მოხდა, რომ მისი მარჯვენა ფეხსაცმელი იყო დაზიანებული, მე კი მარცხენა მჭირდებოდა. ჩავიცვი ცალ-ცალი „ბასანოშკი“ და გულამოვარდნილი მივედი რესპუბლიკის მოედანზე, სადაც მთელი ინსტიტუტი მოუთმენლად მელოდა. რეპეტიცია სრულდებოდა, უამრავი ხალხი იყო შეკრებილი, თითქმის ყოველ კონკურსანტს მღელვარება ეტყობოდა. იქვე იყვნენ ჩემი მეგობრები თეატრალური ინსტიტუტიდან, რომლებიც ინსცენირებაში მონაწილეობდნენ...

— როგორც ვიცი, შენს კურსზე სწავლობდნენ — ნანა შონია, ნანუკა ხუსკივაძე, მერაბ ნინიძე...

— დიახ, ერთ პერიოდში ვსწავლობდით. ჩვენთან იყვნენ ასევე გიო გურგულია, ზაზა პაპუაშვილი, ბესო ბარათაშვილი, მთელი ნაღები ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობებისა...

— მართალია, იმ კონკურსზე დიდი სიამოვნებით არ მისულხარ, მაგრამ გამარჯვების იმედი სულ არ გქონდა?

— არა, მაგაზე არ მიფიქრია. სხვათა შორის, სანამ სცენაზე გავიდოდი, იქ იყო ცნობილი მოთხილამურე, კობა წაქაძე (რომელიც ჩემს წინა კურსზე სწავლობდა სარეჟისორო ფაკულტეტზე), მან მითხრა: ნუკა, გული ნუ დაგწყდება, თუ ვერ გაიმარჯვებ, რადგან შენ უკვე დაბერდი; ჩვენ ვიცით, ვინც გიმარჯვებსო... არადა, რა დროს სიბერე იყო, მაშინ 21 წლის გახლდით, სრულიად ახალგაზრდა. სცენაზე გამოსვლის შემდეგ, ჟიურის საუკეთესო უნდა დაესახელებინა. დადგა ეს წუთებიც. რა თქმა უნდა, მონაწილეებში მღელვარებამ იმატა. მე საერთოდ არაფერს განვიცდიდი. უეცრად, ყურში ჩამესმა ხმა: „12-დან 12 ხმით, გაიმარჯვა ნუკა კაციტაძემ!“ — გავიგონე, მაგრამ ადგილიდან არც დავძრულვარ... ამ დროს, ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთი სტუდენტი (ის, ვინც შექსპირს განასახიერებდა) მომვარდა, ხელში ამიტაცა და კვარცხლბეკზე დამაყენა... თავზე დაფნის გვირგვინი ჩამომაცვეს, ყველა გამარჯვებას მილოცავდა. ვერ ვხვდებოდი, თუ რა ხდებოდა. თუმცა, ზოგიერთი ინსტიტუტის დედოფლის შურიანი მზერა არ გამომრჩენია... თაიგული, რომელიც მაჩუქეს, ყველა კონკურსანტს გავუნაწილე, მაგრამ ერთი-ორმა ის ყვავილი დაფლითა და უკან მესროლა — დაიბოღმნენ.

— კიდევ რით დაგასაჩუქრეს?

— მხოლოდ დაფნის გვირგვინით, ეს იყო ერთადერთი ჯილდო. მაშინ ავტომანქანებით, ბინებითა და ბრილიანტისთვლიანი გვირგვინებით არ აჯილდოებდნენ. მინდა გითხრა, რომ ის დაფნის გვირგვინი საკმაოდ მძიმე იყო.

— რა უყავი იმ გვირგვინს?

— მას მერე, რაც დედოფალი გავხდი, მალე გავთხოვდი. მომიწია სამზარეულოსთან დაახლოებამ, კერძების მომზადებამ... ერთხელაც, დაფნის ფოთოლი დამჭირდა და არ მქონდა. მაშინვე თვალი იმ გვირგვინისკენ გამექცა, რომელიც კედელზე მქონდა დაკიდებული. ისე მოხდა, რომ ის დაფნის გვირგვინი წლების განმავლობაში, დაფნის ფოთლებით „მამარაგებდა“. სულ ბოლოს, დარჩა ფოთლებშემოძარცული ღეროების წნული...

— ალბათ ის წარმატებული დღე, ფოტო და ვიდეოფირებმა შემოინახა...

— სამწუხაროდ, ვერა, რადგან მაშინ, ამდენი ჟურნალ-გაზეთი, ამდენი ტელეარხი არ იყო. მხოლოდ ერთი ისტორიული ფოტო მაქვს და ისიც — უხარისხო, ბუნდოვანი... თუ ვინმეს თავისთვის სამოყვარულო კამერით აქვს ეს დღე გადაღებული და შე-

მეხმიანება, ძალიან გამიხარდება.

— როგორც აღნიშნე, იმწუთას, როდესაც გამარჯვებულად დაგასახელეს, მაინცდამაინც დიდი ემოციები არ გამოგიხატავს. საბოლოოდ, როდის გააცნობიერე, რომ დედოფალი იყავი?

— მაშინ, როდესაც ტელეგადაცემა გაკეთდა და ჩემი თავი ეკრანზე ვიხილე. სხვათა შორის, მაშინ, ცოტა შემეშინდა, ვთქვი კიდეც — ნეტავ, როგორ გავბედე და გავედი ამ კონკურსზე, ხომ შეიძლებოდა, რომ არ გამემარჯვა-მეთქი?!

— ტიტულიან დედოფალს — „მის საქართველოს“ ქალაქში გცნობდნენ? როგორ გეხვდებოდნენ?

— თბილისი — პატარა ქალაქია. მეორე დღესვე დიდი აჟიოტაჟი ატყდა. მახსოვს, ინსტიტუტში ვიღაც ქალი მოვიდა და მეძებდა — ნუკა კაციტაძე მაჩვენეთ, ბიჭი მყავს დასაქორწინებელი და ნუკა სარძლოდ მინდაო... ერთხელ, ტროლეიბუსში ვიჯექი და ინსტიტუტში მივდიოდი. ჩემ წინ ქალები ისხდნენ და ყური მოვკარი, რომ ჩემზე ჭორაობდნენ... სხვათა შორის, ძალიან გვამსგავსებდნენ ერთმანეთს მე და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის (მაშინ ასე ერქვა სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტს) კონკურსანტს, ნანა რომელაშვილს, რომელიც იმ კონკურსზე თავის ინ-

ვგრძნობდი, თუ როგორ ავლებდნენ პარალელს ჩემსა და ჰიუსტონს მორის

სტიტუტს წარმოადგენდა. ამიტომ, მას პასპორტით უწევდა სიარული, რათა დაემტკიცებინა, რომ ნუკა კაციტაძე არ იყო. მხოლოდ ის იყო, რომ ნანა ჩემზე ცოტათი დაბალი გახლდათ. ნანა დღეს ესპანეთში ცხოვრობს.

— დედოფლობამ სიამაყე, ამბიცია არ შეგმატა?

— მე რომ ამბიციური ვყოფილიყავი, ცხოვრებაში უფრო მეტს მივაღწევდი. გამარჯვებას, რომელიც წილად მხვდა, ვიმეორებ, არც ველოდი და ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. მსახიობი ვიყავი და ჩემთვის უფრო ღირებული, ამ პროფესიაში მიღწეული გამარჯვება იქნებოდა. მთავარი მაინც მსახიობობა იყო, მაგრამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მალე გავთხოვდი, ბავშვები შემეძინა, ამას ისიც დაემატა, რომ დიდხანს რუსეთში ვცხოვრობდი და კარიერაში ხელი შემეშალა. გათხოვებამდე ჩემი „დედოფლობით“ კი არა, ჩემი პროფესიით „ვიპრანჭებოდი“.

— როგორც ვიცი, მაინც მოასწარი მსახიობობა, ამასთან, მოდელობაც დაიწყე...

მსიამოვნებს, როდესაც ჰიუსტონს მადარებენ

— ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ვითამაშე არაჩვეულებრივ სპექტაკლში — „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია“, მთავარი როლი მქონდა. ამის შემდეგ, გიზო ჟორდანიამ, რომლის ჯგუფის ბაზაზეც რუსთაველის თეატრის მცირე დასი ჩამოყალიბდა, მეც მიმიწვია (მე ინსტიტუტში, რეზო მირცხულავას ჯგუფში ვსწავლობდი). უნდა დაედგათ სპექტაკლი, რომელშიც მეც მქონდა როლი. ჩემს პერსონაჟს გამართულად, სწორად სიარული უნდა სცოდნოდა — დაახლოებით ისეთი, როგორიც მოდელს. ამიტომ ნატაშა სამადალაშვილთან მივედი და მასთან ინტენსიური მეცადინეობა, ვარჯიში დავიწყე. ისე მოხდა, რომ რამდენიმე ჩვენებაშიც მივიღე მონაწილეობა.

— დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. ვიცი, რომ ბევრი ადამიანი უტნი ჰიუსტონს გამსგავსებს, მათ შორის — მეც. ერთხელ, საშუალება მოგეცა, პირადად შეხვედროდი მომღერალს და მასთან სურათიც გადაგეღო. როგორი შეგრძნებაა, როდესაც ასეთი დონის ვარსკვლავს გადარებენ?

— მსიამოვნებს, როდესაც ჰიუსტონს მადარებენ, რადგან ძალიან მიყვარს ეს მომღერალი. აგრეთვე, მომწონს, როგორც ქალი. მართალია, ახლა ცოტა აერია ცხოვრება, რადგან ნარკოტიკებს მიეძალა, მაგრამ შეუძლებელია, რომ ეს ქალბატონი, თავისი საოცარი ხმით, კარგი ადამიანი არ იყოს... ჩემთვის, ქართველი ხარო, არავის უთქვამს, გამუდმებით მას მამსგავსებენ. მოსკოვში, იქაური მეგობრების დახმარებით, საშუალება მომეცა, უიტნი ჰიუსტონი მენახა. მათ მის კონცერტზე დარბაზ „როსიაში“ დამპატიჟეს. ჩემს ბედნიერებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მის ორივე კონცერტს დავესწარი. სხვადასხვა ქვეყნიდან მისი უამრავი თაყვანისმცემელი მოსკოვში იყო ჩასული. მასთან სამახსოვრო ფოტოც გადავიღე. ჩემი მეგობრები ამაშიც დამეხმარნენ. როდესაც უიტნის სიახლოვეს აღმოვჩნდი, ირგვლივ მყოფები ინტერესით მაკვირდებოდნენ, ვგრძნობდი, თუ როგორ ავლებდნენ პარალელს ჩემსა და ჰიუსტონს შორის. ის კი არა, მისმა პირადმა მცველმა, მსუქანმა ტიპმა, თვალი ვერ მომწყვიტა, რაზეც მეცინებოდა... უიტნისთან სურათის გადასაღებად შესულს, მოსკოვში მოღვაწე ქართველი მომღერალი, თეონა კონტრიძე შემყვა, რომელმაც მომღერალს უთხრა — ეს „ქართველი უიტნიაო“. ჩვენ ამ დროს, წამიერად ერთმანეთს თვალი თვალში გავუყარეთ. ეს არასდროს დამავიწყდება...

— ახლა, თქვენს სურათს რომ ვუყურებ, შენ და უიტნი მართლა ტყუპისცალები მგონიხართ...

— (*იცინის*)... ახლოს რომ ვნახე, რატომღაც დამაინტერესა მისმა სიმაღლემ. თურმე, თითქმის ერთი სიმაღლისანი ვართ — მეტრი და 77-78 სმ. ჩემმა ქალურმა ინტუიციამ — ისიც მიკარნახა, რომ მას უფრო მუქი ფერის კანი აქვს, ვიდრე ეკრანზე ჩანს. უბრალოდ, ისეთ მაკიაჟს უკეთებენ, რომ მისი კანის სიმუქე იმდენად აღარ ჩანს... კიდევ ერთხელ ვიმეორებ — გული მწყდება, რომ ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი სუსტი ნებისყოფის აღმოჩნდა და ნარკოტიკებმა დაიმონა... მთელი კონცერტის განმავლობაში, სიმღერასა და სიმღერას შორის პაუზებისას, ის ღმერთზე, მშობლებზე, შვილებზე, ქმარზე, სიყვარულზე ლაპარაკობდა, იხსენებდა წარსულს, თან — ტიროდა...

— ნუკა, მოდი, ახლა გაგვიზიარე შენი მოსაზრება ქართულ მოდაზე — შენ ხომ ქართულ სამოდელო სამყაროსთან ახლოს ხარ. ჩვენ სამოდელო სააგენტოსთანაც თანამშრომლობდი.

— მოდაში აკადემიური სტილი მიყვარს, რა თქმა უნდა — თანამედროვე ელემენტებით. არ მიმაჩნია, რომ ნებისმიერი მოდა, სტილი ლამაზი და მისაღებია. მე და ჩემი შვილები თანამედროვე, თინეიჯერულ ჩაცმულობაზე სერიოზულად ვკამათობთ. მათ ჩაჩაჩული, მოშვებული სტილის ტანსაცმელი მოსწონთ. ჩემთვის მისაღები ის სტილია, რომელიც მიხდება.

კარგად ვუგებთ ერთმანეთს

ჟურნალისტი – ნუკა კაციტაძე
რესპონდენტი – კრისტი

— მე თუ უოტნის ჰიუსტონს მამსგავსებენ, შენ — პენელოპა კრუსს. ამის შესახებ შენთვისაც არაერთხელ უთქვამთ.

— კი, უთქვამთ, მართალია. ზუსტად ახლა დავბრუნდი იქიდან, სადაც ინგლისელმა ფოტოგრაფმა სურათები გადამიღო ერთ-ერთი ჟურნალის ახალი პროექტისთვის, რომელიც მსოფლიო ვარსკვლავების ორეულ, ცნობილი ქართველი ქალების სურათების სერიას ითვალისწინებს. ბოლო დროს, ინდოეთსა და ისრაელში ვიყავი. ორივეგან მქონდა შემთხვევა, როდესაც ქუჩაში გამაჩერეს და მითხრეს — პენელოპა კრუსს ჰგავხართო. ადრე, მოსკოვში, როცა „ფეშენ უიკზე“ დავდიოდით, მაშინაც უთქვამთ... სასიამოვნოა, როცა ასეთ ვარსკვლავს გადარეტენ. კარგი ქალია პენელოპა, ლამაზი. მაგრამ მე მაინც



მქონდა შემთხვევა, როდესაც ქუჩაში გამაჩერეს და მითხრეს – პენელოპა კრუსს ჰგავხართო

სიამოვნებით გადავიღებდი მასთან ერთად სამახსოვრო ფოტოს

კრისტი ვარ, ჩემი სახასიათო შტრიხებით *(იღიმება)*..

— რა თქმა უნდა, კრისტი ხარ — ისევე, როგორც მე — ნუკა ვარ. უბრალოდ, ერთიცა და მეორეც რაღაცით ვგავართ ვარსკვლავებს *(იღიმება)*. გაქვს თუ არა შანსი, რომ მას შეხვდე და მასთან ერთად ფოტო გადაიღო?

— არ ვიცი, თუმცა, სიამოვნებით გადავიღებდი მასთან ერთად სამახსოვრო ფოტოს და პირადადაც გავიცნობდი.

— პენელოპა შენი საყვარელი მსახიობია?

— მიყვარს მისი მონაწილეობით გადაღებული პედრო ალმოდოვარის ფილმები. მას მერე, რაც ის ჰოლივუდის ფილმებში გადაიღეს, ისე აღარ მხიბლავს.

— კრისტი, ცნობილი მოდელი ხარ. რა მოგიტანა შენმა არჩევანმა — გამხდარიყავი მოდელი, თავი პოდიუმზე გამოგეცადა? ამ გადასახედიდან, როგორ ფიქრობ, სწორი იყო ეს არჩევანი?

— ძალიან მომწონს და მიყვარს ჩემი საქმე. უკვე 12 წელია, რაც მოდელი ვარ. 13 ნოემბერს, ორ წელიწადში 15 წლის „იუბილეს“ გადავიხდი *(იცინის)*.. თავიდან ყველაფერი ჰობით დაიწყო, მერე — პროფესიონალურ საქმიანობაში გადაიზარდა. წლების განმავლობაში, ეს საქმე ჩემთვის შემოსავლის წყარო იყო. ახლა, ისევ ჰობის დონეზეა. ჩვენს სააგენტოში უკვე მერამდენე თაობა მოვიდა, მაგრამ მე მაინც გამოვდივარ მათთან ერთად პოდიუმზე. რა მოგიტანაო მოდელობამ? — მკითხე. ისევე, როგორც მსახიობი, მეც დავავადდი სცენის სენით, მას შემდეგ, რაც მისი მტკვერი შევისუნთქე. ამ სენისგან თავის დაღწევა და განკურნება ძნელია. მიყვარს სცენა, პოდიუმი, ფოტოობიექტივი... მოდელობას ჩემთვის ცუდი არაფერი მოუტანია, ამ პროფესიის საშუალებით ხალხმა გამიცნო, პოპულარული გავხდი. შესაბამისად, ხალხის სითბო და სიყვარული შევიგრძენი, რაც უდიდესი სტიმულია. სერიოზული გამოცდილება დამიგროვდა.

— მომავალში შენი საკუთარი სამოდელო სტუდიის გახსნას ხომ არ აპირებ, სადაც მომავალ მოდელებს შენს გამოცდილებას გაუზიარებ?

— არ მიყვარს რაღაცების წინასწარ დაგეგმვა, რადგან რაც დამიგეგმავს, არაფერი გამომსვლია. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი თავისით ხდება. მოდელიც შემთხვევით გავხდი და გამიმართლა. მაქსიმალურად ვიხარჯებოდი... ამჟამად ვერაფერ კონკრეტულზე ვერ ვფიქრობ... ჩემი ბედისა და იღბლის მჯერა. ახლა ძალიან მინდა, უფრო მეტი დრო ოჯახს, შვილს მოვახმარო, მათ მივხედო. ქალი იმისთვის იბადება, რომ ბავშვები გაზარდოს, მათ დაახარჯოს თავისი ენერგია.

— ბავშვებიო, თქვი. მეორე შვილის გაჩენას ხომ არ აპირებ?

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ: როგორც ღმერთი ინებებს, ისე იქნება. ვიმეორებ — არაფერს ვგეგმავ.

— ნუთუ, ასე, თავისით ხდება ყველაფერი?!

— დამიჯერე, რომ ჩემს ცხოვრებაში ასეა.

— პოდიუმზე 12-წლიანი საქმიანობის პერიოდიდან რაიმე სასაცილო შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებდი?

— ბევრი რამ შემმთხვევია, მაგრამ გასული წლის დეკემბერში, დიზაინერ თამუნა ინგოროყვას ჩვენებზე „შარდენ ბარში“, საოცარი რაღაც შემემთხვა, რაზეც მერე, ყველა ლაპარაკობდა: პოდიუმზე ცხოვრებაში პირველად დავეცი — ხელოვნური თოვლის მასაზე დამიცურდა ფეხი. იქვე ბედად, ჩემი ქმარი იდგა, რომელმაც ხელში ამიყვანა, ტუჩებში მაკოცა და ჩამიხუტა. ატყდა ტაში, ყველას ეგონა, რომ ეს სცენარით იყო გათვალისწინებული.

— უცხოეთში კარიერის გაგრძელებაზე არასდროს გიფიქრია? ან იქნებ, ახლა გაქვს ამის სურვილი?

— ჩემს ასაკში (28 წლის ვარ) ალბათ, ამაზე ფიქრი აღარ შეიძლება. ადრე, სურვილიც მქონდა, უცხოელებისგან შემოთავაზებაც, მაგრამ საშუალება არ იყო, რომ დავთანხმებულიყავი. ოჯახს ვერ დავტოვებდი. მარტო ვერ წავიდოდი, თან, ამას სახსრებიც სჭირდება. ახლა, 14-15 წლის რომ ვიყო, შეიძლება წავსულიყავი...

■

„svetski“ maTxovrebi, Tamami Tineijerebi, „sakaifo“ saqmianoba da mosalodneli Ralati

ლიკა ქაჯაია

„თინეიჯერებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, მაგრამ შეეცადეთ, თქვენმა ერთობლიობამ უფროსი თაობის გაღიზიანება არ გამოიწვიოს. მეც თინეიჯერი ვარ და ვიცი, რასაც დღეს ვაკეთებთ, ეს სამარცხვინოა“, — მომწერა 17 წლის მარიმ, რომელიც თანატოლებთან ურთიერთობისას თავს გარიყულად გრძნობს, რადგან ვერც თვითონ ახერხებს ზედმეტად თამამი იყოს და ვერც თანატოლები უგებენ... ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო — რას აკეთებენ თინეიჯერები ისეთს, რომ მარის თანატოლების საქციელის რცხვენია, როგორ ერთობიან ისინი და ა.შ. ამ ბოლო დროს, ხშირად წააწყდებით „მათხოვარ“ თინეიჯერებს, რომლებიც ქუჩაში გამოპრანჭულები დგანან და ფულს ითხოვენ. რამდენიმე კვირის წინ, მეგობართან ერთად ვსეირნობდი და სამმა ასეთმა „მათხოვარმა“, ჩვენი ყურადღება მიიპყრო, რადგან მათ საუბარს მოვკარით ყური — გოგო, სულელი ხომ არა ხარ, რისი გრცხვენია? — მოეშვი, ხომ იცი, რომ არ იზამს. — ვითომ რატომ? — იმიტომ, რომ ფული არ მჭირდება და საერთოდ, ამას რა „მუღამი“ აქვს? — წამოდი და ნახავ, თუ არა და შორიდან გვიყურეო... უცებ, ერთ-ერთი მათგანი წინ გავარდა, უცხო კაცთან მივიდა და მოურიდებლად უთხრა: კაი კაცო, უკაცრავად, მაგრამ ვერ დამეხმარები? სულ 20 თეთრი მჭირდება. დაბნეულმა კაცმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, „მათხოვარს“ გაკვირვებულმა შეხედა, ჯიბიდან ქაღალდის ფული ამოიღო (რამდენი ლარი იყო ვერ გეტყვით) და გოგონას მიაწოდა. მან კი, მადლობაც არ გადაუხადა, ისე გაიქცა მეგობრებისკენ და მათ ამაყად უთხრა: აი, ასე უნდა მუშაობაო... ერთ ადგილას, თითქმის ნახევარი საათი ვიდექი და მათ ვუთვალთვალებდი. ისინი კი, გამვლელ-გამომვლელს თვალებით „ჭამდნენ“, დახმარებას სთხოვდნენ და თუ ვინმე არ „დაეხმარებოდა“, მას ზურგს უკან დასცინოდნენ. გოგოებმა ერთი ქალბატონის აგრესია დაიმსახურეს, რომელმაც მათ შეუტია და უთხრა: არ გრცხვენიათ? ისე გაცვიათ, როგორც კარგი ოჯახის შვილებს ეკადრებათ, თქვენ კი, მშობლების სახელს არცხვენთო და ა.შ. მაგრამ მისმა შეგონებამ ნაყოფი არ გამოიღო... გოგონები ჩემთანაც რომ მოვიდნენ, მათკენ ხელი გავიშვირე და დავასწარი — ხომ ვერ

დამეხმარებით-მეთქი?! ისეთი სიცილი ატეხეს, რომ ხველება აუტყდათ და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჩემთვის ლარიანი გაიმეტეს. ცოტა ხანში, ეტყობა, საკმარისი თანხა შეაგროვეს, რადგან ფული გადათვალეს, თვალები გაუბრწყინდათ და მაგარიაო — იყვირეს. მერე დიდხანს ბჭობდნენ რაღაცას... მათ უკან გავყევი, მიუხედავად ჩემი მეგობრის ბუზღუნისა — მოეშვი ამ სულელებს, გიჟი ხომ არა ხარო. შეიძლება, მართლაც გიჟი ვარ, მაგრამ ჩემზე დიდი გიჟების ამბის დასასრულმა გამიტაცა. გოგონები ერთ-ერთ პრესტიჟულ სახინკლეში შევიდნენ და ოფიციანტს მენიუც გამოართვეს, მერე 30 ხინკალი, 3 კათხა ლუდი, ხაჭაპურები და კიდევ რაღაცები მოითხოვეს და „შარაფის“ დასაწყისშივე, ლუდით ის ადამიანები დალოცეს, რომლებმაც მათთვის ფული გაიმეტეს. ვერ მოვითმინე და მათთან მივედი. მიცნეს — შენ აქ რა გინდაო? — გაუკვირდათ. ვუთხარი — ფული მეც მაქვს, მაგრამ თქვენთან ერთად მინდა ქეიფი და იქნებ „ჩაგვისასტავოთ“-მეთქი? პრობლემა არ არისო — მიპასუხეს და 2 სკამი თავიანთ მაგიდასთან მოაჩოჩეს. ნინი, თიკო და ნინჩო — ასე მიმართავდნენ გოგოები ერთმანეთს (სახელები უცვლელია. — ავტ.).

ნინი:

— რას შეჭამთ?

— ჯერ ის მითხარით, რა შევმატო თქვენს სუფრას?

თიკო:

— არაფერი არაა საჭირო, იმდენი ფული ვიშოვეთ, რომ ყველას გვეყოფა. შენ სხვა დროს დაგვპატიჟე.

ნინჩო:

— თან, იმდენი რაღაც ავიღეთ, რომ მთელი ერთი კვირა ვერ შევჭამთ.

— მართლა, ამდენი საჭმელი რად გინდოდათ?

თიკო:

— ხომ იცი, როცა ფული „შენი შრომითაა“ მოპოვებული გინდა, რომ ის ბოლომდე დახარჯო *(იცინიან).*

სახლში წასვლის წინ, ერთ ფლაკონ სუნამოს ეისსამ...

ნინი:

— თან, ფულს სახლში ხომ არ წავიღებთ?

— რატომ, ხვალაც იქეიფებდით.

თიკო:

— თუ მოვინდომეთ, ფულს ხვალაც ვიშოვით.

ნინი:

— ფული სახლში რომ მივიტანო, ხომ გაგიჟდებიან — საიდან გაქვსო?

— ოჯახის წევრები გაკონტროლებენ ხოლმე?

ნინჩო:

— ახლა არ მითხრა — მე რასაც ან ვისაც მინდა, იმას მივიტან ან მივიყვან სახლშიო?

— არა, მაგრამ...

— ჰოდა, რა გაიკვირვე? მოკლედ, ლუდს მოგიტანთ და ჩვენთან ერთად დალიეთ.

— ხალხს ლუდით რატომ ლოცავთ?

თიკო:

— აბა, რითი უნდა დავლოცოთ? ისინი მეტის ღირსები არ არიან. შტერები, ფულს იკლებენ და ჩვენ გვაძლევენ.

— მერე, ამიტომ არიან შტერები?

ნინჩო:

— კარგი, ერთი, ვითომ შენ გულზე გეხატებიან რა...

თიკო:

— მოიცა, რა, ნეტავი თქვენ.

ნინი:

— არა, უბრალოდ, ფულს რატომ გვაძლევენ, ვერ ვხვდები. რა, მართლა მათხოვრებს ვგავართ?

ნინჩო:

— შენც ხომ „მათხოვრობ“?

— არა, გოგოებო, მე ჟურნალისტი ვარ და თქვენით დავინტერესდი.

— აუ, ეს ზღაპრები სხვებს მოუყევი, რა.

თიკო:

— აუ, რა საკაიფოა, მართლა ჟურნალისტი ხარ?

— ჰო და მაინტერესებს, რატომ მათხოვრობთ?

— იმიტომ, რომ ამით „ვკაიფობთ“. ჩვენ „სვეტსკი“ მათხოვრები ვართ.

— სხვა გასართობი ვერ იპოვეთ?

ნინჩო:

— სხვა რით უნდა გავერთოთ? ფულს ვაგროვებთ, ბარში ან სახინკლეში მივდივართ, ვსვამთ, ვჭამთ და ხანდახან ბიჭებსაც გავიცნობთ ხოლმე.

ნინი:

— შენ რა, ჩვენს ჟურნალში „გამოჭენებას“ აპირებ? ჩვენნაირი იცი რამდენია? სხვებს რატომ არ გამოელაპარაკე?..

— დიდი ხანია, რაც „სვეტსკი“ მათხოვრები ხართ?

ნინჩო:

— მე და თიკო სტაჟიანები ვართ, ნინი კი, ახალბედაა. კიდევ რა გაინტერესებს?

— დღეში ყველაზე ბევრი რამდენი გიშოვიათ?

თიკო:

— ერთხელ, 95 ლარამდე ავედით და

თიკო იმ დღეს ისე დათვრა, რომ სახლში ხელით ავიტანეთ

მეგობარ ბიჭთან ერთად, მაგრად „ვიგრიალეთ“.

— „გრიალს“ რას ეძახით?

— ერთ-ერთ კლუბში წავედით და მაგრა გავერთეთ, რა...

ნინჩო:

— თიკო იმ დღეს ისე დათვრა, რომ სახლში ხელით ავიტანეთ.

— კი, მაგრამ მშობლებმა რა გითხრეს?

თიკო:

— რა უნდა ეთქვათ, ახალგაზრდები თვითონაც იყვნენ და ქეიფიც ხომ მაგრა უყვარდათ? ჰოდა ასე: ცოტა იბუზღუნეს, მერე კი, დამშვიდდნენ.

ცოტა ხანში, გოგოებს დავემშვიდობეთ და სახლისკენ წამოვედით. გზაში, ძალიან ბევრი „სვეტსკი“ მათხოვარი შეგვხვდა, რომლებიც 20 თეთრს გვთხოვდნენ — ფული აღარ დაგვრჩა, სახლში ვერ მივდივართ, იქნებ გაიმეტოთ და დაგვეხმაროთო. ვიცოდი, რომ ფულის არმიცემის შემთხვევაში დამცინებდნენ, მაგრამ თუ მივცემდი, მაშინ ლუდით დამლოცავდნენ...

თუ დისკოკლუბებში მოხვდებით, თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიქცევენ თამამი თინეიჯერები, რომლებიც სიგარეტსაც ეწევიან, სასმელსაც ეტანებიან და ბიჭებს ყელზეც ეკიდებიან. ერთ-ერთ კლუბში, თინეიჯერებს „ჩავუსასტავდი“...

— მშობლები კლუბში უპრობლემოდ გიშვებენ?

გიო:

— შენ რა, „გვეკაიფები“? რატომ არ უნდა გამოგვიშვან?

— რა ვიცი, აბა?..

— რაც არ იცი, იმაზე არ უნდა ილაპარაკო.

ეკა:

— რატომ, გიო? ბევრი მეგობარი მყავს,

რომელსაც საღამოს სახლიდან არ უშვებენ.

ნინი:

— მეც არ მიშვებენ ხოლმე, მაგრამ ახლა ეკას დედამ დაურეკა ჩემებს და მათი ხათრით გამომიშვეს.

გიო:

— ვა, მართლა? აბა, ჩემები არაფერს მიშლიან. მთავარია, იცოდნენ — სად ვარ, რას ვაკეთებ.

— და იციან რასაც აკეთებ?

— ისეთს რას ვაკეთებ, რაც მათ არ გაუკეთებიათ? — სიგარეტს, თავის დროზე მამაჩემიც ეწეოდა, გოგოებთანაც ერთობოდა და სახლში გვიან ბრუნდებოდა.

— შენ ეს საიდან იცი?

— საიდან და მათი მშობლებისგან ანუ ბებია და ბაბუისაგან. თუ სადმე არ მიშვებდნენ, ისინი ეტყოდნენ ხოლმე — თქვენი ამბავი დაგავიწყდათო? და მერე...

— გოგოებო, რამდენი წლის ხართ და დიდი ხანია, რაც სიგარეტს ეწევით?

ეკა:

— მე 14 წლის ვარ. სიგარეტს 4 თვეა ვეწევი. პირველად, სიგარეტი შეყვარებულმა გამასინჯა და „დამევასა“.

ნინო:

— მეც 14 წლის ვარ, მაგრამ ეკასგან განსხვავებით, „სტაჟიანი“ მწეველი ვარ — თითქმის 1 წელია ვეწევი.

— შენც შეყვარებულმა მოგაწევინა?

— არა, გოგოები ვისხედით და ვიფიქრეთ — მოდი, ვიყიდოთ, გემო გავუსინჯოთ და „ვიკაიფოთ“-თქო. იმის მერე, „დამევასა“ და დღეს, ჩუმ-ჩუმად ვეწევი.

— მშობლები ვერაფერს ხვდებიან?

— ვერა, იმიტომ, რომ სახლში წასვლის წინ, ერთ ფლაკონ სუნამოს ვისხამ *(იცინის)*.

— გიო თქვენი მეგობარია?

— არა, გიო ჩემი შეყვარებულია. უკვე, 2 წელია ერთმანეთზე ვგიჟდებით და სკოლას დავამთავრებ თუ არა, ცოლად გავყვები.

— გიო, შენი საცოლე სიგარეტს რომ ეწევა, ეს არ გაღიზიანებს?

გიო:

— რატომ უნდა გამაღიზიანოს? უნდა და ეწევა. პირიქით, მომწონს მწეველი გოგოები.

— ეკა, შენი შეყვარებული სად არის?

— წავიდა...

— სად წავიდა?

— მოუსვლელში... მოკლედ, მიმატოვა და სხვა შეიყვარა, მიღალატა, მაგრამ არა უშავს, ხომ გაგიგია — „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსაო“?

გიო:

— ჰოდა, ხომ მოვიდა კიდეც?

ეკა:

— *(იცინის)*. გიო ერთ ბიჭს მირიგებს. სადაცაა უნდა მოვიდეს. მეუბნებიან — მაგარი ტიპიაო. იმედია გამიმართლებს, თუ არადა, გასართობად აქ ვინმეს მოვძებნი. უკიდურეს შემთხვევაში კი, ნინოს ცოტა ხნით ვთხოვ პარტნიორს.

— ეს რას ნიშნავს?

— იმას, რომ გიოსთან ერთად ვიცეკვებ, მერე კი, ნინოს შეყვარებულს ისეთსავე უბიწოს ჩავაბარებ, როგორიც იყო *(იცინიან)*.

ზუსტად ნახევარ საათში, გიოს მეგობარიც მოვიდა. მე ისინი დავტოვე. დისკოთეკიდან წამოსვლის წინ, ეკას ვკითხე — მოგეწონა-მეთქი? მიპასუხა: მომეწონა კი არა, უკვე შემიყვარდა და იმედია, მასაც შევუყვარდებიო. მოკლედ, ასე ადვილად ახერხებენ ეს ბავშვები შეყვარებასაც და საყვარელი ადამიანის დავიწყებასაც. თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა ერთნაირი არ არის...

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! თუ შენ წაიკითხე ინტერვიუ, რომელშიც შენი თანატოლების ერთი დღეა არწერილი და ჩვენთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდა, შეგიძლია დაგვიმეგობრდე და ინტერვიუს გამოეხმაურო. საინტერესოა, რა განსხვავებას ან მსგავსებას ხედავ თქვენს თანატოლებს შორის? რა პრობლემები აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას? იყოფიან თუ არა თინეიჯერები რაღაც ჯგუფებად და ა.შ. შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 899 17-35-27.*

ეს ბიჭები

აჩიკო, *15 წლის:*

„პრივეტ!“ რა მაინტერესებს, იცით? ეს მომღერლები და ვიღაცები რომ გყავთ მოწვეული, ასე მგონია, რომ არც ერთ მათგანს, თინეიჯერული ასაკი არ ჰქონია. მართლა ასეთები არიან თუ ჰგონიათ, რომ ასეთი ლაპარაკით მეტ სიმპათიას დაიმსახურებენ?“

მარი, *17 წლის:*

„იცით, მე მართლა მშურს იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ: ბიჭს და გოგოს შორის მეგობრობა არსებობსო. ერთი ძმაკაცი მყავდა, ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, საჭმელს ერთად ვჭამდით, მან კი, მეგობრობაზე ხელი აიღო და როცა სახლში მარტოები ვიყავით, კოცნა დამიპირა და შემომთავაზა — არ გინდა, ჩემთან ერთად იყო? მე შენ ქალად გაქცევო. ამის შემდეგ, ვერც ერთ ბიჭს ვეღარ ვენდობი. თაყვანისმცემლებს ვაფრთხობ, მათთან ურთიერთობა მაშინებს... ასეთები არიან დღევანდელი თინეიჯერი ბიჭები“...

გიო, *14 წლის:*

„მე გოგოებს ვემდური. ისინი მარტო იმ ბიჭებს აქცევენ ყურადღებას, რომლებსაც ფული „ტომრით“ აქვთ. რა ვქნა, თუ მამაჩემს არც თანამდებობა აქვს, არც მანქანა ჰყავს და არც ბევრი ფული აქვს. ამიტომ შეიძლება, რომ ყველამ ზურგი შემაქციოს? გოგოებო, იცოდეთ, თქვენი საქციელი ბოლოს სანანებელი გაგიხდებათ!“

ლიკა, *18 წლის:*

„მართალია, თინეიჯერი ვარ და ჩემი ასაკის გოგო, საქართველოში მთლიანად დამოუკიდებელი ვერ იქნება, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ მშობლებმა ყველაფერი არ ამიკრძალონ? — საღამოს მეგობართან არ მიშვებენ, ინსტიტუტის შემდეგ, სახლში უნდა მივიდე, ბიჭი რომ დამირეკავს, გამოძიებას იწყებენ — ვინ იყო, რა უნდოდაო? ყურმილი მამაჩემმა თუ აიღო, მათ ისეთ რაღაცებს ეუბნება, რომ მეორედ დარეკვის სურვილი აღარ უჩნდებათ. მინდა, ჩემს მშობლებს (და არა მარტო მათ) ვუთხრა, რომ თუ რამის გაკეთება მინდა, ისედაც გავაკეთებ (თუნდაც, სახლში ან ინსტიტუტში). ჯობია, ცოტაოდენი თავისუფლება მოგვცეთ, რომ მერე საქმე სანანებლად არ გაგიხდეთ“.

მორეში, *29 წლის:*

„რუბენსის ფუნჯიც კი ვერ აღწერდა შენ სილამაზეს, შენს სინაზეს ვერ შევადარებ ვერც ერთ ნაზ ყვავილს, თვალები შენი, ანარეკლია სულის, ტუჩები შენი, მარწყვივით ნაზი, არომატული, ძუძუს კოკრები ვარდის სურნელით დამათრო-

ბელი, ვიწრო წელი და თეძოები შოკის მომგვრელი, შენი საშოა კაცობრიობის სულთა შემქმნელი, შენი ტერფები საყდარია მთელი სამყაროს, სხეული შენი, შექმნილია სრულყოფილების“ — გთხოვთ, ეს ჩემი შედევრი დაბეჭდოთ, რათა ჩემმა სიხარულმა, ნინი შერმადინმა წაიკითხოს“.

ინა, *17 წლის:*

„დიდი მადლობა რუბრიკა „თინეიჯერული პონტებისთვის“. ჩვენ სულ სხვა კუთხით დავინახეთ ცნობილი სახეები. მათ შეუძლიათ ახალგაზრდებზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა და იმედს ვიტოვებ, რომ ისინი რაღაცას მაინც გაითვალისწინებენ. სხვათა შორის, ბევრ რამეს მეც მივხვდი. მაგალითად, უკვე ვიცი, რომ თუ შეყვარებული არ გყავს, ეს კატასტროფის ტოლფასი არაა. მე კი, მეგონა — უსიყვარულოდ ცხოვრება დამამცირებელი იყო. პაკა“.

სოფი, *15 წლის:*

„სალამი და ბოდიში, გვიან რომ გაწუხებთ, უბრალოდ, ვუსმენ ჰიპ-ჰოპს და ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა, მომდევნო ნომერში რომელიმე რეპერი რომ მოგეწვიათ. მგონი, მათთან საუბარი უფრო საინტერესოა, ვიდრე ამ ქართველ პაპსავიკებთან.

P.S. აჩიკოს დიდი მოკითხვა ჩემგან“.

ნაცნობი, *22 წლის:*

„ქალია ნაზი არსება, ბედნიერება, ღმერთის ხატება, შემოქმედება და ხელოვნება, სამყაროს დედა. ქალს უნდა გულის გაღება, მოფერება და გაგება, სიყვარულია, სილამაზეა, ჩემი სიცოცხლე წმინდა გულისა. მე მარგო წილად განგებამ, შენს ნაზ სხეულზე ტკბობის, ამბორის ნება, შენ ის ქალი ხარ, ვისაც ველოდი მთელი ცხოვრება, ნუ მეტყვი უარს, მე ხომ შენთვის ვარ მოვლენილი ამ ქვეყანაზე, მე კოშკები მაქვს აგებული შენს სიყვარულზე, ბედმა მარგუნა შენს სიყვარულში ტანჯვა-წამება, შენ ის ქალი ხარ, ვინც კი ოდესმე შემყვარებია ყველაზე მეტად. გკოცნით ბევრს“.

ინგა, *21 წლის:*

„ყოველ ხუთშაბათს, სულმოუთქმელად ველოდები თქვენს ჟურნალს. რადგან იმედი მაქვს, რომ იქ ჩემს საყვარელ ადამიანს „გაჩითავთ“, მაგრამ ჯერჯერობით, ეს ოცნება არ ამიხდა, მე კი, მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს, რომ მას ის კითხვა დავუსვა, რომელიც თითქმის 1 წელია მტანჯავს. ჩემი ოცნება არც მომღერალია და არც მოცეკვავე. ის პოლიტიკოსია. გთხოვთ, იქნებ პოლიტიკოსებიც მოიწვიოთ თქვენს რუბრიკაში“.

გიჟუნა, *13 წლის:*

„მინდა თქვენი ჟურნალის საშუალებით მშობლებს მივმართო, რომლებიც ვიღაცის ნაბოდვარზე (თქვენს რესპონდენტებს ვგულისხმობ) მიმითითებენ. ცნობილი ადამიანები თავიანთ ნამდვილ სახეს მალავენ, ბოლომდე გახსნილები არ არიან. ნუ ცდილობთ, შვილებზე მათი აზრების მოხვევას, მე მაინც ყოველთვის იმას გავაკეთებ, რაც მინდა, გაიგეთ?!“

■



გია თორთლაძის მიერ დალაშქრული მწვერვალების ჩამონათვალს 17 მაისს, კიდევ ერთი — ჰიმალაის მთებში მდებარე, 8163 მეტრი სიმაღლის მწვერვალი მანასლუ შეემატა. იგი მთამსვლელთათვის, როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე მძიმე კლიმატური პირობების გამო, ერთ-ერთ რთულ დასალაშქრავ მწვერვალად მიიჩნევა. გია თორთლაძე პირველი ქართველია, რომელმაც ეს შეძლო. მან წარმატებას 5 უშედეგო მცდელობის შემდეგ მიაღწია.

„მწვერვალის დალაშქვა ალვილით კი ალ, ჩამოსვლით პრობლემა“

პირველი ქართველი, რომელმაც მანასლუ დალაშქა

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო გია, გილოცავთ წარმატებას! რას გვეტყოდით თქვენი ბოლო ექსპედიციის შესახებ? რატომ მიიჩნევა მანასლუ რთულ დასალაშქრავ მწვერვალად?

— მანასლუს რთულ მწვერვალად, გეოგრაფიული მდებარეობის გამო მიიჩნევენ. იქ ხდება ტიბეტიდან შემოსული ცივი და ნეპალის მხრიდან შემოსული თბილი ჰაერის მასების შეერთება, რაც თოვას იწვევს. თოვა დღის 12 საათიდან იწყება. იქ იდეალური ამინდი პრაქტიკულად, არ არსებობს.

— თქვენ არაერთხელ გიცდიათ ამ მწვერვალზე ასვლა...

— შეიძლება ითქვას, რომ მაგ მთასთან ჭიდილში 5 წელი დავკარგე, უამრავი ენერგია და ფინანსები შევალიე. შედეგს მხოლოდ მეექვსე ცდაზე მივაღწიე. მანამდე, არა მარტო მე, არამედ ამ ექსპედიციების ვერც ერთმა მთამსვლელმა ვერ შეძლო ასვლა. დასალაშქრავად ყოველთვის რთულ მწვერვალს ვირჩევ. სირთულესთან ერთად, დალაშქვრის ჟინიც იზრდება. ამჯერად, ლაშქრობაში 4 ექსპედიცია მონაწილეობდა. ჩვენს ჯგუფში — 10, ხოლო საერთოდ — 53 მთამსვლელი ვიყავით. დალაშქვრა მხოლოდ 14-მა შეძელით. მე და რუსი სერგეი ბოგომოლოვი ერთად ვმოძრაობდით. პირველი ცდა პირველ მაისს გვქონდა. 7400 მეტრის სიმაღლეზე მოვახერხეთ ასვლა. ღამით იქ გვეძინა. გამთენიისას, სიმაღლეზე ასვლა ვეღარ მოვახერხეთ, ამინდმა ხელი შეგვიშალა, ამიტომ იძულებული გავხდით, უკან, საბაზო ბანაკში დავბრუნებულიყავით. იქ რამდენიმე დღე დავისვენეთ და მეორე იერიში 9 მაისს მივიტანეთ, გვსურდა, დალაშქვრის დღე ამ თარიღისთვის დაგვემთხვია, მაგრამ უამინდობის გამო, ვერც ამჯერად შევძელით: 7700 მეტრზე ასულები, უკან მოვბრუნდით. მწვერვალამდე სულ ორი საათის სავალი გვქონდა დარჩენილი. მიზანს მხოლოდ მესამე მცდელობის დროს, 17 მაისს მივაღწიეთ. მწვერვალზე სულ რამდენიმე წუთით შევჩერდით და იმავე დღეს ჩამოვედით მეოთხე ბანაკამდე. ღამე იქ გავათიეთ. 18 მაისს, მთელი დღე ვეშვებოდით. გზად გერმანელი მთამსვლელები შეგვხვდნენ. ერთ-ერთ მათგანს ფილტვების შეშუპება ეწყებოდა, ცუდად გახდა და ჩვენ ჩამოვიყვანეთ. იმდენად ცუდი ამინდები იყო, რომ გერმანელთა ჯგუფმა პირველი უშედეგო ცდისთანავე უარი თქვა ასვლაზე.

— დალაშქვრა მესამე ცდაზეც რომ ვერ მოგეხერხებინათ, კიდევ ცდიდით?

— არ ვიცი. ყველაფერი ძალზე გართულდა. საბაზო ბანაკში 7 აპრილს ავედით. ასვლიდან მეორმოცე დღეს, დავლაშქრეთ მწვერვალი და ორმოცდამეორე დღეს დავტოვეთ ის ტერიტორია ისე, რომ არ დაგვისვენია. ფიზიკურადაც გამოფიტულები ვიყავით და ფსიქოლოგიურადაც გატეხილები.

— მწვერვალის დალაშქვრის განცდას რას შეადარებდით? რას გრძნობდით ზღვის დონიდან 8163 მეტრის სიმაღლეზე?

— იქ ვერაფერს გრძნობ, ნახევრად გათიშული ხარ... რა თქმა უნდა, არის

სიხარულის განცდაც, მაგრამ მწვერვალზე ასვლა ასვლით კი არა, ჩამოსვლით მთავრდება. იქ აღიქვამ, თუ რა მოხდა, მერე — გიხარია... მთამსვლელს ყოველთვის თან სდევს ხიფათი. ალპინისტის დაღუპვა დაშვების დროს, უფრო ხშირად ხდება, ამიტომ, მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყო, თითოეული ნაბიჯი უნდა გათვალო, დაივიწყო, თუ სად იყავი და რატომ, პრაქტიკულად იაზროვნო და ცივი გონებით იმოქმედო, რომ შეცდომა არ დაუშვა. წლის განმავლობაში, მარტო ალპებსა და პირინეის მთებში 600-დან 800-მდე მთამსვლელი იღუპება.

კომერციული ექსპედიციები მომრავლდა, თუ ფულს არ გადაუხდი, დახმარების ხელს არავინ გამოგიწვდის

— შეცდომისგან არავინ არის დაზღვეული. ალბათ, თქვენც არაერთხელ მდგარხართ საფრთხის პირისპირ.

— სერიოზული შეცდომა არასოდეს დამიშვია. რაიმე რომ შემშლოდა, თქვენ დღეს ჩემთან ინტერვიუს ვერ ჩაიწერდით... მთა შეცდომას არ გაპატიებს, იქ დაშვებული შეცდომა სიკვდილის ტოლფასია.

ექსპედიციიდან დაბრუნებულს, მიხაროდა, რომ ყველაფერმა უმსხვერპლოდ ჩაიარა. მაგრამ აქ ჩამოსვლის შემდეგ შევიტყვე, რომ ჩვენი წამოსვლიდან რამდენიმე დღეში, ნაპრალში ვიღაცები ჩაცვენილან. ერთ-ერთი, ავსტრალიელი მთამსვლელი ქალი დაღუპულა. მას კარგად ვიცნობდი, გულისხმიერი ადამიანი იყო. მწვერვალზე ასვლის მეორე მცდელობისას, როცა უამინდობის გამო იძულებული გავხდით, უკან დავბრუნებულიყავით, ჯგუფის წევრები მესამე ბანაკში დარჩნენ, მე არ მომიწია მეორე ბანაკამდე ჩამოსვლამ. როცა მივედი, თავი არავის შეუწუხებია, არც არაფერი უკითხავთ. ის ქალბატონი კი, გამოვიდა, მკითხა, როგორ ვიყავი, ხომ არაფერი მიჭირდა და ხილის წვენით გამომასპინძლდა... ადამიანი, თუ ადამიანია, ყველგან ასეთად რჩება. სამწუხაროდ, ხშირად, საშინელებების მოწმე ვხდები. მთა არაკაცებით გაივსო, ცუდად მყოფ ადამიანს ისე გადააბიჯებენ, რომ სინდისი არ შეაწუხებთ. ერთხელ, ცოცხალი კაცი ევერესტზე 8600 მეტრ სიმაღლეზე მიატოვეს და თქვეს — მოკვდაო. 12 საათის შემდეგ ავიდა სხვა ჯგუფი, ის კაცი გადაარჩინეს და დღესაც ცოცხალია.

მაშინ ცოტა გამიჭირდა, შემეშინდა კიდეც...

— ასე რატომ ხდება?

— იმიტომ, რომ ძირითადად, კომერციული ექსპედიციები მომრავლდა, თუ ფულს არ გადაუხდი, დახმარების ხელს არავინ გამოგიწვდის. ადამიანს უსინდისოდ, სასიკვდილოდ წირავენ.

— თქვენ ვინ შთაგაგონათ მთის სიყვარული? ამბობენ, მთა ნარკოტიკივით არისო, მართალია?

— მაშინ, როცა უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ლაშქრობების დროს, სტუდენტებს 12 დღით ათავისუფლებდნენ. მთა ყოველთვის მაინტერესებდა, ეს შესაძლებლობა გამოვიყენე და ყაზბეგში წავედი. ხშირად მსმენია: თუ ერთხელ წახვედი მთაში, მერე თავს ვეღარ დაანებებო, მაგრამ მე ამ აზრს არ ვეთანხმები. ადამიანის ხასიათზეა ყველაფერი დამოკიდებული. ჩვენს ჯგუფში იყო ყაზახი მთამსვლელი, სერგეი სამოილოვი. მან ალპინისტობას 11 წლით დაანება თავი. ახლა ცხოვრებაში პრობლემები შეექმნა, მეუღლეს გაშორდა და გავიგე, რომ ისევ მთაში სიარული დაუწყია.

— პირველად რომელი მწვერვალი დალაშქრეთ?

ექსპედიციიდან დაბრუნებულს, მიხაროდა, რომ ყველაფერმა უმსხვერპლოდ ჩაიარა

— ყაზბეგის რაიონში არის ერთი პატარა მთა — „დედაენა“, რომელზეც პირველად ავედი.

— ახლა გგონიათ პატარა, თორემ, მაშინ ალბათ, ასე არ ფიქრობდით...

— *(იცინის)* მართალს ამბობ. მაშინ ცოტა გამიჭირდა, შემეშინდა კიდეც...

— ყველაზე ძლიერ მთამსვლელად ვის მიიჩნევთ?

— მიხეილ ხერგიანს.

— წლების წინ, მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთები წერდნენ იმის შესახებ, რომ ჰიმალაის მთებში თანამედროვე ადამიანის მსგავსი, უცნობი არსება ცხოვრობს. პირველად მისი კვალი ცნობილმა მთამსვლელმა, ჰოვარდ ბერიმ აღმოაჩინაო. თქვენც ხომ არ ყოფილხართ მსგავსი შემთხვევის მოწმე?

— ფოტო და ვიდეოაპარატები ყოველთვის თან დამაქვს. რაღაც ნაკვალევი ერთხელ მეც ვნახე და ვიდეოთი გადავიღე. ვფიქრობ, რომ ალპურ ზონაში მცხოვრები, დიდი ზომის მაიმუნი უნდა ყოფილიყო. ზოგიერთები „თოვლის კაცის“ არსებობას ამტკიცებენ, მაგრამ ყველა ლეგენდას ხომ არ დაეჯერება.

— მისი სხეულის დანახვა მთამსვლელთათვის არასოდეს ყოფილა შესაძლებელი?

— არ ვიცი. მე რომ ეგ მენახა, აუცილებლად გადავიღებდი და მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი გავხდებოდი.

— 12 ივლისს, თქვენი დაბადების დღეა. როგორ აღნიშნავთ ხოლმე ამ დღეს?

— ამ დროს, თითქმის ყოველთვის, მთაში ვარ. ალბათ, წელსაც ასე იქნება.

— ამჯერად, სად აპირებთ წასვლას?

— კაორის დალაშქვრას ვაპირებ. იგი ზღვის დონიდან 8611 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

— წარმატებას გისურვებთ! ■

პრობლემა ნარკომანია – გამოხატე შენი დამოკიდებულება ნახატის, პლაკატის, ფოტოს, მოთხრობის, ესკიზის, სხარტი გამონათქვამის, ლექსის საშუალებით და დროულად მოგვაწოდე.

10 რჩეულს პატრიარქის საერთაშორისო ფონდი „ეტალონის" სტუდიაში, ტელეკომპანია „იმედში" მოიწვევს. მათ შორის გამარჯვებულს და მის მასწავლებელს ჯი ერთწლიანი ყოველთვიური სტიპენდია დაენიშნება.

შეებრძოლე პრობლემას და მოიპოვე ყველაზე მდლიანი სტიპენდია.

პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ VIII, IX, X და XI კლასის მოსწავლეებს.



თქვენი შემოქმედება უნდა მოგვაწოდოთ
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდში
მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №21,
25 ივნისის 15 საათამდე.
ტელ: 98-49-76 ან 93-14-13.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ლისი — ჭაობის მცენარეა.
2. თალარი — ვაზის ხეივანია.
3. „სხვენი“ და „თავანი“ — სინონიმებია.

4. სანთებელა ასანთზე ადრე გამოიგონეს.
5. ღორის ორგაზმი 30 წუთს გრძელდება.
6. მომღერალი ნიკ კეივი კუდიანი დაიბადა.
7. ძმარში მოთავსებული მარგალიტი იშლება.
8. ცხენის ზურგზე, უნაგირის ქვეშ დასაფენ ქეჩას, თოქალთოს ეძახიან.
9. „თავისუფალი რომ იყო, კანონს უნდა ემონო“, — ამბობდა ციცერონი.
10. მზის ამოსვლის წინ, ცის კიდურის ალისფრად შეღებვას, დაფიონი ჰქვია.
11. „მე შევალ ისტორიაში, როგორც დიდი გერმანელი“, — ამბობდა ჰიტლერი.
12. ლექსს, რომლის ყველა სიტყვა ერთი და იმავე ასოთი იწყება, ტავტოგრამა ეწოდება.
13. ეროსი მანჯგალაძემ კინოში 14 როლი ითამაშა. მთავარი როლები თითქმის არ ჰქონია.
14. რკინიგზის ყრილს, რაზედაც შპალებია დაწყობილი და რელსებია დაგებული, ვაკისი ეწოდება.
15. ერთი კილოგრამი თაფლის დასამზადებლად, ფუტკრებს 2 მილიონი ყვავილის შემოფრენა უწევთ.
16. „ჩუვაკ ს ბალშიმ სლავარნიმ ზაპასომ“, — „მოფერებით“ ასე ეძახიან რუსები ავტომატ „კალაშნიკოვს“.
17. ივანე ჯავახიშვილს 27 ფუნდამენტური ნაშრომი და 170-მდე სამეცნიერო კვლევა აქვს გამოქვეყნებული.
18. თავის ქალების მსხვრეველი, გველგესლა, ვერაგი, სისხლიანი ნაჯახი, მოცახცახე ღიპი, განავალი, მძარცველი, ტყავის შარვალი, ღორი, მწვალებელი, ტილიანი წვერი, ცეცხლის წამკიდებელი — ასეთი უცნაური სახელები ერქვათ ვიკინგებს.
19. „ა, ზნაიტე ლი ვი შტო ალა პუგაჩოვა ვ სუდე ატსუდილა უ კირკოროვა ვსიო იმუშესტვა, პრავდა, ზა ეტო, რაზრეშილა ემუ პო ვიხადნიმ ვიდიტსა ს იხ დოჩერიუ კრისტინოი არბაკაიტე.“ — იცინოდა მიხაილ ზადორნოვი.
20. ექსპერიმენტის სახით, კომპანია „ამერიქან აირლაინზმა“ მხოლოდ ერთი ცალი ზეთისხილი ამოიღო სალათიდან, რომელიც I კლასის მგზავრთა მენიუში შედიოდა. ამ ღონისძიებამ, ფირმას 40. 000 დოლარის ეკონომია მის-

გაღაბგღ ეობილეი!

ანუ იაზროვნე გლობალურად – გახდი ანბი გლობალისტი

გაზეთში ამოკითხული ანეკდოტი: სვანს ეკითხებიან:

— რა უყავი მობილური, რომელიც გუშინ იყიდე?

— გადავაგდე!

— რატომ?

— აბა, რად მინდოდა? მენიუში „კუბდარი“ არ ეწერა!..

ვუძღვნი იმ ადამიანებს, ვისი „ძვირფასი“ მობილურიც ერთგვარი სტატუს-სიმბოლოა, მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, მათ ვისი მობილური ტელეფონი კარგა ხანია, „ასაკს მალავს“ და მათაც, ვინც დღე-დღეზე აპირებს მის შეძენას.

მანანა ჭირაქაძე

თქვენი მობილური ტელეფონი არაფრით არ ჩამოუვარდება ჩემსას, ოღონდ — თქვენ ბუდეში დებთ, მე კი ვერ ვიტან შალითიან ტელეფონს. მომწონს, ხელით რომ ვეხები — ასე მგონია, ჩემი ემოციები და განწყობილება გადადის მასზე. რა თქმა უნდა, თავს ვიტყუებ! მობილური ხომ, თანამედროვე ადამიანის ყველაზე პირდაპირი, ნაკლებად რომანტიკული, ძალიან პრაგმატული, თითქმის უემოციო, უსახო და უცხვირპირო დამატებაა. მობილური გიჭირავს ხელში და ფიქრობ, რომ მთელი სამყაროც შენს ხელშია! გრანდიოზული შესაძლებლობები: დარეკე, სადაც გინდა... არა აქვს მნიშვნელობა, ქვეყანას, სახელმწიფოს, კონტინენტს.

იაზროვნე გლობალურად, გახდი გლობალისტი — მოგიწოდებს მობილური ტელეფონი, იმისდა მიუხედავად, ვინ იყავი აქამდე: კომუნისტი, ანარქისტი, სტალინისტი, ზვიადისტი, ნაციონალისტი, მაზოხისტი თუ უბრალოდ, ეგოისტი.

შენ ახლა გლობალისტი ხარ, ადამიანი, რომელსაც მობილური აქვს. მობილური ტელეფონი ერთგვარი პაროდიაა იმისა, რომ მეც შენნაირი ვარ — მობილურიანი. ვგეგმავ ყველაფერს, არ მიყვარს და არ დავუშვებ მოულოდნელობებსა და სიურპრიზებს, თუნდაც — სასიამოვნოს. სწორედ ამიტომ, მე ვაკონტროლებ სიტუაციას: ვიცი, ვინ მირეკავს, ვისი ნომერი ინთება ეკრანზე. მე ინფორმირებული ვარ, ასე რომ, მინდა — გიპასუხებ, მინდა — არა და საერთოდ — იქნებ, ნომერი, რომელიც თქვენ აკრიბეთ, გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან. დაიჯერებთ თუ არა — ეგ თქვენი საქმეა. ახლა, რაც შეეხება მესიჯებს — კიდევ ერთ ახალ, გამაღიზიანებლად „გადაპრანჭულ“, „გაკეკლუცებულ“ სიტყვას „მესიჯი“ ანუ „გზავნილი“, ანუ, ბალი-ალუბალი“... გაცილებით იაფი ჯდება (ნატურალურ ბალსა და ალუბალზე) და გვაძლევს იმის უპირატესობას, რომ არა მარტო არ ვუყურეთ ერთმანეთს სახეში, როგორც ეს ხდება ხოლმე სატელეფონო საუბრის დროს, არამედ ხმაც კი არ ამოვიღოთ (და ყურიც არ მივუგდოთ...) — უბრალოდ, ავკრებთ ლათინური შრიფტით სასურველ ტექსტს, დავაჭერთ თითს, საჭირო ღილაკს და.. ტექსტი გაგზავნილია „სოციუმში“...

ამ ბოლო დროს, ჩემი მობილური — თუმცა ზოგიერთები საკმაოდ ხატოვნად

და დამაჯერებლად ამტკიცებდნენ, ქვევრშიც კი იჭერსო, — ხშირად ითიშება. მხოლოდ სიგნალი — SOS — იწერება ტელეფონის ეკრანზე, SOS ჩვენ გასულები ვართ მომსახურების ზონიდან და ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჩვენს ქალაქში ადამიანის გაუცხოება, საკუთარ არსს მოწყვეტა, კულმინაციას აღწევს... იქნებ, სწორედ მობილურია მიზეზი საკუთარი თავის დაკარგვისა?! ხანდახან მაინც გვიჩნდება სურვილი — ხედვის, საუბრის, შეხების, ფიქრის... მე მაქვს რაღაც შინაგანი, რის შესახებაც არაფერი ვიცოდი წინათ და მინდა, ამის შესახებ ვინმესთან საუბარი და საპასუხოდ ხმის გაგონებაც, მეორე ადამიანის სახის დანახვა მწყურია, შეგრძნება იმისა, რომ მისმენენ, იგებენ იმას, რასაც ვამბობ... პასუხად კი... რეალური ადამიანის, არარეალური და არარეალურად ცივი ხმა: „ნომერი, რომელიც თქვენ აკრიბეთ, დროებით გასულია მომსახურების ზონიდან“... აჭერ სხვა ღილაკს თითს, გინდა „გამოიძახო გულმოწყალება“ — პასუხი იგივეა: „გასულია მომსახურების ზონიდან“ და ისევ, მხოლოდ სიგნალი — SOS — ინთება მობილურის ეკრანზე. ამაოა ჩვენი მცდელობა, გამოვიძახოთ, მოვუხმოთ ჩვენგანვე განდევნილ — წესიერებას, სიყვარულს, სულიერებას... პასუხი იგივეა: „გასულია მომსახურების ზონიდან...

გადააგდე მობილური, გათავისუფლდი მისგან. შეეშვი გლობალურ აზროვნებას!..

მოისროლეთ ეგ თქვენი მობილური! ჰო, გადაგდეთ! ხომ ხედავთ, არც მესიჯი აღწევს ადრესატამდე და არც თქვენი გადაბმული ზარები უჩუყებს ვინმეს გულს. გადააგდე მობილური, გათავისუფლდი მისგან. შეეშვი გლობალურ აზროვნებას!..

არა, მე არც ტერორისტული, არც ექსტრემისტული ქმედებებისაკენ არ მოგიწოდებთ. უბრალოდ, იყავით ანტიგლობალისტი, გაიხსენეთ ის ერთი მთავარი წიგნი, სადაც ჩვენს ყველა კითხვატკივილზეა პასუხი გაცემული.

დაიხედეთ ქვემოთ... ახლა, ზემოთ აიხედეთ — ცაში, სწორედ იმ უძირო, ფირუზისფერ ზეცაში, რომელსაც ამდენი ხანი, ასეთი გზნებითა და სიყვარულით ვუმღერდით და ბოლოს, საერთოდ დაგვავიწყდა მისი არსებობა, რადგან: „მოეწყინა ჩემთანა სულსა ჩემსა“... და იყვირეთ, ისურვეთ, ინატრეთ!.. ან უბრალოდ, დააკაკუნეთ, მაგრად დააკაკუნეთ და — აუცილებლად გაგიღებენ...

P.S. დაიცა, კაცო, რას შვრები?! არ დამღუპო, მართლა არ გადააგდო ეგ სიმწრით ნაყიდი მობილური!.. ვიხუმრე, ბატონო, დილას, გაზეთში ამოკითხულმა „წვერებიანმა“ ანეკდოტმა დამაყენა ხუმრობის ხასიათზე. აი, იმ სვანზე, რომელმაც მენიუში „კუბდარი“ ვერ მოიძია. როგორ?.. მაინც მობილურის გაყიდვა და იმ ფულით საფოსტო მტრედების, კონვერტებისა და მარკების ყიდვა გადაწყვიტეთ?!. კი, მაგრამ რატომ?! ეგ არ ჩაიდინოთ! თქვენ თანამედროვე ადამიანი ხართ და ძალიან გჭირდებათ მობილური, რადგან თვითონაც მობილური ხართ და აზროვნებთ გლობალურად. ჰოდა, შეეშვით სისულელეებს და დაუმესიჯეთ სამყაროს...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ცა.

21. სახალინზე ახალდასახლებულმა რუსებმა შენიშნეს, რომ იქაურ დათვებს ძალზე ეშინოდათ ძროხების და სადაც დაინახავდნენ, თავზარდაცემულები გაურბოდნენ მათ — უბრალოდ, ადრე არასდროს ენახათ ეს შინაური ცხოველები და არ იცოდნენ, რამდენად საშიშნი იყვნენ ისინი.

22. ტრაფალგარის ბრძოლის დროს, სანამ ინგლისის ფლოტი პირველ გასროლას მოასწრებდა, მტრის ზარბაზნიდან ნასროლმა ყუმბარამ 8 მეზღვაური იმსხვერპლა გემზე, რომელზეც ადმირალი ნელსონი იმყოფებოდა.

23. სვეტლანა ალილუევას მიერ, თვითმკვლელობის წინ დაწერილი ბარათი, სტალინმა საკუთარი ხელით გაანადგურა. საბჭოთა ბელადი მეუღლის დასაფლავებას არ დასწრებია და საფლავიც არასდროს მოუნახულებია.

24. რწყილების ცირკი მართლა არსებობს. მეპატრონეები 200-მდე რწყილს ინახავენ და საკუთარი სისხლით კვებავენ. ეს პარაზიტი პატარა მავთულებზე ჰყავთ მიბმული და ფეხბურთსაც კი ათამაშებენ — ფეხებით პატარა ბურთს აჭერინებენ, რომელსაც რწყილი მოისვრის და მინიატიურულ კარში გოლი გადის.

25. ხორხე ლუის ბორხესის ერთ-ერთ ნაწარმოებში აღწერილია გერმანელი ჯაშუშის ამბავი, რომელსაც მსოფლიო ომის დროს მეწყვილე დაუპატიმრეს, რის გამოც, მან გერმანიის შტაბთან კავშირი დაკარგა. მას კვალდაკვალ მისდევდნენ. დღე-დღეზე დაპატიმრებას ელოდა და იმალებოდა. ხელთ მხოლოდ სატელეფონო ცნობარი, რამდენიმე შილინგი, რევოლვერი და ერთი ტყვია ჰქონდა, მაგრამ მაინც შეძლო საკუთარ შტაბში ინფორმაციის გადაცემა — თუ სად მდებარეობდა ინგლისის ერთ-ერთი საარტილერიო ბაზა. მან ტელეფონების წიგნში მოძებნა იმ ადამიანის მისამართი, რომლის გვარიც იმ ადგილის სახელწოდებას ემთხვეოდა, სადაც ინგლისელთა ბაზა მდებარეობდა. გაემგზავრა ამ მისამართზე, იპოვა ეს კაცი, მოკლა და პოლიციას ჩაბარდა. მეორე დღეს, ინგლისის გაზეთებში მკვლელისა და მოკლულის გვარები დაიბეჭდა, გერმანულ შტაბს კი, აღარ გასჭირვებია გაეშიფრა საკუთარი ჯაშუშის ნამოქმედარი.

ჟურნალის საჭარჭიჭო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ერთხელ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის ხელმძღვანელის გაუთავებელ წუწუნს იური ანდროპოვმა ასეთი შავი იუმორით უპასუხა: „თუ თითში ხიჭვი შეგერჭო, გიხაროდეს, რომ თვალში არ მოგხვდა. თუ ჯიბეში ასანთის კოლოფი აგიფეთქდა, გიხაროდეს, რომ იქ დენთი არ გქონდა და თუ ცოლმა გიღალატა, გიხაროდეს, რომ ....“. დაასრულეთ ანდროპოვის სიტყვები.

2. არისტოტელე ამას ღმერთის საჩუქრად მიიჩნევდა, თეოფრასტე — უსიტყვო მოტყუებად. რა არის ეს?

3. დასვენებისას სირაქლემები მართლაც ყოფენ თავს ქვიშაში. რატომ?

4. გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს პიკასოს ატელიეში ხშირად მიდიოდნენ გერმანელი ოფიცრები. მხატვარი ყველას სამახსოვროდ აძლევდა თავისი ცნობილი სურათის პირს. სურათზე ასახული იყო ფაშისტების მიერ ესპანეთის ქალაქ გერნიკას განადგურება. ერთხელ ატელიეში მასთან მისულმა გესტაპოს აგენტმა ჩანთიდან სურათი ამოიღო და ჰკითხა: — ეს თქვენი ნამუშევარია? რა უპასუხა პიკასომ?

5. ჟან მარე და პეტრე ჩაიკოვსკი ირანის მოქალაქეები რომ ყოფილიყვნენ, მათ სიკვდილით დასჯიდნენ. რატომ?

6. ამ ქვეყანას რომაელები კალედონიას ეძახდნენ.

7. 1755 წელს ეს მონარქი საკუთარი სასახლის კარისთვის ფერწერული ტილოების შესაძენად ჰოლანდიაში გაემგზავრა. იგი შიშობდა, რომ თავისი წოდებრივი მდგომარეობის გამო ამ ტილოებში ძალზე ძვირს გადაახდევინებდნენ და ამიტომ გადაწყვიტა, ნიდერლანდებში მოხეტიალე მუსიკოსად გადაცმული ჩასულიყო. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მეფე ამ მოგზაურობის დროს, მართლაც, ფლეიტაზე დაკვრით ირჩენდა თავს. დაასახელეთ იგი.

8. ამერიკის შეერთებულ შტატებში 7 მთა, 8 მდინარე, 10 ტბა, 120 ქალაქი და დასახლებული პუნქტი ამ ადამიანის სახელს ატარებს.

9. დაასრულეთ გაბრიელ გარსია მარკესის სიტყვები: „ადამიანმა ადამიანს ზემოდან მხოლოდ მაშინ უნდა დახედოს, როდესაც ....“

ანეკდოტები

* * *

მამაკაცი ხელოსანს შესჩივის:
— ნახე, რა დღეშია ჩემი მანქა-

ნა!... ჩემი ცოლი ბოძს შეასკდა!
— რამდენჯერ, კი მარა?

* * *

— შენ მე არაყზე გამცვალე! — უყვირის ცოლი ქმარს.
— რას ამბობ, ქალო, ცოლებს რომ არაყზე ცვლიდნენ, მაღაზიებთან იცი, რა რიგები იქნებოდა?

* * *

ჭიჭიკია ეკითხება მაროს:
— მარო, არ გინდა, ჩემთან ერთად ბიზნესში ჩაერთო?
— რატომაც არა, ოღონდ მიხომ არ უნდა გაიგოს!

* * *

ორი სვანი ავტობუსში ავიდა. ერთი ეუბნება მეორეს:
— ფული გაქვს?
— არა.
— ეეე, ისევ მოგვიწევს მძღოლის ცემა....

* * *

— ექიმო, დილით რომ ვდგები, მთელი ერთი საათი თავბრუ მეხვევა.
— შენც ერთი საათით გვიან ადექი.

* * *

ოსი კლდიდან გადავარდა. მიფრინავს... ჰაერში რაღაც ბუჩქს გამოედო, მთელი ძალით ჩაებღაუჭა და ყვირის:
— არის აქ ვინმე?
— კი!
— ვინა ხარ?
— მე ვარ, ღმერთი!
— ჰოდა, მიშველე რამე!
— გაუშვი ბუჩქს ხელი და გიშველი!
— კიდევ თუ არის აქ ვინმე? — უფრო ხმამაღლა აყვირდა ოსი.

* * *

ცოლი — ქმარს:
— ძირფასო, არ გეწყინოს, დღეს შენს სამსახურში შევიარე, შენ გასუღი იყავი, შენი პალტოს ჯიბიდან 300 დოლარი ამოვიღე და ბროლის ჭაღი ვიყიდე. არ გეწყინოს, რა!
— არა უშავს, უკვე ორი კვირაა ,რაც მანდ აღარ ვმუშაობ...

* * *

— უფროსო, დავაკავეთ ცნობილი თაღლითი და შარლატანი, რომელიც მარადიული სიცოცხლის მიქსტურას ყიდდა.
— ადრე თუა ნასამართლევი?
— დიახ! 1451, 1639, 1893 და 1904 წლებში!

* * *

ავტოინსპექტორმა ლატარიაში მილიონი მოიგო. ჟურნალისტი ინტერვიუს ართმევს:
— რას იყიდით ამ ფულით? ალ-

ბათ ბინას, მანქანას და აგარაკს?
— ეგ ყველაფერი უკვე მაქვს. ახლა ერთ გზაჯვარედინს ვიყიდი ქალაქის ცენტრში და ჩემს ჭიას გავახარებ.

* * *

მაიმუნი ოცნებობს:
— ეჰ, ნეტა ადამიანი ვიყო!
— რად გინდა? — ჭკუას არიგებს მეორე მაიმუნი — ადამიანი რომ იქნები, გაიზრდები, დავაჟკაცდები, შეგიყვარდება ვინმე, ცოლად მოიყვან, მერე შვილები გეყოლება, მერე

ხელფასი არ გეყოფა. დაიწყებ მაიმუნობას და მაიმუნი ისედაც კი ხარ. დაეტიე თუ ძმა ხარ, საკუთარ ტყავში!...

* * *

— გაიგე, იმ ქურდს მილიციის უფროსისათვის ენა რომ მიუტანია?

— მაგან, რა ხალხის „ჩაშვება“ დაიწყო?

— არა, კაცო, ვინც თვითონ ეგ „ჩაუშვა“, იმისთვის ამოუგლეჯია და მიუტანია...

* * *

— ქალო, რას ჩხავის ეს ბაღანა? — ეკითხება ცოლს შეწუხებული ჭი-

ჭიკია.

— მიეცი „სოსკა“ და გაჩუმდება! მე არა მცალია!

— აგერაა ეს „სოსკა“! არ ყლაპავს და რა ვქნა?!...

* * *

— მამა, ტარიელმა მართლა დაახრჩო ვეფხვი?

— მართლა დაახრჩო, შვილო, აბა ეს ბუმბერაზი პოეტი ტყუილს როგორ იკადრებდა?

* * *

— რა ჰქვია წყლის დასაგროვებელ ავზს?

— პრეზერვუარი.

— სწორია, მაგრამ „პ“-ს გარეშე.

— ხო, რეზერვატივი.

* * *

დირექტორმა რამდენიმე თანამშრომელი გამოიძახა:

— ადმინისტრაცია არ თვლის მიზანშეწონილად, დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა ხელფასის გაზრდის შესახებ. ყოველი შემთხვევისათვის ამ საკითხის გადაწყვეტა კომპიუტერს მივანდეთ და თუ პასუხი დადებითი იქნება, მაშინ ხელფასს პროგრამისტის ხელფასის ხარჯზე გაგიზრდით.

* * *

მიხო ეზოში ბლის ხეებს ჭრის.

— გადაირიე, კაცო?! — გამოუვარდა ცოლი!

— რას ამბობ, ქალო, ეგე თბილისში 7 ბალი იყო და მთელი შენობები დაბზარა. აქა კიდე 20 ბალია!...

* * *

რძალ-დედამთილი მიემგზავრება რაიონში. ვაგზალზე ორი ახალგაზრდა სთხოვს, მეგობარი გარდაგვეცვალა და დაგვატირებინეთო. ისინიც უარს ვერ ეტყვიან და წაჰყვებიან. დანიშნულების ადგილზე რომ მივლენ, რა მკვდარი, რის მკვდარი, გააუპატიურებენ ორივეს. შერცხვენილი რძალ-დედამთილი სახლში ბრუნდება. დედამთილი ეუბნება რძალს:

— ეს რა გვიყვეს, რა პასუხი გავცეთ ჩვენს ქმრებს?!

— შენი არ ვიცი და ორმოცზე მე ისევ უნდა ჩამოვიდე! — პასუხობს რძალი.

ჯონჯის საკანონმდებლო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მან სამშობლოს არ უღალატა.
2. სილამაზე.
3. ისინი ნიადაგის ვიბრაციას გრძნობენ და ამ გზით იგებენ საფრთხის მოახლოებას.
4. „— არა, თქვენ!“
5. ირანში ჰომოსექსუალისტებს სიკვდილით სჯიან. ზემოთ ხსენებული ორივე ადამიანი სწორედ ასეთი გახლდათ.
6. კალედონია შოტლანდიის ლათინური სახელწოდებაა.
7. პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი.
8. ჯორჯ ვაშინგტონი.
9. ... წამოსაყენებლად გაუწვდის ხელს“.

ჩვენი ფოტოალბომი

პირველი მყიდველები

ორგანიზაცია

შიო გვეტაძე

ქუთაისის მილიციამ საშიშ დამნაშავეთა ბანდა დაიჭირა. მას სათავეში უდგას ძალზე გამოცდილი და ამავე დროს, ქართველი სამართალდამცველებისთვის უცნობი კრიმინალი, რომელსაც ისინი პირობითად, ჭაღარას ეძახიან. გამომძიებელი მინდელი მაინც ახერხებს მისი ქურდული „კლიჩკის“ დადგენას. „უდანაშაულოდ“ დაკავებული კაცი, რომელიც თავს ჩარგიევად ასაღებდა, საშკა ჩერქეზის მეტსახელით ცნობილი რეციდივისტია. მაგრამ ის თურმე, შორეულ ბანაკში, მაგადანზე, ტაიგაში დაღუპულად ითვლება!.. ლევან მინდელი მივლინებით მაგადანში მიემგზავრება...

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-22)

— ვნახოთ, რას გვეტყვის ჩარგიევი, — „ჩარგიევი“ ხაზგასმით წარმოთქვა ხომერიკმა და უეცრად აწკრიალებული ტელეფონის აპარატის ყურმილი აიღო. — პროკურორი ხომერიკი გისმენთ, ა-ა, სალამი, სალამი... კი... კარგად. კარგად არის... ვიცი მისი ხასიათი, ამიტომ, საყვედურიც არ მითქვამს. — ხომერიკმა მინდელს გადახედა და განაგრძო: — ახლავე გამოვგზავნი და ბოდიშს მოვახდევინებ თქვენ წინაშე. თქვენც ტყავი გააძრეთ. ეკუთვნის... ეკუთვნის კიდეც, — გაიცინა ხომერიკმა, შემდეგ, მინდელს მიუბრუნდა: — ელენეა. რას ფიქრობდი, სადგურიდან პირდაპირ აქ რომ მორბოდი, შეგრჩებოდა? — კვლავ გაიცინა მან და მოღიმარ გამომძიებელს ყურმილი გადასცა.

— გამარჯობა, ელენე!.. აბა, რა უნდა მომსვლოდა?! ძალიან კარგად ვარ... სულ 2 საათია... არა, არა, ნუ ჯავრობ, არ გავმხდარვარ... ვიცი, რომ არ მსაყვედურობ... კარგი, კარგი, — დაამთავრა მინდელმა და ყურმილი აპარატზე დადო.

— შეგახურა? — გაეხუმრა ბალანჩივაძე.

— არც უმაგისობაა, — მხიარულად უპასუხა მინდელმა.

— არა უშავს, — დაამშვიდა პოლკოვნიკმა. — მეც ბევრჯერ მომხვედრია, მაგრამ ვუძლებდი. ბოლოს მიეჩვია, აღარ ჩხუბობს.

სამივეს გაეცინა.

ხომერიკმა საათს დახედა.

— 3 საათია. შენ წადი, ლევან, ბავშვები მოუთმენლად გელიან, დრო არა გვაქვს, თორემ, მე და დავითიც წამოგყვებოდით. ელენესთან მაინც შეგარიგებდით, — დაუმატა ხუმრობით და განაგრძო: — ხვალ კი, საქმეს შევუდგეთ. ჩარგიევის დაკითხვას მეც მინდა, დავესწრო. საღამოს, თუ მოახერხებ, დამირეკე, ჩრდილელი ვინახულოთ.

— მართლა, როგორ არის? არც კი გკითხეთ... — აირია მინდელი.

— კარგად. ჯერ სახლშია, 15 მარტს სანატორიუმში მიემგზავრება, — უპასუხა ბალანჩივაძემ და განაგრძო: — ეთერი მიჰყვება. ხომ გაგიგონია — ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჰოდა, ეს სწორედ ჩრდილელზეა ზედგამოჭრილი: ეთერმა სამი თვით უფასო შვებულება აიღო, სულ ერთად არიან, ხოლო სამაისოდ, ქორწილსაც აპირებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში, ჩრდილელსაც არ ასცდება შეხურება, მივლინებიდან პირდაპირ სამსახურში მისვლისათვის...

მინდელს გაეცინა.

— ეგ ტყაპუჭი აქ დატოვე, პალტო ჩაიცვი, — გაიცინა ხომერიკმა, — თორემ, ელენე ნამდვილად შეშინდება.

— მართლა, პალტო ხომ აქ მაქვს, — კვლავ გაეცინა მინდელს და კაბინეტიდან გავიდა.

ხომერიკი და ბალანჩივაძე მარტონი დარჩნენ.

— ცეცხლივით ბიჭია ლევანი, — დაიწყო ბალანჩივაძემ. — გამომძიებლად არის დაბადებული, მიყვარს ასეთი მუშაკები.

— ძალზე კარგი მუშაკია, თუმცა, ჩვენ კი უნდა გამოვეთხოვოთ.

— როგორ თუ გამოვეთხოვოთ, რას ამბობ?! — გაუკვირდა ბალანჩივაძეს.

— აპარატში უპირებენ გადაყვანას, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად.

— მერე, უშვებ?

— სხვაგან რომ მიჰყავდეთ, იქნებ, წინააღმდეგი წავსულიყავი, მაგრამ ცენტრალურ აპარატში...

— თვითონ თანახმაა?

— არ ვიცი, ჯერ არ მითქვამს, — მიუგო ხომერიკმა და პალტო ჩაიცვა.

ტელეფონის ზარის ხმა გაისმა და ხომერიკმა ყურმილი აიღო.

— გისმენთ, — უპასუხა მშვიდად. იმავე წამს, სახე შეეცვალა, წარბები მრისხანედ შეყარა: — რაო?! მერე, თქვენ სად იყავით, დღისით, მზისით?! — იყვირა მან და ბრაზმორეულმა ყურმილი გამეტებით დაახეთქა აპარატზე.

— რა მოხდა, გიორგი? — შესძახა ბალანჩივაძემ.

— ციხის თანამშრომლების სიბრიყვე! — კვლავ იყვირა ხომერიკმა, — ეზოში სასეირნოდ გაყვანილი ჩარგიევი გაიქცა!

— გაიქცა?! — პოლკოვნიკი ტელეფონს ეცა. — ჩქარა, მანქანა! — შეყვირა მან.

— საჭირო არ არის! — შეაჩერა ხომერიკმა. — გაქცეული ჩარგიევი დაჭრეს და მძიმე მდგომარეობაში მყოფი, საავადმყოფოშია მიყვანილი. ჩემი მანქანით წავიდეთ, მინდელიც წავიყვანოთ.

— ცოცხალია?

— ჯერ ცოცხალია, უგონოდ არის. ასე თქვა ციხის უფროსმა, — მიუგო ხომერიკმა და დაუმატა: — ნუღარ ვაგვიანებთ — წავიდეთ!

რამდენიმე წუთის შემდეგ, პროკურორი, გამომძიებელი და მილიციის უფროსი საავადმყოფოში მივიდნენ, სადაც ამ იშვიათი შემთხვევის გამო, ზედმეტი სირბილი და ექთანთა უაზრო ფუსფუსი იყო ატეხილი.

მისულებს ციხის უფროსი შეეგება.

— როგორ არის პაციენტი? — მოუთმენლად იკითხა მინდელმა.

— ცუდად, მძიმე მდგომარეობაშია, — უპასუხა ციხის უფროსმა.

— სად არის? — კვლავ იკითხა მინდელმა.

— საოპერაციოშია. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ გრძელიძე მივლინებაშია...

— მაშ, ვინ უკეთებს ოპერაციას? — ჩაერია ხომერიკი.

— ქირურგი ბარათელი, ციალა ბარათელი.

— ჩემი რძალი? — გაეღიმა ბალანჩივაძეს.

— დიახ, პატივცემულო დავით.

— ციალა... ძალიან კარგი. ოპერაცია უკვე დაიწყო?

— ალბათ, ამხანაგო გიორგი.

— როგორ მოხდა ეს ამბავი? — იკითხა ბალანჩივაძემ.

— ძალიან უბრალოდ, იმდენად უბრალოდ, რომ წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა, თუ ამას გაბედავდა პატიმარი...

— მაინც?

— დღის 2 საათზე, პატიმრები ჩვეულებრივად იყვნენ გაყვანილი ეზოში გასასეირნებლად. სულ 25 კაცი იყო, მათ შორის — ჩარგევი. თქვენ იცით, ჩვენთან ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ჰოდა, ამის გამო, ციხის კედელთან, ზუსტად სადარაჯო კოშკურის წინ, ხარაჩოა აღმართული, ხარაჩოზე კი, ძელია მიდგმული. ჩარგიევი რამდენჯერმე ავიდა ძელზე, მაგრამ ბადრაგს ყურადღება არ მიუქცევია ამ, ერთი შეხედვით უწყინარი გართობისათვის, მით უმეტეს, რომ ძელიდან კედლის სიმაღლე 2 მეტრზე მეტია და იქვე კოშკურაზე გუშაგი დგას... მოულოდ-

ნელად, ჩარგიევი ძელს მოსწყდა, ხარაჩოზე შეხტა და ვიდრე ბადრაკი გამოერკვეოდა, ვეფხვივით ისკუპა და გალავანს გადაევლო. საბედნიეროდ, კოშკურაზე მყოფი გუშაგი არ დაიბნა და გაქცეულს ტყვია დაადევნა. გალავნიდან გადმომხტარი ჩარგიევი ძძიმედ დაეცა ქვაფენილზე, მაგრამ, გუშაგის ტყვიებს უვნებლად გადარჩენილი, მაშინვე წამოხტა და ქურციკივით მოკურცხლა. შესახვევთან ტყვია დაეწია და როდესაც ადგილზე მივედით, ის უგონოდ ეგდო და სისხლში ცურავდა.

— სადა აქვს ჭრილობა? — იკითხა ხომერიკმა.

— ზურგში. ტყვია სხეულში აქვს ჩარჩენილი. ვინ იფიქრებდა, რომ ის ამას...

— თქვენ, თქვენ უნდა გეფიქრათ, ამხანაგო რაჟდენ, რომ ჩარგიევი ხელიდან არ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას! აკი გითხარით, გაგაფრთხილეთ — განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიეთ-მეთქი, — უპასუხა გულმოსულმა პოლკოვნიკმა.

ციხის უფროსი დუმილით შეხვდა ამ სამართლიან საყვედურს.

— ახლა საყვედურის დრო არ არის, ამის შესახებ ცალკე გვექნება ლაპარაკი. ამჟამად მთავარია, ყველაფერი გაკეთდეს ჩარგიევის სიცოცხლის გადასარჩენად. წავიდეთ, ციალა ვნახოთ! — თქვა ხომერიკმა და საოპერაციოსკენ გაეშურა.

დიდ, ნათელფანჯრებიან ოთახში ხლოროფორმის მწვავე სუნი იდგა. გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ სტერილიზატორის შიშინი არღვევდა, ექთანი საოპერაციო ხელსაწყოებს ამზადებდა.

ოთახში ფეხაკრეფით შემოსულთ, ოპერაციის სამზადისში გართული ბარათელი შეეგება. დასტაქარს ქათქათა ხალათი ეცვა, თეთრი ქსოვილის ნიღაბფარებულს, თეთრი ხელთათმანებიც ემოსა.

შემოსულებს უხმოდ, თავის დაკვრით მიესალმა და იქვე ბორბლებზე შემდგარ მოზრდილ მაგიდას მიუახლოვდა, სადაც თეთრზეწარგადაფარებული დაჭრილი ჩარგიევი იწვა. ხომერიკსაც ამ მაგიდისკენ გაექცა თვალი. ჩარგიევს სახეზეც ზეწარი ეფარა. მარცხენა ხელი, რომელიც ორდინატორს ეჭირა, სანთელივით გაჰყვითლებოდა.

— ყველაფერი მზადაა, — ჩუმად თქვა ექთანმა.

ციალამ სწრაფი მოძრაობით გადახადა ზეწარი დაჭრილს, სკალპელი აიღო.

— დავიწყოთ, — წარმოთქვა მტკიცედ და მჭრელი იარაღი გაბედულად დაუსვა იოდის ხსნარისაგან ყავისფრად შეფერილ ტიტველ სხეულზე...

ორ საათზე მეტხანს მუშაობდნენ ბარათელი და მისი კოლეგები. ორ საათზე მეტხანს ჩუმად ისხდნენ ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი და მოწიწებით შესცქეროდნენ ექიმთა ბრძოლას ადამიანის სიცოცხლისათვის, სიკვდილის დამარცხებისათვის.

— სკალპელი!.. მაკრატელი... ბანდი!.. მოსაჭრელი მოამზადეთ! — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისვრის ბარათელი და ხელს იწვდის. სახით კი, დაჭრილისკენ დახრილა, შეძლებისდაგვარად, სწრაფად მოქმედებს.

...ოპერაცია დამთავრდა.

— ცალკე პალატაში, სპეცმეთვალყურეობის ქვეშ! — დაღლილი ხმით იძლევა განკარგულებას დასტაქარი და ძძიმე ნაბიჯით გადის საოპერაციოდან.

ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი თან შეჰყვნენ თავის კაბინეტში შესულ ბარათელს.

— რას გვეტყვი, ციალა? — შეეკითხა რძალს პოლკოვნიკი.

ბარათელმა ხელები შეიმშრალა, პირსახოცი სანიტარს გადასცა.

— ძძიმე მდგომარეობაა. თავისთავად, ჭრილობა არ არის სასიკვდილო, მაგრამ გული აქვს სუსტი, — მიუგო მან.

— ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის გადასარჩენად, ჩარგიევი არ უნდა მოკვდეს! — წარმოთქვა მინდელმა.

— მე გაფრთხილება არ მინდა, ამხანაგო ლევან. სიკვდილის ხელიდან ადამიანის გამოგლეჯა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ჩემი მოვალეობაა, მაგრამ აქ მეტისმეტად ძძიმე მდგომარეობაა. შეიძლება, გონზე ვერც მოვიდეს, ისე დაიღუპოს ავადმყოფი.

ძძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.

— მერედა, რა მშვენიერი ვაუკაცია, უბედური! — ჩაილაპარაკა ბარათელმა. — ვინ იცის, ამასაც ჰყავს ცოლი, შვილები, ახლობლები. აფსუსი არ არის, ასეთი ვაუკაცი ამგვარი სიკვდილით დაიღუპოს?!.

ხომერიკი წამოდგა.

— ჩვენ წავალთ, ციალა. აქ ყოფნა ამჟამად, არაფერს მოგვცემს. თუ ჩარგიევი გონს მოვიდა, მორიგე ექიმი გააფრთხილეთ, რომ მინდელს დაურეკოს. ტელეფონის ნომერი იცით.

ბარათელმა, უარის ნიშნად, თავი გააქნია.

— მე ავადმყოფს ვერ მოვშორდები, პატივცემულო გიორგი. ახლა ჩემი ადგილი აქ არის... მამა, — მიუბრუნდა ციალა პოლკოვნიკს, — ნუ დამელოდებით, ილიას უთხარით, დამირეკოს. რაც შეეხება დაჭრილს, გონზეც რომ მოვიდეს, მასთან საუბრის ნებას მაინც ვერ დაგრთავთ, ის ჯერჯერობით სიკვდილის სარეცელზე წევს.

— გასაგებია, ციალა, მაგრამ ვინ იცის, მაინც იქონიე მხედველობაში.

...ციალა მარტო დარჩა, ნაღვლიანად ჩაღუნა თავი. ვერ გაეგო, რატომ მოეძალა ასეთი სევდა. თითოეულ ოპერაციას ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ხარობდა, როდესაც სიკვდილთან ჭიდილში გაიმარჯვებდა, ნაღვლობდა, როცა პაციენტს ვერ გადაარჩენდა. მაგრამ დღევანდელი მისი განწყობილება არ ჰგავდა პაციენტის მოსალოდნელი დაღუპვით გამოწვეულ პროფესიონალურ დარდს. მას რაღაც სხვა, გამოუცნობი ვარამი აწვალებდა და ვერაფრით აეხსნა მისი გამომწვევი მიზეზი.

ოთახში ნელ-ნელა ბინდი ჩამოწვა. ციალა ფეხზე წამოდგა, ხელი დააჭირა ჩამრთველს. მერე, ანგარიშმიუცემლად, თმა შეისწორა და ჩარგიევის პალატისკენ გაეშურა.

...მძინარე მინდელი ტელეფონის ზარმა გააღვიძა. საათს დახედა — ზუსტად ღამის 4 საათი იყო. ყურმილი ზანტად აიღო, მაგრამ მიხვდა თუ არა, რომ ქირურგი ბარათელი რეკავდა, უეცრად გამოფხიზლდა, სწრაფად წამოჯდა საწოლზე. „ჩარგიევი გარდაიცვალა?“ — გაიფიქრა მან.

— რა მოხდა, ციალა? — ჰკითხა დაგუდული ხმით.

— ახლავე, ამწუთას მოდით საავადმყოფოში: პატიმარი სასწრაფოდ თქვენს ნახვას ითხოვს, — უპასუხა ციალამ.

მინდელს გულზე მოეშვა.

— ამწუთას მანდ ვიქნები! — ჩასძახა ყურმილში და ლოგინიდან წამოიჭრა...

ციალა სამორიგეო ოთახში დახვდა გამომძიებელს. ცრემლისა და უძილობისაგან თვალები დასივებოდა. ნაღვლიანად გაუღიმა შემოსულ მინდელს.

— რა მოხდა, ციალა?

— ჩარგიევი გონს მოვიდა, თქვენი ნახვა ითხოვა... — ხმა აუთრთოლდა დასტაქარს.

— მერედა, ამიტომ ტირით?.. — განცვ-

იფრდა მინდელი.

ციალამ თავი დახარა.

— ის... ის ბოდავს... საცოდავად ბოდავს, რაღაცას უცნაურს და წარმოუდგენელს, — ამოილუღლუღა ბარათელმა და ცრემლები ცხვირსახოცით შეიშრო.

მინდელი გვერდზე მიუჯდა.

— დამშვიდდით, ციალა. დაჭრილის ბოდვა როგორ უნდა გიკვირდეთ? ეგ ხომ ბუნებრივია!.. ჩარგიევი გადარჩა, ეს თქვენი გამარჯვებაა., დასტაქრის მარჯვენის გამარჯვება. უნდა გიხაროდეთ, თქვენ კი — ტირით, არ გრცხვენიათ?!

ციალას არაფერი უპასუხია. თავდახრილი, ნერვიულად სრესდა სველ ცხვირსახოცს.

— კარგი, ციალა, ნუღარ ტირით! მითხარით მაინც, რას ბოდავს ჩარგიევი, როგორ არის?

ციალამ თავი ასწია, ნაღვლიანი მზერა მიაპყრო გამომძიებელს.

— ერთი საათის წინ, — დაიწყო ქალმა, — მასთან პალატაში ვიყავი შესული. გულის საშუალებებს ვუკეთებდი, შემდეგ, მაჯა გავუსინჯე, გულისცემა შედარებით გამოუკეთდა. უეცრად, დაჭრილმა დაიკვნესა. „მათე, აბა, შემომხედე, მათე!“ — ჩავძახე რამდენჯერმე. მან ისევ დაიკვნესა. მერე, ნელნელა გაახილა თვალები, შემომხედა. მე ღიმილით შევცქეროდი. „როგორ ხარ, მათე? აბა, ჩემკენ მოიხედე, მითხარი რამე.“ ჩარგიევს თვალები გაუფართოვდა, დიდხანს შემომცქეროდა მდუმარედ, შემდეგ რაღაცის თქმა დააპირა, რამდენჯერმე აუთრთოლდა ბაგე, მაგრამ სათქმელი ვერ თქვა, ყრუდ დაიკვნესა მხოლოდ, თვალები კი, ფართოდ გახელილი თვალები, დაჟინებით შემომცქეროდა და იმწამსვე, რატომღაც მომეჩვენა, რომ ამ თვალებს პირველად არ ვხედავდი — თითქოს ადრეც მენახა, ადრეც შევხვედრივარ, გესმით ლევან?!.

— მესმის, ციალა! მერე რა მოხდა? ალბათ, ვინმე ნაცნობს მიამსგავსეთ — ეს არის და ეს.

— ჰო... ალბათ... მეც მესმის, რომ ეს, რაღაც სისულელეა, მაგრამ მაინც, არ ვიცი, რატომ, სევდა მომეძალა, ცრემლი მომერია... — ციალამ წმით იყუჩა და განაგრძო: — ჩარგიევმა გაიღიმა, თვალებში სითბო ჩაუდგა. კვლავ აუთრთოლდა გაფითრებული ტუჩები. რამდენიმე ყლუპი წყალი დავალევინე. მან მადლიერებით შემომხედა, შემდეგ, ნელნელა, ბაგე გახსნა. „სადა ვარ?“ — მკითხა სუსტი ხმით. „საავადმყოფოში“ — ვუპასუხე, რაც შეიძლება მხიარულად. „ახლა კარგად ხართ, მალე სულ კარგად იქნებით“.

„თქვენ... თქვენ ვინა ხართ?“

„მე? მე ექიმი ვარ, ციალა ბარათელი, თქვენი მკურნალი“, — ვუთხარი ღიმილით და შუბლიდან ოფლის მსხვილი წვეთები მოვწმინდე.

„ციალა... ციალა... — ჩაილაპარაკა მან რამდენჯერმე — ჰოო... ალბათ, სიზმარში ვარ, ალბათ მძინავს!..“ — დაუმატა ჩურჩულით.

„რა მოგივიდა, მათე?“ — შევკრთი. ავადმყოფი დიდხანს დუმდა.

„მე... მე... არაფერი... ვკვდები, ციალა...“ — ამოილაპარაკა ძლივს.

„რა სისულელეს ლაპარაკობთ, მათე?! თქვენთან სიკვდილს რა უნდა?“

„არ მინდა ნუგეში, ვიცი, ჩემი საათები დათვლილია... მიხარია კიდეც... არც მთლად უბედური ვყოფილვარ, მეც შემხვდა პატარა ბედნიერება... თუმცა, სიკვდილის წინ, მაგრამ მაინც შემხვდა... ექიმო, თქვენ გჯერათ სასწაულის? არა?.. მე კი მჯერა. თუ აქამდე ეჭვი მეპარებოდა, ახლა მწამს“.

„ლაპარაკი გავნებთ. თქვენ ახლა უნდა დაიძინოთ!“ — შევაწყვეტინე.

„ჰო... უნდა დავიძინო... სამუდამოდ უნდა დავიძინო, ექიმო... მაგრამ — არა ახლა, მე კიდევ ვიცოცხლებ რამდენიმე საათს, თუ... თქვენ არ მიმატოვებთ... შეიძლება?“

მათეს ცრემლებით აევსო თვალები და მუდარით შემომხედა.

„მე აქ ვიქნები, არსად წავალ, ოღონდ დამშვიდდით, აღელვება გავნებთ“.

„თქვენ ძალიან, ძალიან კეთილი ხართ, ექიმო...“ — ჩაილაპარაკა მან და თვალები მილულა.

ასე იწვა რამდენიმე წუთს. შემდეგ, ისევ გაახილა თვალები, შემომხედა.

„თქვენ იცით, მე ვინა ვარ?“

„მე ვიცი, რომ თქვენ ადამიანი ხართ, სხვა არაფერი არ მეხება...“ — მივუგე მტკიცედ.

„არა, გეხებათ! მე ხომ ქურდი ვარ, ძველი ქურდი! იცით, რამდენი ავკაცობა ჩამიდენია?“

„ლაპარაკი გავნებთ, გთხოვთ, გაჩუმდეთ!“

მან თითქოს დამიჯერა, გაჩუმდა. მე ისევ მაჯა გავუსინჯე, დაჭრილი ჩუმად იყო და მომეჩვენა, თითქოს თვალდახუჭულს, რაღაც ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე...

მაჯისცემა გაუუარესდა. ლაპარაკმა დაღალა ალბათ, ფრთხილად წამოვდექი სკამიდან.

„ცოტა ხნით დაგტოვებთ, ეცადეთ, დაიძინოთ“.

„არა, ნუ წახვალთ... ან არა და — წადით. წადით, ოღონდ, ეს მითხარით — გამომძიებელი იყო, მნახა?“

„არა... ჰო, დიახ, იყო... — ავირიე მე. — მაგრამ ვიდრე მთლიანად არ გამოჯანმრთელდებით, აღარ მოვა, მე ავუკრძალე“.

მან მწარედ გაიღიმა.

„თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს, ექიმო. დამპირდით, რომ შემისრულებთ“.

„რა გსურთ?“

„ახლავე დაუძახეთ გამომძიებელს! უეჭველად მოიყვანეთ, მე მასთან დიდი, ძალიან დიდი საქმე მაქვს“.

„ხვალ დავურეკავ“.

„ხვალ უკვე გვიან იქნება... დღეს, ახლავე მინდა, რომ დაუძახოთ“, — დაჟინებით გაიმეორა მან და ისეთი მუდარით შემომხედა, რომ წინ ვეღარ აღვუდექი.

„კარგი, ახლავე დავურეკავ“, — დავთანხმდი მე.

„გმადლობთ, ექიმო, ოღონდ იჩქარეთ, თორემ, დააგვიანებთ, გამომძიებელი ვეღარ მომისწრებს...“

მე დაუყოვნებლივ გამოვედი პალატიდან და იმწამსვე თქვენ დაგირეკეთ. როგორც ადამიანს, არ შემეძლო, უარი მეთქვა მომაკვდავის თხოვნის შესრულებაზე, როგორც ექიმს კი, არ მქონდა უფლება მისი სურვილის დაკმაყოფილებისა, მაგრამ თავს მოვერიე, დაგიძახეთ, — დაამთავრა ბარათელმა და კვლავ მოიწმინდა ცრემლები.

— დამშვიდდით, ციალა, რა საჭიროა ამდენი ცრემლი?..

მინდელმა ოთახში გაიარ-გამოიარა.

— შეიძლება ჩარგიევთან შესვლა? — იკითხა მოგვიანებით.

ციალა წამოდგა.

— წავიდეთ. მაგრამ გთხოვთ, არაფერი ჰკითხოთ, მისი მდგომარეობა ძალზე მძიმეა.

ჩარგიევის პალატაში ექთანი მორიგეობდა. დასტაქრისა და გამომძიებლის შემოსვლაზე, წამოდგა, დაჭრილის საწოლთან სკამი დაუდგა გამომძიებელს.

მინდელი ფრთხილად ჩამოჯდა, ჩარგიევს დააკვირდა. დაჭრილს არწივისებური თვალები ჩასცვენოდა, სახეზე მიტკლისფერი ედო, მძიმედ სუნთქავდა, ნელა ტოკავდა მკერდზე სანახევროდ გადაფარებული თხელი საბანი.

ავადმყოფმა თითქოს იგრძნო გამომძიებლის მზერა, ნელა გაახილა თვალები და საწოლთან დახრილ მინდელს შეხედა, შემდეგ, გამომძიებლის გვერდით მდგარ ექიმს შეავლო თვალი.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა ჩუმად და შეეტყო, რომ მაშინვე გაუუარესდა მდგომარეობა.

ექთანი პალატიდან გავარდა და იმწუთასვე, შპრიცით ხელში დაბრუნდა, კანქვეშ გულის წამლის ინიექცია გაუკეთა.

ჩარგიევმა ისევ გაახილა თვალი. გაფითრებული ტუჩებით ბარათელს გაუღიმა, შემდეგ, მინდელზე გადაიტანა მზერა.

— დაბრუნდით, ბატონო ლევან? — შეეკითხა მოულოდნელად.

გამომძიებელმა თავი დაუკრა.

— გმადლობთ, რომ მოხვედით!.. ასეც ვიცოდი... თუმცა... იქნებ, საჭიროც არ იყოს... თქვენ ხომ ყველაფერი იცით და საშკა ჩერქეზის ჩვენება ალბათ, აღარც გჭირდებათ... — თქვა მან სვენებ-სვენებით.

— მე დასაკითხად არ მოვსულვარ, ჩარგიევ, — შენიშნა მინდელმა.

— ვიცი... ჩემი თხოვნით მოხვედით, მე თვითონ მინდოდა თქვენი ნახვა... სიკვდილის წინ... მინდა, რაღაც გითხრათ, ბევრი რამ გითხრათ, მაგრამ...

— გისმენთ, მათე, თუ ექიმი ნებას დაგრთავთ.

— ჩემი ექიმი კეთილი ადამიანია, ის უარს არ მეტყვის... მაგრამ მე... მე მინდა, მხოლოდ თქვენ მომისმინოთ, არ მინდა, სხვა დაესწროს ჩვენს საუბარს, მით უმეტეს, ციალა... ქალბატონი ციალა.

მინდელმა გაოცებით შეხედა დაჭრილს, შემდეგ, აცრემლებულ ციალას მიაპყრო მზერა და უსიტყვოდ შეეკითხა — როგორ მოვიქცეო?

— თქვენ სუსტად ხართ, მათე, ლაპარაკი დაგღლით, უნდა დაიძინოთ!

— გმადლობთ, კეთილო ადამიანო... მე რამდენიმე საათს კიდევ ვიცოცხლებ... ახლა კი გთხოვთ, მარტო დამტოვოთ, ბატონ ლევანთან, — თქვა ჩარგიევმა და დაუმატა: — ძალიან გთხოვთ, ნუ მეტყვით უარს...

— კარგი, — ხმა აუკანკალდა ბარათელს,

— ოღონდ, აქვე ვიქნები, თუ დაგჭირდეთ...

— დაგიძახებთ, ექიმო, ბატონი ლევანი შეგატყობინებთ, თუ ცუდად გავხდი... — ნაძალადევად გაიღიმა დაჭრილმა.

პატიმარი და გამომძიებელი მარტონი დარჩნენ, მაგრამ როგორ არ ჰგავდა ეს შეხვედრა მათ წინა შეხვედრებს! მაშინ, როცა პირისპირ ისხდნენ პატიმარი და გამომძიებელი, ჩარგიევი ამაყად იჯდა, ყოველ კითხვას დამაჯერებელი ტონით პასუხობდა, პროტესტს აცხადებდა, ედავებოდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა... ახლა კი... ახლა ბალიშზე უღონოდ მისვენებული, მძიმედ სუნთქავდა და მორჩილად მისჩერებოდა საწოლთან სკამზე ჩამომჯდარ მინდელს...

— მე თქვენს ჩამოსვლას ყოველდღე ველოდი, ბატონო ლევან... არ ვფიქრობდი, თუ კიდევ მოგვიწევდა შეხვედრა, მით უმეტეს — ასეთ პირობებში, მაგრამ ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა... აქ, ამ საწოლზე უნდა დავამთავრო სიცოცხლე... — პატიმარმა ცოტა ხნით იყუჩა და შემდეგ განაგრძო: — გწამთ ბედისწერის?.. არა?.. მე კი მწამს... ესე იგი — ახლა მწამს. აქამდე კი, არც მე მწამდა... — ჩარგიევი კვლავ გაჩუმდა, მაგრამ რადგან მინდელი დუმდა, ისევ განაგრძო: — უკანასკნელი დაკითხვისას დავრწმუნდი, რომ თქვენ ჩემი წარსული მთლიანად ამოქექეთ. ვიცოდი, რომ მალე დაბრუნდებოდით, ახალი დამამტკიცებელი საბუთებით, ამიტომ იმ დღესვე გადავწყვიტე გაქცევა: არ მინდოდა, ისევ იქ დავბრუნებულიყავი, საიდანაც გამოვიქეცი... ჩემმა ბედბისწერამ სხვანაირად „განსაჯა“, სიკვდილის წინ, ღმერთმა ანგელოზი გამომიგზავნა და მან მაიძულა, გითხრათ... გითხრათ ის, რაც არ იცით და ვერც ოდესმე გაიგებდით. მაშ მისმინეთ. თუ ძალა მეყო, ბოლომდე გიამბობთ ყველაფერს. გიამბობთ ყველაფერს დაუფარავად, შეუღამაზებლად. სიკვდილის სარეცელზე მყოფნი ტყუილს არ ამბობენ, მეც სრულ სიმართლეს გეტყვით. მეგონა, გული დიდი ხანია, აღარ მაქვს-მეთქი, თურმე, ვცდებოდი... ბედმა აქაც დამცინა, თუმცა, არ ვნანობ — ვინ იცის, იქნებ, უკეთესიც არის: სიკვდილის წინ პატარა სიხარულიც, დიდი ბედნიერებაა... — ჩარგიევმა ცოტა შეისვენა და განაგრძო: — მითხარით, ეს ჩემი ექიმი... ქალბატონი ციალა დიდი ხანია, ქუთაისში ცხოვრობს?

— ხუთი წელია, — მიუგო პატიმრის კითხვით განცვიფრებულმა მინდელმა.

— ხუთი წელი? ბედნიერია, არა? ო, ეს მე ძალიან, ძალიან მიხარია...

გაკვირვებული მინდელი დუმდა, ვერ გაეგო, რა სურდა ეთქვა პატიმარს.

— რა გინდათ, მითხრათ? — შეეკითხა.

ჩარგიევმა უპასუხოდ დატოვა გამომძიებლის კითხვა და ჩუმი ხმით კვლავ განაგრძო:

— ტყვიით დაჭრილს, მან გამიკეთა ოპერაცია... რამდენიმე საათის სიცოცხლე მაჩუქა... რა იცოდა, თუ ამით ისეთ ტანჯვას მომაყენებდა, რაც მთელ ჩემს სიცოცხლეს აიწონიდა... თუმცა, არ ვნანობ, არც ბრალს ვდებ, მან ხომ... მაგრამ თავიდან დავიწყებ. თუ სულთამხუთავმა დამაცადა, ყველაფერს გეტყვით. იქნებ, უფრო დამშვიდებული გავემგზავრო იმ ქვეყანას...

ჩარგიევი ერთი წამით გაჩუმდა, ჩაფიქრდა და ამბის თხრობას შეუდგა:

— თქვენ ალბათ მიხვდით — მე არც ჩარგიევი ან კოკოევი ვარ და არც მარკაროვი. ეს გვარები, ყველა — შერქმეულია, ყალბია... მე ქართველი ვარ, ქალაქ თბილისში დავიბადე. მამაჩემს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, რესპუბლიკაში ერთ-ერთ დიდ სპეციალისტად თვლიდნენ, დედაც ინჟინერ-მშენებელი იყო. იმ დროს, რომელსაც ჩემი ნაამბობი შეეხება, ორივენი თბილისში მუშაობდნენ, საკავშირო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობაზე: მამა — მშენებლობის უფროსად, დედა — რიგით ინჟინრად. მე მათი ერთადერთი ვაჟი ვიყავი და ჩემი ბავშვობა ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე ლამაზი პერიოდია ჩემი ცხოვრებისა.

მშობლები არაფერს მაკლებდნენ. ვსწავლობდი მუსიკას, უცხო ენას, ვეტანებოდი სპორტს და ყველაფრით უზრუნველყოფილი, შევხაროდი სიცოცხლეს. ხდება ხოლმე, ბავშვები სწორედ ამ უზრუნველი ცხოვრებისა და განებივრების გამო, ცუდისაკენ მიილტვიან, მაგრამ ჩემი მშობლები კარგი აღმზრდელები იყვნენ და მეც იმთავითვე, მხოლოდ კარგს ვითვისებდდი. არ მახსოვს, ერთხელ მაინც დავესაჯე სკოლაში, ყველა საგანში ფრიადი მქონდა, არც მუსიკის ნიჭს ვიყავი მოკლებული. ერთადერთი სისუსტე, რომელიც მეექვსე კლასში გადასვლის შემდეგ დამჩემდა, მედიცინისაკენ ლტოლვა იყო. ჩვენს მეზობელს, უცოლშვილოდ დაბერებულ ქირურგს, ძია ივანეს მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა და მეც მთელი საათები, მის ოთახში ჩაკეტილი, დაუღალავად ვკითხულობდი სამედიცინო ლიტერატურას. მამას თუმცა მოსწონდა მედიცინით ჩემი გატაცება, მაგრამ მიიჩნევდა, რომ სამედიცინო ლიტერატურის კითხვა ჯერ ჩემთვის ნაადრევი იყო. ცდილობდა, დაჯერწმუნებინე, რომ ჩემს ასაკში ძნელია მედიცინაში გარკვევა და ჯობდა, ცოტა ხანი დამეცადა. ბოლოს, მამაც შეურიგდა ამ ამბავს და ღიმილით უსმენდა ძია ივანეს, რომელიც ჩემთვის გაუგებარ ადგილებს მიხსნიდა ხოლმე...

შრომამ შედეგი გამოიღო: როდესაც მეათე კლასში გადავედი, ისე ვერკვეოდი მედიცინაში, რომ ძია ივანეს თქმით, სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტს თავისუფლად გავუწევდი მეტოქეობას. მამა უკვე, არათუ მიშლიდა, არამედ ცდილობდა, კიდევ უფრო შემეყვარებინა მედიცინა.

ერთი სიტყვით, გატაცებით ვმუშაობდი და ჭაბუკურ ოცნებაში არაერთხელ წარმომედგინა ჩემი თავი დახელოვნებულ დასტაქრად, რომელმაც მრავალი ადამიანი იხსნა სიკვდილისაგან.

ყველანი ბედნიერები ვიყავით, მშობლები შემოგვხაროდნენ მე და ჩემს პატარა დას ეკას. ის ჩემზე 9 წლით უმცროსი იყო და ყველას ნებიერად ითვლებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას თვალებფოფინა, ნაწნავებიანი და მუდამ მოღიმარი გოგონა. როდესაც გაჯავრდებოდა, ცრემლით ევსებოდა დიდრონი ცისფერი თვალები, ხოლო სიხარულის დროს, ეს თვლები ორ უძირო ლურჯ ტბას ემსგავსებოდა, მათში ცისფერი ნაპერწკლები ციალებდა...

1937 წლის იანვარი ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება, არა იმიტომ, რომ ყოველი წლის 10 იანვარს, ჩემთვის ახალი სიხარული მოჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი დაბადების დღის უკანასკნელი ზეიმი, რასაც შემდეგ, მთელი რიგი უბედურებანი მოჰყვა.

...ეს დღეც ისე დაიწყო ჩემთვის, როგორც ყველა გასული წლის 10 იანვარი: დედა და ჩემი ოჯახის ერთადერთი ნათესავი — დეიდა თამარი, მეზობელი ქალების დახმარებით, დილიდანვე შეუდგნენ საზეიმო სუფრისათვის მზადებას. საღამოს 5 საათზე, სუფრა გაიშალა, მოვიდნენ ჩემი მეგობარი გოგონები და ბიჭები. დიდხანს ვიმხიარულეთ, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით როიალზე დაკვრასა და ცეკვაში. საღამოს 8 საათზე, ჩემი მშობლების რამდენიმე მეგობარი გვწვია, მხოლოდ ძია ივანე არ იყო მათ შორის. ის ჯერ კიდევ ზაფხულში, სამუდამოდ წაიყვანეს ძმისშვილებმა ქალაქ კიევში. ახალ, ბროწეულისფერ კაბაში გამოწყობილი ეკა ქურციკივით დახტოდა, ნედლი ტაროებივით აშვეტილ ფეხებზე და ყველაზე მეტს მხიარულობდა. სადილი ვახშმად გადაიქცა. მოზარდები, ცხადია, ღვინოს ვერიდებოდით, ცოტას ვსვამდით. ჩვენს ძირითად სასმელს, ხილის წყლები და ყურძნის წვენი შეადგენდა. საზეიმოდ მომილოცეს 17 წლის შესრულება. მამამ ლამაზი კოლოფი გადმომცა, გავხსენი, შიგ მაჯის საათი იყო, მონოგრამით: „საყვარელ თამაზს მშობლებისაგან 10/1/19... წელი“ — წავიკითხე და გული სიხარულით ამევსო. თუმცა ჩემს მშობლებს არ უჭირდათ, მაგრამ საათი არასოდეს უჩუქებიათ. მეათე კლასში გადასვლის შემდეგ, მამა, როგორც დიდს, ისე მესაუბრებოდა, ახლანდელი საჩუქარი ჩემი ბავშვობის ხანის დამთავრებას ნიშნავდა და გული სიხარულით ამევსო.

სტუმრებმაც მომართვეს საჩუქრები. ჩვენს

ოჯახში არსებული ტრადიციით, დღეობაზე ძვირფასი საჩუქრის მოტანა არ იყო მიღებული. მშობლების ამ მოთხოვნას ყველა სტუმარი ემორჩილებოდა. ჩემი სადღეგრძელო შესვეს. მამის მეგობარმა, ძია ვარდენმა ვაჟკაცი მიწოდა, მისურვა, სასახელო ქირურგი გამოვსულიყავი. ყველამ გადამკოცნა. როდესაც ჯერი ჩემს თანაკლასელ ციალაზე მიდგა, მან მხოლოდ ხელი ჩამომართვა და მორცხვად მომილოცა. მეწყინა: ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ციალამ თავი შეიკავა და კოცნით არ მომილოცა დაბადების დღე... გაოცებით შევხედე. ციალა აირია და გაწითლდა, მეც, ჩემდა უნებურად, გავწითლდი. ამხანაგების ყიჟინამ გამომარკვია. ორთავეს შემოგვეხვივნენ და ციალას მოსთხოვეს, გადავეკოცნე. რატომღაც, მეც უკან დავიხიე და მიუხედავად ამხანაგების მოთხოვნისა, საქციელწამხდარმა, ციალას ხელი, რომელიც აქამდე ხელში მეჭირა, გავუშვი და მეორე ოთახში გავვარდი. სიცილ-ხარხარი ატყდა. ვინმეს რომ ეკითხა, რატომ მოვერიდე ციალას კოცნას, ვერ ვუპასუხებდი — აკი, სხვა ამხანაგი გოგონები თავისუფლად გადავკოცნე. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და ბევრ რამეში ვერ ვერკვეოდი. რა ვიცოდი, თუ დიდი გრძნობა ასე იბადებოდა უმანკო გულში!.. მხოლოდ იმ საღამოს შევამჩნიე, რომ ციალას, სხვა ამხანაგი გოგონებისაგან განსხვავებით, რატომღაც, უპირიტესობას ვანიჭებდი და ჩემდა უნებურად, საქციელი წამიხდა.

დიდხანს ვმხიარულობდით. როგორც ახლა, იმ წელსაც დიდი თოვლი მოვიდა. 10 იანვარს მაინც, შეუსვენებლივ თოვდა, მხოლოდ საღამოს გადაიღო. ვისაც თოვლში ჩაფლული თბილისი ერთხელ მაინც უნახავს, მას არასოდეს დაავიწყდება მისი თვალწარმტაცი სილამაზე. თბილისი თოვლში შეუდარებელია!..

ღამით ყინვა დაიჭირა, გარეთ ციოდა, ჩვენს ბინაში კი, საზეიმოდ გაწყობილ სუფრას უხვად „სდიოდა“ სითბო და ჯერ ისევ ბავშვური სიხარული...

სტუმრები გვიან ღამით დაიშალნენ. მინდოდა, ამხანაგები გამეცილებინა, მაგრამ არ ქნეს, კარამდე მივყევი მხოლოდ. როდესაც ციალას ხელი ჩამოვართვი, გული ამიჩქროლდა, მაგრამ ამის მიზეზს შედარებით გვიან მივხდი.

მამის ძვირფასი საჩუქარი იყო მიზეზი თუ სხვა რამ — გული სიხარულს ვერ იტევდა, მინდოდა, მეყვირა, ქვეყნისათვის გამეგებინებინა ჩემი უჩვეულო ბედნიერება...

დიდხანს არ დამეძინა. უკვე საწოლში მყოფს მესმოდა, როგორ ფუსფუსებდა დედა სასადილო ოთახში და სუფრას ალაგებდა.

არ ვიცი, როდის ჩამეძინა ან რამდენ ხანს მეძინა. როდესაც თვალი გავახილე, ოთახში უცნობი ადამიანები დავინახე... გაოცებული შევყურებდი უცნობებს... ჩემი გაღვიძება იმათ არ შეუმჩნევიათ. პირველად გავიფიქრე — ქურდები დაგვესხნენ თავს-მეთქი. შიშისაგან გამაჟრჟოლა. უეცრად წამოვხტი ლოგინიდან, მაგრამ ვიდრე რაიმეს დაყვირებას მოვასწრებდი, ერთ-ერთმა უცნობთაგანმა მტკიცე ხმით მიბრძანა, ჩუმად ვყოფილიყავი. ვიღაცამ შუქი აანთო. ჩემი ოთახის ღია კარიდან კარგად დავინახე, სასტუმრო ოთახის მაგიდასთან მჯდომი მამა. ანგარიშმიუცემლად გავვარდი მეორე ოთახში, ჩემი დაკავება არავის უცდია. მამამ ნაღვლიანად გაიღიმა:

„ნუ გეშინია, შვილო, არაფერია, — მითხრა და თავზე ხელი გადამისვა. მამის ხმას სიმშვიდე არ დაჰკარგვია, მაგრამ ხელი უკანკალებდა, რაც მისთვის ადრე არასოდეს შემიმჩნევია...

„მამა, მამიკო! რა მოხდა?“ — ვკითხე და მოვეხვიე.

„არაფერია, შვილო, არაფერი, ნუ შეგეშინდება“, — შეეცადა ჩემს დამშვიდებას.

„არაფერია, ბიჭიკო, ნუ ღელავ, პატარა ხომ არა ხარ!..“ — მითხრა მამის პირდაპირ მჯდომმა უცნობმა.

უნებურად მივიხედე მისკენ, მშვიდად გამიღიმა და მე მივხვდი, რომ ეს ხალხი ქურდები არ იყვნენ...

მაგიდასთან მჯდომ უცნობს დავაკვირდი: ჩვეულებრივი მამაკაცი იყო, ისეთი, სხვებისგან რომ არაფრით გამოირჩევა, ასე, 36-38 წლისა იქნებოდა. საკმაოდ სიმპათიურ სახეს გვერდზე გადავარცხნილი ქერა თმა უმშვენებდა, შავი კოსტიუმი და ნაცრისფერი თბილი პერანგი ეცვა, ხელში ფანქარი ეჭირა და რაღაცას წერდა.

თუმცა თავი არ აუწევია, მაგრამ ვიგრძენი — მიხვდა, რომ დაკვირვებით ვათვალიერებდი. მამის ნაჩუქარი საათი დაწოლის წინ მაჯიდან არ მომიხსნია. დავხედე — ისრები ღამის 4 საათსა და 15 წუთს უჩვენებდა...

ჩემს ოთახში მყოფი უცნობები სასტუმრო ოთახში შემოვიდნენ. ამავე დროს, გაიღო მეორე კარი და იქიდან ოთახში კიდევ ორი კაცი შემოვიდა, რომელთაც ძალზე გაფითრებული დედაჩემი ლასლასით მოჰყვებოდა.

ყოველივე ამან ისეთი თავზარი დამცა, ხმის ამოღების უნარი დავკარგე. ვინ არიან? რა უნდათ ამ დროს ჩვენს ბინაში? რას ნიშნავს ჩემი მშობლების დუმილი? — ვეკითხებოდი საკუთარ თავს, მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობდი. ერთ რაიმეს დანამდვილებით მივხვდი: მოხდა რაღაც საშინელი, მაგრამ ეს საშინელება ჩვენს ქონებას, ჩემს მშობლებს ემუქრებოდა, ხოლო რატომ, რისთვის? — ეს კი ვეღარ გამეგო.

მაგიდასთან მჯდომა უცნობმა დანარჩენთა შემოსვლაზე, თავი ასწია, წერა შეწყვიტა და უსიტყვოდ მიაპყრო მათ მზერა.

„არაფერი არ არის...“ — უპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა. მაგიდასთან მჯდომმა თავი დაუქნია, რაც ალბათ, თანხმობას ნიშნავდა. შემდეგ წერა შეწყვიტა.

„გთხოვთ, ჩაიცვათ!“ — მშვიდად მიმართა მან ჩემს მშობლებს.

„კი, მაგრამ მე მგონია, აქ რაღაც გაუგებრობაა“, — თქვა მამა.

„შესაძლებელია, ბატონო რევაზ. ეს ალბათ, მალე გაირკვევა. თუნდაც მარტო ამისთვის, აუცილებელია თქვენი წამოსვლა“, — ზრდილობიანად უპასუხა მაგიდასთან მჯდომმა შავკოსტიუმიანმა და ფეხზე წამოდგა.

სხვები დუმდნენ. მე რატომღაც ვიფიქრე, რომ ეს, დანარჩენების უფროსი იყო, ხოლო ვინ იყო ეს ხალხი და სად მიჰყავდათ ჩემი მშობლები, — უკვე მივხვდი...

დედ-მამას შევხედე — მამა მშვიდად იჯდა, მაგრამ შევატყვე, რომ სიმშვიდე მხოლოდ გარეგნული იყო. კუთხეში მდგარ დედას კი, ცრემლების ნიაღვარი ნიკაპთან ჩამოსდიოდა... ჩემთვის ესოდენ ძვირფასი თვალები მარტო მე მიცქეროდნენ და უდიდეს სიყვარულს გამოხატავდნენ... სევდასა და შიშთან ნარევ სიყვარულს... დედაჩემი საკმაოდ ლამაზ ქალად ითვლებოდა, თუმცა 40 წელს იყო გადაცილებული, ასაკი არ ეტყობოდა. ახლა კი, ოთახის კუთხეში მდგარი, ამ ორ საათში, საოცრად შეცვლილი, თითქოს დაბერებული, საცოდავი დედა უხმოდ აფრქვევდა ცრემლებს. მისი ცრემლები ის უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც საბოლოოდ დაამსხვრია ჩემი ბავშვური თავშეკავება: დიდი ხანია, ცრემლები მახრჩობდა, მაგრამ ტირილს სირცხვილად მივიჩნევდი და თავს ვიკავებდი — მე ხომ სწორედ იმ ღამეს შემისრულდა 17 წელი, მაგრამ დედის ტანჯვას, მის ცრემლებს ვეღარ გავუძელი, — უეცრად ავზლუქუნდი, დედასთან მივიჭერი, მოვეხვიე და სახე მის მკერდში ჩავრგე. მან რაღაც არაბუნებრივი სიშმაგით ჩამიკრა გულში, თავ-კისერი დამიკოცნა, მომეფერა, თითები თმაში ჩამიყარა, მომიალერსა, „შვილებო, ჩემო შვილებო“ — ქვითინებდა იგი და ვგრძნობდი, როგორ მისველებდა თავ-კისერს ცხელი ცრემლები.

შავკოსტიუმიანი ჩვენთან მოვიდა, ქოჩორი მომიჩეჩა, დამიყვავა: „აბა, ეს რა საქციელია, ბიჭიკო?! აკი ვთქვი, აქ რაღაც გაუგებრობაა-მეთქი. დაწყნარდი, შენი მშობლები ხვალ უთუოდ დაბრუნდებიან... თქვენც არ გეპატიებათ ასეთი საქციელი, — მიუბრუნდა ის დედაჩემს, — ბავშვს გულს რატომ უხეთქავთ? ყველაფერი გაირკვევა, არ არის საჭირო ცრემლები“.

მისი ხმა დამაიმედებლად მომეჩვენა, უეცრად, ცრემლები შემიშრა, სკამიდან წამომდგარ მამასთან მივედი. მან უხმოდ მომხვია ხელი. ყველანი შუშაბანდში გავედით. მამა ჩაცმას შეუდგა, მე დედას ვეხმარებოდი ჩაცმაში, უცნობები მოთმინებით გვიცდიდნენ.

„თუ შეიძლება, ერთი თხოვნა მაქვს“, — მიმართა მამამ შავკოსტიუმიანს.

მან თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

„ჩემს გოგონას სძინავს, ნება მოგვეცით, მე და ჩემს მეუღლეს, ბავშვს გამოვემშვიდობოთ“.

„რასაკვირველია, — რბილად წარმოთქვა შავკოსტიუმიანმა და დაუმატა: მიბრძანდით, გამოემშვიდობეთ, ჩვენ აქ დაგიცდით“.

დედ-მამა ეკას ოთახისკენ გაემართა, ორი მოსულთაგანი მათ გაჰყვა. მე მხოლოდ ახლა გამახსენდა ეკა და გულზე ცეცხლი მომედო: რა მოუვა მას, დედ-მამა რომ რამდენიმე თვე არ გამოუშვან? განა, გაუძლებს ჩემი პატარა დაიკო ამ ამბავს?! ან რა ვუთხრა, როდესაც გაიღვიძებს, რით ვანუგეშო?!. — ცხელი შანთივით დამიარა გონებაში და მეც მშობლებს გამოვედევნე, მაგრამ ეკას ოთახში არ შევსულვარ, რადგან იქიდან გამოსულმა მამამ უხმოდ მომკიდა ხელი და გვერდზე გამიყოლა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერეკლეს მოედანზე, თეკლა ბატონიშვილის სასახლის ორ ოთახში მუსიკალური საკრავების მუზეუმია შეკედლებული. 7000-მდე უნიკალური ექსპონატი საგამოფენო დარბაზის გარეშეა დარჩენილი და თითქმის 10 წელია, იქ არც დამთვალიერებელს შეუდგამს ფეხი. ევროპული მუსიკალური კარადების გვერდით, რომელთა ულერადობით, საუკუნეების წინ, დიდგვაროვანი ქალბატონები ტკბებოდნენ, ბნელ და ნესტიან ოთახში, ჩვ.წ.აღ-მდე მეორე ათასწლეულით დათარიღებული, მინიატიურული სალამურისთვისაც გამოუნახავთ ადგილი. მტვრის სქელი ფენა დასდებია აკაკი ხორავას ნაქონ ჩონგურს, ოლღა გურამიშვილის სადაფისთვლებიან დიპლიპიტოს, ეთიოპიურ დოლს და მიკიფონს, რომელიც ომის დროს, სანგარში შეყუჟულ ჯარისკაცებს ამხნევებდა.

ოლღა გურამიშვილის დიპლიპიტო, აკაკი ხორავას ჩონგური და ბავშვის საფლავში ნაპოვნი სალამური

ემა ტუხიამშვილი

ნონა გაფრინდაშვილი, *მუსიკალური საკრავების მუზეუმის ფონდების მცველი:*

— მუზეუმი 1983 წელს, არკადი რევაზიშვილის კოლექციის ბაზაზე დაარსდა — არკადი თბილისელი კაცი იყო, რომელმაც მთელი ცხოვრების მანძილზე, უამრავი ძველი, ქართული მუსიკალური ინსტრუმენტის შეგროვება და მათი თავმოყრა შეძლო. ექსპედიციებიდან საკმაოდ ბევრი მუსიკალური ინსტრუმენტი შემოგვმატა. იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანებს ძველი მუსიკალური საკრავი ოჯახიდანაც გამოუტანიათ და მუზეუმისთვის გადმოუციათ. რამდენიმე ექსპონატი კი, შევიძინეთ. და დღეს, მუზეუმში 7000-მდე უნიკალური ექსპონატია დაცული. მათ შორისაა, როგორც უძველესი ქართული ხალხური, ასევე, ძველი ევროპული და თქვენ წარმოიდგინეთ, აფროამერიკული საკრავებიც კი.

— თქვენს მუზეუმში ყველაზე ძველი ექსპონატი რომელია?

— ეს გახლავთ მინიატიურული ძვლის სალამური, რომელიც არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს და ჩვ.წ.აღ-მდე მეორე ათასწლეულით თარიღდება. სხვათა შორის, ეს სალამური ბავშვის საფლავშია აღმოჩენილი. მუზეუმში ასევე დაცულია სადაფით შემკული დაირა, რომლის პროტოტიპი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მცხეთაში იპოვეს და ისიც, ჩვ.წ.აღ-მდე მეორე ათასწლეულით თარიღდება. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე, უძველესი მუსიკალური ინსტრუმენტი — ჩანგი, რომელიც საქართველოში ჩვ.წ.აღ-მდე პირველ ათასწლეულში გაჩნდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს საკრავი, ხეზე ჭრის უნიკალურ ნიმუშსაც წარმოადგენს და საინტერესო ტემბრითაც გამოირჩევა, ჩვენს კოლექციაში დაცულია გუდასტვირი. ეს მუსიკალური ინსტრუმენტი, ხშირად იხსენიება ხალხურ პოეზიაში. მისი ჰანგების თანხლებით, მესტვირეები და ლექსის მთქმელები გამოდიოდნენ მსმენელების წინაშე. ეს საკრავი განსაკუთრებით გავრცელებული იყო რაჭაში, სადაც მას დღემდე საზანდარს ეძახიან, ასევე — აჭარაში, სადაც ის ცნობილია, როგორც ჭიბონი, ხოლო მესხეთში მას თულუმს უწოდებდნენ. ექსპოზიციაში აგრეთვე დაცულია უძველესი ლითონის ბუკი. მას სამხედრო დანიშნულება ჰქონდა და თავისი გამჭოლი ხმით, მეომრებს საბრძოლველად უხმობდა. გვაქვს მინიატიურული გარმონები, რომლებსაც ჯიბის გარმონს უწოდებდნენ.



ექსპონატებს შორის, არის ოლღა გურამიშვილის მამისეული დიპლიპიტო

— ცნობილი ადამიანების ნაქონი ინსტრუმენტები თუ არის თქვენთან დაცული?

— მუზეუმში ინახება მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებზეც ქართული საკრავების პირველი ანსამბლის — „ხოროს“ წევრები უკრავდნენ. ეს ანსამბლი 1886 წელს ჩეხი ლოტბარის, რატილის ხელმძღვანელობით შეიქმნა და სხვადასხვა დროს, მისი წევრები იყვნენ — ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ია კარგარეთელი და მელიტონ ბალანჩივაძე. ჩვენთან არის დაცული: ჩონგური, რომელზეც ცნობილი ლოტბარის, ვარლამ სიმონიშვილის ანსამბლის წევრი ქალბატონები უკრავდნენ. ექსპონატებს შორის, არის ოლღა გურამიშვილის მამისეული დიპლიპიტო, რომელიც სადაფის თვლებით არის მოოჭვილი და მასზე, თავად დიდგვაროვანი ქალბატონი უკრავდა.

გვაქვს აკაკი ხორავას ჩონგური, რომელიც მისთვის იუბილეზე ზუგდიდელებს მიუძღვნიათ საჩუქრად. აქვეა კალიოპე — სიმფონიური მუსიკის საკრავი, მას მუსიკალურ ავტომატსაც ეძახიან. ეს ინსტრუმენტი XX საუკუნის დასასრულს, გერმანიაშია დამზადებული და ჩვენი მუზეუმისთვის საფრანგეთიდან აშილ მიურატმა ჩამოიტანა. გარდა ამისა, ექსპონატებს შორის ბევრი უნიკალური მუსიკალური კარადაა, რომლებიც დასავლეთ ევროპაში ცნობილი ოსტატების ხელითა დამზადებული. მუსიკალური კარადები საქართველოში განსაკუთრებით მოდური XX საუკუნეში იყო. ისინი ძირითადად დიდგვაროვან ოჯახებს ჰქონდათ. სამწუხაროა, რომ ჩვენამდე ამ კარადების მფლობელთა ვინაობამ ვერ მოაღწია.

— საინტერესოა, დღემდე თუ შეინარჩუნა ულერადობა ამ მუსიკალურმა კარადებმა?

— მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორსაუკუნოვანი მუსიკალური კარადები ნესტიან და ბნელ ოთახებში ინახება, მათი მექანიზმი დღემდე გამართულად მუშაობს. სხვათა შორის, შარშან, ჩვენი მუზეუმის წინ მდებარე ბაღში მოვაწყვეთ გამოფენა და თითქმის ყველა მუსიკალური ინსტრუმენტი ავაჟღერეთ. თითოეული მათგანი იმდენად ლამაზ ჰანგებს გამოსცემდა, რომ სრულიად შემთხვევით მოსულ დამთვალიერებლებს წასვლა აღარ უნდოდათ. ექსპონატებს შორის, გვაქვს უნიკალური არღნები და მუსიკალური ყუთები. მათ შორისაა, გერმანელი ოსტატების — ძმები ფარატების მიერ — XX საუკუნეში დამზადებული არღანი.

— არის თუ არა შეფასებული ამ მუსიკალური ექსპონატების ღირებულება და გაქვთ თუ არა მუზეუმში ინსტრუმენტების შესანახად საჭირო პირობები?

ჩანგი.
ხეზე კვეთილობა.
ოსგაგი ვ. საღლიანი

— როგორც ხედავთ, მუზეუმი, ფაქტობრივად, შენობის გარეშეა დარჩენილი. უკვე 10 წელია, ამ სახლის ორ ოთახში ვართ შეკედლებული, სხვა ოთახებში კი, მოსახლეობა ცხოვრობს. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში, მუსიკალური საკრავების მუზეუმი აწყურის ქუჩაზე მდებარე მცირე საგამოფენო დარბაზიდან სოლიდურ შენობაში (გორგასლის ქუჩაზე გადაიტანეს. ექსპონატების მოვლა-პატრონობისთვის და დამთვალიერებელთა მისაღებად იქ ყველა პირობა გვქონდა, მაგრამ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, როდესაც ჰეიდარ ალიევის თბილისში ვიზიტი იგეგმებოდა, შენობა სასწრაფოდ დაგვატოვებინეს, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მუზეუმის ნაცვლად, იქ აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი უნდა დაეარსებინათ. ცხადია, რამდენიმე დღეში ამ ცენტრის დაარსება და შესაფერისი გარემოს მოწყობა ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ, მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ შენობის აივანზე აზერბაიჯანული სათვისტომოს რამდენიმე წარმომადგენელი დადგებოდა და ალიევს ხელს დაუქნევდა. ამ საბაბით, ჩვენი მუზეუმის უნიკალური ექსპონატები 4 დღე-ღამის განმავლობაში, ქუჩაში ეყარა. მოსულიყვნენ და ენახათ მაინც, რომ ექსპონატებს შორის, ბევრი აღმოსავლური საკრავიც გვაქვს — მაგალითად, აზერბაიჯანული საზი, ქამანჩა და თარი!.. ჩვენს კოლექციაში ასევე დაცულია ძველი აფხაზური საკრავი — აფხარცა. რაც შეეხება ექსპონატების ღირებულებას, შემიძლია გითხრათ, რომ მათი უნიკალურობიდან გამომდინარე, თითოეული ინსტრუმენტი საკმაოდ ძვირად ღირებულია. ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ, რომ ქუთაისში, ერთ-ერთი ოჯახი ძველებურ მუსიკალურ კარადას ფლობს და მას 100.000 დოლარად აფასებს. სამწუხაროდ, ჩვენი მუზეუმის ბიუჯეტი იმდენად მწირია, რომ ახალი ექსპონატების შესაძენად კი არა, არსებულის შესანახადაც არ გვყოფნის — ამდენი ექსპონატი დარაჯის ამარაა დარჩენილი. იმით, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არ შეგვიძლია, სხვები სარგებლობენ. მაგალითად, უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსკოვის ანტიკვარიატის მუზეუმისთვის უნიკალური ქართული საკრავები კონტეინერებით გაიტანეს... ■

სულიწმიდის ნიჭების ნიშნად, ცეცხლის ენებად განყოფილი, ზეციდან გარდამოვლენილი სულიწმიდა და მწვანე რტოებითა და ყვავილებით ტაძრის მორთვის ტრადიცია

11 ივნისს მართლმადიდებელი ეკლესია სულთმოფენობის დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც უფლის მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის მოსახსენიებლად და განსადიდებლადაა დაწესებული. სულთმოფენობის დღესასწაული მოძრავია და ყოველთვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიდან ორმოცდამეათე დღეს აღინიშნება... როგორ მოხდა მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლა? რატომ იყვნენ შეკრებილნი ამ დროს იერუსალიმში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ადამიანები? რატომ ამკობენ სულთმოფენობის დღესასწაულზე მორწმუნენი ტაძრებსა და სახლებს მწვანე რტოებითა და ყვავილებით? — ამ და სხვა საკითხებზე საუბარი წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარს, მამა კონსტანტინეს (გიორგაძე) ვთხოვეთ.

მორენა მერკვილაძე

— მკვდრეთით აღმდგარმა იესო ქრისტემ მოციქულებს აღუთქვა, რომ მათ მიეცემოდათ ნუგეშისმცემი — ანუ სულიწმიდა. ზეცად ამაღლების წინ კი უბრძანა, რომ იერუსალიმში დარჩენილიყვნენ და იქ დალოდებოდნენ სულიწმიდის მოვლინებას. მართლაც, უფლის მკვდრეთით აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, როდესაც მოციქულები ერთ სახლში იყვნენ შეკრებილნი და ლოცულობდნენ, ზეციდან ქარიშხლის მსგავსი ხმაური მოისმა. მთელი სახლი ხმაურმა აავსო: „და ეჩვენათ განყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით...“ (საქ. მოც. 2, 2-4).

— ეი. მოციქულებზე სულიწმიდა ცეცხლის სახით გარდამოვიდა, რომელიც ენებად იყო განყოფილი. რას მიანიშნებდა ცეცხლის ენებად განყოფა?

— ეკლესიური მოძღვრებით, სულიწმიდას მრავალი ნიჭი აქვს, სწორედ სულიწმიდის ნიჭების სიმრავლის ნიშნად იყო განყოფილი ცეცხლის ენებად ზეციდან გარდამოვლენილი სულიწმიდა, რომლის ძალითაც მოციქულებმა სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი.

— ენათა აღრევა ჯერ კიდევ „ძველი აღთქმის“ დროს, ბაბილონის გოდოლის შენებისას დაუშვა ღმერთმა, რათა ადამიანები ერთმანეთისგან გაეთიშა და მათ ვეღარ გაეგოთ ერთმანეთის. საინტერესოა, რა იყო მიზეზი სულთმოფენობის ჟამს მოციქულების სხვადასხვა ენაზე ამეტყველებისა?

— უპირველესად, ეს მოხდა იმიტომ, რათა, ამ დროს იერუსალიმში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ ადამიანებს მათი გაგება შესძლებოდათ. ამასთანავე, სულიწმიდის გადმოსვლის — სულთმოფენობის შემდეგ, მოციქულები „სახარების“ საქადაგებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უნდა წასულიყვნენ და ღვთის სიტყვა რომ ყველგან და ყველასთვის ყოფილიყო ნაქადაგები, საჭირო იყო სხვადასხვა ენის ცოდნა.

— თუმცა მოციქულთა სახლის წინ შეკრებილ ადამიანთა ნაწილმა, რომლებიც იქ ზეციდან მომდინარე უჩვეულო ხმაურმა შეყარა, მოციქულთა სხვადასხვა ენაზე ამეტყველება მთვრალების ბუტბუტად მიიჩნიეს და დაცინვით ამბობდნენ: „მაჭრით დამთვრალანო“...

— ამის პასუხად, პავლე მოციქულმა შეკრებილთ უთხრა, რომ ისინი მთვრალები კი არ იყვნენ, არამედ აღსრულდა იოელ წინასწარმეტყველისგან თქმული: „იქნება უკანასკნელ დღეებში, ამბობს ღმერთი, რომ ჩემი სულისგან მოვფენ ყველა ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და თქვენი ასულნი და თქვენი ჭაბუკნი ჩვენებას იხილავენ... ჩემს მონებზე და ჩემს მხევლებზე მოვაფენ იმ დღეებში ჩემი სულისგან და იწინასწარმეტყველებენ“... (მოც. საქ. 2, 17-18).

— ეი. პავლე მოციქულმა შეკრებილთ აუწყა, რომ ეს იყო იოელის წინასწარმეტყველების აღსრულება: „სულიწმიდის გადმოსვლა მათზე, ვინც სამყაროს მხსნელი ირწმუნა“, — გვამცნობს „მოციქულთა საუკუნეების ისტორია“, მაგრამ სულიწმიდასთან ერთად ხომ მამა ღმერთი და ძე ღმერთიც მყოფობდა...

— ცხადია, სულიწმიდასთან ერთად მამა და ძეც იმყოფობდა, რადგან ყოვლადწმინდა სამება ერთარსება და განუყოფელია და ცალ-ცალკე არასოდეს მოქმედებენ.

— რა იყო მიზეზი უფლის მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის ჟამს იერუსალიმში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანების შეკრებისა?

— იერუსალიმში ჩამოსული ადამიანები „ძველი აღთქმის“ პასექის (ებრაელთა

ეგვიპტელთა მონობისგან გამოხსნის) დღესასწაულიდან ორმოცდამეათე დღეს — ერგასს აღნიშნავდნენ. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელი, ვალდებული იყო, ამ დღესასწაულს იერუსალიმის ტაძარში შეხვედროდა; ამიტომ, ჩასულთა შორის ებრაელები ჭარბობდნენ, თუმცა, იყვნენ უცხოტომელებიც, რომლებსაც იუდეური სარწმუნოება ჰქონდათ მიღებული. ამ დროს მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლა და სულიწმიდის მადლით მათი სხვადასხვა ენაზე ამეტყველება ღვთის განგებულებაც იყო, რათა ეს უდიდესი სასწაული მრავალი ადამიანის თვალწინ მომხდარიყო და მრავალ ადამიანს შეეტყო ამის შესახებ.

— მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის დღე მიიჩნევა „ახალი აღთქმის“ ეკლესიის დაარსების დღედ, რადგან სწორედ ამ დღეს იქნნენ მოციქულები სულიწმიდის მიერ ეკლესიის მწყემსმთავრებად დადგენილნი. ამ დღეს წარმოთქვეს პირველი სამოციქულო ქადაგება, რომელსაც სამი ათასი ადამიანი გამოეხმაურა და ქრისტიანული წესით მოინათლა. რა იყო მიზეზი ქრისტეს სხეულის — „ახალი აღთქმის“ ეკლესიის დაარსებისა?

— მე მოვედი არა რაიმეს დასარღვევად, არამედ აღსასრულებლად — ბრძანებს უფალი. ე.ი. მან „ძველი აღთქმა“, რომელიც ადამიანებს მესიის ანუ მხსნელის — უფალი იესო ქრისტეს მისაღებად ამზადებდა, კი არ უარყო, არამედ აღასრულა და თავისი ხორციელად შობით, დასაბამი მისცა „ახალ აღთქმას“, რომელიც ახალ ეკლესიას საჭიროებდა, რათა მისი მეშვეობით ეკლესიის მიერ დადგენილი წესებისა და კანონების აღსრულებით ადამიანებს ზეციური სასუფევლის მოპოვების, ღმერთთან თანაცხოვრების საშუალება მისცემოდათ.

— როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა მოიხვეჭოს სულიწმიდის მადლი?

— სულიწმიდის მადლის მიღება, თავად ადამიანზეა დამოკიდებული. როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, ადამიანის სხეული არის ტაძარი სულიწმიდისა, სადაც სულიწმიდამ უნდა დაივანოს. მაგრამ იმისათვის, რომ სხეული სულიწმიდის ტაძრად ვაქციოთ, საჭიროა, ეკლესიური ცხოვრება, ეკლესიური წესების დაცვა — აღსარება, სინანული, ზიარება და სხვა; რათა მათი მეშვეობით განვიწმინდოთ სხეული და სულიწმიდის სამყოფად, სამკვიდრებლად ვაქციოთ.

— რატომ ამკობენ სულთმოფენობის დღესასწაულზე მორწმუნენი ტაძრებსა და სახლებს ხის მწვანე რტოებით, ბალახებითა და ყვავილებით?

— სულთმოფენობას ტაძრები მწვანე რტოებითა და ყვავილებით ირთვება ნიშნად სულიწმიდის მადლისა. ეს მოგვაგონებს იმ მადლს, რასაც სულიწმიდის მოფენის, მისი გარდამოსვლის შედეგად ვიღებთ. სწორედ სულიწმიდის მადლი ამშვენებს და სურნელებას სძენს ყოველივეს — ყვავილების ნაირფეროვნება იქნება ეს თუ სხვა. ამასთანავე, მწვანე ფერი სასუფევლის ფერია. ■

უსახელო მთის ფერდობზე დაჭაქანდრეული ასურელი ბაბა და აბაღლების ბოდეანო ხუთშაბათს გაბარული ბაბადავითობის დღესასწაული

მორენა მერკვილაძე

უძველეს ქრისტიანულ ტაძრებს შორის, ერთ-ერთია მთაწმინდის მთაზე აღმართული მამადავითის ტაძრი, რომელიც ფერისცვალების სახელზეა ნაკურთხი. მისი ისტორია V საუკუნიდან იწყება, სახელწოდება კი ერთ-ერთი ასურელი მამის — დავით გარეჯელის სახელს უკავშირდება, რომელმაც ზედაზნის მთიდან წამოსვლის შემდეგ, თბილისის დასავლეთით მდებარე მთის ფერდობი აირჩია სამოღვაწეოდ — სადაც ამჟამად მამადავითის ტაძარია აგებული. მთაზე სენაკი გამოკვეთა, მცირე სამლოცველოც მოაწყო და იქვე დასახლდა. უსახელო მთაზე განმარტოებით მოღვაწე დავითი ხუთშაბათობით ქალაქში ქრისტიანული სჯულის საქადაგებლად ჩადიოდა.

იმ პერიოდში, თბილისში ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები სახლობდნენ. მათ მალევე შენიშნეს, რომ მამა დავითი დღითი დღე ხალხში დიდ სიყვარულს იხვეჭდა და ბევრი მიმდევარიც გაუჩნდა, ამიტომ მისი მოშორება განიზრახეს — ყოველნაირად ცდილობდნენ, წმინდა მამის სახელი შეებღალათ, ბოლოს ერთ მეძავთან მრუშობა დასწამეს. ღვთის შეწევნით, მამა დავითმა მოახერხა, თავისი სიმართლე დაემტკიცებინა და ემხილებინა ცილისმწამებლები, მაგრამ ამ ამბით გულგატეხილმა წმინდა მამამ თბილისი დატოვა და კახეთში, ყარაის ველზე გადაშლილ უდაბნოს მიაშურა.

მართალია, მამა დავითმა ქალაქი დატოვა, მაგრამ თბილისის მკვიდრთ დიდხანს არ დავიწყებიათ იგი. მისი პირველმოღვაწეობის ადგილას — დავით გარეჯელის მიერ გამართული სამლოცველოს თავზე, ქვიტკირის, საშუალო ზომის ეკლესია ააგეს, რომელსაც დავითის პატივსაცემად, მამადავითი უწოდეს. მოგვიანებით ეს სახელი მთასაც ეწოდა.

მამადავითის ეკლესიას ჩვენამდე პირვანდელი სახით არ მოუღწევია, რადგან საუკუნეების მანძილზე არაერთგზის იქნა დარბეული და მიწასთან გასწორებული. თუმცა, კეთილმოსურნეთა ძალისხმევით, ნანგრევებად ქცეული ტაძარი მალევე აღდგებოდა ხოლმე.

XV საუკუნეში, ათონის წმინდა მთიდან ჩამოსულმა ბერებმა დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა, მამადავითის ეკლესიის გვერდით მონასტერი დააარსეს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე. სწორედ ამ მონასტერში, ბერად აღიკვეცა ქართლის მეფე დავით X და იქვე მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. გარდაცვალების შემდეგ, მამადავითზე დაკრძალეს.

მამადავითის მთაზე არსებულმა მონასტერმა XV საუკუნემდე იარსება, XV საუკუნის ბოლოს, იგი მიტოვებული და ძალზე დაზიანებული ყოფილა. ირგვლივ იმდენად ხშირ ბალახსა და ეკალბარდს დაუფარავს ყოველივე, რომ მამადავითზე ასული მომლოცველები ტაძრის ნანგრევებთან მისვლას დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ. ამის შესახებ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის.

XX საუკუნეში დაზიანებული ტაძრის აღდგენა კათოლიკოსმა ანტონ მეორემ განიზრახა და ეს საქმე ქვაშვეთის ტაძარში მოღვაწე მღვდელს, თომას (გრიგორიევი) დაავალა. მას მხარში ამოუდგნენ თბილისის მცხოვრებნიც. სწორედ მათი შემოწირულობებით, ერთ წელიწადში მოახერხა მამა თომამ მამადავითის ნანგრევებად ქცეული ტაძრის აღდგენა. ეს მოხდა 1810 წელს. ახალი ეკლესია აგურით იყო ნაშენი და უგუმბათო ხის სახურავი ჰქონდა. ახალგამართული ტაძარი ფერისცვალების სახელზე აკურთხეს. დავითგარეჯის უდაბნოში მოღვაწე დავით გარეჯელი დავითის ლავრის მთავარ — ფერისცვალების ეკლესიაშია დაკრძალული. სწორედ ამის ნიშნად იკურთხა ახლად აღდგენილი მამადავითის ტაძარი ფერისცვალების სახელზე.

1857 წელს, აგურით ნაგები, უგუმბათო ეკლესია დაშალეს და მის ნაცვლად უფრო დიდი ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობამ 1871 წლამდე გასტანა, რადგან მიუხედავად თბილისის მოსახლეობის მხარდაჭერისა, რომლებიც თანხითაც ეხმარებოდნენ და ფიზიკურადაც მონაწილეობდნენ ტაძრის აგებაში, სახსრების ნაკლებობა წამოწყებულ საქმეს აფერხებდა.

როგორც აღვნიშნეთ, მამადავითის ახალი ტაძრის მშენებლობა 1871 წელს დასრულდა (ამავე წელს იკურთხა წმინდა დავით გარეჯელის სახელზე), მაგრამ იმ პერიოდში ტაძარს გუმბათი არ ჰქონდა. მას გუმბათი ექვსი წლის შემდეგ, იოსებ დეკანოზმა დაადგა. ცოტა მოგვიანებით მამადავითის ტაძრის კედლებიც მოხატეს.

XX საუკუნის დასაწყისში, მამადავითის მთაზე, წმინდა დავით გარეჯელის სახელობის ტაძრის გვერდით, ფერისცვალების სახელზე პატარა ეკლესია ააგეს — იქ, სადაც ადრე მცირე სამრეკლო იყო აღმართული.

ყოველწლიურად, დავით გარეჯელის ხსენების დღეს — ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს, წლეულს 8 ივნისს, მის სახელზე აგებულ ტაძარში, წმინდა დავით გარეჯელის პატივსაცემად მამადავითობის დღესასწაული იმართება. სადღესასწაულო წირვაზე, მამადავითის ტაძარში თაყვანის საცემად გამოაბრძანებენ წმინდა მამის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებულ მადლის ქვას, რომლის ძალითა და მადლით ადამიანები სნეულებათაგან იკურნებიან. ამ დროს მთავარია სიწმინდეს რწმენითა და სასოებით მივეახლოთ. ■



სამედიცინო სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოს მოსახლეობის მეათედი ლეიშმანიოზით დაავადების საფრთხის წინაშე დგას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაავადება (რომლის გადამტანიც მწერია) მუდმივად ემუქრება 88 ქვეყნის 350 მილიონ ადამიანს. მედიკოსთა დაკვირვებით, უკანასკნელ წლებში. ლეიშმანიოზით დაავადების შემთხვევათა რაოდენობამ 500%-ით იმატა. მატების ტენდენცია საქართველოშიც აშკარაა. წელს, დაინფიცირების 92 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. გვემუქრება თუ არა ლეიშმანიოზის ეპიდემიური აფეთქება და რამდენად საშიშია ფლებოტომუსის (რომელიც კოღოზე ათჯერ უფრო მცირეა) ნაკბენი? — ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად, პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში, პროფესორ ოთარ ზენაიშვილს მივმართეთ.

ლეიშმანიოზის გადამტანი მწერი ზაფხულში აქტიურდება

„წელს უკვე 92-მა პაციენტმა მოგვმართა...“

ემა ტუხიაშვილი

— ვისცერული ლეიშმანიოზი ბუნებრივი კერობრიობით განპირობებული პარაზიტული დაავადებაა. საქართველოში ეს დაავადება სპონტანურად აღენიშნება ტურას, მელასა და ძაღლს. როგორც წესი, ამ ცხოველთა ბუნაგებში მრავლადაა დაბუდებული მცირე ზომის მწერი — მოსკიტი, იგივე ფლებოტომუსი. ისინი კბენენ დაავადებულ ცხოველებს და მას შემდეგ, თავად ხდებიან ლეიშმანიოზის გადამტანები. ყველაზე ხშირად, ლეიშმანიოზით ავადდებიან სუსტი იმუნური სისტემის მქონე ადამიანები, მოხუცები და ბავშვები, 4 წლამდე. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ლეიშმანიოზით ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა (მაგალითად, თუ გასული საუკუნის განმავლობაში, წელიწადში მხოლოდ 20-მდე შემთხვევა აღირიცხებოდა, შარშან, ინფიცირების 156 ფაქტი გამოვლინდა), მაგრამ ინდოეთისგან განსხვავებით, საქართველოში ეს დაავადება ეპიდემიური აფეთქების ხასიათს ვერ მიიღებს. ინდოეთში, მეტწილად გავრცელებულია ბავშვთა ლეიშმანიოზი, რომელიც ადამიანიდან ადამიანზე გადადის. ამიტომ იქ, ამ დაავადებით განპირობებული ლეტალური შემთხვევების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენში ამ დაავადებას, ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის უნარი ჯერ არ შეუძენია, მაგრამ ლეიშმანიოზის პრობლემა მეტისმეტად აქტუალურია და მის დროულად გამოვლენაში ჩვენი ამერიკელი კოლეგებიც გვეხმარებიან. ამ სენთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში, ჩვენი ინსტიტუტის სპეციალისტები, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობაში კარდაკარ დადიან, ინტერესდებიან — ჰყავთ თუ არა, ოჯახში ძაღლი, მოსახლეობას უტარებენ სპეციალურ გამოკვლევას და ა.შ. სხვათა შორის, ჩვენი სპეციალისტების ძალისხმევამ შედეგი უკვე გამოიღო: მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ლეიშმანიოზით ინფიცირებული ორი ბავშვი გამოავლინეს, მათ გარეგნულად თითქოსდა არანაირი ჩივილი არ აწუხებდათ.

— როგორ ვლინდება ეს დაავადება ადამიანში და შეიძლება თუ არა, რომ ლეიშმანიოზი სიკვდილის გამომწვევი მიზეზიც კი გახდეს?

— ამ დაავადების საინკუბაციო პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია — დაავადებული ფლებოტომუსის კბენის მომენტიდან, დაავადების გამოვლენამდე შესაძლოა, რამდენიმე თვე ან წელიწადიც კი გავიდეს. ამ დაავადებას მკვეთრი კლინიკური ნიშნები არ ახასიათებს. იგი ორგანიზმში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. ბავშვებში უმიზეზო ციებ-ცხელებას, მადის დაკარგვას, სისხლნაკლულობას, საერთო სისუსტეს იწვევს. ლეიშმანიოზით დაავადებულ ადამიანს უდიდდება ელენთა და ღვიძლი. მქონდა ასეთი შემთხვევა, როდესაც ლეიშმანიოზით ინფიცირებული პატარა ბიჭი მომიყვანეს, რომლისთვისაც ავადმყოფობის რეალური მიზეზი ვერ დაედგინათ. არადა, ბავშვს ელენთა იმდენად ჰქონდა გადიდებული, რომ მკვეთრად გადმოდიოდა ნეკნთა რკალიდან. ლეიშმანიოზის დროულად გამოვლენის შემთხვევაში, მედიკამენტოზური მკურნალობა კარგ ეფექტს იძლევა. მართალია, წამლები, რომლითაც ამ დაავადებას ვებრძვით, საკმაოდ ძვირია, მაგრამ პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, სახელმწიფომ მკურნალობის თანადაფინანსება იკისრა, ხოლო 1-დან 3 წლამდე ბავშვებისთვის ლეიშმანიოზის მკურნალობა უფასოა. როგორც უკვე გითხარით, თუ დაავადება დროულად იქნა გამოვლენილი, ადამიანის სრული გამოჯანმრთელების პროცესი 20 დღეში სრულდება და მას იმდენად მყარი იმუნიტეტი უყალიბდება, რომ ლეიშმანიოზი აღარასდროს შეეყრება. მაგრამ თუ დაავადების გამოვლენა დაგვიანებულია, პაციენტს აღენიშნება ფილტვების ანთება და ა.შ. — შესაძლოა, ფლებოტომუსის ნაკბენი სასიკვდილოც კი აღმოჩნდეს.

ბავშვი ვისცერული ლეიშმანიოზის დროს

— იქნებ, ისიც გვითხრათ — როგორ გამოვარჩიოთ ფლებოტომუსი სხვა მწერებისგან და როგორ დავიცვათ თავი მისი ნაკბენისგან?

— პირველ რიგში, გეტყვით, რომ საქართველოში ლეიშმანიოზი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში — უმეტესად, თბილისში, ბოლნისში, მარნეულში, გარდაბანსა და კახეთის რეგიონშია გავრცელებული. დაავადების ყველაზე დიდი მაჩვენებელი მაინც თბილისზე მოდის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი, ბოლო დროს მაწანწალა ძაღლების მომრავლებაა. ამასთან ერთად, მკვეთრად არის შემცირებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, არ მუშავდება დაავადების პოტენციური კერები და ა.შ. მართალია, ცხოველთა დაცვის კონვენციის თანახმად, მაწანწალა ძაღლების დახოცვა აკრძალულია, მაგრამ აუცილებლად უნდა ხდებოდეს მათი იზოლირება. პირველი ვიზუალური ნიშნები, რომლებითაც ლეიშმანიოზით დაავადებულ ძაღლს გამოარჩევთ, ის არის, რომ მას გაქუცული ბეწვი აქვს, სცვივა ბალანი და პირიდან სისხლნარევი დორბლი სდის. რაც შეეხება ამ დაავადების გადამტანს — ფლებოტომუსს, ეს არის ერთუჯრედიანი მიკროორგანიზმი, კოღოზე ბევრად უფრო მცირე ზომის, რომელიც ქინქლას წააგავს. კოღო თუ ფრენისას სპეციფიკურ ხმას გამოსცემს, ფლებოტომუსი აბსოლუტურად უხმაურო მწერია, შესაძლოა, მისი ნაკბენიც ვერ შენიშნოთ, კანზე სიწითლესაც იშვიათად ტოვებს. მცდარია ვარაუდი, რომ ბუნებაში ყველა ფლებოტომუსი ლეიშმანიოზითაა დაავადებული.

გაგრძელება 48-ე გვერდზე

სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადებები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადებები თანამედროვე მედიცინაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ეს პათოლოგიები ხშირად, ქრონიკულ ხასიათს იღებს.

ვაგინალური მიკროფლორა

ჯანმრთელი ადამიანის ნორმალური მიკროფლორა მრავალ ფუნქციას ასრულებს:

- მონაწილეობს ორგანიზმის თავდაცვაში;
- წარმოქმნის B1, B2, B12, K ვიტამინებს;
- თრგუნავს პათოგენური და პირობით-პათოგენური მიკრობების გამრავლებას.

საშოში მილიონობით მიკროორგანიზმია დასახლებული. ამ მიკრობთა ნაწილი სასარგებლოა, ნაწილი კი, პათოგენური (დაავადების გამომწვევი) ან პირობით-პათოგენური. მაგრამ სასარგებლო მიკრობების მიერ შექმნილი გარემოს წყალობით, მავნე მიკრობები ვერ აქტიურდებიან. სამაგიეროდ, როდესაც ვაგინალური მიკროფლორა იცვლება, პათოგენური მიკრობები, მათ შორის, სოკოებიც გამრავლებას იწყებს და ესა თუ ის დაავადება იჩენს თავს. დაავადებას, რომელსაც კანდიდას გვარის სოკოები იწვევს, კანდიდოზი ეწოდება. კანდიდეები პირობით-პათოგენური სოკოებია, ამიტომ, ამ დაავადების განვითარება ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის იმუნიტეტის მდგომარეობაზე.

დაავადების ხელშემწყობი ფაქტორები

სასქესო ორგანოთა სოკოვანი დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები ორი ტიპისაა: ეგზოგენური (გარეგანი), რომელიც ხელს უწყობს სოკოს ორგანიზმში შეჭრას და ენდოგენური (შინაგანი), რომელიც ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს აქვეითებს (მაგალითად, ქრონიკულად მიმდინარე დაავადებები).

ასეთ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია:

- სასქესო ორგანოების ლორწოვანი გარსის დაზიანება და თანდაყოლილი ანომალიები;
- ჰიპოვიტამინოზები და ავიტამინოზები;
- კორტიკოსტეროიდებით (ჰორმონული პრეპარატებით), ციტოსტატიკებით, იმუნოდეპრესანტებით და სხივური თერაპიით მკურნალობა, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების არასწორი გამოყენება;
- ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების ხანგრძლივი, უკონტროლო მიღება;
- ხანგრძლივი სტრესი და არასწორი კვება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, მიკრობების დინამიკური წონასწორობა ირღვევა, ჯერ დისბაქტერიოზი ვითარდება, შემდეგ — კანდიდოზი.

დაავადების გადადების გზები

შარდ-სასქესო ორგანოების კანდიდოზი, ჩვეულებრივ, დაავადებულ ან ინფექციის მატარებელ ჯანმრთელ ადამიანთან სქესობრივი კონტაქტისას ვითარდება. ინფექცია სქესობრივ პარტნიორს ძირითადად, მაშინ გადაეცემა, როდესაც მისი იმუნური სისტემა დათრგუნვილია. გარდა ამისა, შარდ-სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადება შეიძლება განვითარდეს სექსუალური კონტაქტის გარეშეც.

ქალებს, რომლებიც სქესობრივ ცხოვრებას არ ეწევიან, ხელშემწყობი ფაქტორების არსებობისას, დაავადება მაინც უვითარდებათ.

კანდიდას გვარის, საფუვრის მაგვარი სოკოები მცირე რაოდენობით გვხვდება კანზე, პირის ღრუს, სასუნთქი გზების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, შარდ-სასქესო ორგანოების ლორწოვან გარსში და კლინიკურად ჯანმრთელი ადამიანის ფეკალურ მასებში.

კანდიდოზით დაავადება შესაძლებელია მუცლადყოფნის პერიოდშიც კი, რაც ნაადრევი მშობიარობისთვის საშიშროებას ქმნის. ახალშობილი ინფიცირდება სამშობიარო გზებში გავლისას. ამის შედეგად, ლორწოვანი გარსების სპეციფიკური ანთება ვითარდება.

ქალები და მამაკაცები

მამაკაცებში შარდ-სასქესო ორგანოთა კანდიდოზი იშვიათად (1-3%-ში) ვლინდება. კლინიკური სურათით, ის გონორეას ჰგავს, მაგრამ ნაკლებად მწვავედ მიმდინარეობს. ინკუბაციური პერიოდი 4 დღიდან 2 თვემდე (საშუალოდ — 2-3 კვირა) გრძელდება. ამ დროს, თავს იჩენს ურეთრიტი (შარდსადენის ანთება), სასქესო ასოს ანთება. ავადმყოფები უჩივიან სიმძიმის შეგრძნებას ბოქვენის მიდამოში. ხშირია ტკივილი შარდვის დროს. არცთუ ისე იშვიათად შარდვა გახშირებულია, აქვს მუქი ფერი, ზოგჯერ კი, სისხლის მინარევი შეინიშნება.

ქალებში განასხვავებენ ვულვის, საშოს, საშვილოსნოსა და საშვილოსნოს დანამატების კანდიდამიკოზს. მისთვის დამახასიათებელია ლორწოვანი გარსების ჰიპერემია (შეწითლება), ვეზიკულების (მცირე ზომის ბუშტუკების) წარმოქმნა, ქავილი, წვა ტკივილი, ხაჭოსებური გამონადენი, ხშირად ეროზიაც ვითარდება. სქესობრივი კავშირის დროს, დაავადების ეს ნიშნები წაშლილი სახით ვლინდება.

როგორ ადგენენ დიაგნოზს

დიაგნოზი ემყარება პაციენტის გამოკითხვას, გინეკოლოგიურ გასინჯვას (სარკით — ქალებში, უროლოგიურ გასინჯვას — მამაკაცებში, მიკროსკოპულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს).

საბოლოო დიაგნოზის დასადგენად, საჭიროა დაზიანებული უბნიდან აღებულ ნაცხში გამომწვევის აღმოჩენა.

როგორ ვუმკურნალოთ

რაც უფრო ადრე დაიწყება დაავადების მკურნალობა, მით უფრო უკეთესია შედეგი. კანდიდოზი განკურნებადი დაა-

ვადებაა, მაგრამ მკურნალობის გარეშე, ის ხანგრძლივდება და გართულებას იწვევს. იმ ფაქტორების შენარჩუნებისას, რომლებიც ხელს უწყობს კანდიდოზის განვითარებას, დაავადებამ შეიძლება, მორეციდივე ხასიათი მიიღოს.

მკურნალობა უთუოდ ექიმის მეთვალყურეობით უნდა ჩატარდეს. თვითმკურნალობისას, არასწორად შერჩეულმა პრეპარატმა შეიძლება, მდგომარეობის დროებით გაუმჯობესება გამოიწვიოს. განკურნებით კი, ვერ განკურნოს.

მკურნალობის მეთოდის შერჩევისას, საჭიროა, გავითვალისწინოთ დაზიანების ფართობი და ფორმა, სოკოს გავრცელების ხარისხი, თანმხლები დაავადებების არსებობა, ავადმყოფის ასაკი.

სოკოს საწინააღმდეგო მედიკამენტები, გარეგანი და შინაგანი გამოყენების პრეპარატებად იყოფა. გარეგანი გამოყენების პრეპარატები ეფექტურია დაავადების საწყის სტადიებზე. შემდეგ, მკურნალობა კომპლექსური უნდა იყოს — სოკოზე უნდა ვიმოქმედოთ შიგნიდანაც.

მედიკამენტები აუცილებლად ექიმის კონტროლით უნდა მიიღოთ — სოკოს სრულ გაქრობამდე. საკონტროლო გასინჯვა პირველად 2 კვირის შემდეგ უნდა ჩატარდეს, მერე კი — თვეში ერთხელ. საკონტროლო ანალიზი, მკურნალობის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ კეთდება. ნაცხში სოკოს აღმოჩენის შემთხვევაში კი, განმეორებითი მკურნალობის კურსი უნდა ჩატარდეს.

ამჟამად, ყველაზე ეფექტურ და უსაფრთხო მეთოდად სამკურნალო პრეპარატებით ჩატარებული პულს-თერაპია (ხანგრძლივი ინტერვალებით) მიიჩნევა. კვირის განმავლობაში პრეპარატები ორგანიზმში გროვდება, რაც საშუალებას გვაძლევს, შემდგომ 3 კვირა მკურნალობისგან დაისვენოთ, ამ ხნის მანძილზე კი, პრეპარატი აქტიურად განაგრძობს ინფექციასთან ბრძოლას. პულსთერაპიის კურსი, ჩვეულებრივ, 3 თვე გრძელდება, მაგრამ პრეპარატი ერთი წლის განმავლობაში ებრძვის ინფექციას და ხელს უშლის სოკოს ხელახლა წარმოქმნას.

სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებიდან აღსანიშნავია: ნისტატინი, ლევორინი, კლოტრიმაზოლი, პიმაფუცინი, დიფლუკანი, ფორტანი, მიკოსისტი და ა.შ., რომლებიც სპეციალური სქემით ინიშნება.

გარდა ამისა, აუცილებელია ეუბიოტიკები (ფლორის აღმდგენი საშუალება), ვიტამინები, იმუნომოდულატორები. ამასთან ერთად, ექიმები პაციენტებს ანტიჰისტამინურ პრეპარატებს, პოლივიტამინებს უნიშნავენ.

რეციდივის შემთხვევაში, აუცილებელია განმეორებით მკურნალობის ჩატარება დაავადების სრულ ალაგმვამდე.

როგორ დავიცვათ თავი

დაავადების პროფილაქტიკისათვის დაიცავით რამდენიმე წესი:

● მოერიდეთ მეტისმეტად მოჭერილ ტანსაცმელს, უპირატესობა მიანიჭეთ თეთრეულს — ნეილონი და მოტკეცილი სამოსი ვენტილაციას აძნელებს და მაღალი ტენიანობისა და ტემპერატურის გარემოს ქმნის, რაც პათოლოგიური მიკროფლორის გამრავლებას უწყობს ხელს.

● უარი თქვით პარფიუმერიულ საპონზე, ინტიმურ აეროზოლებსა და დეზოდორებზე.

● უმიზეზოდ არ ჩაიტაროთ საშოს გამორეცხვა, რადგან ამ დროს, სასარგებლო ბაქტერიებიც გამოირეცხება.

● მკაცრად დაიცავით პირადი და სქესობრივი ჰიგიენა.

● ნუ იბანავებთ დაბინძურებულ წყალსაცავებში.

■

5 ოპტიმისტური ფაქტი

● 5 ფინჯანი ყავა დღეში უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის — მიიჩნევენ მეცნიერები.

● თევზის ქონის სისტემატურად მიღება წელის არეში ტკივილს ამსუბუქებს.

● მინიმალური რაოდენობით მარილის მიღება შველის ასთმის დროს.

● ცხარე იაპონური პირშუშხასაგან მომზადებული პასტა ანადგურებს კარიესის გამომწვევ ბაქტერიებს.

● ადამიანს შეუძლია, 500 წლამდე იცოცხლოს — ასეთია ბოლო გამოკვლევების შედეგები.

■

სათადარიგო ნაწილები სინჯარიდან

აშშ-ის რეგენერაციული მედიცინის ინსტიტუტის მეცნიერებმა მსოფლიოში პირველად შეძლეს ლაბორატორიაში ადამიანის ორგანოს გაზრდა. პაციენტის შარდის ბუშტის მცირე ნაგლეჯისაგან სპეციალური ტექნოლოგიის მეშვეობით, მკვლევარებმა სრულფასოვანი ორგანო მიიღეს. იგი 16 წლის გოგონას გადაუნერგეს. მოგვიანებით, კიდევ 6-მა პაციენტმა გადაიტანა მსგავსი ოპერაცია. როცა აშკარა გახდა, რომ ორგანოები სიცოცხლისუნარიანია და ფუნქციონირებს, მეცნიერებმა გამოაცხადეს თავიანთი აღმოჩენის შესახებ და დაიმედეს მსოფლიო: მათი თქმით, ახლო მომავალში, პაციენტის უჯრედებისაგან ნებისმიერი ორგანოს გაზრდა იქნება შესაძლებელი.

■

ლეიშმანიოზის მალამბანი მწერი ზაფხულში აქტიურდება

„წელს უკვე 92-მა პაციენტმა მოგვმართა...“

დასაწყისი იხ. გვ. 46

ასე რომ იყოს, ეპიდემიის საშიშროება რეალური იქნებოდა, მაგრამ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ მწერების კბენისგან დავიზღვიოთ თავი. არსებობს სხვადასხვა აეროზოლი, რომლითაც შესაძლებელია ბრძოლა პარაზიტული მწერების წინააღმდეგ. მაგრამ არ არსებობს გარკვეული ინიექცია, რომელიც ორგანიზმს ლეიშმანიოზით დაინფიცირებისგან დაიცავდა.

— წელიწადის რომელ დროს აქტიურდება ფლებოტომუსი და როგორი პროგნოზის გაკეთება შეგიძლიათ ამ სეზონისთვის?

— ფლებოტომუსი განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში აქტიურდება და მისგან დაკბენის ალბათობა საღამოობით იზრდება. შეუძლებელია, წინასწარ იმის თქმა — ამ სეზონში გაიზრდება თუ არა ლეიშმანიოზით დასნებოვნების შემთხვევათა რაოდენობა. დაავადების ახალი ფაქტების გამოვლენა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ იქნება რეალური. თქვენ წარმოიდგინეთ, ფლებოტომუსის ნაკბენით შარშან დაინფიცირებული პაციენტები, დაავადების გვიანი გამოვლენის გამო, წელს გვაკითხავენ. მაისის ჩათვლით, უკვე 92-მა პაციენტმა მოგვმართა.

— საუბრის ბოლოს მინდა გკითხოთ — როგორია მალარიის გავრცელების ტენდენცია საქართველოში?

— 1970 წელს, ჩატარებული მასშტაბური პრევენციული ღონისძიების წყალობით, მალარიით დასნებოვნების შემთხვევა საქართველოში არ დაფიქსირებულა. მაგრამ 5-6 წლის წინ, ამ დაავადებამ კვლავ იჩინა თავი და 2003 წელს, მალარიით დასნებოვნების 500-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. ადამიანიდან ადამიანზე ამ სენის გადამტანად კოღო გვევლინება. საქართველოში მალარიის გადამტანი 7 სახეობის კოღოა გავრცელებული: ჩვენს ქვეყანაში მალარიის ეპიდსეზონი მაისიდან ოქტომბრამდე გრძელდება. ამ დაავადების დროს, ხშირია ჰერპესული გამონაყარი ტუჩებზე, სერიოზული ცვლილებებია პერიფერიულ სისხლსა და სისხლმბად ორგანოებში. უკანასკნელ ხანს, კოღოს კბენისგან მოსახლეობის დასაცავად მრავალჯერადი ღონისძიებები ტარდება, ამიტომაც, მალარია საქართველოში პროგრესულად აღარ ვითარდება.

■

ზურაბ საკანდელიძე – საიდუმლო იარაღი ამერიკელთა წინააღმდეგ

მილიონნახევრიანი კონტრაქტი ქართველი კალათბურთელისთვის

ქუთაისის საკალათბურთო სკოლას, რომელსაც წლების განმავლობაში სათავეში სულიკო თორთლაძე ედგა, არაერთი ცნობილი სპორტსმენი აღუზრდია. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეული, ზურაბ საკანდელიძე გახლდათ, რაზეც თბილისის „დინამოს“ მცველის მიერ მოხვეჭილი ტიტულები მეტყველებს. ბატონი ზურაბი ერთადერთ ქართველ კალათბურთელად რჩება, რომელმაც კარიერის განმავლობაში, ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები მოიგო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მან, კონტინენტის პირველობაზე გამარჯვება საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ოთხჯერ შეძლო. გარდა ამისა, სხვადასხვა წლებში, აღნიშნულ ასპარეზობებში თითოჯერ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მსოფლიო უნივერსიადებზე კი, გუნდთან ერთად ჯერ მეორე, ხოლო შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, ამ დიდებულ კალათბურთელზე წარსულში გვიხდება საუბარი, რადგან ორი წლის წინ, მძიმე ავადმყოფობამ ქართულ სპორტს თვალსაჩინო წარმომადგენელი წაართვა.

ლაშა თაბაგარი

თავის დროზე, ზურაბ საკანდელიძემ საკალათბურო დარბაზის კარი რომ შეაღო, ამაში გადამწყვეტი როლი უფროსმა ძმამ — ანზორმა შეასრულა, რომელიც სულიკო თორთლაძესთან ვარჯიშობდა და საკმაოდ წარმატებითაც, რადგან საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრებში გამოდიოდა და რვა წლის მანძილზე, თბილისის „ბურევესტნიკის“ ღირსებას იცავდა. საკანდელიძე-უმცროსი ძმის წვრთნას თვალყურს ადევნებდა და კალათბურთის თამაშიც თავადვე გადაწყვიტა. როგორც შემდეგ იხსენებდა — გაუმართლა, რომ თორთლაძესთან მოხვდა, რომელმაც უდიდესი სპორტული და ცხოვრებისეული გამოცდილება გაუზიარა. მისი თქმით, ბატონი სულიკო, ვარჯიშის არაორდინარული მეთოდებით გამოირჩეოდა და ზოგჯერ, შეგირდებს დარბაზში დილის ექვს საათზეც იბარებდა, რასაც თავისებურად ხსნიდა — დღის ნებისმიერ მონაკვეთში, სპორტსმენი წვრთნისთვის მზად უნდა იყოსო. ვარჯიშზე პირველად მისულმა, რამდენიმე ტყორცნა განახორციელა, მაგრამ ბურთი ფარამდეც ვერ მიაწვდინა. ამან პატარა ზურა იმდენად გააბრაზა, რომ დარბაზიდან გაიქცა. ამის შემდეგ, თორთლაძემ ურჩია, რომ ცოტა ხანს ტანვარჯიშზე ევლო, რათა ფიზიკურად მომაგრებულიყო. მართლაც, სპორტის ამ სახეობაში, მომავალმა ვარსკვლავმა ერთი წელი ივარჯიშა და შემდეგ, ისევ საკალათბურთო მოედანს დაუბრუნდა. საკანდელიძემ საკალათბურთო ნიჭი მალევე გამოავლინა და იგი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი გახდა, რის გამოც, თბილისში გადმოსვლა მოუხდა და შესაბამისად, სწავლა დედაქალაქში გააგრძელა. ახალგაზრდა ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩენია თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს, ოთარ ქორქიას, რომელმაც ის 1963 წელს გუნდში მიიწვია, სადაც 14 წელი დაყო. ზურაბმა, საქართველოს მთავარ კლუბში, პირველად კრაკოვში სოციალისტური ქვეყნების „დინამიადაზე“ იასპარეზა, სადაც ძირითად ხუთეულში დააყენეს და საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო, ხოლო სპორტის სასახლეში, მისი დებიუტი 1965 წელს, კიევის „ასკ“-სთან



საკანდელიძე საბჭოთა კავშირის ნაკრებში

შედგა. პარალელურად, საკანდელიძე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში აიყვანეს, რომლის შემადგენლობაში 1964 წელს, იტალიის ქალაქ ნეაპოლში, ევროპის პირველობა მოიგო. ერთი წლის შემდეგ, საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში, რომელიც კაუნასში გაიმართა, ქართველ კალათბურთელს ყურადღება ქვეყნის პირველი ნაკრების მწვრთნელებმა მიაქციეს და იმავე წელს, ევროპის პირველობაზე ათამაშეს, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. საბჭოთა გუნდმა, კონტინენტის ჩემპიონატზე ოქროს მედლები მოიპოვა და ახალგაზრდა „დინამოელმა“ პირველ დიდ წარმატებას მიაღწია. 1965 წელს, ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში — ორმოცდღიან ტურნეში გაემგზავრა, რომლის განმავლობაში ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში, თბილისის „დინამოს“ რეაქტიულმა მცველმა, მასპინძლები თამაშით განაცვიფრა. ვოიაჟის დასრულებისას, საბჭოელებს ჰოლივუდი დაათვალიერებინეს და საღამოს ბანკეტიც გაიმართა. ამ დროს, საკანდელიძესთან ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენელი მივიდა და თბილისელს გამზადებული კონტრაქტი შესთავაზა, რომელზეც ხელის მოწერის შემთხვევაში, ის მილიონ-ნახევარ დოლარს მიიღებდა. თუმცა, მაშინ ასეთი ნაბიჯის გადადგმა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და ცხადია, იგი ოკეანისგაღმელთა შეთავაზებას არ დათანხმდა. მისი ოსტატობა ამერიკელებმა იმითაც დააფასეს, რომ ქალაქ ვაშინგტონის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს, რისი დამადასტურებელი სერტიფიკატიც საკანდელიძეების ოჯახში ინახება. სხვათა შორის, საკანდელიძე მიიჩნევდა, რომ შეიძლება

აშშ-ში ნომერ პირველი ვარსკვლავი არ გამხდარიყო, მაგრამ თავს ნამდვილად არ შეირცხვენდა. მაშინ, ნაკრებში მასთან ერთად, ამირან სხიერელი იმყოფებოდა. ამერიკაში ჩასვლის პირველსავე დღეს, ზურამ მეგობარს შესთავაზა, რომ ქალაქი დაეთვალიერებინათ, რაზეც თანაგუნდელისგან უარი მიიღო, რადგან სხიერელმა სეირნობას ძილი არჩია. საკანდელიძემ მთელი ღამე ნიუ-იორკის დათვალიერებაში გაატარა და გამთენიისას უკან რომ დაბრუნდა, სასტუმროს ფოიეში აღელვებული მთავარი მწვრთნელი — ალექსანდრ გომელსკი და დელეგაციის თანმხლები, უშიშროების თანამშრომელი დახვდა. კალათბურთელის დანახვაზე

ზურაბ საკანდელიძე მეუღლესთან და შვილიშვილებთან ერთად

გომელსკი „კაგებეშნიკს“ მიუბრუნდა და უთხრა — ხომ გეუბნებოდით, დაბრუნდება-მეთქი. თურმე, ნაკრების თავკაცი მთელი ღამე უმტკიცებდა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელს — საკანდელიძე არსად გაპარულა და ალბათ, ქალაქს ეცნობაო. 1966 წელს, საბჭოთა ნაკრები ტურნეში სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა. სან-პაულუში ჩასვლისას, საკანდელიძეს და სხიერელს იქ მცხოვრები ემიგრანტები — ირაკლი ზალდასტანიშვილი და ელიზბარ ბიჩინაშვილი დახვდნენ. ბუნებრივია, ისინი თანამემამულეებს არ მოსცილებიან და წამოსვლის დღეს, ბიჩინაშვილმა ორივე, სახლში დაპატიჟა. ქართველებმა ნებართვა გუნდის ხელმძღვანელობისგან აიღეს, რომელთაგან მხოლოდ მეორე მწვრთნელი — ოზეროვი იყო ამის წინააღმდეგი. სპორტსმენებს სასტუმროში დაბრუნების ვადად ღამის 11 საათი დაუთქვეს. თუმცა, სხიერელსა და საკანდელიძეს სტუმრობა გაუგრძელდათ და სასტუმროში შუაღამეს მივიდნენ. ამ დროს, აფორიაქებული ოზეროვი ჰოლში ბოლთას სცემდა და წამდაუწუმ იმეორებდა — ამ ქართველების ნდობა არ შეიძლება, ვიცოდი, რა დღეშიც ჩაგვაგდებდნენო. კალათბურთელებმა ხელმძღვანელობას ბოდიში მოუხადეს, ხოლო გომელსკიმ თანაშემწეს სიცილით მიაძახა — ვიქტორიჩ, ხომ იცოდი, რომ არ დაბრუნდებოდნენო. საკოსთვის, როგორც მას თანაგუნდელები ეძახდნენ, 1967 წელი ფრიად წარმატებული აღმოჩნდა. ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე, გომელსკის შეგირდებმა „ოქრო“ პირველად მოიგეს, ხოლო ფინეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, ასევე გამარჯვება იზეიმა და ქართველი კალათბურთელი, ასპარეზობის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. 1967 წელს, თბილისელი მცველი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. ყველაფერი კი იმით დაგვირგვინდა, რომ წლის მიწურულს, თორთლაძის მოსწავლე საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს და მან მეორე ადგილზე გასულ კალათბურთელს 157 ქულით აჯობა. ურუგვაიში ფინალის დასრულებისას, სამხრეთამერიკელი გულშემატკივარი მოედანზე შეიჭრა, რათა კალათბურთელთა მაისურები სუვენირად დაესაკუთრებინა. საკანდელიძემ მაისური გაიხადა და ქომაგებს გადაუგდო, თავად კი სამახსოვროდ ბურთის წამოღება გადაწყვიტა, რომლითაც ფინალური ორთაბრძოლა ჩატარდა. გასახდელში ჩასულმა ბურთი დამალა და იგი არც მატჩის მსაჯისთვის გამოუჩენია. საქართველოში დაბრუნებულმა კი, ის ქუთაისის სპორტის მუზეუმს გადასცა. 1968 წელს, „დინამომ“ ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ საკანდელიძეს ოქროს მედალი არ მიუღია, რადგან იმ პერიოდში, ნაკრებთან ერთად, მეხიკოს ოლიმპიადისთვის ემზადებოდა და საკლუბო დონეზე არ თამაშობდა. მექსიკაში, საბჭოთა კავშრის ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა (ნახევარფინალში იუგოსლავიასთან დამარცხდა), სადაც ქართველმა შეჯიბრებაზე, 9 თამაშში გუნდს 54 ქულა შესძინა. ერთი წლის შემდეგ, ნიჭიერმა კალათბურთელმა კინაღამ კარიერა დასრულა და უფრო მეტიც, სიკვდილს გადაურჩა. თბილისში, მოსკოვის არმიელებთან შეხვედრისას, „დინამოს“ მცველმა ჩვეულ სტილში, გუნდს ორი ქულა მოუტანა, მაგრამ დაბლა დაშვებისას მეტოქე მცველი ეუხეშა და ზურა ფიცარნაგზე კისრით დაეცა. მან გონი დაკარგა და უმალვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, წინასწარი დიაგნოზი — ფუძის ძვლის მოტეხილობა არ დაუდგინდა, თუმცა, კალათბურთელს ორი თვე გაუნძრევლად წოლამ მოუწია. მართალია, საკანდელიძე ამპლუით მცველი გახლდათ, მაგრამ შედეგიანობაც არ დაეწუნებოდა, რისი დადასტურებაც 1971 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საუკეთესო ბომბარდირის წოდების მოპოვება გახლდათ. სხვათა შორის, მან ანალოგიურ წარმატებას რამდენიმე წლით ადრე, რუმინეთში გამართულ ახალგაზრდულ საერთაშორისო ტურნირშიც მიაღწია. 1975 წელს, როდესაც კარიერას ამთავრებდა, საქართველოს ნაკრებმა საკავშირო სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა, ზურა კი, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მანამდე მცველს ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევია. საკანდელიძის მთავარი კოზირი სისწრაფე გახლდათ და როგორც „დინამოში“, ასევე ნაკრებშიც აღიარებდნენ, რომ კრიტიკულ სიტუაციაშიც კი, შეეძლო მას ნებისმიერ ბურთს დასწეოდა. ბატონი ზურაბი აღიარებდა, რომ ეს ღმერთისგან ჰქონდა მომადლებული და მარტო ვარჯიშით ამის შეძენა, შეუძლებელი იყო. მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშების „ოქროს პასის“ ავტორი ივან ედეშკო იხსენებდა, რომ იგი მსოფლიოში ერთ-ერთ უსწრაფესი მცველი იყო და მისთვის პასის ოთხი მეტრით წინ მიცემა შეიძლებოდა, რადგან ზურა ბურთს მაინც დაეწეოდა. საკანდელიძე ნაკრებში ყველას უყვარდა, რადგან კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა და მასთან ურთიერთობა უპრობლემოდ შეიძლებოდა. მათ აცვიფრებდა მისი მაღალი ნახტომი და ის ფაქტი, რომ 190 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელისთვის, დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა მეტოქის კალათში, ბურთის ზემოდან, ეფექტურად ჩაგდება. ნაკრებში ხუმრობდნენ კიდეც — „საკოს“ კალათბურთის თამაშისთვის არ სცალია, რადგან დროის უმეტეს ნაწილს ჰაერში ატარებსო. 1970 წელს, ლიუბლიანაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, საბჭოთა კავშირის ნაკრების შეტევისას, მოწინააღმდეგის ერთ-ერთი მცველი შეეცადა, ბურთიანი საკანდელიძე აკრძალული ილეთით შეეჩერებინა, მაგრამ ქართველმა დროზე მოასწრო სიტუაციაში გარკვევა და მეტოქეს თავს ზემოთ გადაახტა. ამან, რა თქმა უნდა, როგორც მოედანზე მყოფი კალათბურთელების, ასევე გულშემატკივართა გაოცება გამოიწვია. ნაკრების წევრები იგონებდნენ — როდესაც საკანდელიძე ქორქიასთან ერთად მოედანზე აღმოჩნდებოდა, დარბაზში მხოლოდ მიშიკო და ზურიკო ისმოდა, რაც გრიგალისებური კალათბურთის დაწყების მაუწყებელი გახლდათო. ესენში, ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისას, ფიბა-ს გენერალურმა მდივანმა რენატო ჯონსმა აღნიშნა, რომ თბილისელი კალათბურთელის თამაში ქართულ ცეკვას ჰგავდა. საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ კონდრაშინმა, გუნდის შემადგენლობა მიუნხენის ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე გამოაცხადა და კალათბურთელებიც, ამ პერიოდის განმავლობაში, მშვიდად ემზადებოდნენ, რადგან არ ჰქონდათ შიში, რომ შესაძლოა, ოლიმპიადაზე ვერ მოხვედრილიყვნენ. გასათვალისწინებელია, რომ საბჭოელებს, ქვეყნის სპორტის ხელმძღვანელები ოქროს მედლებს დაჟინებით არ სთხოვდნენ და მათთვის მთავარ ამოცანას, ნაკრების ფინალში გასვლა წარმოადგენდა. გადამწ-

ყვეტ თამაშში ამერიკელთა წინააღმდეგ, კონდრაშინმა ქორქია და საკანდელიძე ძირითად შემადგენლობაში დააყენა. მანამდე, „დინამოს“ მცველს, როგორც ნაკრების ერთ-ერთ გამოცდილ წევრს, კონდრაშინი თამაშის საშუალებას მხოლოდ 15-18 წუთი აძლევდა, რაც საკანდელიძეს საკმაოდ სწყინდა. ამერიკელებთან შეხვედრის დაწყებამდე, საკავშირო სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ სერგეი პავლოვმა, კონდრაშინს ჰკითხა — რატომ არ იყენებდა მწვრთნელი ქართველს უფრო ხშირად. ამაზე, სპორტის ჩინოვნიკმა ნაკრების თავკაცისგან შემდეგი პასუხი მიიღო — საკანდელიძე ფინალში ჩვენი საიდუმლო იარაღიაო. ის თამაში ისტორიაში სამუდამოდ შევიდა, რადგან ასეთი დრამატული დაპირისპირება ოლიმპიადაზე არც მანამდე და არ მის შემდეგ, არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ევროპულმა გუნდმა ოლიმპიადაზე, პირველად დაარღვია ამერიკელთა ჰეგემონია, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატებისგან განსხვავებით, ოლიმპიურ თამაშებს გაცილებით სერიოზულად ეკიდებოდნენ. სხვათა შორის, კონდრაშინის არჩევანმა გაამართლა და საბჭოთა კავშირის ნაკრები 7:1 დაწინაურდა, აქედან, 4 ქულა გუნდს საკანდელიძემ მოუტანა. თამაშის დასრულებამდე 8 წამით ადრე, საბჭოთა ნაკრები 49:48-ს იგებდა და ბურთი ალექსანდრე ბელოვს მიუვიდა. მას შეტევის გაგრძელების რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად გადაცემა უკან მდგომ საკანდელიძეს გაუკეთა, რომელსაც ორი ამერიკელი მეურვეობდა. მატჩის შემდეგ, კონდრაშინი იხსენებდა, რომ ამის დანახვაზე „გული გაუჩერდა“, რადგან ასეთი რამის გაკეთება, წაგებას უდრიდა. ბურთი ამერიკელმა დაგ კოლინზმა ჩაჭრა და წინ გაიჭრა, მაგრამ მოწინააღმდეგეს საკანდელიძე წამოეწია, რომელმაც ჯარიმა განზრახ მიიღო. ქართველი ასე რომ არ მოქცეულიყო, ამერიკელები ორ ქულას მშვიდად ჩააგდებდნენ და თამაშსაც მოიგებდნენ. ამ შემთხვევაში კი, საბჭოელებს მატჩის გადასარჩენად სამი წამი დარჩათ. ოლიმპიადის შემდეგ, ჟურნალისტები წერდნენ, რომ საკანდელიძემ მაშინ „ოქროს ჯარიმა“ მიიღო, რომელმაც საბოლოო წარმატებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. კოლინზმა ორივე საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა და გუნდი დააწინაურა, მაგრამ დარჩენილ სამ წამში, ედეშკომ მოედნის ერთი ბოლოდან მეორისკენ გაკეთებული პასით, ამერიკელთა ფართან ბელოვი მოძებნა, რომელმაც ნაკრებს ოქროს მედლები მოუტანა. თამაშის დასრულებისთანავე, ამერიკელთა მთავარმა მწვრთნელმა შედეგი გააპროტესტა და ფიბა-ს წარმომადგენლები ამ ეპიზოდს დიდხანს არჩევდნენ, თუმცა, საბოლოოდ, გამარჯვება კონდრაშინის შეგირდებს მიაკუთვნეს. ოკეანისგაღმელებისთვის ასეთი ვერდიქტი მიუღებელი იყო, ამიტომ ისინი დაჯილდოების ცერემონიაზე ვერცხლის მედლების მისაღებად არ გამოცხადდნენ. ოლიმპიადის დამთავრებისას, კონდრაშინმა საკანდელიძეზე თქვა — ვიცოდი, რას ნიშნავდა ჩვენთვის საკანდელიძე და საბედნიეროდ, ალღომ არ მიღალატა — ზურაბი საჭირო დროისთვის შემოვინახეთ და ამერიკელებთან გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი გმირიც ის იყო, მიუხედავად იმისა, რომ საკანდელიძეს ძირითადად დაცვაში თამაში ევალებოდაო. მიუნხენში ჩატარებულ 9 მატჩში, „დინამოელის“ მონაგარი 38 ქულა იყო, ხოლო უშუალოდ ფინალში — 8. გამარჯვებისთვის თითოეულ საბჭოთა კალათბურთელს 3.000 მანეთი და 300 გერმანული მარკა მისცეს. გარდა ამისა, შეჰპირდნენ, რომ ურიგოდ „გაზ 24-ს“ გამოაყვანინებდნენ, მაგრამ დანაპირები არ შეასრულეს. შედეგად, სპორტსმენებმა რიგგარეშე „ჟიგულები“ მიიღეს. თუმცა, ამას საკანდელიძე არ გაუნაწყენებია, რადგან მიაჩნდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონის წოდებას ვერანაირი ფულადი პრემია ვერ შეცვლიდა. საკანდელიძის ხასიათზე ერთი ასეთი შტრიხიც მეტყველებს — მორიგი ამერიკული ტურნეს დამთავრებისას, „დინამოელი“ თბილისში დაბრუნდა და შიდაჩემპიონატში ჩაება, სადაც პირველივე მატჩის გამართვამ თანაქალაქელ „ბურევესტნიკთან“ მოუწია. ზურას წინააღმდეგ ლევან ჩხიკვაძე თამაშობდა, რომელმაც ოპონენტს

გასაქანი არ მისცა. ტაიმებს შორის შესვენებისას, საკანდელიძემ ლევანს დაუძახა და ახალთახალი კედები — „ოლ სთარები“ აჩუქა, თან დააყოლა — ისე კარგად ითამაშე, რომ შენზე ალალიაო. საბჭოთა კავშირში ასეთი კედები მხოლოდ ქვეყნის პირველი გუნდის წევრებს ეცვათ. ქართველმა კალათბურთელმა ნაკრები 1973 წელს დატოვა, როდესაც მსოფლიო უნივერსიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიგო. იგი ამაყად იხსენებდა, რომ 1965 წელს, გუნდში ცნობილ ლიტველ კალათბურთელ მოდესტას პაულაუსკასთან ერთად მოვიდა და ნაკრებს მასთან ერთად დაემშვიდობა. როგორც თანამედროვენი ამბობენ, საკანდელიძის სათამაშო მანერა იმითაც გამოირჩეოდა, რომ მოწინააღმდეგის ფარისკენ გაჭრილი მცველი, ყოველთვის ცდილობდა, შეტევა ეფექტურ ნახტომში დაემთავრებინა. ასეთ დროს, მას მიწაზე დაშვებისას, ფეხი არაერთხელ სტკენია, მაგრამ სპორტსმენისთვის მთავარი გულშემატკივრის ტაში და დარბაზის დადებითი ემოცია იყო. ამის გამო, ხშირად, გუნდის თავკაცებისგან, საყვედურიც მიუღია, მაგრამ თავად აღიარებდა, რომ გარკვეულ „ჩარჩოში“ ვერც ერთმა მწვრთნელმა ვერ მოაქცია, რადგან კალათბურთს საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობდა. რაც შეეხება მოედანზე საუკეთესო პარტნიორებს, „დინამოში“ საკანდელიძე ასეთად გურამ მინაშვილს მიიჩნევდა, ხოლო ნაკრებში — იური სელიხოვს. მინაშვილის შესახებ ბატონი ზურაბი ამბობდა: „გურამი რომ არ ყოფილიყო, ჩემი ნაკრებში შეყვანა საგრძნობლად დაგვიანდებოდა. მან ყველაფერი გააკეთა, რათა საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე მეჩვენებინა. კაუნასის ტურში იყო მატჩები, როდესაც მას შეეძლო, ბრწყინვალე გასვლები ტყორცნით დაეგვირგვინებინა, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, ცდილობდა, ახალგაზრდა პარტნიორებს დახმარებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას კი, ჩემ მიმართ იჩენდა. იგი ბურთს ისე მაწვდიდა, როგორც საკუთარ თავს მივაწვდიდი“. მწვრთნელებიდან კი, ბატონი ზურაბი საუკეთესოდ ალექსანდრე გომელსკის მიიჩნევდა, რომლის მკაცრი ხასიათი საკანდელიძეზე არ ვრცელდებოდა და თბილისელ სპორტსმენს, როგორც ვარჯიშზე, ასევე ოფიციალურ თამაშზე, მოედანზე თავისუფლად მოქმედების საშუალებას აძლევდა. ყველა დროის გამორჩეულ კალათბურთელად მაიკლ ჯორდანს მიიჩნევდა, რომელმაც მისი აზრით, სპორტის ამ სახეობის განვითარებაში უფრო დიდი წვლილი შეიტანა, ვიდრე პელემ ფეხბურთის პოპულარიზაციაში. საკანდელიძემ „დინამოში“ უკანასკნელი თამაში 1977 წლის 24 აპრილს ჩაატარა და მაშინ ქართველებმა კაუნასის „ჟალგირისს“ სძლიეს. კარიერის დასრულების შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში, ის მიხეილ ქორქიასთან ერთად „დინამოს“ წვრთნიდა და ძნელბედობის ჟამს, გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენაშიც დაეხმარა. შემდგომში, პროფესიით ქიმიკოსი, სხვადასხვა პერიოდში, მსხვილ საწარმოებს ხელმძღვანელობდა, 1995 წელს კი, ჩაის ფაბრიკის დირექტორი გახდა. თუმცა, ვერაგმა დაავადებამ, ცნობილ კალათბურთელს სიცოცხლე დროზე ადრე მოუსწრაფა — საკანდელიძეს ციროზი აღმოაჩნდა და სიცოცხლის უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, ყოველ ორ-სამ თვეში ერთხელ, სამკურნალოდ საავადმყოფოში წვებოდა. ამას ისიც დაერთო, რომ 31 წლის ასაკში, ტრაგიკულად დაიღუპა მისი შვილი ზურა საკანდელიძე უმცროსი. სახელოვანი სპორსტმენი 2004 წლის 25 იანვარს, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა. ■

ერთხელ გალამ — გაწაფულმა მკითხავმა — მოწყენილობის ჟამს, ბანქო გაშალა და შეიტყო, რომ მისთვის უცნობ მხატვართან ერთად დიდხანს მოუწევდა ცხოვრება, შემდეგ კი, ქმარზე ადრე მოკვდებოდა...

იდუმალი წყვილი, „წინასწარმეტყველი“ ბანქო და რუსი ქალის მიერ „ნაშვილები“ ვენიოსი

პარიზელი ქალი, რომელსაც უცნაური სახელი — გალა ერქვა, პლაჟზე გასული, უხალისოდ იხდიდა ტანთ. ის უკმაყოფილო იყო თავისი ქმრით: რისთვის ჩაიყვანა პოლ ელუარმა ამ მიყრუებულ ადგილას, ქვეყნის დასალიერს?.. რაღაც საეჭვო სიამოვნებისთვის, რათა ის შეშლილი კატალონიელი — სალვადორ დალი გაეცნო?!. შეიძლება, ის მართლაც, გენიალური მხატვარი იყო, მაგრამ ნამდვილ ტაკიმასხარასავით კი გამოიყურებოდა: გამხდარი, გაზეპილი, ბრიოლინწასმული თმა, რაღაც უაზრო ჟაბოთი „დამშვენებული“ აბრეშუმის პერანგი. თანაც, მუდამ მზად იყო, სრულიად უმიზეზოდ ეხარხარა მთელი საათი. ჰოდა, მიდი და უცადე, სანამ ის კეთილს ინებებს და გაჩერდება...

დალი თავისი ფანჯრიდან სუნთქვაშეკრული უთვალთვალებდა ქალს. „ის ნაპირზე იდგა, გაშიშვლებული ზურგით ვიცანი. მისი გამოწეული ლავიწის ძვლები, ძლიერი, როგორც ახალგაზრდა ათლეტის, ზურგის კუნთები — და ქალური, დახვეწილი თეძოების მოყვანილობა!.. კონტრასტს ხაზს უსვამდა წვრილი, შესაძლოა მეტისმეტად წვრილი წელი — დამაგვირგვინებელი შტრიხი!“

მხატვარი გაოგნებული იყო. გალას გარეგნობა მოულოდნელად დაემთხვა იმ იდუმალი რუსი გოგონასას, რომელიც ხშირად ესიზმრებოდა. საოცრად ჰგავდა გამოგონილი „ელაგანტური ქალის“ იდეალსაც, რომელსაც მხატვარი გამუდმებით ეძებდა ირგვლივ და აი, ბოლოს და ბოლოს, იპოვა.

დალის ფეხებზე ჰკიდია რეალობა. მის წარმოსახვაში ყველაფერი უკვე გადაწყდა. ამიერიდან, გალა მხოლოდ მას ეკუთვნის. მას თითქოს არ ესმის, რომ გალას თან ახლავს ქმარი და ქალიშვილი სესილი. გაუთლელ და უცნაურ ესპანელს ოდნავადაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ქალი მის გრძნობას უპასუხებდა. დალის სხვა რამ აწუხებდა: 25 წლისა, ის ჯერ კიდევ უბიწო იყო. უფრო უარესიც, მხატვარი დარწმუნებული იყო, რომ ის მამაკაცი არ იყო... ის და გალა ერთად სეირნობდნენ კლდეებზე, ზღვის პატარა უბეების გაყოლებით. დალი მას თავის საყვარელ ზეთისხილის ხეივნებს უჩვენებდა და ეშინოდა, ძალიან ეშინოდა...

საბოლოოდ, ნეტავ, რით მოხიბლა გალა ამ უცნაურმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც წარამარა მუხლებზე ეცემოდა მის წინაშე და მარადიულ სიყვარულს ეფიცებოდა? სავარაუდოა, რომ მას მართლაც, სჭირდებოდა ქალი, როგორც ბრმას — გზის მაჩვენებელი. ასეთ სიტუაციაში ქალი ვერ უძლებს ცდუნებას...

პოლ ელუარმა დამშვიდობებისასა, სურათი გადაუღო დალის თავის ცოლთან ერთად. ისინი ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ახალგაზრდული შესახედაობის დედა, თავის მოზრდილ ვაჟიშვილთან ერთად: გალა დალიზე 10 წლით უფროსი იყო. ელუარი უკვე აღარაფერს ეწინააღმდეგებოდა: ცოლის მიერ მოწყობილი სცენები მისთვის საკმარისი აღმოჩნდა. იგი მიემგზავრებოდა კატალონიიდან, გალა კი — რჩებოდა. „ნახევრად საპატიო“ საბაბიც გამოიძებნა — მან უნდა მოუაროს უეცრად ავად გამხდარ ქალიშვილს.

1929 წლის მთელი აგვისტო სესილი ობოლივით გაჰყურებდა სასტუმროს ფანჯრიდან მზის ოქროთი მოვარაყებულ ნაპირს. დედამისი, რომელმაც დახვეწილი პარიზული კაბები შორტებით, პერანგებითა და სანდლებით შეცვალა, ბავშვივით კისკისებდა და ალერსით უსვამდა თავზე ხელს ნახევრად შეშლილ მხატვარს. ავადმყოფის მომვლელად გალამ ვერ ივარგა: ავადმყოფ ქალიშვილთან მას დღეში 2 საათზე მეტი არ გაუტარებია.

...ელუარი ეჭვიანობდა. ცდილობდა, დაეყოლიებინა, ტიროდა, ემუქრებოდა, შვილის სიყვარულს აფიცებდა, მაგრამ — სულ ტყუილად. გალამ დალი აირჩია, ქალიშვილი თავზარდაცემულ დედამთილს შეატოვა და მხატვრის სამშობლოს მიაშურა — სწორედ იმ მიყრუებულ კატალონიურ სოფელ კადაკესს, რომელიც ხმელთაშუა ზღვას გადაჰყურებდა. დალის, თავის მხრივ, განხეთქილება მოუვიდა ოჯახთან — მამასთან და დასთან — ბურჟუებთან, რომლებმაც ვერ აპატიეს გათხოვილ, უცხო ქალთან კავშირი. მშობლიური სახლიდან განდევნილ დალის აღარაფერი შეეძლო შეეთავაზებინა გალასთვის, გარდა მეთევზის პატარა ქოხისა ერთ-ერთ ყველაზე მივარდნილ, უდაბურ ადგილას — კოსტა-ბრავოზე. არც გათბობა, არც ელექტროენერგია, არც წყალგაყვანილობა... მაგრამ დალის მხოლოდ იქ შეეძლო მუშაობა — ბავშვობიდან ნაცნობ კლდეებს შორის. მხოლოდ ეს ადგილები ასაზრდოებდა მის წარმოსახვას. მათი ერთობლივი ცხოვრების პირველსავე წამიდან, გალამ უსიტყვოდ მიიღო ერთი წესი: ის იქ გრძნობდა თავს კარგად, სადაც დალი კარგად მუშაობდა. მაშინვე ხომ არ შეიცნო ქალმა მასში გენიალური მხატვარი?.. ძნელი სათქმელია:

ის მართლაც, გენიალური მხატვარი იყო, მაგრამ ნამდვილ ტაკიმასხარასავით კი გამოიყურებოდა

მაშინ ძნელად თუ მოიძებნებოდა ვინმე ისეთი, ვინც მის მომავალს „თავდებად“ დაუდგებოდა. მაგრამ გალამ, თავისი ემმაკეული ინტუიციით, დალიში არაჩვეულებრივი პიროვნება ამოიცნო. მისი ცხოვრების მიზანი, ამ პიროვნების მოვლა-პატრონობა გახდა.

სოფელ კადაკესში კატალონიელი მეთევზესავით ჩაცმული გალა თავისიანად მიაჩნდათ. ვინ იფიქრებდა, რომ სინამდვილეში ის წარმოშობით მოსკოველი იყო და მისი ნამდვილი სახელი ელენა დმიტრიევნა დიაკონოვა გახლდათ („გალა“ მისი გამონაგონი სახელი იყო; ახალგაზრდა ქალბატონს სურდა, ყველასგან გამორჩეული ყოფილიყო). ის სკოლაში ასაა ცვეტაევასთან, მომავალი პოეტის დასთან ერთად სწავლობდა და გოგონას უყვარდა მათ სახლში სტუმრობა. შვეიცარიის ერთ-ერთ სანატორიუმში ნორჩ ელენას სიგიჟემდე შეუყვარდა ასევე ნორჩი პოლ ელუარი და რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე, მასთან პარიზში ჩავიდა. მას შემდეგ, რუსეთში აღარ ყოფილა და სამშობლოთი თითქმის აღარც დაინტერესებულა.

კომუნისტები, ლენინი, სტალინი — მისთვის მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო. გალას შესანიშნავად შეეძლო საკუთარი წარსულის მოკვლა, რაშიც დიდად ეხმარებოდა მისი უიშვიათესი უნარი — უკან არასოდეს მიეხედა და არასოდეს არაფერზე დასწყვეტოდა გული...

„მიყვარხარ, გალა! დილას, როცა ვიღვიძებ, საღამოს, როცა ვიძინებ, ყოველ წუთს შენს სახელს ვიმეორებ. 20 წელია, მიყვარხარ, ჩვენ განუყრელნი ვართ. თუ ოდესმე მოიწყენ, მომძებნე“. ეს პოლ ელუარის სულის კივილია, 1934 წელს დაწერილი ვნებიანი სიტყვები, უკვე მას შემდეგ, რაც მისი გალა სალვადორ დალის კანონიერი ცოლი გახდა. თვითონ გალა კი პოეტის უცვლელ სიყვარულს ისე იღებს, თითქოს ეს ასეც უნდა იყოს.

გალამ თავისი ქორწინების შემდეგ, ეპოქის მთავარი მუზის საპატიო ადგილი დიკავა. მისი ქმარი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხატვარი იყო ოკეანის ორივე მხარეს. მისი ნახატები კარგად იყიდებოდა, ხოლო მის გენიალობაზე უკვე აღარ კამათობდნენ. დალი ძალიან ხშირად ხატავდა თავის ცოლს და თანდათანობით, მისი სხეული არანაკლებ ცნობილი გახდა, ვიდრე ვენერა მილოსელის. მაგრამ რატომ უწოდებდნენ მთელი მსოფლიოს ჟურნალისტები გალასა და დალის საუკუნის ყველაზე იდუმალ წყვილს?..

მართლაც, დიდი მხატვრის გარეგნობაში არაფერი იყო რომანტიკული. გალაც ძალზე მიწიერად და არაეფექტურად გამოიყურებოდა. ის არც ლამაზი იყო, არც მოღიმარი, არც მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი და თანაც, მუდამ მკაცრ კოსტიუმში გამოწყობილი დადიოდა; თუმცა კი — შანელის კოსტიუმში. ბევრს ის სულაც, კუდიანად ეჩვენებოდა, რომელმაც ჯადოსნური ბალახების წყალობით გააბრუა დალი. მაშ, რით შეიძლებოდა იმის ახსნა, რომ მდიდარი და ცნობილი დალი, რომელიც გარეგნულად მას შვილად შეჰფეროდა, მრავალი წელი, ერთი წამითაც კი არ იშორებდა გალას გვერდიდან? გალა მუდამ მასთან იყო — როცა ის მუშაობდა და როცა ის ნახატებს კიდებდა გალერეაში, როცა ვიტრინებს აფორმებდა და როცა ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხობდა... ერთი სიტყვით, უმისოდ დალი ნაბიჯსაც არ დგამდა.

ერთადერთხელ არ იყო გალა მის გვერდით და დალი კინაღამ დაიღუპა... 1936 წელს ლონდონში მოწყობილ სიურრეალისტთა პირველ საერთაშორისო გამოფენაზე დალიმ თავისი ცნობილი სურათი — „გრძნობის გამომწვევი პიჯაკი“ ჩაიტანა. საზოგადოებისთვის „რამდენიმე ჭეშმარიტად პარანოიდული სიტყვა“ რომ ეთქვა, ის დარბაზში სკაფანდრში გამოწყობილი გავიდა. იქ შეკრებილნი არ უსმენდნენ დალის ბოდვას, ისინი სულითა და გულით ერთობოდნენ მხატვრის გროტესკული ჟესტიკულაციით. იგი ხელებს უაზროდ იქნევდა აქეთ-იქით. აზრად არავის მოსვლია, რომ დალი ცუდად გახდა, რომ ის იგუდებოდა. მისი მუზარადის გასაღები გალას ხელჩანთაში ედო. ის კი, თითქოს ჯინაზე, რამდენიმე წამით სადღაც გავიდა. რა თქმა უნდა, მაშინვე მოძებნეს და ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ რა სიმბოლურია ეს სცენა: მართლაც — ერთადერთი, გალა ფლობდა დალის სულის გასაღებს.

მაგალითად, ამ უკანასკნელ სურათზე გალა ღვთისმშობელია, რომლის ფეხებთანაც გაგეხილი კვერცხის ნაჭუჭი განისვენებს

იქნებ, მათი უცნაური კავშირის ამოხსნა იმით შეიძლებოდა, რომ გალა არასოდეს ეწინააღმდეგებოდა მეუღლეს, იწონებდა მის ყველაზე ველურ გამოხდომებსაც კი? ამერიკამ, რომელიც ეთაყვანებოდა ექსცენტრიკულ მხატვარს, საბოლოოდ შეიძულა გალა, ნიუ-იორკში 1935 წელს გამართული ცნობილი ფანტასტიკური მეჯლისის შემდეგ. სტუმრებს შესთავაზეს, მეჯლისზე თავ-თავიანთ სიზმრისეულ სამოსში გამოწყობილნი მისულიყვნენ. და აი, ჩაცმის საკითხში სუპერკონსერვატორი გალა, მეჯლისზე დალის მიერ კონსტრუირებული, უზარმაზარი შავი თავსაბურავით გამოცხადდა, რომლის ცენტრშიც ცელულოიდის თოჯინა იწვა. ის ჭიანჭველების მიერ შეჭმული ბავშვის გვამს ასახიერებდა... ამან საზოგადოებაში დიდი შოკი გამოიწვია, მაგრამ თვითონ გალა!.. ეს საოცრება იყო. ის ხომ არც მსახიობი ყოფილა, არც მხატვარი, არც ავანგარდისტი. თავი კი საოცრად უბრალოდ, აღუშფოთებლად ეჭირა. „კუდიანო“, „კახპავ“, „ვამპირო“, „ბავშვების მკვლელო“, — ეს ყველაზე უწყინარი სიტყვებია, რომლებიც მისი მისამართით ისმოდა.

საკუთარ ინტერესზე უარის თქმის რაოდენ დიდი უნარი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ქმრის საამებლად, დაცინვის, მძვინვარე სიძულვილისა და მასხრად აგდების სამიზნედ იქცეს!..

„რომელ ცნობილ ქალთან ისურვებდით ღამის გათევას?“ — დაუღალავად ეკითხებოდნენ ჟურნალისტები დალის, გალასთან მისი ქორწინებიდან 5, 10, 15 წლის შემდეგ. და უცვლელ პასუხს იღებდნენ: „არც ერთთან. მე 100%-ით ერთგული ვარ გალასი — და ამაყად დასძენდა: ვფიცავ, რომ არასოდეს არავისთან მივცემივარ სიყვარულს, გარდა გალასი“. დალი არ იღლებოდა იმის გამეორებით, რომ ყველაფერს ამ ქალს უნდა უმადლოდეს. ეს გალამ ასწავლა მას ქალაქის ქუჩებში სიარული, ასწავლა, რომ არ შინებოდა მანქანების და მეტროსი; კარგად ჩაეცვა, სუფრასთან დანა-ჩანგალს ღირსეულად გამკლავებოდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მისი წყალობით გახდა მხატვარი.

„კუდიანო“, „კახპავ“, „ვამპირო“, „ბავშვების მკვლელო“, — ეს ყველაზე უწყინარი სიტყვებია, რომლებიც მისი მისამართით ისმოდა

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, დალის მეგობარს, ლუის პაუელსს ძალზე დიდი ეჭვები იპყრობდა წყვილის სასიყვარულო იდილიის მიმართ. „ძალზე მგზნებარედ და ზედმეტად მოწიწებით ლაპარაკობს ესპანელი თავის მეუღლეზე, — ვისთან ერთადაც ამდენი წელია, ცხოვრობს. როცა დალი თავის ცოლზე ლაპარაკობს, არ მჯერა, რომ ასეთი ქალები საერთოდ არსებობენ. ეს ყველაფერი ან ფარსს მაგონებს, ან გათამაშებულ მისტერიას, ან სიცრუეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — რეალურ ცხოვრებას!..“ — აცხადებდა პაუელსი.

დაკვირვება მით უფრო მართებულია, რომ თავის ტილოებზე დალი, გალას ღვთიურობის ყველა ატრიბუტს ანიჭებდა: „გალა — მადონა“, „მადონა გალა“, „ატომის ლედი“. მაგალითად, ამ უკანასკნელ სურათზე გალა ღვთისმშობელია, რომლის ფეხებთანაც გატეხილი კვერცხის ნაჭუჭი განისვენებს. დალი ამტკიცებდა, რომ თვი-

თონ გამოიჩეკა ამ კვერცხიდან...

„განა შეიძლება, ღვთის ან წმინდანის მიწიური, ადამიანური სიყვარული?“ — სამართლიანად ეჭვობდა პაუელსი და იმავდროულად, კმაყოფილი აკვირდებოდა, თუ რაოდენ დიდი სიამოვნებით ატარებდა დროს დალი რჩეული ლამაზმანების მთელ ჰარამხანასთან პარიზში, ლონდონსა და ნიუ-იორკში. „ისინი ყველაფრისთვის მზად არიან, მაესტროს ხათრით. დალი ყველას თვალს უხვევს“, — დაასკვნა პაუელსმა.

„გალა ცუდადაა, ის უბედურია“, — მისწერა გამჭრიახმა პოლ ელუარმა თავის მეგობარს, ანდრე ბრეტონს. იქნებ, ელუარი კვლავინდებურად ეჭვიანობდა?.. ისე, რომ ვთქვათ, რატომ უნდა ყოფილიყო გალა უბედური? ქმარი ეთაყვანებოდა მას და თვითონაც აღმერთებდა ქმარს. ამასთან, ცოლ-ქმრმა მოახერხა, წარმატებით გაჰქცეოდა ყველანაირ ისტორიულ კატაკლიზმს. ისინი მუდამ ასწრებდნენ დროულად გამგზავრებას. მაგალითად, მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში, განცხრომაში ცხოვრობდნენ ამერიკაში. ამასთან, ისინი ფანტასტიკურად გამდიდრდნენ.

მაგრამ პოლ ელუარის სიტყვებში ალბათ, იყო სიმართლის მარცვალი, თუნდაც

მთელი ცხოვრება გალა მხოლოდ მას იცავდა...

იმიტომ, რომ წლების მომატებასთან ერთად, გალა სულ უფრო და უფრო ეშმაკეულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ ის სიხარბის ეშმაკმა შეიპყრო და რაც უფრო მეტ ფულს შოულობდა დალი, მით უფრო პანიკურად ეშინოდა გალას სიღარიბის. მან თავის ხელში მოაქცია ქმრის ფინანსური საქმეები: ქალი თვითონ პოულობდა შეკვეთებს, თვითონ აწარმოებდა მოლაპარაკებებს კონტრაქტების თაობაზე, თვითონ აწერდა ხელს ანგარიშებს. გალა მენეჯერიც იყო, იმპრესარიოც და სარეკლამო აგენტიც. არაკეთილმოსურნენი იმასაც ამბობდნენ, რომ მისი მზერა სეიფებშიც კი აღწევდა...

მაგრამ გალამ კაზინოში, მწვანე მაუდზე დაყარა მთელი შემოსავალი ერთ-ერთი სარფიანი კონტრაქტიდან, რომელიც დიდი გაჭირვებით გააფორმა. ის სულ უფრო ხშირად აგებდა უზარმაზარ თანხას რულეტსა და „ბლექ-ჯეკში“; მთელ ევროპაში გავრცელდა ხმა მის სასიყვარულო შეხვედრებზე, თუმცა თითქმის ყოველთვის — წუთიერზე; უფრო ხანგრძლივი კავშირისთვის ხომ მას დრო არ ჰყოფნიდა.

ერთხელ, პარიზში, ის თავის ძველი საყვარელის ვაჟიშვილს, ჯიმი ერნსტს შეხვდა. ჯიმის თქმით, გალამ ის რუსულ ჩაიხანაში შეათრია და თავისდა გასაოცრად, ახალგაზრდა კაცი „დაუსრულებლად გრძნობდა მისი მუხლებისა და თეძოების შეხებას“. გალა ვნებიანად ცდილობდა ჯიმის დაყოლიებას იმაზე, რომ მასთან ერთად სასტუმროში წასულიყო. კაცი უარობდა. „დამპალი ხარ, ურჩხული“, — გააფთრებით სისინებდა ჩვეულებრივ თავშეკავებული და უთქმელი გალა. გაზეთები გაჰყვიროდნენ, რომ XX საუკუნის ყველაზე იდუმალი და მტკიცე ქორწინება თვალდათვალ ირღვეოდა, რომ ის უკვე მხოლოდ წმინდა კომერციულ საფუძველზეღა იდგა.

მაგრამ გალას და — ლიდია, რომელიც ერთხელ ესტუმრა დალის ოჯახს საფრანგეთში, ჯიუტად ამტკიცებდა, რომ სიცოცხლეში არ ენახა ქალისა და მამაკაცის უფრო ნაზი, გულის ამაჩუყებელი ურთიერთობა. „გალა ბავშვივით უვლის დალის. ძილის წინ, წიგნებს უკითხავს მას, აიძულებს, დალიოს რაღაც აუცილებელი აბები, მასთან ერთად განიხილავს მის ღამის კოშმარებს და უსაზღვრო მოთმინებით უფანტავს ეჭვებს. დალიმ საათი ესროლა მორიგ დამთვალიერებელს?.. გალა მაშინვე მასთან გაჩნდება დამამშვიდებელი წვეთებით — ღმერთმა არ ქნას, შეტევა დაეწყოს. ნუთუ, შეიძლება, ისეთ ხარბ ქალს, როგორსაც გაზეთები ხატავენ, ასეთი გულის ამაჩუყებელი ერთგულების უნარი შესწევდეს?“ — გულწრფელად უკვირდა ლიდიას.

ერთადერთ კაცს — პოლ ელუარს, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც სხვაზე იყო დაქორწინებული, ესმოდა, რა ემართებოდა მის „მარადიულ სატრფოს“: „საბრალო გალა! ისინი ბედავენ, ძუნწი გიწოდონ. მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ შენ ძუნწში კი არა ხარ, არამედ ფული მხოლოდ იმის სანაცვლოდ გჭირდება, რაც სინამდვილეში გაკლია...“

გალასადმი მიძღვნილი დალის რომანი — „საიდუმლო ხატებანი“ 1943 წლის ივლისში გამოვიდა. წიგნის მთავარი გმირი, ქალს მის მიერ გამოგონილ ეროტიკულ თამაშთა იდუმალებას აცნობს, რაც შეხების გარეშე სიამოვნების საშუალებას იძლევა. რომანის გამოსვლის შემდეგ, დალი აღიარებდა, რომ შეეძლო, გაეძლო ხორციელი კონტაქტის გარეშე და მის მიმართ ერთგვარ ზიზღსაც კი გრძნობდა. დალი სიყვარულშიც, უპირველეს ყოვლისა, მხატვარი იყო: მისთვის მთავარი იყო — ემზირა, დანარჩენი — წარმოსახვის საქმე იყო. ის, რა თქმა უნდა, მუდამ აღნიშნავდა, რომ გალა ერთადერთი იყო, ვისთვისაც ის გამონაკლისს უშვებდა. მაგრამ... პოლ ელუარმა, რომელიც კარგად იცნობდა გალას, ალბათ, სწორად გამოიცნო მიზეზი, რომლის გამოც, ქალი თავს უბედურად და მიუსაფრად გრძნობდა. თუ ელუარს ოდესმე ღირსეულად დაუფასებია გალა — ეს „სიყვარულში სრულყოფილი ქალი“, — მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დალის არცთუ ისე სჭირდებოდა მისი ეს ნიჭი.

თანამედროვეთათვის გასაოცარი „საუკუნის ქორწინება“ ალბათ, სწორედ იმიტომ იყო ასეთი მტკიცე, რომ როლების შეცვლას ეფუძნებოდა — ფენომენს, რომელიც ფსიქოლოგიაში ცნობილია, როგორც „სიმბოლური ინცესტი“: დალი, რომელმაც დედა ადრე დაკარგა და, მრავალი მხატვრის მსგავსად, ინფანტილური იყო, მასში დედა უყვარდა და დედას ეძებდა, გალა კი მასში — ვაჟიშვილს. ღვიძლმა ქალიშვილმაც ხომ ვერ გაუღვიძა მას დედობრივი ინსტინქტი. დალიმ კი, მიუწვდომელი გზით, ეს მოახერხა. მთელი ცხოვრება გალა მხოლოდ მას იცავდა...

60-იან წლებში იმავე კადაკესში, სადაც ისინი ერთობლივად ცხოვრებას იწყებდნენ, ოღონდ უკვე არა ქოხში, არამედ უზარმაზარ ზღაპრულ სასახლეში დალიმ ვირტუალური ჰარამხანა გაიჩინა და ვირტუალურ ეროტიკულ სეანსებს აწყობდა. ტანკენარი, ნახევრად შიშველი ლამაზმანები ოსტატის წინაშე სპექტაკლებს თამაშობდნენ მისივე სცენარების მიხედვით. მათზე დასასწრებად, დალის არასოდეს მიუწვევია გალა. ქალს ეს არც აწუხებდა. მას სულ სხვა რამ აღელვებდა.

ერთხელ, გალა თავის ოთახში, დალის მზეთუნახავ მეგობართან — მომღერალ ამანდა ლირთან ერთად განმარტოვდა. მაგიდაზე ამანდა ლირმა გაშლილი ბანქო შენიშნა. გალა დაჟინებით ეკითხებოდა სტუმარს მისი გატაცებების შესახებ და უეცრად, შეუვალი ტონით უთხრა: „ხატზე დაიფიცეთ, რომ მას შემდეგ, რაც მე აღარ ვიქნები, დალის გაჰყვებით ცოლად. მას არ შეუძლია უქალოდ ცხოვრება და მარტო თუ დარჩა, დაიღუპება. ბანქომ კი მითხრა, რომ მე მასზე ადრე მოვკვდები“. გაოგნებული ახალგაზრდა ქალი დუმდა. გალამ ყველაფერი აუხსნა. მან უამბო ამანდას, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, სწორედ იქ, კადაკესში მან ასევე გაშალა ბანქო უცნობ მხატვარზე და შეიტყო, რომ მასთან სიკვდილამდე იცხოვრებდა. „იმედი მაქვს, მიხვდით, თუ ვინაა ეს მხატვარი“, — სარკასტული ღიმილით დასძინა მან. ■

დალი, რომელმაც დედა ადრე დაკარგა და, მრავალი მხატვრის მსგავსად, ინფანტილური იყო, მასში დედა უყვარდა და დედას ეძებდა, გალა კი მასში — ვაჟიშვილს

მოამზადა მაია მაისურაძემ

ჯერი ჰოლიუელი შვილს მაჩიტას არქმევს

14 მაისს, ცოტა ხნის წინ, Spice Girls-ის ყოფილი ვოკალისტი, ჯერი ჰოლიუელი დედა გახდა. ჟურნალი Hello! იუწყება, რომ დედამ პატარას, ბლუბელ მადონა დაარქვა (bluebell — ყვავილის სახელია და მისი ქართული შესატყვისია — მაჩიტა).

ჯერი ჰყვება, რომ ერთხელ, მას პალატაში ლურჯი მაჩიტების ულამაზესი თაიგული მიართვეს. გაზაფხულის პირველი მახარობლის სინაზემ და მშვენებამ, მასზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. ჯერის დედამ უთხრა, რომ ყვავილის ეს ჯიში ძალზე იშვიათი და ძვირფასია. „ჩემთვის კი, ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი — ჩემი შვილია“, — ამბობს ჯერი ჰოლიუელი. მეორე სახელი — მადონა, ახალშობილმა ჯერის ერთ-ერთი გმირის პატივსაცემად მიიღო. „ხელებს ისე სასაცილოდ იქნევს და ყვირის, თითქოს უემბლის სტადიონზე მრავალათასიანი აუდიტორიის წინაშე იდგეს! გეგონებათ მართლა მადონაა!“

ჯერი ჰოლიუელი პატარა ბლუბელი მადონას მამის ვინაობის გამხელას არ ჩქარობს. როგორც ამბობენ, ბავშვის მამა ამერიკელი სცენარისტი საშა ჯერვაზი უნდა იყოს, რომელთანაც ერთი წლის წინ, ჯერის მხურვალე რომანი ჰქონდა გაჩაღებული. ■

პენელოპა კრუსმა საკუთარი კინოკომპანია დააარსა

კანის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე, ფესტივალის ფავორიტი სურათის — „ვოლვერი“ — წარმატების ტალღაზე მოხვედრილმა პენელოპა კრუსმა დრო იხელთა და განაცხადა, რომ საკუთარი კინოკომპანიის დაარსებას აპირებს. სავარაუდოდ, პენელოპა კრუსის კომპანია — 88 Production პირველი 2 სურათის გადაღებას უახლოეს ხანებში დაიწყებს. „ჩემი ცხოვრების ახალ ფურცელს ვშლი და იმედი მაქვს, რომ წარმატებას მივაღწევ“, — განაცხადა მსახიობმა კანის კინოფესტივალზე. პენელოპა კრუსის კინოსტუდიის მიერ გამოშვებული პირველი სურათი „ვნებიანი ინდოეთი“ იქნება, რომელიც მაყურებელს „ფლამენკოს“ მოცეკვავე ახალგაზრდა ქალისა და ინდოელი მაჰარაჯის სიყვარულის შესახებ მოუთხრობს. ფილმში მოცეკვავე ქალს თავად პენელოპა განასახიერებს.

კანის კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო რეჟისორ პედრო ალმოდოვარის „ვოლვერი“, რომელშიც კრუსმა რაიმუნდას როლი ითამაშა და ნომინაციაში — „ქალის საუკეთესო როლი“ ფესტივალის პრიზი მოიპოვა. ■

ჯენიფერ ლოპესი შოუმალოდის კულისებს მიღმა ცხოვრების შესახებ

პოპმუსიკის ვარსკვლავი ჯენიფერ ლოპესი მაყურებელს უცხო თვალისაგან დაფარულ შოუბიზნესის სამზარეულოს გააცნობს. წლის ბოლოს, ტელეარხ MTV-ზე სტარტს აიღებს რეალური შოუ Moves, რომელიც მაყურებელს შოუბიზნესის მოცეკვავეების წინაშე დიდებისკენ მიმავალ გზაზე წარმოქმნილი სიძნელეების შესახებ მოუთხრობს. ჯენიფერ ლოპესის კარიერა მოცეკვავეობით დაიწყო, ამიტომ ეს სამყარო მისთვის კარგადაა ცნობილი. „ჩემი კარიერა კორდებალეტით დავიწყე და მის სამზარეულოს კარგად ვიცნობ“, — ამბობს მსახიობი. — ეს ხალხი მთელ ცხოვრებას ცეკვას უძღვნის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მათი ძალისხმევა სათანადოდ არ ფასდება. მათ მძიმე ცხოვრება აქვთ და მინდა, ხალხს ის დავანახვო, რაც ზიზილ-პიპილოებისა და ყალბი ელვარების მიღმა იმალება“. Moves-ის აღმასრულებელი პროდიუსერი თავად ჯენიფერ ლოპესი იქნება. მსახიობი სერიალის მონაწილეთა კანდიდატურების შერჩევაში უშუალო მონაწილეობას მიიღებს. ფინალში მხოლოდ 6 მონაწილე მოხვდება. პირველ სეზონში Moves-ის 8 სერიის გადაღებაა დაგეგმილი, შემდგომ სეზონში კი, სერიების რაოდენობას რეიტინგი განსაზღვრავს. ■

დენ ბრაუნის ახალი რომანის მიხედვით Columbia Pictures ახალ ფილმს იღებს

რონ ჰოვარდის ახალი ფილმის „და ვინჩის კოდის“ წარმატებამ, სურათის შემქმნელებს დენ ბრაუნის კიდევ ერთი რომანის ეკრანიზაცია შთაგონა. კინოსტუდია Columbia Pictures, რომანის — „ანგელოზები და დემონები“ მიხედვით ფილმს გადაიღებს. ახალი სურათის სცენარს ისევ „და ვინჩის კოდის“ სცენარის ავტორი — აკივა გოლდმენი შექმნის. დენ ბრაუნის რომანი „ანგელოზები და დემონები“ 2000 წელს გამოქვეყნდა და მკითხველმა პირველად გაიცნო პროფესორი რობერტ ლენგდონი, რომელიც შემდგომ, „და ვინჩის კოდში“ ტომ ჰენქსმა განასახიერა. Columbia Pictures წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალ სურათში ამ გმირს, ალბათ, ისევ ტომ ჰენქსი განასახიერებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით კონტრაქტი გაფორმებული არ არის. ანალოგიური სიტუაციაა ფილმის რეჟისორის კანდიდატურასთან დაკავშირებით — სავარაუდოა, რომ ახალი სურათის რეჟისორი ისევ რონ ჰოვარდი იქნება.

რომანის მოქმედება რომში ვითარდება. ვატიკანში, პაპის ასარჩევად შეკრებილი კონკლავის დროს აფეთქების თავიდან ასაცილებლად, ლენგდონს რთული თავსატეხის ამოხსნა მოუწევს. აფეთქების მოწყობას ილუმინატთა საიდუმლო ორგანიზაციის წევრები გეგმავენ. 2003 წელს, Columbia pictures-მა „და ვინჩის კოდისა“ და „ანგელოზები და დემონების“ ეკრანიზაციის უფლების გარდა, ბრაუნის ყველა იმ მომავალი რომანის ეკრანიზაციის უფლებაც შეისყიდა, რომელთა მთავარი გმირი ლენგდონი იქნება. ბრაუნის მომდევნო რომანის — „სოლომონის გასაღები“ გამოქვეყნებას, მკითხველი 2007 წლისთვის ელის. ■

ანჯელინა ჯოლი პაპარაცის ამშობიარა?!

კინოსამყაროს ნანატრი შვილი, ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის პაწია, შილო ნუველი ბოლოს და ბოლოს სამყაროს მოევლინა.

გატანჯული მშობიარე ქალის კივილი ბულვარულ პრესაში ექოდ აისახა: ბავშვი დაიბადა! მაგრამ ბედნიერმა ოჯახმა გადაწყვიტა, რომ მის შესახებ პრესას დროზე ადრე არანაირი ინფორმაცია არ მიეღო. ჰოლივუდელი წყვილის ადგილზე, ალბათ, ნებისმიერი სხვა მშობელიც ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა. მეგობართა აპლოდისმენტების, პაპარაცების ჟივილ-ხივილისა და კომენტატორთა ლაქლაქის თანხლებით მშობიარობა ძალზე ძნელია!..

ჯოლიმ და პიტმა, რომლებიც, სხვათა შორის, ჯერაც არ დაქორწინებულან, ნუველის გასაჩენად, აფრიკის წყნარი ქვეყანა — ნამიბია შეარჩიეს, სადაც მშობიარეს კეთილმა პრემიერ-მინისტრმა უმასპინძლა. პრემიერი მზად იყო, საჭიროების შემთხვევაში, ბებიაქალის ფუნქციაც კი შეესრულებინა. ახალშობილი ქვეყნიერებას ზღვისპირას მდებარე საკურორტო ქალაქში მოევლინა. ოჯახის სიმშვიდეს პოლიციელთა მთელი არმია იცავდა.

ჟურნალისტები, მათი წამოწყების სრული უიმედობის მიუხედავად, ნამიბიის საზღვრებს მიაწყდნენ. აუღელვებელი საიმიგრაციო სამსახურის აგენტები მათი სტუმრობის მიზანს იძიებდნენ. მათ, ვისაც ანჯელინას პირადი ხელმოწერით მოსაწვევი არ ჰქონდა, უკანვე ისტუმრებდნენ. მოსაწვევი, რა თქმა უნდა, არავის აღმოაჩნდა, ამიტომ ჟურნალისტთა არმია იძულებული გახდა, საკუთარი გაზეთებისთვის მშობიარის ტანჯვის შესახებ თითიდან გამოწოვილი ცნობები მიეწოდებინა.

უფრო მოხერხებულებმა თავი ტურისტებად გაასაღეს და სანუკვარ ვილამდე ადვილად მიაღწიეს, მაგრამ იქ „დაპროგრამებულ“ მცველებს გადააწყდნენ, რომლებმაც ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს გუდა-ნაბადი ააკვრევინეს.

„ლედი წუთი წუთზე იმშობიარებს, თქვენ კი ხელს უშლით. ნამიბიაში მშობიარეთა შეწუხება აკრძალულია. სინდისი იქონიეთ!“ — შეარცხვინა ჟურნალისტები ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა.

რამდენიმე ჟურნალისტმა მაინც მოახერხა, „დაპროგრამებული მონსტრებისთვის“ გვერდი აევლო, მაგრამ ისინი უფრო გამოცდილმა, სამოქალაქო სამოსში გამოწყობილმა აგენტებმა უკანასკნელ წამს, ფაქტობრივად, ფანჯრის რაფიდან ჩამოხსნეს და თავგანწირვის ფასად მოპოვებული ის ფირები ჩამოართვეს, რომლებზეც ძვირად ღირებული კადრები იყო აღბეჭდილი და ვილიდან კინწისკვრით გაყარეს. ამ ინციდენტის შემდეგ, ჯოლიმ და პიტმა ციტადელს ორმაგი კორდონი შემოარტყეს და შენობას გარშემო მაღალი მესერი შემოავლეს.

პრესაში სენსაციური ფოტოსურათი მაინც გამოჩნდა. პიროვნება, რომელმაც საიდუმლო ვითარებაში პატარა ნუველს ფოტოსურათი გადაუღო, 55 მლნ დოლარს მიიღებს — ვარაუდობს პროექტის — Mr.Paparazzi.com მფლობელი დერინ ლაისონი. ვინაა ეს თავზე ხელაღებული მისტერ ან იქნებ, მის პაპარაცი? — იქნებ, ვიდრე მუქსათვალეებიანი „მონსტრები“ გარეთ ჟურნალისტთა ურდოებს იგერიებდნენ, შენობის შიგნით, წყნარ, უშფოთველ გარემოში შენიღბული ფოტოგრაფი მობილური ტელეფონის ფოტოაპარატით მოქმედებდა? იქნებ, ეს ბებიაქალიც კი იყო? — ამბობს ლაიონსი.

■

ჯენიფერ ენისტონი მოლოს და მოლოს, გაშიშვლდა!

ბრედ პიტის მიერ მიტოვებულმა ჯენიფერ ენისტონმა პუბლიკის ყურადღება კვლავ მიიპყრო. მსახიობმა რომანტიკულ კომედიაში — „განხეთქილება“ — მთავარი როლი ითამაშა.

საყვარლები, რომლებმაც ერთმანეთთან დაშორება გადაწყვიტეს, ვერაფრით თანხმდებიან, თუ ვინ დატოვებს მათ მყუდრო ბინას. წყვილი პოზიციურ ფსიქოლოგიურ ბრძოლაში ებმება: ვინ ვის აჯობებს, ვინ ვის გააძევებს? ბრძოლის პროცესში, მათი სიყვარული ისევ ცოცხლდება. ფილმში ჯენიფერ ენისტონს პარტნიორობა მისმა ახალმა სატრფომ — ვენს კოენმა გაუწია. ჯენიფერს შეყვრებულისგან დაფარული არაფერი აქვს, ამიტომ გაბედა და ის ნაბიჯი გადადგა, რომლისგანაც ადრე თავს იკავებდა — სასიყვარულო სცენის დროს, კადრში გაშიშვლდა. ამერიკაში ფილმი ეკრანებზე 1-ელ ივნისს გამოვიდა. პრემიერამდე 1 კვირით ადრე, კინოვარსკვლავი სატელევიზიო შოუში — Access Holliwood — გამოვიდა და მიმზიდველი სხეული გამოამზეურა, მისდა სამწუხაროდ, ყველამ შეამჩნია, რომ მისი ტუჩები ანჯელინა ჯოლის ტუჩებთან ახლოსაც ვერ მივა!

■

მერაია ქერის თეხემს ძეგლს დაუდგამენ!

ნიუ-იორკში მერაია ქერის პატივსაცემად, ცერემონია გაიმართება. როგორც ცნობილია, მერაიას ფეხები შოუბიზნესის სამყაროში საუკეთესოდაა აღიარებული. ამიერიდან, მერაიას ფეხების სილამაზით ტკბობის საშუალება ყველას ექნება — ქალაქში ხუთმეტრიანი ქანდაკება აღიმართება, რომელიც ვარსკვლავის სხეულის მშვენიერი ნაკვთების სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს.

■

ნათია ქივაძე

„ჯეობარი 2-ის“ ძირითადი „ღირსება“ ის არის, რომ იქ თითქმის ყოველდღე, კონფლიქტური სიტუაცია იქმნება და მერე, მთელი დღის განმავლობაში, ამ ჩხუბს არჩევენ. ძველი „ჯეობარელები“ ამბობენ — ახლებს იდეების ნაკლებობა აქვთო. იქ არც ბესო სარჯველაძესავით გაბედული ადამიანი აღმოჩნდა, რომელიც საზოგადოებას ინტიმური სცენებით გაართობდა. გასულ კვირას, ბესო „ჯეობარს“ ესტუმრა და მისი ერთ-ერთი მონაწილე — ტატა, ვითომდა სურათების გადასაღებად ცალკე ოთახში გაიყვანა, მერე კი, არც ერთმანეთის კოცნაზე უთქვამთ უარი. რა პრობლემები შეუქმნა ბესო სარჯველაძეს საკუთარმა საქციელმა, ვინ უყვარს მას სინამდვილეში და საერთოდ, რა აზრის არის „ჯეობარ 2-ზე“? — ამ ყველაფერს, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ბესო თავის შეცდომას გულწრფელად ნანობს, შეცდომა კი, ყველას მოსდის...

ინტრიგა და ინტიმური სცენები ყოფილი „ჯეობარელისგან“

„ჩემს საქციელს ძალიან ვნანობ, ალბათ ამ საკვანძო ადამიანი დამეკარგინა“

— „ჯეობარმა“ შენი ცხოვრება შეცვალა?

— რა თქმა უნდა. 35.000 ლარით მეტი მაქვს, ვიდრე მანამდე მქონდა.

— ამბობენ — ბესოს ფული არ მისცეს და ამის გამო, ჩივილს აპირებსო...

— ეს სიმართლეს არ შეესაბამება. თანხა გადმომცეს და ის ბინის მშენებლობაში ჩავდე. ჩემს ცხოვრებაში კიდევ ის შეიცვალა, რომ ვმუშაობ, ფოტოებს ვიღებ და სექტემბერში, პერსონალურ ფოტოგამოფენას მოვაწყობ. იმაზე, თუ რომელ საგამოფენო სივრცეს ავირჩევთ, ჩემი პროდიუსერი, მხატვარი მაკა რაზმაძე ზრუნავს.

— და ძალზე პოპულარულიც გახდი...

— გააჩნია ვისთვის, ჩემი ოჯახისა და ნათესავებისთვის მანამდეც პოპულარული ვიყავი. ცუდად არავინ გამიგოს, მაგრამ ქუჩაში რომ მივდივარ, ვიღაცები შინაურულად მეძახიან — ბესო, როგორ ხარო. ეს ყველაფერი ზოგჯერ სასიამოვნოა, მაგრამ როცა ამას ყოველდღიური სახე ეძლევა, შემაწუხებელი ხდება. „ჯეობარმა“ ფულის გარდა, ხალხის სიყვარულიც მომაპოვებინა. ამასთანავე, საკუთარ თავშიც გავერკვიე — რადგან ჩაკეტილ სივრცეში ვიყავი და ფიქრისთვის მეტი საშუალება მქონდა.

— ალბათ, „ჯეობარში“ მონაწილეობის შემდეგ, შენი თაყვანისმცემელი ქალების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, არა?

— მართალი ხარ. თუმცა, მათ ნაკლებობას არც მანამდე ვუჩიოდი.

— „ჯეობარ 2-ს“, თავიდანვე ადეკნებდი თვალყურს?

— როცა რეალური შოუ დაიწყო, მაშინ, მთელი ორი კვირის განმავლობაში მონასტერში ვიყავი და ბერებს მუშაობაში ვეხმარებოდი. იქ, რა თქმა უნდა, ტელევიზორის ყურების საშუალება არ იყო. ახლა, თითქმის ყოველდღე ვუყურებ და მომწონს კიდეც.

— მაინც რა მოგწონს?

— ვერ დავკონკრეტდები, მაგრამ ერთადერთი, რაზეც შეიძლება ყურადღება გავამახვილო ის არის, რომ არ მომწონდა გოგონების ბიჭებისადმი დამოკიდებულება — მათ ბიჭების თავიდან მოცილება უნდოდათ, მაგრამ ახლა სიტუაცია გამოსწორდა, ასე აღარ იქცევიან.

— შენი აზრით, შენი პროტოტიპი თუ არის ამ პროექტში?

— არა, ჩემი პროტოტიპი ვერავინ იქნება, რადგან ყველა ადამიანი ინდივიდუალურია.

— საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ ყველა მოთამაშე ბესოსავით თამაშობს ანუ მასავით საკუთარ თავში ჩაკეტილები არიანო...

— არ ვიცი ხალხი რას ამბობს, მაგრამ მე პროექტში ნამდვილად არ მითამაშია. მართლა ისეთი ადამიანი ვარ, როგორიც იქ ვიყავი.

— ანუ ადამიანებთან კონტაქტი გიჭირს?

— სიმართლე გითხრა, ნამდვილად მინდოდა, რომ ვინმესთან კარგი ურთიერთობა მქონოდა — ძნელია, მთელი სამი თვის განმავლობაში ადამიანმა ურთიერთობის გარეშე იცხოვროს. სურვილი მქონდა, საშუალება — არა.

— თუ არ ვცდები, ეს საშუალება სხვებს მიეცათ. შენ რატომ ვერ შეეგუე მათ?

— მეც ეგ არ მიკვირს? რატომღაც არ უნდოდათ ჩემთან ურთიერთობა, თუმცა, იყო ისეთი პერიოდიც, როცა ყველანი ვმეგობრობდით. მერე, „აუტსაიდერის“ სკამზე დამსვეს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მაინც ვერ გამაგდეს.

— როგორ ფიქრობ — რატომ აგითვალწუნეს?

— არ ვიცი, რატომ ამომიჩემეს. სხვათა შორის, ეს ამოცანა დღემდე ვერ ამოვხსენი. თუმცა, ჩემდამი მათი მხრიდან ასეთ დამოკიდებულებას პლუსიც ჰქონდა — ამის შემდეგ, ჩემი რეიტინგი გაიზარდა.

— დღეს, რომელიმე მათგანთან ურთიერთობა გაქვს?

— დიტო ჩემი ნათლულია და მასთან ყველაზე ახლოს ვარ. დანარჩენებთანაც ვურთიერთობ, მაგრამ ვერ გეტყვი, რომ მათ ყოველდღე ვხვდები.

— როგორც ვიცი, ვიდრე „ჯეობარი 2“ დაიწყებოდა, შენ მოთამაშეებს შეხვდი. რაიმე რჩევა თუ მიეცი მათ?

— რაც მკითხეს, ყველაფერზე გულახდილად ვუპასუხე. ისინი ძირითადად, იმით იყვნენ დაინტერესებულნი — როგორ უნდა ითამაშონ, რომ ფინალამდე გავიდნენ. ამის მზა რეცეპტი არ არსებობს. მათ მხოლოდ ის ვურჩიე, რომ გუნდში კონფლიქტი არავისთან ჰქონოდათ, რადგან საკმაოდ ძნელია მარტო დარჩენა. ხოლო მეორე რჩევა ის მივეცი, რომ თუ გუნდთან კარგი ურთიერთობა არ გამოუვიდოდათ, მაყურებელთან კონტაქტი არ დაეკარგათ ანუ ინტერნეტი გამოეყენებინათ. პროექტში შესვლამდე, მაყურებლისთვის ინტერნეტში საკმაოდ ბევრი წერილი დავტოვე. თუ არ ვცდები, ჩემ გარდა, ეს საშუალება სხვას არავის გამოუყენებია.

— როცა ბარიდან გამოხვედი, სამსახურთან დაკავშირებით, რაიმე შემოთავაზება ხომ არ გქონია?

— ტატოსავით მეც ბარში შემომთავაზეს მუშაობა, მაგრამ ამაზე უარი განვაცხადე, რადგან კლუბური სისტემა მაინცდამაინც არ მიზიდავს. ტატოსგან განსხვავებით, ვერც კოქტეილების რეცეპტებს ვიმახსოვრებ. ამასთანავე, კლუბის ხელმძღვანელებთან, რაღაც-რაღაც საკითხებზე ვერ შევთანხმდი.

— დრო უკან რომ დაბრუნდეს, „ჯეობარში“ ისევ ითამაშებდი?

— რა თქმა უნდა.

— სხვა რეალითი შოუში თუ მიიღებ მონაწილეობას?

— გააჩნია, რა ხარისხის იქნება და რომელი ტელევიზია გააკეთებს ამ შოუს. დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას — კუნძულზე თავის გადასარჩენად გაკეთებულ რეალითი შოუში. სხვათა შორის, მქონდა ინფორმაცია, რომ მსგავსი შოუ საქართველოში უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ რატომღაც, ეს იდეა არ განხორციელდა.

— სხვა შოუში რომ მიიღო მონაწილეობა, ამის უფლება გაქვს?

— „რუსთავი 2-თან“ დადებულ კონტრაქტს, ვადა ძალიან მალე გასდის, აქედან გამომდინარე, ნებისმიერ შოუში შემიძლია მონაწილეობის მიღება.

— მოდი, ისევ „ჯეობარ 2-ს“ დავუბრუნდეთ. პირველისგან განსხვავებით, მას ინტიმური სცენები აკლია. გასულ კვირას, შენმა და ტატას მოფერებამ, პროექტში ცოტაოდენი ცვლილება შეიტანა, რაზეც გუგამ ასეთი კომენტარი გააკეთა — ამას ისევ ბესო თუ იზამდა...

— ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება ძალიან მიჭირს. შესაძლოა, მე ამ თამაშში რაღაც ცვლილება მართლაც შევიტანე, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი და ჩემი შეყვარებულის ურთიერთობაზე ძალიან ცუდად აისახა

— ამის გამო დამშორდა და ახლა, ძალიან ცუდ დღეში ვარ.

— ტატა შენი შეყვარებული არ არის?

— არა. სხვა ადამიანი მიყვარს.

— ტატამ კი, „ლაივ შოუს“ დროს თქვა, რომ პროექტის დაწყებამდე თქვენ ურთიერთობა გქონდათ...

— ეს სიტყვები არ მომისმენია, მაგრამ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ბევრი მეგობარი ქალი მყავს...

— და ყველასთან ასე გამოხატავ მეგობრობას?

— ყველასთან არა.

— ტატა გამონაკლისი იყო?

— რა ვიცი, აბა?!

— მსგავს საკითხებზე ლაპარაკის არასოდეს გრცხვენოდა. ახლა რა შეიცვალა?

— არა, ნამდვილად არ მრცხვენია, უბრალოდ, ამ ინციდენტზე ლაპარაკი არ მინდა, რადგან ჩემი სულელური საქციელის გამო, მართლა ძალიან კარგი ადამიანი დავკარგე და ამას ვნანობ.

— როცა ტატასთან იყავი, მაშინ ამაზე არ ფიქრობდი?

— რა ვიცოდი, კამერები თუ გვიღებდნენ?

— „ჯეიობარში“ რომ ყველგან კამერაა, არ იცოდი?

— ის ოთახი, მიმალულ ადგილას იყო.

— როცა უკრაინელ გოგონასთან ინტიმური სცენა გქონდა, არც მაშინ იცოდი კამერების ამბავი, თუ მაშინ, ეს რეიტინგის გამო გააკეთე?

— არა, მაშინ ნამდვილად ვიცოდი, რომ იმ ოთახში კამერა იყო. რეიტინგის გამო არ გამიკეთებია, უბრალოდ, მინდოდა და გავაკეთე, თანაც, მაშინ შეყვარებული არ მყავდა და ჩემი საქციელით გულს არავის ვატკენდი.

— შენი შეყვარებული სად გაიცანი?

— როცა „ჯეიობარში“ ვიყავი, კლუბში სტუმრად მოვიდა და იქ გავიცანი. პროექტის დამთავრების შემდეგ კი, ჩვენი ურთიერთობა აეწყო, ერთმანეთი შეგვიყვარდა. წარმოიდგინე, ადამიანი „ჯეიობარით“ ვიპოვე და ისევ „ჯეიობარით“ დავკარგე. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა არ დამთავრებულა. ვიცი, რომ დავაშავე და თქვენი ჟურნალის საშუალებით მივმართავ მას: დამერწმუნე, რომ ეს ღალატი არ იყო. მაპატიე, გთხოვ! მე შენ მიყვარხარ, მიიიყვაარხაარ!!!

— ტატასთან ურთიერთობას გაგრძელებ, თუ მის სახელს ცხოვრებაში აღარ ახსენებ?

— ტატას ხსენება მომიწევს, იმ მიზეზით, რომ ჩემს დასაც ტატა ჰქვია, მაგრამ თუ ის ადამიანი მაპატიებს, ვპირდები, რომ მსგავს საქციელს აღარასოდეს ჩავიდენ.

— კარგი, მაშინ ის მითხარი, შენი აზრით, ვინ გახდება „ჯეიობარის“ გამარჯვებული?

— ძალიან მინდა, რომ ყველამ გაიმარჯვოს, თუმცა, ეს შეუძლებელია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ რატომღაც მგონია — ბიჭი გაიმარჯვებს, მაგრამ თუ საქართველოში რეალითი შოუს გამარჯვებული გოგონა იქნება, ეს ძალიან კარგია, რადგან ასეთი ფაქტი, მსოფლიოს რეალით შოუებში არ არსებობს. ■

გასული კვირის „აუტსაიდერი“ ლალი დანილიუკი გახლდათ. „ლაივ შოუმდე“ რამდენიმე დღით ადრე, მას და ნიკას კონფლიქტი მოუვიდათ, რაც ლალიმ ძალზე განიცადა. მას მიაჩნია, რომ ნიკა კარგი ადამიანია და მისი გაგებაც შესაძლებელია. რას ფიქრობს იგი დანარჩენებზე? — ამას, თვითონ ლალი გვეტყვის.

ცყოილი, შოუოლეშა და ძაუაზეი —

ჩა ისწავლა ლალი დანილიუკმა „ჯეიობარში“?..

ნათია ქივიძე

— დანილიუკი უკრაინული გვარია, მაგრამ მე საქართველოში, ულამაზეს ქალაქ ბათუმში დავიბადე. უკვე ათი წელია, რაც თბილისში ვცხოვრობ. დედა ქართველი მყავდა, რომელიც, სამწუხაროდ, შვიდი წლის წინ გარდაიცვალა. მამაჩემი ახლაც ბათუმში ცხოვრობს, დედმამიშვილები კი, არ მყავს. პროფესიით მხატვარი ვარ. ბოლო ერთი წელია, არსად მიმუშავია. თუმცა, ვიტყუები, ბოლო 28 დღე „ჯეიობარში“ ვმუშაობდი. ახლა კი, მოგეხსენებათ, რომ ხმების სიმცირის გამო იქიდან წამოსვლამ მომიწია.

— რატომ გადაწყვიტე „ჯეიობარში“ თამაში?

— ცხოვრებაში გაურკვევლობის ეტაპი მქონდა. როცა დამირეკეს და მკითხეს — შემთხვევით, „ჯეიობარში“ ხომ არ მიიღებ მონაწილეობასო, ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი და დავეთანხმე. სხვათა შორის, იქ ყოფნისას ბევრ რამეს მივხვდი. მაგალითად, გავარკვიე ის, რომ არ შემიძლია თამაში, ტყული, ბოროტება და ა.შ.

— თუმცა, ამბობდნენ — ყველაზე კარგად ლალი თამაშობსო...

— ვიცი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ სინამდვილეშიც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც ეკრანზე ვჩანდი. მე რომ იქ მეთამაშა, ახლაც პროექტში ვიქნებოდი. არიან ადამიანები, რომლებიც პროექტებში მხოლოდ ინტერესის გამო მიდიან, მეც ასეთი ვარ, თუმცა, ეს ყველაფერი ძვირად დამიჯდა — ბევრი ვინერვიულე. ადამიანი თურმე, ვერასოდეს ვერაფერს დაამტკიცებს. კამერებთან ურთიერთობა კი, საერთოდ არ გამჭირვებია, იმდენად მავიწყდებოდა მათი არსებობა, რომ ბოლოს, ამის გამო, რეიტინგიც დამივარდა.

სინამდვილეშიც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც ეკრანზე ვჩანდი

— ალბათ, შენი პროექტში შესვლის ერთ-ერთი მიზანი, ახალი მეგობრების შეძენაც იყო...

— მართალია და შევიძინე კიდეც ორი არაჩვეულებრივი მეგობარი — შოკა და გუგა. მათთან ცხოვრების ბოლომდე ვიმეგობრებ. დანარჩენ „ჯეიობარელებთან“ კი, ჩვეულებრივი ურთიერთობა მექნება. ტატასთანაც ვიმეგობრებ, რადგან მან, ბოლო დროს, ისეთი თვისებები გამოავლინა, რომ მისდამი დადებითად განვეწყვე.

— რას გულისხმობ?

— იმას ვგულისხმობ, რომ ძალიან კეთილი და მიამიტია.

— ბესოსთან მომხდარი ინციდენტი სიკეთის ბრალი იყო თუ მიამიტობის?

— ეს ტატას პირადი ცხოვრებაა, რომელიც მე არ მეხება. თუმცა, როგორც მე ვიცი, ტატას ბესოსთან გარეთაც ჰქონდა ურთიერთობა და ეს ყველაფერი, მონატრების ბრალი იყო, ორივენი ემოციებს აჰყვნენ და... ვენაცვალე ტატას სულში, უნდოდა და გააკეთა.

— შენ ტატას მსგავსად მოიქცეოდი?

— მოვიქეცი კიდეც, მაგრამ რატომღაც არ აჩვენეს. ალბათ, კამერებმა ის მომენტი ვერ დაიფიქსირეს... თაზოსთანაც მინდა მეგობრობის გაგრძელება, რადგან ერთმანეთს ძალიან ვგავართ და კარგად მახსოვს მისი თბილი სიტყვები — ლოლიკს მეძახდა. ჯერ მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხე, მაგრამ აუცილებლად ვნახავ. დათო ეზიაშვილიც კარგი პიროვნებაა...

— ნიკასთან არ იმეგობრებ?

— მე და ნიკამ საქმის გამო ვიკამათეთ და ვფიქრობ, რომ ლარის გამო ასეთი ამბავი არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ... ამაზე ლაპარაკი არ ღირს. ნიკოლოზი კარგი პიროვნებაა და არ არის გამორიცხული, რომ გარეთ ერთმანეთს შევეწყოთ. ზუსტად ვიცი, რომ მე და თეა ვერასოდეს ვიმეგობრებთ, რადგან ვერ ვხვდები — რატომ გაუხარდა ჩემი პროექტიდან წამოსვლა ასე ძალიან. გამოდის, რომ მას ჩემი კარგი, ცხოვრებაში არასოდეს გაუხარდება. სიმართლეს გეტყვით, არც არავისზე ვიბოღმები და არც გული მტკივა არაფერზე, რადგან ეს თამაში იყო.

— ელოდი, რომ „აუტსაიდერის“ სკამზე აღმოჩნდებოდი და პროექტს დატოვებდი?

— ძალიან მინდოდა, რომ პროექტი დამეტოვებინა.

— რატომღაც, ყველა გარეთ გამოსული მოთამაშე, ამ სიტყვებს იმეორებს...

— მართალი ხარ, ამ სიტყვებს ყველა იმიტომ ამბობს, რომ თავიანთი განცდა არ გაამჟღავნონ. მაგალითად, მე იმას განვიცდი, რომ შოკა და გუგა აღარ მყავს გვერდით, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია. პროექტის დატოვება კი, ნამდვილად არ მადარდებს. ბოლო 20 წუთი ვიჯექი და ღმერთს ვთხოვდი, აქ არ დამტოვო-მეთქი. ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა, ფიზიკურად აღარ შემეძლო. 35.000 ლარი მეც მჭირდებოდა, მაგრამ ამის გამო, ჩემს ჭეშმარიტ სახეს ვერ დავკარგავდი.

— პირველ „ჯეიობარს“ თუ უყურებდი და როგორ ფიქრობ, რომელი ჯობია?

— ისინი ჩვენზე ბევრად აქტიურები იყვნენ. კარგად ჩანდა — ვის რა უნდოდა. როგორ შეიძლებოდა არ მეყურებინა, როცა დიტო ჩემი მეგობარია.

— თქვენ აქტიურობაში ხელს რა გიშლიდათ?

— ბევრი იდეა გვქონდა, მაგრამ მათი განხორციელების ორგანიზება ვერ ხერხდებოდა, რადგან ყველა დაკომპლექსებულები ვიყავით, ვცდილობდით, შეცდომა არ დაგვეშვა და ბოლოს, ეს ყველაფერი მარაზმში გადაიზარდა. იქ დარჩენილი ადამიანები უნდა ამოქმედდნენ და პროექტი უფრო საინტერესო გახადონ.

— შენმა დიეტამ გაამართლა?

— ნამდვილად გაამართლა და ამ დიეტის შეწყვეტას არ ვაპირებ. ძალიან მონდომებული ვარ. პირველ რიგში, მინდა რომ გავხდე, ბევრი ჩემი გულშემატკივარი ჩემს დიეტას იცავს, ამიტომ მეც უფრო მონდომებული ვარ.

— დაბოლოს, შენი აზრით, ვინ გახდება პროექტის გამარჯვებული?

— წინასწარი პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია, რადგან ამ პროექტში, ლიდერს ვერ ვხედავ. ძალიან მინდა, რომ შოკამ გაიმარჯვოს და ამისთვის, რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ, ხოლო ბიჭებიდან, გუგას ვგულშემატკივრობ.

■

რამდენიმე დღის წინ, კლუბ „ბერიკონში“ ქორეოგრაფიული ანსამბლის — „მუხამბაზის“ 10 წლის იუბილე აღნიშნეს. საღამომ, რომელიც გია ჯოხაძეს მიჰყავდა, საკმაოდ ხმაურიანად და ხალისიანად ჩაიარა. ანსამბლს საიუბილეო თარიღი მიულოცეს მომღერლებმა: ეკა კვალიაშვილმა, მალალო ლორთქიფანიძემ, თამრიკო ჭოხონელიძემ, და მისმა ქალიშვილმა, ზურა ხაჩიძემ, ნინი ქარსელაძემ და სხვებმა.

„მუხამბაზს“ 10 წელი შეუსრულდა - ანსამბლი, რომელშიც მხოლოდ გოგონები ცეკვავენ

ლიკა ქაჯაია

ხათუნა ჭარბაძე, *ანსამბლ „მუხამბაზის“ ქორეოგრაფი:*

— თავიდან, ანსამბლ „რუსთავში“ ვცეკვავდი, მერე მოსკოვში წავედი, სადაც მამაჩემი მუშაობდა. გათხოვების შემდეგ კი, ცეკვას საერთოდ თავი დავანებე (საკუთარი ნებით და არა მეუღლის ზეგავლენით), თავი შვილს მივუძღვენი და ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად სწორი არჩევანი გავაკეთე. ჩემი შვილი — გუგა 3 წლის იყო, როცა „მომავლის“ სკოლაში ქორეოგრაფად მიმიწვიეს. თავიდან, ცოტა არ იყოს შევშინდი, მაგრამ... ისეთები ავაცეკვე, რომ თავადაც გამიკვირდა. მთელ ჩემს ენერგიას აქ ვხარჯავდი, მოსწავლეებს „ჟილკას“ ვუღვიძებდი და ისინიც არ ჩერდებოდნენ — დაუღალავად შრომობდნენ.

— თქვენს ანსამბლში მარტო გოგოები არიან?

— მთელი ბავშვობა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მქონდა — რატომ უნდა იცეკვოს ხალხური ცეკვის ანსამბლში ბიჭმა მთელი დატვირთვით, გოგომ კი — არა? მართალია, კაცის პარტიას გოგოები ვერ შეასრულებენ, მაგრამ ცეკვავენ ტექნიკურად. საერთოდ, „ხორუმი“ მეომრების ცეკვაა. რატომ უნდა იცეკვონ მხოლოდ კაცებმა, რა, მებრძოლი ქალები არ გვყავდა? ერთხელ, „პრიმაკოვის“ ფესტივალზე ვიყავით. როცა ჩვენი ანსამბლის წევრები სცენაზე გამოვიდნენ და ცეკვა დაიწყეს, მთელი დარბაზი აყვირდა: „ჯიგიტი“, „ჯიგიტიო“ — ვერ გაარკვიეს, ქალები ცეკვავდნენ თუ მამაკაცები, რადგან გოგოებს თავზე ფაფახები ეხურათ. „მუხამბაზი“ ერთადერთი ანსამბლია თბილისში, სადაც მხოლოდ გოგოები ცეკვავენ და მათ ბიჭებს არავითარ შემთხვევაში არ მივაკარებ.

— თქვენს შვილს ანსამბლში ცეკვის სურვილი არა აქვს?

— ჩემს შვილს, ცეკვის სურვილი საერთოდ არ ჰქონდა, დოლ-გარმონზე ისტერიკა ემართებოდა, დარბაზს ვერ იტანდა, მეუბნებოდა: შენს ნაშოვნ ფულსაც ვერ ვიტანო, თითქოს, სცენაზე ეჭვიანობდა. მაგრამ ახლა ამბობს: ცეკვაში ინდივიდუალურად მოვემზადებიო. ეტყობა, უკვე ნანობს, თავის დროზე რომ არ ისწავლა.

— ამ 10 წლის განმავლობაში, თქვენ მიერ მოპოვებული ყველაზე დიდი წარმატება რომელია?

— შარშან, ივნისში, მთელი საქართველოს მასშტაბით, აჭარაში ჩატარდა ფესტივალი, სადაც ისე წავედით, რომ არც კი ვიცოდით — რა ხდებოდა. ამ ფესტივალის დროს, ათეულში გავედით, რომელშიც პერიფერიული ანსამბლებიც (ფოთიდან, ზუგდიდიდან, საჩხერიდან) გავიდნენ, სხვათა შორის, ისინი ისე სინქრონულად ცეკვავდნენ, რომ გამიკვირდა... ჩემს ბავშვებს ვეუბნებოდი: არ ინერვიულოთ, აქ დასასვენებლად ვართ, თავისუფლად იცეკვეთ-მეთქი. ფინალის დროს, ვიღაცებმა (როგორც შემდეგ აღმოჩნდა — სპეციალურად) ფონოგრამა გამოგვირთეს. ბავშვები არ დაიბნნენ და ცეკვა მუსიკის გარეშე გააგრძელეს. კულისებში ერთი ამბავი ატყდა და როგორც იქნა, პრობლემა მოაგვარეს. „მუხამბაზმა“ ხალხის სიმპათია დაიმსახურა და საჩხერესთან ერთად, ოქროს მედალოსნებიც გავხდით...

■

რუსუდან ბერიძე

თქვენ

(დასაწყისი იხ. გზა №42-22)

ახალგაზრდა ექიმის, ლანა მესხისა და ბიზნესმენ ლევან ქართველიშვილის ურთიერთობა საკმაოდ რთულად ვითარდება. ლანას ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ისინი გარკვეულ ხანს, რაჭაში, სოფელში დაყოფენ. ლანას დედა, თამარი ალმაცერად უყურებს ლევანს: ის ქვრივია, 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ერთხელ, მათ სტუმრად ვინმე ნიკოლოზ დვალი გამოეცხადებათ, რომელიც თვალს არ აშორებს ლანას. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის კარგად იცნობს ლევანს. ქალიშვილთან დაახლოებას კი, იმის გამო ცდილობს, რომ ლანას ბებიის, ქეთოს მიერ დატოვებული რაღაც განძეულობის ხელში ჩაგდება სურს. დვალი ლანას ემუქრება კიდეც: თუ ლევანს გაჰყვები ცოლად, მის შვილს კარგი დღე არ ელისო... ცოტა ხანში, ლანა თბილისში ბრუნდება და იმ ნოტარიუსს ეწვევა, რომელთანაც ქეთოს, დალუქული წერილი დაუტოვებია.

ამ წერილით ქეთო შვილიშვილს აუწყებს, რომ ბანკში ანდერძი აქვს ჩაბარებული და იმასაც ჩამოუთვლის, თუ მისი მოკრძალებული ქონებიდან, კონკრეტულად ვის რა შეხვდა...

ნოტარიუსისგან გამოსულ ლანას, გზაში ლევანი წამოეწევა. ამ მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული ქალიშვილი ლევანს შინ წაჰყვება, სადაც წყვილი რამდენიმე ბედნიერ საათს გატარებს. თუმცა მოგვიანებით, წყვილს უსიამოვნება მოუვა. შესარგებლად მისულ ლევანს, ლანა თავიდან, გაცოფებული დახვდება, მაგრამ მერე, ცოტა მოლბება და მის არგუმენტებსაც შედარებით მშვიდად მოისმენს. მოულოდნელად, მას ახალდაქორწინებული თინიკო და ლაშა მიადგებიან კარზე. თინიკო მეგობარს უცნაურ ამბავს აუწყებს: გივი გიგაური ისევ თავის ფირმაში გვეპატიჟება, — რაზეც ლანას ცივ უარს მიიღებს.

ხელობასთან ერთად ლანას ბებია მთავარ საგვარეულო განძს — ლალისთვლიან ძვირად ღირებულ ბეჭედსაც დაუტოვებს, რომელიც მათი შორეული წინაპრისთვის ერთ-ერთ ქართველ მეფეს უბოძებია. ლანა საბოლოოდ რწმუნდება, რომ ნიკოლოზ დვალის მთავარი მიზანი სწორედ ამ ბეჭდის ხელში ჩაგდებაა და ამიტომ, მისგან თავის დახსნას ყველანაირად ცდილობს...

მაგრამ ამსობაში, დვალი ლევანის ბავშვს გაიტაცებს, ლანას კი ულტიმატუმს წაუყენებს: თუ ჩემს ნებას არ დაჰყვები, მამა-შვილი ერთმანეთს ველარ ნახავსო. ლანა იძულებულია, მოძალადის ულტიმატუმი მიიღოს და ლევანს, ახლობლების თანდასწრებით გამოუცხადოს, რომ ცოლად შენ კი არა, ნიკოლოზ დვალს მივყვებიო... ლანას სიტყვები ყველას შოკში ჩააგდებს. საყვარელი ქალის გადაწყვეტილებით შეურაცხყოფილი ლევანი კი იქაურობას დემონსტრაციულად ტოვებს. შექმნილ დრამატულ სიტუაციას თინიკოს და ლაშას გამოჩენა ოდნავ განმუხტავს. თინიკო ლანას გივი გიგაურის დაპატიმრების ამბავს შეატყობინებს, შეფიქრიანებული ლაშა კი იმასაც დასძენს, რომ ამის გამო, შეიძლება, შენი საქმეც ხელახლა დაბრუნონ წარმოებაშიო...

ორმოცის შემდეგ ლანა და თინიკო ცოტა ხნით სოფელში რჩებიან. თინიკო უშედეგოდ ცდილობს, ლანას მისი უცნაური გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი ათქმევინოს. ახალგაზრდა ქალებთან სტუმრად მისული იონა კი, თინიკოს დაამშვიდებს: ლანა და ნიკოლოზი არასოდეს დაქორწინდებიანო.

იონა ლანას გამოუტყდება, დვალი ბებიაშენის საგვარეულო ბეჭდის მოპარვისკენ მიბიძგებდაო. ამის გამგონე ლანა იფიქრებს, დვალს ჭკუით ვაჯობებო და ბეჭედს სწორედ იონას მიაბარებს შესანახავად. ამსობაში მას რაჭაში ოპერაციის გასაკეთებლად ჩამოსული უფროსი კოლეგა დავით არჩვაძე შეეხმიანება...

არჩვაძის დასახმარებლად რაიონში ჩასულ ლანას პირველსავე ოპერაციაზე გული ცუდად გაუხდება, მოგვიანებით კი იმასაც გაიგებს, რომ ფეხმძიმედაა. ამ ამბით გახარებული თინიკო შეფიქრიანებულ არჩვაძეს ამშვიდებს, ლანას მომავალი ბავშვის მამას ლანა ძალიან უყვარს და მალე ცოლადაც მოიყვანსო. ამსობაში, სოფელში აბრუნებულ ლანას და თინიკოს ნიკოლოზ დვალი გამოეცხადებათ...

ლანას პირდაპირ მჯდარ თინიკოს, რომელიც მეგობრისთვის ღვინის დასხმას აპირებდა, დოქიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა, უკან შეშინებულმა მიიხედა და მიუხედავად იმისა, რომ მანამდე თვალითაც არ ენახა, მაინც მაშინვე მიხვდა, რომ საძინებელი ოთახის კარში ჩამდგარი, კუშტად მომზირალი მამაკაცი ნიკოლოზ დვალი იყო.

— თქვენ... — ძლივს ამოთქვა თინიკომ. — თქვენ აქ საიდან გაჩნდით?

— გასალების ჭუჭრუტანიდან შემოვსრიალდი. — აგდებულად უპასუხა მას დვალმა, — შემდეგ სუფრას ზლაზვნით მიუახლოვდა, სკამი ხმაურით გამოსწია, თავისკენ შეაბრუნა, ზედ გადააჯდა და ლანას თვალი თვალში ბოროტად გაუყარა:

— პირობას რატომ არღვევთ, ქალბატონო?

— პირობა მე კი არა, შენ დაარღვიე! — მამაკაცს თვალი წვალებით, მაგრამ მაინც გაუსწორა შოკიდან ოდნავ გამოსულმა ლანამ.

— ოჰო? — სკამის საზურგეს ხელები შემოუტყაპუნა დვალმა. — მგონი, შენ მართლა აღარ ხუმრობ, აი?.. ისე, ცოტა უფრო გასაგებად ხომ არ მიბრძანებდი, რას გულისხმობ?

— ძალიან კარგადაც იცი, რასაც ვგულისხმობ. — ისევ შეტევაზე გადასვლა ამჯობინა ლანამ. — რას ერჩოდი იმ საწყალ ბიჭს?..

— მაინც, რომელს?.. — აგდებულად ჰკითხა დვალმა. — მე ბევრ ვინმეს ვერჩი...

— იონაზე გეუბნები! — როგორც იქნა, სათქმელი დააკონკრეტა ლანამ. — საჯაშუშოდ რომ მომიგზავნე, რას ფიქრობდი?.. არ იცოდი, რომ არ მიღალატებდა?

— ვითომ, რატომ არ გიღალატებდა?.. შემთხვევით, შენი ლამაზი თვალების ხათრით ხომ არა? — ქალს თვალი თვალში ისევ გამომცდელად გაუყარა დვალმა.

— თუნდაც!.. — მისი ირონია არად ჩააგდო ლანამ. — ამქვეყნად ყველაფერი ლამაზი იონას მართლა გულით უყვარს.

— შემთხვევით, იმ უდღეურს შენც ხომ არ უყვარხარ? — ბოროტად ჩაიქირქილა დვალმა.

— შემთხვევით კი არა, მართლა ვუყვარვარ!.. და მე ამით მხოლოდ ვამაყობ! — ხმაში მართლაც სიამაყის ნოტები გაუკრთა ლანას.

— კარგი ერთი?! — სკამზე ცოტა უფრო მოხერხებულად მოეწყო დვალი და ქალს ისე დაკვირდა.

— მეტსაც გეტყვი! — თავისას არ იშლიდა ლანა. — იონა მეც ძალიან მიყვარს და უდიდეს პატივსაც ვცემ.

— არ მითხრა ახლა, ნაბიჭვარსაც მისგან ვაჩენო, თორემ მართლა სიცილით მოვკვდები. — მხოლოდ ტუჩის კუთხეებით გაიღიმა დვალმა.

— ჩემი შვილი ნაბიჭვარი არასოდეს იქნება! — ხმას აუწია გაღიზიანებულმა ლანამ.

— მართალი ხარ. — დაეთანხმა დვალი. — არ იქნება. იმიტომ, რომ საერთოდ არ გააჩენ!

— რა-ა? — თვალები არაბუნებრივად გაუფართოვდა ლანას. — შენ მართლა ფიქრობ, რომ ბავშვს მოვიშორებ?

— კი არ ვფიქრობ, უკვე გადავწყვიტე! — კბილებში გამოცრა დვალმა და უცბად, მაგიდას მუშტი ისე გამეტებით დაჰკრა, რომ იქვე მდგარი, სანახევროდ დაცლილი ჭიქა გადაბრუნდა და დაღვრილმა ღვინომ ქათქათა სუფრის ნაწილი წითლად შეღება. — აბა, რა გგონია, ლევანა ქართველიშვილის „გაკუთებულ“ ნაბიჭვარს მე გავზრდი?!

— მოიცათ, ბატონო ნიკოლოზ! — სიტუაციის სასწრაფოდ განმუხტვა სცადა მთელი ამ ხნის მანძილზე დამჯერი ბავშვივით უსიტყვოდ

მჯდარმა თინიკომ, რომელსაც დვალმა ისე გაკვირვებით გადახედა, თითქოს ახლაღა შეამჩნიაო:

— ეი, გოგნი, შენ ვილას დაეკარგე?

— ბატონო ნიკოლოზ, თუ შეიძლება, ერთი წამით მომისმინეთ. — თითქოს, დვალის კითხვა საერთოდ არ გაუგონიაო, ისევ შორიდან მოუარა თინიკომ.

— რომ არ მოგისმინო, რას იზამ?.. ტყვიას დამახლი?

— არა, რას ბრძანებ. — უმალ შეწუხებული სახე მიიღო თინიკომ. — მსგავსი რამ თავში აზრადაც კი არ მომსვლია. მე უბრალოდ...

— მოიცა, მოიცა! — გააწყვეტინა მას დვალმა. — დავიჯერო, შენისთანებს თავში აზრებიც მოსდით? — უშნოდ აქირქილდა ის შემდეგ.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მოსდით — თავაზიანობის კვარცხლბეკიდან მაინც არაფრით ჩამოვიდა თინიკო. — და, რადგანაც არც მე ვარ მთლად უნუგეშო გამონაკლისი, მინდა, ერთი რჩევა მოგცეთ...

— რჩევისა რა გითხრა, მაგრამ სხვა რამეს თუ მომცემ, უარს ნამდვილად არ ვიტყვი... — პირი უშნოდ გააწკლაპუნა დვალმა. თინიკოს კი უმალ სახე შეეცვალა:

— არც მე ვიტყოდი უარს თქვენი შუბლის გახვრეტაზე! — ხმაში ლითონი ჩაუდგა მას და ფეხზე ცოფიანივით წამოხტა.

— მერე, რა პრობლემაა? — ზლაზვნით აჰყვა მას დვალი, თან შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო, პრიალა რევოლვერი ამოიღო და თინიკოს გაუწოდა: — აჰა, აიღე და რაც გინდა, ის გამიხვრიტე!

— ბატონო ნიკოლოზ, უშნოდ ნუ ხუმრობთ, რა! — ისევ უკან დაიხია შემცბარმა თინიკომ.

— მერედა ვინ გითხრა, რომ ვხუმრობ, შე ნაბოზარო? — ჩაიღმუილა დვალმა. — აიღე-მეთქი, იარაღი და მაჩვენე ერთი, რისი ტრ...ი გაქვს?!.

დვალს თინიკოს სალანძღავი სიტყვები ბოლომდე არ ჰქონდა დასრულებული, რომ საძინებელ ოთახში რაღაცამ ისე გაიჩხაკუნა, თითქოს იარაღის ჩახმახი შეაყენეს ფეხზეო. ნადირივით დამფრთხალმა დვალმა ჯერ ოთახს მიაყურადა, შემდეგ ხელში შერჩენილი იარაღი შეამოწმა და ბოროტად გაეღიმა:

— თქვენს შემყურეს მგონი, „იზმენებიც“ დამეწყო აი... — თავისუფალი ხელი შუბლზე ნერვიულად მოისვა მან შემდეგ და ისევ თინიკოს მიუბრუნდა: — ჰო, მგონი, შენ ტრ...ზე გავჩერდით, ხომ?

— კმარა! — არაადამიანური ხმით იყვირა უეცრად ლანამ, შემდეგ თვალის დახამხამებაში დვალთან გაჩნდა, იარაღი ხელიდან ცოფიანივით გამოგლიჯა და მასა და თინიკოს შორის ჩადგა: — უმწეო და უიარაღო ქალებს ეჯიბრები, ხომ?.. აბა, ახლა ვნახოთ, რა ვაჟკაციც ხარ?!. — იარაღი დვალს გულმოდგინედ დაუმიზნა მან შემდეგ.

— „მა-ლა-დეც!“ — ტაშიც „დამარცვლით“ შემოჰკრა დვალმა. — მაგრამ ისე, ცნობისთვის, მაგან რომ გაისროლოს, — იარაღზე ანიშნა მან შემდეგ, — მინიმუმ „პრედახრანიტელიდან“ მაინც უნდა მოხსნა...

— არც ეგ არის პრობლემა! — იარაღი უცბად გადატენა ლანამ და ისევ დაუმიზნა: — ახლავე აქედან გაქრი, თორემ ჩემს საქციელზე პასუხს აღარ ვაგებ, იცოდე!

— შენს საქციელზე, ჩემო ლამაზო, ბოლომდე აგებ პასუხს. — მშვიდად უპასუხა დვალმა და თან, მაჯის საათზე დაიხედა: — ჩემი დროებით წასვლის დრო კი მართლა მოსულა, ხომ იცი?..

— ჰოდა, მიბრძანდი! — გული მიეცა ლანას.

— ერთი პირობით, საყვარელო...

— რა პირობით?

— შენი, უფრო სწორად ჩვენი ბეჭდისთვის, ცალი თვალით მაინც უნდა შემახედო.

— ვერ შეგახედებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თან არ მაქვს... თბილისში, ბანკში დავტოვე.

— ტყუილი არ გიხდება ლამაზო... — ამ სიტყვების შემდეგ დვალი იმდენად მიუახლოვდა იარაღმომარჯვებულ ლანას, რომ რევოლვერის ლულა პირდაპირ მკერდზე მიებჯინა. — მაშინ ეს რა არის? — ქალის ყელზე შებმულ ტყავის თასმას ორი თითი ფრთხილად ჩამოაყოლა მან შემდეგ და როგორც კი მკერდს მიუახლოვდა, ლანამ ინსტინქტურად უკან დაიხია. — შენით მოიხსნი თუ?.. — სათქმელი აღარ დასრულა დვალმა.

— ინებე! — თასმა თავზემოთ სწრაფად გადაიტარა ლანამ და მასზე შებმულ ბეჭედთან ერთად მიაწოდა.

დვალი ბეჭედს ხარბად ჩააფრინდა, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, პირკატა ეცა.

— ეს რა ცირკია? — თვალები დაუბრიალა მან ქალს. — ბებიაშენის ბეჭედი სად არის?

— ხომ გითხარი, თბილისში, ბანკშია-მეთქი... — წარბიც კი არ შეუხრია, ისე იცრუა ლანამ კიდევ ერთხელ.

— გამოდის, რომ იმ უდღეურმა მაინც აურია რაღაც... — ჩაიბურტყუნა საქციელწამხ-

15 ივნისიდან, ჟურნალ „ზღაპრში“ ახალი ქართული რომანი

„ვეღური წაბლის ხეივანი“:

— მე მამა ვარ შენი, ნიკა... — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა კაცმა.

თეონა ერთ წამს გაჩუმდა, მერე კი მთელი ხმით იყვირა:

— მამა! მამა დაბრუნდა!!!

— ყველაზე მეტს შენზე ვფიქრობდი ყოველთვის და შენ მაგონდებოდი, გეფიცები! — თქვა ნიკამ გულწრფელად.

— მერამდენედ იწვები, სიმონ! რამდენი ვინმე ელოდება, იცი, მაგ ფარას?!

— ნიკა, უნდა გადამარჩინო! დამწვარი ვარ, ტო!..

— ბოზი ვარ და არც ვმალავ, მაგრამ ეგ არ გამიკეთებია და არც არასოდეს გავაკეთებ

— პარლამენტარი ქალი — სამორინეში?.. აი, ეს მესმის!.. — ჩაილაპარაკა ნიკამ.

...მათი მგრძნობიარე ხელები ისე დასრიალებდნენ ერთმანეთის სხეულზე, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო.

— შენ, რამდენიც არ უნდა იუარო, ჩემი მტერი ხარ!.. შენ კი ირაკლი... მატლი ყოფილხარ. შენ ჩემი ძმა აღარა ხარ!..

ნოსტალგია, სიყვარული, ვნება, ოჯახის ღირსება,
ჭიდილი მკვლელებთან და ... საკუთარ თავთან...

ჯრელი ქართული სინამდვილის ამსახველ ახალ ქართულ რომანში

„ვეღური წაბლის ხეივანი“

დარმა დვალმა.

— მაინც, რა? — ჩაეძია ლანა.

— მაშინ ასე მოვიქცეთ. — ლანას კითხვას ყური აღარ ათხოვა დვალმა. — ორ საათში დავბრუნდები და მზად დამხვდი, თბილისში მივდივართ.

— მე აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

— თუ ჭკუით არ მოიქცევი, ვეღარ იგრძნობ. — ხმაში მუქარა გამოურია დვალმა, შემდეგ საათზე კიდევ ერთხელ დაიხედა და კარისკენ ზლაზვნით გაემართა. — ჰო, მართლა, — კიდევ ერთხელ მოხედა მან ლანას. — საძინებლის ფანჯარა ცოტა კარგად ჩარაზე, თორემ, რა იცი, ჩემს დაბრუნებამდე ვინ გადმოძვრეს იქიდან და გულები გაგიხეთქოთ...

დვალის წასვლისთანავე თინიკო შემოსასვლელ კარს ეცა და გულმოდგინედ გადარაზა.

— ნეტავ, კარის დაკეტვას რა აზრი აქვს? — სკამზე მოცელილივით დაეცა ლანა და ოფლით დაცვარული შუბლი იარაღიანი ხელით მოიწმინდა. — ვერ ნახე ის სატანა ქვეწარმავალივით მართლა საიდანღაც რომ შემოსრიალდა?

— გეხვწები რა, ეგ მაინც გადააგდე! — რევოლვერს თვალი შიშით შეავლო თინიკომ.

ლანამ მეგობარს თხოვნა შეეასრულა და რევოლვერი პირდაპირ იატაკზე მოისროლა.

— ცოტა ფრთხილად, გოგო! — გულზე ხელი იტაცა თინიკომ. — ხომ იცი, რომ იარაღი ეშმაკის მოგონილია და ხანდახან მართლა თავისით ისვრის...

— ნეტავ, წელან ესროლა თავისით! — გულით ინატრა ლანამ.

— ისე, სიმართლე გითხრა, იმ ახვარს რომ დაუმიზნე, ერთი წამით ვიფიქრე, რომ მართლა ესროდი.

— ვერა... — ამოიოხრა ლანამ. — ვერ ვესროლე... ადრე ხშირად მიფიქრია, რომ სიამოვნებით მოვკლავდი-მეთქი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მივხვდი, რომ ადამიანს, თუნდაც ის საზიზღარი დვალი იყოს, ვერასდროს ვესვრი...

— ვერც მე. — დაეთანხმა მას თინიკო. — ალბათ, მეტყვი, გიჟი ხარო, მაგრამ იცი, ამ წუთში რა გამახსენდა?

— რა? — უხალისოდ ჰკითხა მას ლანამ.

— ადრე, ასე ოთხი-ხუთი წლის წინათ, ერთ-ერთ რუსულ არხზე, დოკუმენტური ფილმი აჩვენეს იუგოსლავიის ომზე...

— მოიცა რა! — გააწყვეტინა ლანამ. — მე კიდევ ომი მინდა?..

— არა, არა, სხვა რამის თქმა მინდა! — მაინც არ გაჩუმდა თინიკო. — გეხვწები, მომაყოლე, რა!

— კარგი, გისმენ. — დანებდა ლანა.

— ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ იუგოსლავიის ომზე იყო-მეთქი ის ფილმი, უფრო კონკრეტულად, ერთ ფეხმძიმე სნაიპერ ქალზე, რომელიც დღისით პურის საცხობში პურს აცხობდა, ღამით კი, მოწინააღმდეგეებს დაუნდობლად ხოცავდა.

— რას იზამ?.. — ამოიოხრა ლანამ. — ომში უარესი რამეებიც ხდება...

— შეიძლება, მაგრამ ჩემთვის კიდევ უფრო გამაოგნებელი იცი, რა იყო?

— რა?

— რა და ფილმის ავტორები იმ ქალს, როგორც გმირს, ისე რომ წარმოგვიდგენდნენ... იმაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს, ახალი სიცოცხლის გაჩენის მოლოდინში მყოფი ქალი უკვე გაჩენილებს, თუნდაც მტრებს, სიცოცხლეს რომ უსწრაფებს?..

— შენ მგონი, უკვე ღრმა ფილოსოფიაში გადავარდი... — გააწყვეტინა მეგობარს ლანამ. — გირჩევნია, იმაზე იფიქრო, ჩვენ რა ვქნათ, თორემ იმ ქალს აღარაფერი ეშველება.

— აბა, მე რა ვიცი, რა უნდა ვქნათ? — როგორც იქნა, რეალობას დაუბრუნდა თინიკო. — ლაშასთან და, მით უმეტეს, ლევანთან შენ არ დამარეკვინებ და მე კიდევ „ქრისტე ღმერთი არა ვარ, სასწაული მოვახდინო", ელიავა ვარ...

— როგორც გატყობ, ყაჩაღი დვალის გამოჩენამ ნაირ-ნაირი ფილმების გახსენების ხასიათზე დაგაყენა. — ფეხზე წამოდგა და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა ლანამ. შემდეგ კი ისევ თინიკოს მიუბრუნდა: მოდი, იცი, როგორ მოვიქცეთ?

— როგორ?

— როგორ და შენ ლაშას მართლა დაურეკე, ოღონდ, არ დაგავიწყდეს, რომ შენგან ორასი კილომეტრი აშორებს და გული ზედმეტად არ გაუხეთქო. უბრალოდ, უთხარი, რომ დვალი სოფელში გამოჩნდა, ამიტომ რაც შეიძლება მალე ჩამოგვაკითხე და თბილისში წაგვიყვანე-თქო.

— არის, უფროსო! — მხედრულად გაეჭიმა ლანას თინიკო და შემდეგ მობილური მოიმარჯვა. — ახლა მთავარია, ლაშას აპარატი არ ჰქონდეს გათიშული, თორემ რომ ვნახავ, ჩემი ხელით მოვკლავ!

— გეხვწები რა, კაცის კვლაზე ნუღარ ლაპარაკობ! — სთხოვა ლანამ.

— გეუბნები, მოვკლავ-მეთქი! — თავისას არ იშლიდა თინიკო, მაგრამ საბედნიეროდ, ლაშამ მის ზარს მალევე უპასუხა. — გადარჩა! — გადაულაპარაკა გახარებულმა თინიკომ ლანას და შემდეგ ყურმილში ჩასძახა: — ლაშიკო, მე ვარ... კარგად, როგორ უნდა ვიყო?.. ლანაც კარგად არის... ლაშიკო, გეხვწები, ახლა მოკითხვის დრო არ არის, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი უნდა გითხრა!.. რა და, სასწრაფოდ მიატოვე ყველაფერი, ჩახტი მანქანაში და რაჭაში გამოიქეცი!.. არა, ხვალამდე ვერ მოიცდის... რატომ და იმიტომ, რომ ახვარი დვალი გამოჩნდა სოფელში და შეიძლება, ჩვენც ყოველ წუთს დაგვაფასოს... არა, ისე თუ გინდა, რომ შენი ცოლი მკვლელის საზოგადოებაში გაერთოს, ნუ აჩქარდები... აბა, რაღას მიედ-მოედები?.. გითხარი, სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდე-მეთქი, ესე იგი უნდა ჩამოხვიდე! ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ტელეფონში ხომ ვერ გეტყვი?.. კარგი, კარგი, ჰო... გელოდები... — როგორც იქნა, აპარატი გათიშა კმაყოფილმა თინიკომ.

— არა, არა, — ხელი ჩაიქნია ლანამ, — შენი გამოსწორება არ იქნება. ხომ გითხარი, კაცი არ დააფეთო-მეთქი?

— კი არ დავაფეთე, დავინტრიგე. — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომ. — მოკლედ, ლაშას ამბავი გარკვეულია, ახლა ჩვენ რა ვქნათ?

— აბა, მე რა ვიცი?.. — მხრები აიჩეჩა ლანამ. — ალბათ, დვალის მორიგი შემოტევა უნდა მოვიგერიოთ.

— იქნებ, გოგასთვის მაინც დაგვეძახა?.. რაც არ უნდა იყოს, კაცია მაინც, იმედია.

— არა, არა... — იუარა ლანამ. — გოგა ნასვამია და უკვე შუა ხვრინვაში იქნება. თანაც, რა იცი, რა ხდება და გოგა რატომღა გავხვიო შარში?

— მაშინ, აბა დავიკრიფოთ გულხელი და დაველოდოთ, როდის მოვა დვალი, მანქანაში ძალით როგორ ჩაგვყრის და სადმე როგორ გაგვაქანებს.

— ნუ გეშინია, შენ ხელსაც არ გახლებს, დვალს მარტო მე ვჭირდები. — დაამშვიდა მეგობარი ლანამ.

— ვითომ, რატომაო? — მხრები მოხდენილად შეათამაშა თინიკომ. — მგონი, დვალს მეც მაგრად „დავეკასე".

— მორჩი რა, სისულელეებს! — შეეღრინა ლანამ. — ნეტავ, ის ბეჭედი მაინც არ გამეტანებინა იონასთვის, მართლა მივაქავებდი დვალს და ცოტა ხნით მაინც შემეშვებოდა...

— მერე, რა პრობლემაა?.. წავიდეთ იონასთან და გამოვართვათ ბეჭედი.

— გაგიჟდი, გოგო?.. ახლა რომ იონას ბეჭედზე მივადგე, მაშინვე მიხვდება, რომ დვალი გამოჩნდა, გვერდიდან ვეღარ მოიშორებ და ჩემ გამო რამე უბედურებას გადაეყრება.

— მაშინ, სუფრას მივუსხდეთ და...

— ახლა ჭამა მაინც არ დაიწყო, თორემ მართლა გადავირევი! — გაღიზიანდი ლანა.

— კარგი, არ დავიწყებ. — ყველის ნაჭრისკენ წაღებული ხელი საბოლოოდ თმაზეღა გადაისვა თინიკომ. — ოღონდ — ერთი პირობით...

— შენგანღა მაკლდა პირობების წამოყენება... — შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა ლანამ.

— ხომ იცი, რომ როცა ვნერვიულობ, თუ არ ვჭამე, მართლა ვგიჟდები!.. ჰოდა, რადგან საჭმლის ჭამას მიშლი, სულიერი საკვები მაინც უნდა მომცე... — თავისას მაინც არ იშლიდა თინიკო.

— რას გულისხმობ? — უნდოდ გამოხედა მას ლანამ.

— რას და... პრინციპში, რას კარგავ?.. ორ საათში დვალი ასეც ჩაგიგდებს ხელში და ისეც...

— მერე?

— მერე, აიღე მობილური და ლევანს ერთხელ მაინც დაურეკე.

— გაგიჟდი? — ხმას აუწია ლანამ. — ლევანს ახლა რა უნდა ვუთხრა?

— არც არაფერი... დაურეკე და მოიკითხე, ბოლოს და ბოლოს, ბოდიში მაინც მოუხადე. ერთი სიტყვით. რაც გინდა, ის უთხარი, ოღონდ თავი შეახსენე.

— არა მგონია, ლევანს ასე მალე დავიწყებოდი. — თინიკოს სიტყვები იწყინა ლანამ.

ინტიმური ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

— ჰოდა, მით უკუთესი... აიღე და დაურეკე რაღა! — ისევ შეაგულიანა მეგობარი თინიკომ. — დავივჯერო, ოდნავ მაინც არ მოგენატრა?

— ოდნავ კი არა, ძალიან მომენატრა. — ალალად აღიარა ლანამ და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაუმატა: — კარგი, დავურეკავ. ვნახოთ, ერთი, როგორ შემხვდება?

ამის შემდეგ ლანამ საკუთარი მობილური ტელეფონი აიღო და ლევანის ნომერი ხელის კანკალით აკრიბა. ზარი უმალვე გავიდა. ლანამ კი ერთი ნერვიულად ჩაახველა და უცბად სახეზე გაოცება გამოეხატა.

— რა იყო? — გაუკვირდა თინიკოს, მაგრამ ლანამ ის ხელის აწევით გააჩუმა და შემდეგ ყურმილში ჩასძახა:

— ალო, თუ შეიძლება ლევან ქართველიშვილი დამალაპარაკეთ... ჰო, მაგრამ... აა?.. გასაგებია... კარგი, პატარავ, ბედნიერად... მამიკოს?.. არა, არაფერი... — აპარატი სწრაფად გათიშა ლანამ.

— რა მოხდა? — მაშინვე ეცა მას თინიკო. — რა მამიკო-დედიკო აგიტყდა? სხვაგან მოხვდი?

— არა, — უპასუხა ლანამ, — უბრალოდ, ლევანს თავისი მობილური ტელეფონი შვილისთვის უჩუქებია, თვითონ კი ახალი უყიდია...

— მერე?.. ბავშვმა მისი ახალი ნომერი არ იცოდა? — დაინტერესდა თინიკო.

— იცოდა... — უპასუხა ლანამ. — მეუბნებოდა კიდეც, მაგრამ მე აღარ ვათქმევინე.

— არ მესმის, რატომ არ ათქმევინე?

— იმიტომ, რომ ასეა საჭირო... ეტყობა, ღმერთს არ უნდა ჩემი და ლევანის ხელახლა შეხვედრა...

— შენ ხელის განძრევა არ გინდოდეს, ღმერთს დაებრალე! — გაგულისდა თინიკო და თან, საკუთარი ტელეფონი ჩართო. — მე თვითონ დავურეკავ ლევანის ბავშვს და მამამისის ახალ ნომერსაც გამოვართმევ.

— არც იფიქრო! — ხმას აუწია ლანამ. — მე ლევანს მაინც აღარ დაველაპარაკები!

— სამაგიეროდ, მე დაველაპარაკები! — ლევანის ძველი ნომრის ძებნა მაინც განაგრძო თინიკომ, მაგრამ უცბად, კარზე ვიღაცამ დააბრახუნა, რაზეც თინიკო ისე შეხტა, რომ კინაღამ აპარატი ხელიდან გაუვარდა.

— მობრძანდა ვაუბატონი... — ბრაზიანად ჩაილაპარაკა ლანამ.

— მოიცა, ჯერ არ გაუღო. — აპარატი სასწრაფოდ გათიშა თინიკომ.

— რომ შემეძლოს, საერთოდაც არ გავუღებდი... — ამოიოხრა ლანამ და კარის გასაღებად წამოდგა.

დვალი ოთახში დინჯად შემოვიდა და იქაურობა ისე საგულდაგულოდ მოათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო.

— რას ეძებ? — ჰკითხა ლანამ.

— აი, ამას. — იატაკზე დაგდებული იარაღი აიღო დვალმა, მაგიდაზე დადო და თვითონ სუფრას მიუჯდა. — თქვენ რაღას უდგახართ? — მოუბრუნდა ის შემდეგ ქალებს. — დასხედით და წასვლამდე ცოტა წავიხემსოთ.

— ჩვენ არსად არ წამოვალთ... — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად უპასუხა მას ლანამ.

— მართალი ხარ. — სუფრიდან წაქცეული ჭიქა აიღო და ღვინით აივსო დვალმა. — თქვენ კი არა, მარტო შენ მოდიხარ.

— მე ლანას მარტოს არსად გავუშვებ! — ახლა თინიკომ გამოიდო თავი მეგობრისთვის.

— კარგი ერთი?.. — დამცინავად შეათვალიერა ის დვალმა. — გამახსენე ერთი, შენ ვინღა ხარ?

— ვინ და ლანას უახლოესი მეგობარი.

— ჰოდა, ახლა კარგად მომისმინე და კარგადაც დაიმახსოვრე! — თვალები გადაუბრიალა დვალმა თინიკოს. — დღეიდან ლანას მხოლოდ ერთი მეგობარიღა ჰყავს...

— საინტერესოა, მაინც ვინ? — კითხვა არ დაახანა ლანამ.

— ვინ და მე! ასე რომ, ახლა მოკეტე, სადმე კუთხეში მიიკუნჭე და ჩვენ წასვლამდე ფეხებში აღარ გამებლანდო, თორემ...

— ხომ გითხარი, მე არსად არ მოვდივარ-მეთქი?!. — ისევ შეუტია დვალს ლანამ.

— მაგასაც ვნახავთ... — ღვინიანი ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა დვალმა, ჭიქა მაგიდაზე ხმაურით დადგა და რევოლვერი აიღო: — აბა, სწრაფად, კარისკენ! — უბრძანა მან ლანას. — თორემ გესვრი!

— მესროლე! — თვალები ავად დააკვესა ლანამ. — რაღას უცდი?

დვალმა ლანას იარაღი მართლა გულმოდგინედ დაუმიზნა და ის იყო, სასხლეტისთვის ხელიც უნდა გამოეკრა, რომ საძინებელი ოთახის ღია კარიდან თოფმა იჭექა და ნიკოლოზ დვალი იატაკზე მოცელილივით დაეცა. სანამ ლანა წაქცეულ მამაკაცს გაოგნებული დაჰყურებდა, საძინებელი ოთახის სიბნელეს ნელ-ნელა ვიღაცის სილუეტი გამოეყო და ოთახში სანადირო თოფმომარჯვებული იონა შემოვიდა.

— იონა! — თვალებს არ დაუჯერა ლანამ. — შენ აქ საიდან გაჩნდი?

— ფანჯრიდან გადმოვედი... — სრულიად უცხო, ყრუ ხმით უპასუხა იონამ, შემდეგ თოფი კედელზე მიაყუდა, თავად იატაკზე უძრავად მწოლიარე დვალთან ჩაიმუხლა და თავი წამოუწია.

დვალმა თვალები წვალებით გაახილა, ჯერ იონას, შემდეგ კი კედელს აკრულ ლანას ავად გადახედა და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა:

— ხომ გითხარი, ფანჯარა დაკეტე-მეთქი...

ამის შემდეგ მოვლენები ელვის უსწრაფესად განვითარდა. ნიკოლოზ დვალი რაიონულ ცენტრში გოგას „კოლხოზნიკით“ გააქანეს. დაჭრილს ლანა და თინიკოც თან გაჰყვნენ. საბედნიეროდ, ნათესავებში საქეიფოდ წასულ დავით არჩვაძესა და მის მეგზურს ლანამ მალევე მიაკვლია და სამივემ ერთად საკმაოდ მძიმედ დაჭრილი ნიკოლოზ დვალი სიკვდილს გამოჰგლიჯა...

მოგვიანებით, სასამართლოზე, დვალს ერთდროულად იმდენი ბრალდება წაუყენეს, რომ მისთვის იონას მიერ ნასროლი ერთადერთი ტყვია კინაღამ ყველას დაავიწყდა. ასე იყო თუ ისე, იონა შინ თავდებით გამოუშვეს, დვალს კი სამუდამო პატიმრობა და ლანასთან სამუდამო განშორებაც „გამოუწერეს“...

ამ ამბიდან ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ ერთ კვირა დღეს ლანას თბილისის ბინის კარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა. სასტუმრო ოთახის ფართო სავარძელში მოკალათებულმა ლანამ კარის გასაღებად წამოიწია, მაგრამ ამასობაში, ჰოლში სამზარეულოდან გამოსული თამარი გამოჩნდა:

— ოჯექი, მე გავაღებ. — შეაჩერა მან შვილი. — მეზობელი იქნება...

— მაშინ ჯერ ამ ოთახის კარი გაიხურე. — სთხოვა ლანამ. — ხომ იცი, არავის თავი არა მაქვს...

თამარმა თავი უკმაყოფილოდ გადააქნია და ოთახის კარი ფრთხილად გაიხურა, თუმცა მალევე შემოაღო და სავარძელში გარინდულ ლანას ხმადაბლა უთხრა: შენ გკითხულობენ.

— მე-ე? — უხალისოდ ჰკითხა ლანამ. — ვინ არის?

— ვიღაც პატარა ბავშვია.

— ბავშვი? — გაუკვირდა ლანას. — ბავშვს ჩემთან რა უნდა?..

— აბა, მე რა ვიცი? — ხელები უკმაყოფილოდ გაშალა თამარმა. — შემოვიპატიჟე, მაგრამ ადგილიდან ფეხიც არ მოიცვალა: დეიდა ლანამ გამომხედოსო...

— ჩემი სახელიც იცის? — ახლა კი მართლა დაინტერესდა ლანა, თუმცა ფეხზე მაინც მძიმედ წამოდგა, წამოზრდილ მუცელზე ფართო მაისური ფრთხილად ჩამოიწია, შემოსასვლელ კართან ნელ-ნელა მივიდა და ადგილზე გაშეშდა: ზღურბლთან პატარა თამუნა იდგა, რომელსაც ლანას დანახვისთანავე სახე გაუნათდა.

— თამუნა!.. შენ აქ საიდან გაჩნდი — ძლივს ამოილუღლუღა ლანამ და ბავშვთან ნელ-ნელა ჩაიმუხლა.

პასუხად, თამუნამ ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, ნომერი აკრიბა და როგორც კი ზარი გავიდა, ყურმილში სიხარულით ჩასძახა:

— მამიკო, მა, ნამდვილად ის არის!.. კი, კი, ჩემი დეიდა ლანაა!.. გელოდებით... — დაუმატა მან შემდეგ და საბოლოოდ გაოგნებულ ლანას გულში გამეტებით ჩაეკრა...

დასასრული

მსოფლიო ჩემპიონატი – URUGVAIDAN GERMANIAMDE

„ფორცა, იტალია!"

ესპანეთში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი, იმ დროისათვის ყველაზე წარმომადგენლობითი იყო — მასში 24-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. გარდა ამისა, პრიზიორთა გამოსავლენად, ყველაზე მეტი — 52 მატჩის ჩატარება გახდა საჭირო. ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებთა პაექრობაში, ალბიონელმა რობსონმა ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა. კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა უნგრეთის ნაკრებმა, როდესაც სალვადორის გუნდი 10:1 დაამარცხა. იმავე მატჩში, მოედანზე შეცვლაზე



„სკუადრა აძურამ", გერმანიის ნაკრები 3:1 დაამარცხა

შესულმა უნგრელმა — კიშმა, 7 წუთის განმავლობაში 3 გოლის გატანა მოასწრო. ამგვარად, მან მუნდიალზე ასპარეზობისას შეცვლაზე შესულ ფეხბურთელთა შორის, ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, თანაც, ყველაზე სწრაფი „ჰეთ-თრიკიც" შეასრულა.

1982 წლის მუნდიალზე, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კამერუნისა და ალჟირის გუნდებმა. კამერუნელები ისე გამოეთხოვნენ ჩემპიონატს, რომ არც ერთი მატჩი არ წაუგიათ, თუმცა, ერთ ქვეჯგუფში თამაშობდნენ მომავალ პრიზიორებთან — იტალიელებთან და პოლონელებთან. საგულისხმოა ისიც, რომ „სკუადრა აძურამ", ზუსტად იმდენივე ქულა მოაგროვა, რამდენიც კამერუნის გუნდმა, თუმცა, ეს უკანასკნელი, გატანილი ბურთების უკეთესი მაჩვენებლით დავჯაბნა.

ნამდვილი ფურორი მოახდინა ალჟირის ნაკრებმა, რომელმაც პირველსავე მატჩში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი დაამარცხა (2:1). ალჟირელებს შემდგომ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ მათი ბედი გერმანელთა და ავსტრიელთა პაექრობისას წყდებოდა. როდესაც, მე-10 წუთზე, ხრუბეშმა ავსტრიის ნაკრების კარში გოლი გაიტანა, აღმოჩნდა, რომ თუ ანგარიში არ შეიცვლებოდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიისა და ალჟირის ნაკრებები თანაბარი რაოდენობის ქულებს დააგროვებდნენ, მაგრამ გატანილ და გაშვებულ ბურთებს შორის, სხვაობის უკეთესი მაჩვენებლით, ასპარეზობას ევროპელები გააგრძელებდნენ. ავსტრიელებმა და გერმანელებმა ეს კარგად იცოდნენ, ამიტომ დარჩენილი დროის განმავლობაში, პუბლიკის გამაყრუებელი სტვენის თანხლებით, ბურთს მოედნის ცენტრში დააგორებდნენ — ეს გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე უსახური მატჩი მუნდიალის ისტორიაში. საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა, იდალგომ ირონიით განაცხადა — პაექრობის მონაწილენი ნობელის პრემიებით დავაჯილდოვოთო.

12-წლიანი პაუზის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ გამოჩნდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, მაგრამ მან, მეორე ჯგუფური ეტაპის გადალახვა ვერ შეძლო. ამ ამოცანას წარმატებულად გაართვეს თავი პოლონეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და საფრანგეთის გუნდებმა.

იტალიელებმა, პაოლო როსის ორი გოლის წყალობით, პოლონელებს სძლიეს. მეორე ნახევარფინალური მატჩი კი, რომელშიც ერთმანეთს ფრანგები და გერმანელები ებრძოდნენ, ჩემპიონატის ყველაზე დრამატულ დაპირისპირებად იქცა. ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. დამატებით დროში, როდესაც ტრეზორმა და ჟირესმა გერმანელთა კარში ორი გოლი გაიტანეს (3:1), საფინალო სასტვენამდე 20 წუთიღა იყო დარჩენილი. ფრანგებს თავისუფლად შეეძლოთ, რომ ყურადღება დაცვაზე გაემახვილებინათ, მაგრამ ისინი ლამაზი, შემტევი თამაშით ტკბობას განაგრძობდნენ. გერმანელებმა კი, როგორც ყოველთვის, ექსტრემალურ სიტუაციაში უჩვეულო ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოავლინეს. შეცვლაზე შესულმა რუმენიგემ, მალევე შეამცირა სხვაობა ანგარიშში, ხოლო რამდენიმე წუთში, ფიშერმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა (3:3). პენალტების სერიაში, ბედმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს გაუღიმა...

მესამე ადგილისათვის გამართულ შეხვედრაში, საფრანგეთის ნაკრები მოედანზე ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით გავიდა და პოლონელებთან 2:3 დამარცხდა. მსოფლიო ჩემპიონები კი, იტალიელები გახდნენ. „სკუადრა აძურამ", გერმანიის ნაკრები 3:1 დაამარცხა. ამგვარად, იტალიის გუნდი მესამედ დაეუფლა მსოფლიო თასს და ამ მაჩვენებლით, ბრაზილიელებს გვერდით ამოუდგა.

ფინალური ტურნირი 13 ივნისიდან 11 ივლისამდე მიმდინარეობდა. გუნდები ოთხ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი და წრიული სისტემით თამაშობდნენ. თორმეტი გამარჯვებულისაგან, ოთხი ახალი ქვეჯგუფი შეიქმნა, სადაც ასპარეზობა ასევე წრიული სისტემით მიმდინარეობდა. ქვეჯგუფებიდან

გამარჯვებული გუნდი მსოფლიო თასით ხელში

საუკეთესო ნაკრებები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ოლიმპიური სისტემით იბრძოდნენ.

სულ 52 მატჩი გაიმართა. დაესწრო 1.856.277 მაყურებელი (საშუალოდ, 35.698 კაცი თითო შეხვედრას), გავიდა 146 გოლი (საშუალოდ, 2,81 თითო მატჩში). საუკეთესო ბომბარდირად პაოლო როსი (იტალია) დაასახელეს, რომელმაც 6 გოლი გაიტანა.

ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, უნგრელთა და სალვადორელთა შეხვედრა არც მეტი, არც ნაკლები, ევროპელთა გამარჯვებით, ანგარიშით 10:1 დასრულდა. ოთხი წლით ადრე კი, იუგოსლავიის გუნდმა ზაირის ნაკრები 9:0 დაამარცხა.

პირველად, მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში, ერთი გუნდის შემადგენლობაში ორი გოლკიპერი ძმა თამაშობდა. თუმცა, საბჭოთა მეკარეებს, ვიქტორ და ვიაჩესლავ ჩანოვებს, მოედანზე გასვლამ არ მოუწიათ. ხუთივე მატჩში, საბჭოთა კავშირის ნაკრების კარს, რინატ დასაევი იცავდა.

იტალიელი დინო ძოფი, დღემდე ყველაზე ასაკოვან ფეხბურთელად მიიჩნევა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა. ის ფიფა-ს თასს, 40 წლის ასაკში დაეუფლა.

ჩრდილოირლანდიელი ნორმან უაიტსაიდი კი, მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში, დღემდე ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა, რომელმაც ტურნირის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა. ესპანეთში თამაშისას, ის 17 წლის და 41 დღის იყო.

უნგრეთის ნაკრების თავდამსხმელმა, ლასლო კიშმა, მუნდიალის ისტორიაში ყველაზე სწრაფი „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა. მან, სალვადორის კარში — 70-ე, 74-ე და 77-ე წუთებზე გაიტანა გოლი. გარდა ამისა, კიში ისტორიაში შევიდა, როგორც ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც „ჰეთ-თრიკი“, შეცვლაზე შესვლის შემდეგ შეასრულა.

პირველად, ტურნირის ისტორიაში, ფინალურ მატჩში მონაწილე გუნდმა, პენალტის რეალიზება ვერ მოახერხა — იტალიელმა ანტონიო კაბრინიმ, 26-ე წუთზე, თერთმეტმეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა.

გერმანიის ნაკრების წარმომადგენელი პაულ ბრაიტნერი, პელესა და ვავას შემდეგ, მესამე ფეხბურთელად იქცა, რომელმაც გოლის გატანა, ორი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მოახერხა — მან, თავი 1974 და 1982 წლების მუნდიალების დასკვნით შეხვედრებში გამოიჩინა. ■

მადლობა აშშ-ს

იურგენ კლინსმანი არაერთხელ გაუკრიტიკებიათ იმის გამო, რომ იგი, გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგაც, აშშ-ში განაგრძობდა ცხოვრებას. ამჟამად, კლინსმანი აცხადებს, რომ თუ გერმანიის ნაკრები მომავალ მუნდიალზე წარმატებას მიაღწევს. ამისთვის, იგი მადლობას აშშ-ს გადაუხდის. იურგენის თქმით — ამერიკელებმა მის მსოფლმხედველობაზე ზეგავლენა მოახდინეს. გერმანული ფეხბურთის მოხელეთა ზეწოლის მიუხედავად, კლინსმანი სამშობლოში ჩასვლაზე უარს აცხადებდა და ნაკრებს ამერიკიდან ხელმძღვანელობდა. გერმანიაში, ის მხოლოდ ცოტა ხნის წინ ჩავიდა, ხოლო მუნდიალის დასრულების შემდეგ, პოსტის შენარჩუნების შემთხვევაში, სიტუაცია არ შეიცვლება. „აშშ-ში ცხოვრებით უპირატესობას ვიღებ. შემიძლია, ნაკრებში შექმნილ ვითარებას გარედანაც ვადევნო თვალყური და შიგნიდანაც დავაკვირდე, — დასძენს კლინსმანი, — ამის შედეგად გავიგე, თუ რა არის საჭირო ამ გუნდის გასავითარებლად“. კლინსმანი გაუთავებლად მოგზაურობდა ლოს-ანჯელესსა და ფრანკფურტს შორის, რაც ძალიან აღიზიანებდა გერმანული ფეხბურთის ბოსებს, მათ შორის, ფრანც ბეკენბაუერსაც. ■

მოურინიო ბრაზილიისჯენაა, სტოიჩკოვს კი, პენტაკამპეონების არ ეშინია

ლონდონის „ჩელსის“ თავკაცმა ჟოზე მოურინიომ, „ფრანს პრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბრაზილიის ნაკრებს ტურნირის მთავარ ფავორიტად მიიჩნევს. „ბრაზილია ერთადერთი გუნდია, რომელიც უძლიერესი შემადგენლობითაა დაკომპლექტებული. გარდა ამისა, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ერთი და იმავე სქემით ასპარეზობს, თუმცა, უფრო დამავჯერებლად გამოიყურება, ვიდრე გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე. რონალდინიო ოთხი წლით გაიზარდა და კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შეიძინა. მას შემდეგ, რაც გუნდში ადრიანო და ემერსონი გამოჩნდნენ, ნახევარდაცვა კიდევ უფრო გაძლიერდა, ამიტომ არა მგონია, რომ ბრაზილიელებს მსოფლიო თასის მეექვსედ მოპოვების პრობლემა შეექმნათ“.

რაც შეეხება ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელ ხრისტო სტოიჩკოვს, ის მიიჩნევს, რომ კოტ დ'ივუარის გუნდი, მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ სიურპრიზად იქცევა. „არა მგონია, რომ არგენტინას ან ჰოლანდიას კოტ დ'ივუარზე ძლიერი გუნდები ჰყავდეთ. აფრიკელთა შორის, არაერთი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს და მიმაჩნია, რომ ისინი ჯგუფურ ეტაპს თავისუფლად გადალახავენ. ვერ გამიგია, ყველას ასე რატომ ეშინია ბრაზილიის. რა თქმა უნდა, ის ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ გაიხსენეთ, რა დაემართათ არგენტინისა და საფრანგეთის ნაკრებებს წინა მუნდიალზე. ბრაზილიელები ძალიან სერიოზულ ჯგუფში აღმოჩნდნენ. იაპონელებს ზიკო ავარჯიშებთ, რომელიც ბრაზილიურ ფეხბურთს კარგად იცნობს. ხორვატიის ნაკრებმა, რამდენიმე თვის წინ, სამხრეთამერიკელებთან ფრედ ითამაშა, ავსტრალიელებსაც ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ. ამიტომ, ბრაზილიელებს არცთუ ისე იოლი მატჩები ელით. რა თქმა უნდა, ისინი პლეი-ოფის ეტაპზე გავლენ, მაგრამ მათ, იქ კიდევ უფრო ძლიერ გუნდებთან მოუწევთ პაექრობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელებს ძალიან გაუჭირდებათ მეექვსედ გაჩემპიონება“, — განაცხადა სტოიჩკოვმა. ■

ბომბი „ოლიმპიაშტადიონთან“

ორიოდე დღის წინ, ბერლინის „ოლიმპიაშტადიონის“ გვერდით მდებარე მედიაცენტრიდან ხალხის ევაკუაცია განახორციელეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შენობის ფუნდამენტში, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს.

ხმა აიმაღლეთ ნეონაცისტების წინააღმდეგ

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ, მოსახლეობას ნეონაცისტების მარშის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვისკენ მოუწოდა. ნეონაცისტების გააქტიურება, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის დროსაა მოსალოდნელი. გერმანული ფეხბურთის თავკაცის, თეო ცვანციგერის თქმით — „მათ წინააღმდეგ ხმის ამაღლება, გერმანელი ხალხის ვალია. თუ ასეთი მსვლელობები მართლაც მოეწყობა, ვიმედოვნებ, რომ გამოჩნდება ხალხი, რომელიც პროტესტს გამოთქვამს“. ■

კიკის კონცერტი და კახაბერის დაბადების დღე

პროფესიონალი კინოლოგი, ძაღლების საერთაშორისო ექსპერტი კიკი, იგივე იუზა ბერაძე ხუმრობა-ხუმრობაში, ამღერდა. რეპერტუარშიც უკვე ბევრი სიმღერა დაუგროვდა. ის ცნობილი ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების სიმღერებს ასრულებს. „სითი ქლაბში“ საღამო ისე არ ჩაივლის, რომ არ იმღეროს. იმ დღეს კი, აღნიშნულ კლუბში მისი სოლო კონცერტი მოეწყო. მან ამ დღეს ქართული ესტრადის თითქმის ყველა ვარსკვლავი შეკრიბა: ეკა კვალიაშვილი, ლელა წურწუმია, თამუნა ამონაშვილი, სტეფანე, მაია დარსმელიძე, ლიზა ბაგრატიონი, კახაბერი, თუმცა კლუბში კიდევ ბევრი ცნობილი ადამიანის ნახვა შეიძლებოდა. კახაბერმა და კოკა აბზიანიძემაც დაუკრეს. „ტამტამ“-ფართის რამდენიმე ნომერი გაიმეორეს. სხვათა შორის, იმ დღეს კახაბერის დაბადების დღე იყო და მილოცვებს ღიმილითა და მისთვის ჩვეული იუმორით ხვდებოდა. კიკისთან ერთად დუეტში ქრისტინემაც იმღერა მაიკლ ფრენსის ცნობილი სიმღერა, რომელიც მათ გასულ ზამთარს ჩაწერეს. ამ სოლო კონცერტისთვის კიკი საგანგებოდ ემზადებოდა, ამიტომ საღამოს ფეიერვერკები და ბრჭყვიალება არ დაჰკლებია. რაც შეეხება მის ჩაცმულობას, კვლავაც ორიგინალური გახლდათ. თმა ზანგურ სტილში ჰქონდა ჩაწნული. კონცერტზე სისთერზ სოულიც მოვიდა, ზანგი ქალბატონი, რომელიც ერთი თვეა, რაც თბილისში მოღვაწეობს. საღამომ მხიარულებასა და ცეკვა-სიმღერაში ჩაიარა.

■

ხატია შამუგია მძღოლი გახდა

რადიო „ფორტუნისა“ და საქართველოში კომპანია „ისი-პარის“ ბოლოდროინდელი სახე — ხატია შამუგია საჭეს მიუჯდა. მისი ავტომანქანა „ტოიოტა“ გახლავთ — RAV-4.

ხატია: ავტომანქანით არასდროს დავინტერესებულვარ და არც საჭესთან ვმჯდარვარ. ჩემთვის კომფორტული, ყოველთვის, მძღოლის გვერდით ჯდომა იყო, მაგრამ ბოლო დროს, ჩემი ორი სამსახურის გამო ბევრი საქმე გამიჩნდა, სულ გადარბენაში ვიყავი, ხანდახან მაგვიანდებოდა კიდეც. ამიტომ, შევიძინე მანქანა. ის ჩემთვის ფუფუნების საგანი სულაც არ არის, საჭირო ნივთია. უზრუნველყოფს ჩემს ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე გადაადგილებას.

— იცოდი მართვა?

— კი, მაგრამ პრაქტიკისთვის, 15 გაკვეთილი მაინც დამჭირდა.

— როგორი მძღოლი ხარ? სიჩქარე გიყვარს?

— ფრთხილი, არ მიყვარს სიჩქარე. კანონმორჩილი მძღოლი ვარ, წესებს არ ვარღვევ. შეუძლებელია, წითელზე არ გავჩერდე. პატრულს უდიდეს პატივს ვცემ. ვცდილობ, მათი შენიშვნა არ დავიმსახურო.

— ამბობენ, ქალები საჭესთან რომ სხედან, მოძრაობას აფერხებენო.

— მანქანის საჭესთან სქესს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, პროფესიონალურად მართავდე.

■

ნინამ დათო ხუჯაძის საცოლესთან პირი შეკრა

ალბათ გახსოვთ, ცოტა ხნის წინ, თბილისში მოსკოვიდან ჩამოსულ დათო ხუჯაძეს ერთ-ერთ კლუბში რომ შევხვდი. საუბარი მის მომავალ მეუღლეზეც გვქონდა. მან ძუნწად, მაგრამ მაინც მოგვაწოდა ინფორმაცია თავის საცოლეზე. ცოტა ხნის წინ, მოსკოვიდან მომღერალი ნინა წკრიალაშვილი დაბრუნდა. მას იქ დათოს მომავალი ცოლი გაუცნია.

ნინა: ლამაზი გოგოა, ნათია ჰქვია, მაგრამ ნატაშკას ეძახიან, ჯაზკლუბში ვიყავით ერთად დაპატიჟებულები. თბილი ადამიანი ჩანს, დარწმუნებული ვარ, მასთან ვიმეგობრებ, ისევე როგორც დათოსთან. დათო მეუბნება ნათიას ჩემს წინააღმდეგ ნუ ამხედრებო. ჩვენი სარძლო 23 წლის არის. ის მოსკოვშია დაბადებული და გაზრდილი. მამა ქართველი ჰყავს, დედა — რუსი. დათო და მისი საცოლე უხდებიან ერთმანეთს. ისინი ცოტა ხანში მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდებიან და ქორწილი სექტემბერში ექნებათ.

■

გიო და ზუკა ხუკუშვილებს ნიუ-იორკში ელიან

ნიუ-იორკში ქართული სათვისტომოს მიწვევით არაერთი ქართველი მომღერალი ჩადის და ქართველი ემიგრანტებისთვის კონცერტებს მართავს მათთვის, ვინც მონატრებულები არიან ქართულ სიმღერას. ცოტა ხნის წინ, იქ დათო გომართელიც იყო. ახლა ნიუ-იორკში მამა-შვილი გიო და ზუკა ხუციშვილები მიდიან. ამის შესახებ ქართული სათვისტომოდან შეგვატყობინეს — მოუთმენლად ველით ხუციშვილებსო. მათ ხომ ყველგან საიმოვნებით უსმენენ.

■

რუბრიკა მოამზადა ლალი ფაცია

ფოტოგრაფის ალბომიდან

მსახიობ ქართლოს მარადიშვილის ეს სასინჯი ფოტო გადაღებულია 2001 წლის ივლისში, ერთ-ერთი ფილმისათვის. ახლახან, ბატონ-მა ქართლოსმა ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი რეზო ჩხეიძის ახალ ფილმში – „სანთელი დანთებული ღვთის საფლავზე“.

იური მეხითოლი

Dodge Caliber

1-ელი ივნისიდან, პოსტსაბჭოთა სივრცეში კიდევ ერთი ახალი მარკის უცხოური ავტომანქანა გამოჩნდა. Dodge Caliber ე.წ. გოლფ-კლასის 5-კარიანი ჰეჩბეკი გახლავთ. თუმცა, მისი შექმნისას კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს, რომ მეტისმეტად არ შეეზღუდათ თავი, რის შედეგადაც, Caliber ზოგიერთ ელემენტს — მაგალითად, შთამბეჭდავ ცხვირს — კლასიკურ უნივერსალს დაესესხა.

ამერიკელთა ახალი პირმშო 17.700 ევრო ღირს. ამ ფასად მომხმარებელი მიიღებს: 1,8 ლ მოცულობის (149 ცხ.ძ.) ბენზინის ძრავას, ხუთსაფეხურიან მექანიკურ გადაცემათა კოლოფს, უსაფრთხოების სისტემის საუცხოო კომპლექტს (მათ შორის, გვერდით ბალიშებს), ხალვათ და კომფორტულ სალონს. ამას შეიძლება დაემატოს... გარშემო მყოფთა ყურადღება, რაც ბევრი ჩვენებური ავტომოყვარულისთვის ძალზე მნიშვნელოვანია... ■

Lexus GS 450H

Lexus-ის ასორტიმენტში ჰიბრიდული GS გაჩნდა. ბიზნესკლასის ეს სედანი ევროპაში დღემდე, მხოლოდ 3,0 და 4,3 ლ მოცულობის ბენზინის ძრავებით შემოდიოდა, ახლა კი ამ აგრეგატებს ე.წ. ბენზოელექტრონული მოდიფიკაცია — GS 450 შეემატა. პრაის-ფურცლებში აღნიშნული ვერსია მოთავსებულია GS 300-ის Premium კომპლექტაციასა და GS 430-ს შორის. რაც შეეხება ფასს — ელექტროძრავას ერთ-ერთი მთავარი სიკეთის — უხმაუროდ მოქმედების მსურველს 78.500 დოლარის გადახდა მოუწევს. საძრავე მოწყობილობის ჯამური სიმძლავრე 340 ცხ.ძ-ს აღწევს, მანქანის მაქსიმალური სიჩქარეა 250 კმ.სთ., 100 კმ/სთ-ს კი ის 5,9 წმ-ში ავითარებს.

შერეულ რეჟიმში მუშაობისას, ახალი „ლექსუსი“ გავლილ 100 კმ-ზე 7,9 ლ საწვავს ხარჯავს. ■

Nissan 350Z Formula

შვეიცარია — ნიჭიერი ტიუნერების ქვეყანაა. ეს სტერეოტიპი მალე, ისეთსავე მყარ ადგილს დაიმკვიდრებს ევროპელთა გონებაში, როგორც ის, რომ აღნიშნულ ქვეყანაში საუკეთესო საათებსა და შოკოლადს აწარმოებენ. აღნიშნული აზრის დასამკვიდრებლად, დიდ როლს შეასრულებს კუპე — Nissan 350Z Formula, რომელიც ორიგინალური ბამპერებით, გვერდითი „ქვედაბოლოებითა“ და აგრესიული ანტიფრთითაა აღჭურვილი და ამის გამო, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ძარით საგზაო საფარს ეყრდნობა.

ტიუნერებმა ორიგინალის საკიდარი 40 მმ-ით დაადაბლეს, მუხრუჭები გააძლიერეს და 3,5 ლ მოცულობის, 280 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატს კიდევ 30 ცხ.ძ. შემატეს. კლირენსის მონაცემს შვეიცარიელები ჯერჯერობით არ ამჟღავნებენ, მაგრამ ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, პლასტიკისგან დამზადებული „სამოსი“ ასფალტიდან მხოლოდ 5-ოდე სანტიმეტრის სიმაღლეზე უნდა იყოს. ■



1 ინდონ-ეზიის კუნძული
2 ზმამაღლა ძახილი
3 დევიდ ბექჰემის ძეუღლე
4 მცენარეთა სამყარო
5 კლავიშე-ბიანი მუს. საკრავი
6 ცხენოს-ნის წკეპლა
7 უბედური შემთხვევა
8 ქალაქი ჰოლანდი-აში
9 შოკოლა-დის ნაკრები
10 მოკლე, მსხვილი ჯოხი
11 ატმოს-ფერული ნალექი
12 სისხ-ლძარღვი
13 ჰანგი, მელოდია
14 სპორტის სახეობა
15 ძაღლებ-შებმული მარხილი
16 დიდი საოკეანო გემი
17 ზღვის დიდი ფრინველი
18 ჩინეთის ფულის ერთეული
19 თივის დიდი გროვა
20 ოპ-ტიკური ძინა
21 ჩრდ. ამერიკუ-ლი დათვი
22 ლექ-სის ცხრას-ტრიქონიანი სტროფი
23 ადამ-ანის პა-თოლოგიური ზრდა
24 ოგივეა, რაც ხაზი
25 უდანაშაუ-ლობის საბუთი
26 პარიზის კოშკი
27 ამერიკე-ლი მწყემსი
28 თევ-ზის კვერცხების ერთობ-ლიობა
29 მუს. ნოტი
30 აჩემებული საქმიანობა
31 ... კურნიკო-ვა
32 იშვიათი, უჩვეულო მოვლენა
33 ქალაქი კანადაში
34 ... რურკი
35 მძორის მჭამელი ფრინველი
36 ბულ-გარელი ნათელმხ-ილველი
37 ამერიკე-ლი მწერალი
38 სილვესტერ სტალონეს მეტსახელი
39 აღვირის ნაწილი
40 ქიმიური ელემენტი
41 ქართული სიგარეტი
42 მონრ-ქუ-ლი სახელმწი-ფოს ტიპი

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. პროვიზორი; 2. პავიანი; 3. ვიში; 4. ავგაროზი; 5. ტალინი; 6. ვაიკულე; 7. ჭიკარტი; 8. ოკეანე; 9. ანოა; 10. ჭიგო; 11. სოფა; 12. ნარდი; 13. რეზო; 14. პინჩერი; 15. პიჯაკი; 16. არსენალი; 17. ამპერი; 18. ეროტი; 19. ქომაგი; 20. ნარტა; 21. დილიჟანსი; 22. ნარვალი; 23. დია; 24. მინდია; 25. რომი; 26. ჯუნგლი; 27. ესქილე; 28. რიტორი; 29. ინდიანა; 30. ამონალი; 31. იარანგი; 32. აფთარი; 33. პოლო; 34. რომა; 35. რადიო; 36. არსი; 37. გალაქტიონი; 38. ონი; 39. ანომალია; 40. ჰანგი; 41. ლია; 42. მე; 43. ბე; 44. აია; 45. ზადი.

სურათებზე: ჯორჯ მაიკლი; ფრედი მერკური.

25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-გ; 4-ა.

kviris astrologiuri prognozi

(8 — 14 ivnisi)

ვერძი 21.03-20.04

ამ კვირას, უმჯობესი იქნება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ მიიღოთ. სამაგიეროდ, თქვენ გაქვთ დრო იმისთვის, რომ წარსული გააანალიზოთ და მომავლის გეგმები დასახოთ.

კურო 21.04-20.05

მთელი კვირის განმავლობაში, შეეცადეთ, საქმე, რომელიც უკვე წამოიწყეთ, იდეალურ მდგომარეობაში მოიყვანოთ. ყურადღებით მოეკიდეთ ურთიერთობას ბიზნესპარტნიორებთან, დაგეგმეთ მომავალი და წარმატება გარანტირებული გექნებათ.

ტყუპი 21.05-21.06

ამ დღეების განმავლობაში, კრიზისული პერიოდის და მისი თანამდევი პრობლემების გადალახვა მოგიწევთ. მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება დროებით გვერდზე გადადეთ და ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობას მიაქციეთ.

კიბო 22.06-22.07

დაიმახსოვრეთ, რომ ყველა პროექტის რეალიზება არ ღირს. სანამ რაიმე საქმიან წინადადებას დათანხმდებით, კარგად დაფიქრდით. ასეთი წინადადება დასაწყისში შესაძლებელია, საკმაოდ მიმზიდველად მოგეჩვენოთ, მაგრამ ცოტა ხანში მიხვდებით, რომ ის მხოლოდ თავსატეხს გაგიჩენთ და არც დიდ შემოსავალს მოგიტანთ. უკეთესია, ყურადღება შედარებით პატარა პროექტებს მიაქციოთ, რომელსაც კვირის ბოლოს შემოგთავაზებენ.

ლომი 23.07-23.08

ამ კვირას, უმჯობესია საკუთარი პარტნიორების ინტერესებიც გაითვალისწინოთ, ეს თქვენ წარმატებას აუცილებლად მოგიტანთ. უქმე დღეები ოჯახის წევრების და საუკეთესო მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ქალწული 24.08-23.09

ეს კვირა დაწყებული საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გამორიცხული არაა, რომ კვირის ბოლოს, ახალი კომპანიონების გამოჩენამ გაგახაროთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს და ავანტიურულ ქმედებებს.

სასწორი 24.09-23.10

მთელი კვირის განმავლობაში, ნებისმიერი გეგმის განხორციელებას შეძლებთ. საქმიანი მოლაპარაკებების დროს, პარტნიორებთან იყავით მომთხოვნი, ამავე დროს, მათი ინტერესებიც გაითვალისწინეთ. ამით წარმატება გარანტირებული გექნებათ.

გაგრძელება იხ. გვ. 71

ნევროზი, ჩაკეტილი ბედი, ჯადო — პრობლემა, რომელსაც ნათელმხილველი 14 დღეში მოგიხსნით

*ნათელმხილველმა **ლია ხუციშვილმა** ეს ნიჭი შთამომავლობით მიიღო. მისი ბებია ასევე ცნობილი ნათელმხილველი ყოფილა. ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც საკუთარი მომავლის წინასწარ განჭვრეტა არ სურს, თუმცა, ბევრ მათგანს არ სჯერა მკითხაობის, მისნობის, ნათელმხილველობის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონ ლიას ბევრი ადამიანი ემადლიერება. ის ხსნის ჯადოს, ავ თვალს, ჩაკეტილ ბედს, ამზადებს დამცავ თილისმებს და ხშირად, მოსალოდნელ სიკვდილსაც აშორებს ადამიანს. მან, თავისი ნიჭის წყალობით და შელოცვებით, არაერთი ოჯახი გადაარჩინა დანგრევას. ქალბატონ ლიას, უამრავი ადამიანი ემადლიერება — პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და შოუბიზნესის წარმომადგენლები მასთან რჩევის საკითხავად მიდიან.*

— ქალბატონო ლია, ხალხი ძირითადად, რა პრობლემებით მოდის თქვენთან?

— მოდიან ათასი პრობლემის გამო — ზოგს ჯადო აქვს გაკეთებული, ზოგს ბედი აქვს ჩაკეტილი და ა.შ. მაგრამ ამ ბოლო დროს, მოდიან ადამიანები, რომლებსაც ნევროზი აქვთ. ისინი ძირითადად ახალგაზრდები არიან და მინდა გითხრა, რომ მათ ლოცვების გარდა ვერაფერი უშველის, ამ ნევროზს ვერანაირი ექიმი ვერ განკურნავს, იმიტომ, რომ ამ ახალგაზრდებზე ეშმაკი ბატონობს. ამას წინათ, ქუთაისიდან ჩამოვიდა გოგონა, რომელმაც დახმარება მთხოვა — მას სრულიად უმიზეზოდ თავის მოკვლა სურდა და ლოცვებით ის ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანე.

— ჯადოს და ჩაკეტილ ბედსაც ლოცვებით ხსნით?

— რა თქმა უნდა. ეს არის ქრისტიანული ლოცვა, რომელიც წმინდა ბარბარეს გამოცხადების შემდეგ ვისწავლე. ის ეშმაკის განმდევნელია და მას შეუძლია კეთილი ანგელოზი გამოგვიგზავნოს... ჩემთან ხალხი ეკლესიიდანაც მოდის (მაგალითად, მონაზვნები) და ისინი ეშმაკისგან გათავისუფლებას მთხოვენ.

— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ჯადო გვაქვს გაკეთებული?

— ამის შემჩნევა ადვილია — ამ დროს, ადამიანი სახლიდან უმიზეზოდ გარბის, ჩხუბობს, ოჯახის წევრები ეზიზღება, ახალგაზრდებს მშობლები სატანად ეჩვენებათ და ა.შ. ჩვენ უნდა შევეცადოთ, ეს ეშმაკი დავამარცხოთ. ასეთ ადამიანებს ვაძლევ თილისმას, რომლის შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილას დგება.

— თქვენთან ცნობილი ადამიანებიც დადიან?

— დადიან პოლიტიკოსები, ექიმები, ბიზნესმენები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც სხვადასხვა პრობლემა აქვთ. ისინი პროგნოზების გაკეთებას მთხოვენ და რჩევებს იღებენ... ამ ბოლო დროს, ხალხი ძალიან გაბოროტდა, თითქოს, ყველას ერთად დაეუფლა ეშმაკი. ამდენი წვიმებიც იმიტომ იყო, რომ ღმერთი ტიროდა. ადრე, ახალგაზრდები წლებს ჭვრეტდნენ, ახლა კი, მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობენ. ამას მათ სატანა აკეთებინებს.

— პოლიტიკურ პროგნოზებსაც აკეთებთ?

— სააკაშვილის პრეზიდენტობა პირველმა ვიწინასწარმეტყველე. დღეს ხალხი მის გადადგომაზე ოცნებობს, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ახალგაზრდა კაცი, საქართველოს აყვავებას შეძლებს. გირჩევთ, აცალოთ მას, ჯერ გზები გააკეთოს, სტუმრები ჩამოიყვანოს და ფაბრიკა-ქარხნებსაც მალე აგვიშენებს.

მის: დ. გურამიშვილის №48, (მ. „ღრმაღელესთან“), II სად, VII სართ. ბინა №40, ტელ: 69-60-00; 61-87-21; 8(93) 21-52-33.

■

ჭეშმარიტი სიყვარული თუ მსუბუქი გატაცება?

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შეყვარებული ხართ და გიჭირთ საკუთარ გრძნობებში გარკვევა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქვემოთ მოყვანილი ტესტი გარკვეულწილად დაგეხმარებათ გაერკვეთ იმაში, დიდი სიყვარულით გიყვართ მამაკაცი (ყმაწვილი) თუ მხოლოდ მსუბუქი გატაცება გაქვთ.

1. პაემანზე წასვლისას, თქვენ იცვამთ:

ა) კაბას, რომელიც თქვენ განსაკუთრებულად მოგწონთ — 2;

ბ) კაბას, რომელიც მას განსაკუთრებულად მოსწონს — 3;

გ) კაბას, რომელიც თქვენს გარდერობში ყველაზე ახალია — 1.

2. როდესაც თქვენ სტუმრობთ თქვენს შეყვარებულს და მის მშობლებთან ერთად ატარებთ საღამოს:

ა) თქვენთვის ეს ნამდვილი სატანჯველია — 2;

ბ) თქვენთვის ეს საინტერესო და სასიამოვნოა — 3;

გ) მათთან გატარებულ დროს თქვენ ფუჭად დაკარგულად მიიჩნევთ — 1.

3. როდესაც თქვენი შეყვარებული გჩუქნით წიგნს:

ა) თუკი ის თქვენთვის საინტერესო არ არის, თქვენ მზად ხართ, გაცვალოთ ის სხვა წიგნში — 2;

ბ) ეუბნებით, რომ სწორედ ამ წიგნზე ოცნებობდით — 3;

გ) თქვენდა უნებურად წამოიძახებთ: „უი, ასეთი წიგნი ხომ უკვე მაქვს!“ — 1.

4. თუკი ის დაგპირდათ, რომ დაგირეკავდათ, მაგრამ რატომღაც არ შემოგეხმიანათ:

ა) თქვენ ტირით — 2;

ბ) თქვენ მთელ დღეს ტელეფონთან ატარებთ — 3;

გ) თქვენ მეგობარ გოგონასთან ერთად სასეირნოდ მიდიხართ — 1.

5. თუკი თქვენთვის ცნობილია, რომ შეყვარებულის დედას არ მოსწონხართ:

ა) თქვენ ცდილობთ, ანგარიში გაუწიოთ მის მოთხოვნებს — 2;

ბ) მისი გულის მოგებას ცდილობთ და გემოვნებით შერჩეულ თაიგულს უძღვნით მას — 3;

გ) ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ჰკითხავთ, რა არის მიზეზი მისი თქვენდამი ანტიპათიური განწყობილებისა? — 1.

6. შეყვარებულს უნდა, რომ სადმე დაგპატიჟოთ, მაგრამ ამისათვის საკმარისი თანხა არა აქვს:

ა) თქვენ მას შესთავაზებთ, რომ დანახარჯის ნახევარს თავადვე გადაიხდით — 2;

ბ) უბრალოდ, გასეირნებას შესთავაზებთ — 3;

გ) სხვა თემაზე ჩამოუგდებთ ლაპარაკს — 1.

7. კონფლიქტის შემდეგ, რომელშიც აშკარად თქვენ ტყუოდით:

ა) უცდით, რომ პირველი ნაბიჯი მაინც მან გადმოდგას — მოვიდეს ან დაგირეკოთ — 2;

ბ) ბოდიშს მოუხდით მას — 3;

გ) მეგობარ გოგონებს მომხდარის შესახებ მოუყვებით, მაგრამ იმას, რომ დამნაშავე სწორედ თქვენ იყავით, არ გაამხელთ — 1.

8. თუკი თქვენს შეყვარებულს უყვარს სპორტი:

ა) თქვენ მასთან ერთად დადიხართ სპორტულ შეჯიბრებებზე — 2;

ბ) მოგწონთ მისი გატაცება და ამას კმაყოფილებით აღნიშნავთ — 3;

გ) როდესაც ის ამა თუ იმ სპორტულ ღონისძიებაზე მიდის, თქვენ შინ რჩებით, რადგან სასაცილოდაც კი არ გყოფნით მისი გატაცება — 1.

9. თუკი შემთხვევით შეხვდებით ადამიანს, რომლის მიმართაც წარსულში გულგრილად არ იყავით განწყობილი:

ა) თქვენ უარს ეტყვით მას შეხვედრაზე — 3;

ბ) გულწრფელად ეტყვით, რომ სხვა გიყვართ — 3;

გ) გაიხსენებთ წარსულს და დათანხმდებით მასთან შეხვედრას — 1.

10. შეყვარებულთან ხანგრძლივი განშორების შემთხვევაში:

ა) თქვენ დროს მეგობარ გოგონებთან ერთად გაატარებთ — 2;

ბ) მარტოობას ამჯობინებთ და ხშირად შეეხმიანებით მას ტელეფონითა თუ წერილით — 3;

გ) გაიხსენებთ ძველ სიმპათიას და თავს შეახსენებთ მას — 1.

ტესტის შედეგები

14 და უფრო ნაკლები ქულა: ერთი რამ უდავო ფაქტია — თქვენ ნამდვილად არ გიყვართ ის და უმჯობესი იქნება, თუკი თავს არ მოიტყუებთ.

15-26 ქულა: შესაძლოა, თქვენ ფიქრობთ, რომ შეყვარებული ხართ, მაგრამ როგორც თქვენი პასუხებიდან ჩანს, ამის დაბეჯითებით მტკიცება ნამდვილად არ შეგიძლიათ.

27 და უფრო მეტი ქულა: თქვენი პასუხებიდან აშკარად ჩანს, რომ თქვენ ნამდვილად გიყვართ ერთმანეთი.

kviris astrologiuri prognozi

(8 — 14 ivnisi)

დასაწყისი ის. გვ. 70

მორიელი 24.10-22.11

წარმატება თვითონ მოდის თქვენთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებელი შეხვედრებისთვის არ უნდა მოემზადოთ. პირიქით, რაც უფრო გულდასმით მოიფიქრებთ შეხვედრის ვარიანტებს და დეტალებს, მით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევთ. თუ თქვენ, უცხოური ფირმის წარმომადგენლებთან მოგიხდებათ ურთიერთობა, კარგი იქნება, თუ მათ ენაზე ორიოდ სიტყვას მაინც შეისწავლით.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ამ კვირას, საკუთარი თავი გააკონტროლეთ. დაივიწყეთ ის, რომ „თავდაცვის საუკეთესო მეთოდი — თავდასხმაა“. ამ ეტაპზე, უსიამოვნებისგან მხოლოდ სიფრთხილე დაგიცავთ. თავი ხელში აიყვანეთ და გამოსავალს ნებისმიერი სიტუაციიდან იპოვით.

თხის რქა 22.12-20.01

გირჩევთ, ამ კვირას ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ მიიღოთ. სანამ რაიმეს მოიმოქმედებთ, კარგად დაფიქრდით, გამოცდილი ადამიანების რჩევაც გაითვალისწინეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ან სამსახურიდან დაგითხოვენ, ან ახლობლების ნდობას დაკარგავთ.

მერწყული 21.01-19.02

შეეცადეთ, არავის საქმეში არ ჩაერიოთ. უარი თქვით ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე, რადგან ამან, შეიძლება არასასურველი შედეგი მოგიტანოთ.

თევზები 20.02-20.03

თქვენ სამსახურში წარმატება გელით, მაგრამ ამის მისაღწევად, მთელი თქვენი ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ. შეეცადეთ, სირთულეები გადალახოთ, თამამად მიიღეთ გადაწყვეტილებები — მოკლედ, უკან არაფერზე დაიხიოთ. უქმე დღეები კი, დასვენებას და დახარჯული ენერგიის აღდგენას დაუთმეთ.

როცა შუშის სახლში ცხოვრობ, ქვებს არ უნდა ისროდე...

დასაწყისი იხ. გვ. 6

ევროპაში სეპარატიზმის აჩრდილი დაძრწის

(ლონდონური Times)

„ჩერნოგორიის დამოუკიდებლობამ ევროპის სხვა პატარა ხალხებსაც საკუთარი ახალი სახელმწიფოების შექმნისკენ გაუხსნა გზა“, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ლონდონური „თაიმსის“ წამყვანი კორესპონდენტები — ჯერემი პეიჯი და რიჩარდ ბისტონი. ამასთან, მათი აზრით, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების 1989 წელს დაწყებული დაშლის პროცესი ახლა, ევროკავშირის სახელმწიფოებსაც გადაედო: „თაიმსის“ აზრით, 2020 წლისთვის, ახლანდელი ევროკავშირის სივრცეში 11 ახალი სახელმწიფოს წარმოქმნაა შესაძლებელი. გამოცემა აქვეყნებს სპეციალურ რუკას, რომელზეც ეს სახელმწიფოებია აღნიშნული.

„თაიმსის“ ჟურნალით, შეიძლება სულ რაღაც 15 წლის შემდეგ, დიდ ბრიტანეთს ახალი სახელმწიფოები: შოტლანდია და უელსი გამოეყოს, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდია — ირლანდიას შეუერთდეს. ახლანდელი ბელგია ვალონიად და ფლანდრიად დაიშლება. იტალიას გამოეყოფა სამხრეთ ტიროლი და სარდინია. საფრანგეთი კორსიკასა და ქალაქ პერპინიანის გარშემო განლაგებული სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს დაკარგავს. ეს უკანასკნელნი შეუერთდებიან ახალ სახელმწიფოს — კატალონიას, რომლის დედაქალაქიც ბარსელონა იქნება. ასეთივე ბედი ელის საფრანგეთის ბასკურ რაიონებსაც, რომლებიც ასევე ესპანელი ბასკების მომავალ სახელმწიფოში გაერთიანდებიან. ესპანეთის შემადგენლობიდან გამოვა სამხრეთ ანდალუზიაც. 2002 წლის ევროპის ჰიპოთეტურ რუკაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოებადაა აღნიშნული, აგრეთვე, დნესტრისპირეთი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.

„თაიმსის“ აზრით, დასავლეთში — ბასკებით დაწყებული და აღმოსავლეთში — ქურთებით დამთავრებული, არსებობენ ეროვნული უმცირესობები, რომლებიც მრავალი წელია, საკუთარი სახელმწიფოების შექმნას ცდილობენ. შედეგად, დღეს, ევროპაში უკვე ამ მინისახელმწიფოების მხრიდან საერთო სიტუაციის დესტაბილიზაციის სერიოზული საფრთხე შეიქმნა.

„როგორც ჩანს, — ასკვნის „თაიმსი“ — ჩერნოგორიას მალე კოსოვო მოჰყვება. შედეგად კი ბოსნია-ჰერცეგოვინის — სერბული ნაწილისა და აგრეთვე, ამავე სახელმწიფოში შემავალი, ხორვატებით დასახლებული ტერიტორიების თვითგამორკვევის საკითხიც დადგება“...

■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	3	2	1	4	9	6	8	7
4	7	9	6	8	2	1	5	3
8	6	1	3	7	5	9	2	4
6	2	8	4	3	1	7	9	5
7	4	3	9	5	8	2	1	6
9	1	5	2	6	7	4	3	8
1	5	4	8	2	6	3	7	9
2	8	6	7	9	3	5	4	1
3	9	7	5	1	4	8	6	2

9	8	3	2	4	7	5	1	6
1	4	5	9	6	8	2	3	7
6	7	2	5	1	3	8	9	4
3	1	9	8	2	4	7	6	5
4	2	6	7	9	5	1	8	3
7	5	8	1	3	6	4	2	9
2	4	7	6	8	9	3	5	1
8	3	6	4	5	1	9	7	2
5	9	1	3	7	2	6	4	8

* მარტივი

4		2	1				6	7
3		8	7	9			5	
9		7	2	4			1	3
	9	6	5	7	1	3		
	4	1				7	9	
		5	4	8	9	6	2	
5	8			1	3	2		6
	2			5	7	1		9
1	7				4	5		8

** საშუალო

		5			8	1	3	4
6	7	8		1	4			
	4	1		5	9	8	7	
7			9	3		4	8	1
1			4	2	7			9
9	3	4		8	1			7
	6	3	1	9		7	4	
			8	7		2	6	3
5	2	7	6			9		

ფოტოკუთხეები





652/22



პირველად საქართველოში მკვდარი ზღვის უნიკალური საგანძური Premier-ისაგან

ყოველდღიური და სამკურნალო კოსმეტიკა

ტელ: (+995 32) 45 33 88
მობ: (+995 99) 54 66 66
მ.პ.ს. ი.ლ. პრემიერი